

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1987-7374

## კავკასიის ეთნოლოგიური კრებული

XXIV

ედღვნება „კავკასიის ეთნოლოგიური  
კრებულის“ გამოცემის მე-60 წლისთავს



გამომცემლობა „ანიპრესალი“

თბილისი 2024

**Papers of Caucassian Ethnology, XXIV, Tbilisi, 2024**  
**Кавказский этнологический сборник, XXIV,**  
**Тбилиси, 2024**

„კავკასიის ეთნოლოგიური კრებულის“ XXIV გამოშვება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ორგანოა. კრებულში დაბეჭდილი ნაშრომები ეხება კავკასიისა და საქართველოს ეთნოლოგიისა და ისტორიის აქტუალურ პრობლემებს.

**რედაქტორი**  
**როლანდ თოფჩიშვილი**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2024

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2024

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

## რედაქტორისაგან

„კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ პირველად 1964 წელს, 60 წლის წინ გამოიცა. საბჭოთა პერიოდში ის რამდენიმე წელიწადში ერთხელ, ხოლო 2007 წლიდან კი თითქმის ყოველწლიურად გამოდის. „კავკასიის ეთნოლოგიურ კრებულს“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის (შემდგომ – ისტორიისა და ეთნოლოგიის) ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის (შემდგომ – ეთნოლოგიის) განყოფილება გამოსცემდა. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. აღნიშნული განყოფილების მესაძირკველები იყვნენ პროფესორები რუსუდან ხარაძე (1909-1965) და ალექსი რობაქიძე (1907-1990). განყოფილების შექმნის მიზანი კეთილშობილური იყო: კავკასიის ხალხების დაახლოება. ამდენად, მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ხალხების ეთნიკური კულტურის შესწავლა ქართველი ხალხის ინტერესებში შედიოდა. განყოფილებას გარდაცვალებამდე ბატონი ალექსი რობაქიძე ხელმძღვანელობდა.

„კავკასიის ეთნოლოგიური კრებულის“ რედაქტორები, ბუნებრივია, აღნიშნული განყოფილების გამგეები იყვნენ: ალექსი რობაქიძე, ვახტანგ ჩიქოვანი, ნანული ჯავახაძე, ლიანა მელიქიშვილი. კრებულში იბეჭდებოდა ნაშრომები ისეთი მკვლევარებისა როგორებიც იყვნენ და არიან: რუსუდან ხარაძე, ალექსი რობაქიძე, თეიმურაზ ჩიქოვანი, ვალერიან ითონიშვილი, მედეა ქანთარია, ბახვა გამყრელიძე, გურამ გეგეჭკორი, ანზორ ქალდანი, ნანული ჯავახაძე, გულდამ ჩიქოვანი, ლიანა მელიქიშვილი, სალომე ბახია, ლამარა ფაშაევა, ლეილა მარგომეილი და სხვანი. 2006 წლიდან, მეცნიერების რეორგანიზაციისას სამართლიანად მიიჩნიეს, რომ კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებას არსებობა უნდა გაეგრძელებინა. ამ დროიდან, როგორც აღინიშნა, თითქმის ყოველწლიურად გამოიცემა „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, რომელიც აგრძელებს ტრადიციებს. კრებულში არა მხოლოდ განყოფილების თანამშრომელთა ნაშრო-

მები იბეჭდება, არამედ სხვა ავტორებისაც, რომლებიც კავკასიის ეთნოლოგიისა და ისტორიის შესახებ გამოკვლევებს წერენ.

კრებულში გამოქვეყნებული ნაშრომები ეხებოდა საქართველოსა და კავკასიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, განსაკუთრებით, ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების ურთიერთობებს და ა.შ. თავდაპირველად, 1990-იან წლებამდე კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომლები ექსპედიციებს ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში აწყობდნენ. იქ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალები კი საფუძვლად ედებოდა გამოკვლევებს, რომლებიც, არცთუ იშვიათად, რუსულ ენაზე იბეჭდებოდა, რათა ისინი ხელმისაწვდომი ყოფილიყო ჩვენი მეზობლებისათვისაც. ამ ურთიერთობების შესწავლა დღესაც აქტუალურია, რადგან საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ თავი იჩინა მთელმა რიგმა ნეგატიურმა მოვლენებმა. რუსეთის ხელისუფლების აქტიური ქმედებით საქართველოში მოხდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დაპირისპირება; ყარაბაღის გამო გაჩაღდა ომი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ყველაზე გულსატკენი კი ის იყო, რომ მთელი რიგი ჩრდილოეთ კავკასიელი ეთნიკურ ერთობები აქტიურად ჩაერთვნენ საქართველოში განვითარებულ მოვლენებში. ამ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, პროცესები რუსეთის იმპერიული ძალების მიერ იმართებოდა.

უპრიანი იყო ქართველებთან დაპირისპირებულ ხალხებში ეთნოლოგებს ეთნოგრაფიული მასალები უშუალოდ ადგილზე მოეპოვებინათ. მაგრამ პოლიტიკური ვითარება არც აფხაზებთან და არც ოსებთან ასეთი კვლევის საშუალებას არ იძლევა, რომ არაფერი ვთქვათ ჩრდილოეთ კავკასიაში მუშაობაზე. ის კი არა და, ქართველ მეცნიერებს ისტორიული აღმოსავლეთ კახეთის (დღევანდელი საინგილოს) ტერიტორიაზე – მეგობრულ აზერბაიჯანში შესვლისა და მუშაობის საშუალებაც კი არა აქვთ. ბუნებრივია, აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს ქართველი და კავკასიელი ხალხების ურთიერთობის მეცნიერულ შესწავლაზე. მიუხედავად ამისა, ივანე ჯავახიშვილის სახელო-

ბის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომლებს არ შეუწყვეტიათ სხვა კავკასიელი და ქართველი ხალხების ეთნიკური ურთიერთობების, კავკასიელთა და ქართველთა ეთნიკური კულტურის კვლევა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის. ყოველწლიურად გამოიცემა „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, დაიწერა და გამოქვეყნდა რამდენიმე მონოგრაფია. ასე რომ, 1960-იანი წლების დასაწყისში დაწყებული სამეცნიერო საქმიანობა აქტიურად გრძელდება და დღემდე არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა განხორციელდა. შორს წაგვიყვანს ყოფილი და ახლანდელი თანამშრომლების სამეცნიერო პროდუქციის ჩამოთვლა. ამ სფეროში შესრულებული ბიბლიოგრაფიის გამოქვეყნება მომავალ წელს იგეგმება.

კარგია, რომ ბოლო წლებში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ახერხებს საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში წელიწადში ერთხელ ეთნოგრაფიული ექსპედიციის დაფინანსებას, მაგრამ 7-8 დღიანი ექსპედიცია მხოლოდ სამეცნიერო დაზვერვის საშუალებას იძლევა. საერთოდ, თანამედროვე პერიოდში კვლევითი ინსტიტუტების მცირე ბიუჯეტი მნიშვნელოვნად აფერხებს მეცნიერების წინსვლას (მხედვეობაში მაქვს არა მხოლოდ საველე სამუშაოების დაფინანსება, არამედ ხელფასიც, რაც ახალგაზრდებს მეცნიერების მიმართ ინტერესს უსპობს). გარკვეული იმედები მეცნიერების რეფორმებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მეცნიერებისათვის (და, ბუნებრივია, ეთნოლოგიისათვის) ვერავინ მოიცალა. შეიძლება ითქვას, რომ მიზეზური ხელფასის მქონე მეცნიერების მუშაობას ძირითადად ენთუზიაზმი ასაზრდოებს. ეთნოლოგიურ კვლევებს კი პირველ რიგში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქვეყნის მომავლისათვის გადამწყვეტია საქართველოში მცხოვრებ ეთნოსთა, ქართველთა და სხვა კავკასიელ ხალხთა ურთიერთობების კვლევა, ხელისუფლებისათვის მეცნიერულად არგუმენტირებული რეკომენდაციების მიცემა.

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია არა მხოლოდ კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა (სალომე ბახია-ოქრუაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ირმა კვაშილავა, ნათია ჯალაბაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი) გამოკვლევები, არამედ სხვა ქართველი მკვლევრებისაც (დავით მერკვილაძე, ერეკლე ხუციშვილი, ნიკოლოზ ოთინაშვილი, დავით შავიანიძე). იხილავთ ან გარდაცვლილი ეთნოლოგის ლერი ლევიძის ნაშრომსაც, რომელიც მონადიერეობის ტრადიციებისადმი მიძღვნილი. ეს ნაშრომი მისი მონოგრაფიის ნაწილია, რომელიც ჩვენს კოლექციას გამოუქვეყნებელი დარჩა. მკითხველი იხილავს აგრეთვე კანადელი ავტორის Andrew Andersen-ის საყურადღებო გამოკვლევას 1918-1921 წლების აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ, რომელიც ინგლისურ ენაზე იყო წარმოდგენილი საქართველოს საპატრიარქოში აფხაზეთისადმი მიძღვნილ წლეულს გამართულ კონფერენციაზე. საჭიროდ ჩავთვალეთ ნაშრომი – **Конфликт в Абхазии (1918-1921): этнический или политический?** – რუსულ ენაზე გამოგვექვეყნებინა, – რუსულენოვანი მკითხველისათვისაც რომ ყოფილიყო ხელმისაწვდომი, რისთვისაც ბატონ ენდრიუს დიდ მადლობობას ვუხდით. ამავე მიზეზითაა განპირობებული ჩემი ნაშრომის რუსულ ენაზე გამოქვეყნება, რომელიც ქართველ გრიგორიანელებს//მონოფიზიტებს ეხება.

## როლანდ თოფჩიშვილი

### ფიქრები ეთნოლოგიის მომავალზე

„კავკასიის ეთნოლოგიურ კრებულს“ წამძღვარებულმა სვეტმა „რედაქტორისაგან“, გარკვეული ფიქრები აღძრა ეთნოლოგიის მომავალზე. ითქვა, რომ ხალხების (ეთნოსების) შემსწავლელ მეცნიერებას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რადგან ის ეთნიკურ (ხალხურ) კულტურასთან ერთად, ხალხებს (ეთნოსებს) შორის ურთიერთობასაც იკვლევს; ითქვა, რომ გზა აქვს გადაკეტილი პერსპექტიული ახალგაზრდების მიღებას და დიდ პრობლემას ქმნის დაუფინანსებლობა.

როგორია, მართლაც, ეთნოლოგიის, როგორც ხალხების (ეთნოსების) შემსწავლელი მეცნიერების მომავალი? მოკლედ და ერთი სიყვით რომ ვთქვათ, მისი მომავალი საერთოდ არ ჩანს! სამეცნიერო ინსტიტუტს ახალგაზრდების მიღების საშუალება ფაქტობრივად არა აქვს (არც უნივერსიტეტს!). პირველ რიგში, ამის მიზეზი დაბალზე დაბალი ხელფასია. საბჭოთა პერიოდში ყოველწლიურად ინსტიტუტს ორი-სამი ახალგაზრდის მიღების საშუალება ჰქონდა. თუ გამოჩნდებოდა სათანადო მონაცემების პერსპექტიული ახალგაზრდა, დარგის მესვეურთა შუამდგომლობით, მეცნიერებათა აკადემია სათანადო თანხებს გამოყოფდა ხოლმე. ახლა აღარავითარი პერსპექტივა არ ჩანს! ამას ემატება მეორე პრობლემა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნოლოგიის მიმართულება ფაქტობრივად აღარაა! ეთნოლოგიას ანთროპოლოგიით (კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიით) ანაცვლებენ, უფრო სწორედ, უკვე ჩაანაცვლეს! არსებობს მხოლოდ ეთნოლოგიის საბაკლავრო პროგრამა. ესეც იმიტომ, რომ ვერ შექმნიან ანთროპოლოგიის საბაკლავრო პროგრამას, რადგან ამის სამეცნიერო რესურსი და სათანადო სახელმძღვანელოები არაა. სახელმძღვანელოების შექმნას კი ცოდნა და სერიოზული სამეცნიერო რესურსი სჭირდება.

ეთნოლოგიის საბაკალავრო პროგრამიდან სწავლების მეორე საფეხური უნდა ყოფილიყო ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა. ასეთი პროგრამა იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცბიერებათა ფაკულტეტზე, რომელიც ჩემი შედგენილი იყო და, ამდენად, ხელმძღვანელიც მე გახლდით. მაგრამ 2018 წლის ოქტომბრიდან ჩემი უნივერსიტეტიდან გამოშვების შემდეგ, ეს პროგრამა გაუქმდა, გაუქმდა იმიტომ, რომ ორმა ძირითადმა პროფესორმა, რომლებიც დღესაც არიან უნივერსიტეტში, უარი განაცხადა (განცხადებით მიმართა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას!), წაეკითხათ ლექციები ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე. ის მაგისტრანტები კი, ვინც ამ პროგრამაზე ცოდნას ეუფლებოდნენ, დაიფანტნენ – ზოგმა საერთოდ შეწყვიტა სწავლა, ზოგი კი სხვა პროგრამებზე გადავიდა. ასე რომ, ეთნოლოგიის საბაკალავრო პროგრამადამთავრებულებს სთავაზობენ სწავლა ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე გააგრძელონ. ამ პროგრამაზე მიზიდვისას დაინტერესება, პირველ ყოვლისა, ის იყო და არის, რომ სტუდენტს დასავლეთში სწავლის გაგრძელების საშუალება მიეცემა.

მესამე საფეხურიც ანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამაა. ფაქტობრივად, მომავალი ანთროპოლოგები იმის გამო, რომ არაა საბაკალავრო პროგრამა ანთროპოლოგიაში, არასრულყოფილი, არასათანადო ცოდნით არიან აღჭურვილი. თითქოს გამოსავალი მოძებნეს – მიმართულებას უწოდეს „ეთნოლოგია-ანთროპოლოგია“. მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუებაა! ეთნოლოგია დასაღუპადაა განწირული!

შეიძლება ვილაცამ მიგვითითოს – ეს ორი სახელწოდების მქონე ერთი მეცნიერებაა. არაა ეს ასე! ანთროპოლოგია სწავლობს მხოლოდ ჯგუფებს, საზოგადოებებს, ეთნოლოგია კი – ეთნოსებს (ხალხებს). ეთნოლოგია არ შეისწავლის ჯგუფებსა და საზოგადოებებს. ანთროპოლოგია არასდროს არ დაინტერესდება ეთნიკური კულტურით, ეთნოსთა შორის ურთიერთობებით. დაირღვევა, და უკვე დაირღვა კვლევის ტრადიციული



მიმართულება. ეს ყველაფერი არის დასავლეთისადმი ბრმად მიმბაძველობიდან გამომდინარე. დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებშიც ეთნოლოგიაც არსებობს და ანთროპოლოგიაც; იქ ანთროპოლოგიას ეთნოლოგია არ შეუსანსლავს. ორივე ერთმანეთის გვერდით, პარალელურად არსებობდა და არსებობს. სადაც ეთნოლოგია არაა და მხოლოდ ანთროპოლოგიაა, ეს ფაქტიც, თავის დროზე, იმ ქვეყნებში არსებული ობიექტური ფაქტორების გამო მოხდა. დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების გამო, უკვე აღარ არსებობდა ხალხური კულტურა და თუ არსებობდა, გეოგრაფიული ფაქტორების გამო, ის ერთფეროვანი იყო. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს წარმოქმნისას ადგილობრივი ხალხური კულტურები განადგურებული იყო; სხვადასხვა ხალხის კონგლომერატს კი წარსული და ხალხური კულტურა საერთოდ არ აინტერესებდა.

იქნებ სადღაც ვილაცა ფიქრობს, რალა საჭიროა ხალხის შემსწავლელი მეცნიერება – ეთნოლოგია, როდესაც ძველი ტრადიციები უკვე ქრება და, უფრო მეტი, ხალხი გაქრობისაკენ მიდის? ქართული ეთნოლოგიის მესვეურებმა გიორგი ჩიტაიამ, ვერა ბარდაველიძემ, ალექსი რობაქიძემ, რუსუდან ხარაძემ, სერგი მაკალათიამ, მიხეილ გეგეშიძემ, გიორგი ჯალაბაძემ, თინათინ ოჩიაურმა, ჯულიეტა რუხაძემ და სხვებმა დიდი ენერგია შეაღწიეს მის განვითარებას და ისინი ერთი ნუთითაც ვერ წარმოიდგენდნენ, თუ მომავალი თაობა, უფრო სწორად, მომავალი თაობის თითო-ოროლა წარმომადგენელი, დაასამარებდა მას. დარგის ბედს (მისი მოსპობისა, თუ არსებობა-არარსებობის საკითხს) ინდივიდები არ უნდა წყვეტდნენ; ეს საქართველოში მოღვაწე ეთნოლოგთა გადასაწყვეტია.

გამოსვალი არსებობს? შეიძლება ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა – ეთნოლოგია უნდა აღდგეს თავის უფლებებში. ანთროპოლოგიას არ უნდა გადაეყლაპა ეთნოლოგიური მეცნიერება. საქართველოში ყოველთვის იქნება ამ მეცნიერების საჭიროება, პირველ ყოვლისა, იმიტომ რომ ქვეყანაში არა ერთი

და ორი ეთნიკური ჯგუფია. ეთნიკური ურთიერთობების შესწავლას კი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ასე რომ, ქვეყანას და ქართველ ხალხს სჭირდება ეთნოლოგი – ქართული ეთნიკური კულტურისა და ეთნიკურ ურთიერთობათა მცოდნე მკვლევარი.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კი მოჩვენებითად შეაუღლეს ეთნოლოგია და ანთროპოლოგია და მიმართულებას დაარქვეს „ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის“. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურად. ყველა პროგრამა – საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო – ერთ სახელწოდებას უნდა ატარებდეს და მასში ეთნოლოგიას სათანადო და წამყვანი ადგილი უნდა ეკავოს. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო სკოლის წყალში გადაყრის უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს. ჩემი თსუ-ში ეთნოლოგიის მიმართულებაზე ყოფნის პერიოდში, 8 საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო დავწერე. საინტერესოა, ანთროპოლოგიის მიმართულების შემქმნელი რატომ არ ქმნის სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოებს (უნივერსიტეტის პროფესორს სალექციო კურსის შექმნა მაინც არ უნდა უჭირდეს).

კიდევ ერთი საკითხი რჩება, რომელზედაც პასუხისმგებლობა ჩვენ, ეთნოლოგებს გვაქვს. ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების დარგი არსებობდა და არსებობს, რომელსაც ანთროპოლოგია ჰქვია. ესაა სინამდვილეში ფიზიკური ანთროპოლოგია. რას ვუშვრებით ამ დარგს? დღეს ფაქტობრივად, მკვდარია. მკვდარია იმიტომ, რომ ეს სახელწოდება „გაანთროპოლოგებული“ ეთნოლოგების ხელში გადავიდა, მკვდარია იმიტომ, რომ არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი ანთროპოლოგებს (ფიზიკურ ანთროპოლოგებს) არ ამზადებს. რატომ დაივიწყეს მეცნიერების ეს დარგი?

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში არსებობს ანთროპოლოგიის ლაბორატორია, რომელიც ფაქტობრივად ფიზიკური ანთროპოლოგიაა. ამ დარ-

გის არსებობა აუცილებელია ქვეყნისათვის (ხშირად ჩვენს კოლევებს სხვა ქვეყნებშიც ინვევენ). ფაქტობრივად, ფიზიკური ანთროპოლოგიის გარეშე წარმოუდგენელი იქნება არქეოლოგიის მუშაობა. ისინი სწავლობენ აღმოჩენილ ძვლოვან მასალას და დათარიღების საქმეში მათ დასკვნებს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ეთნოლოგიის ბედზე საუბარი ფაქტობრივად მოყვა იმას, რომ კავკასიოლოგი ეთნოლოგების სამეცნიერო ორგანო – „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“ – 60 წლის გახდა. იარსებებს კი ამ სახელწოდების კრებული, ვთქვათ, ათი წლის შემდეგ? იქნებ, ღმერთმა გადმოგვხედოს ჩვენც (ეთნოლოგებს) და საერთოდ, მეცნიერების ორგანიზატორებს! ამ ლირიულ გადახვევას რომ თავი დავანებოთ, მიგვაჩნია, რომ სამეცნიერო საზოგადოება უნდა გამოფხიზლდეს, გააცნობიეროს დარგის მნიშვნელობა, მით უმეტეს გლობალიზაციური პროცესების ფონზე. საკითხის მოგვარება კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ხელეწიფება, ანდა, რატომ არ ინტერესდება აღნიშნული პრობლემით საქართველოს მეცნიერებათა აკადემია?

## სალომე ბახია-ოქრუაშვილი

### ქართველი ხალხის ეთნოკულტურული ურთიერთობა სომხებთან (სოციალური ურთიერთობები)

ნაშრომი საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის, ჯავახეთის ძირძველ მაცხოვრებლებს ქართველებს, და ოსმალეთიდან 1830-1840 წელს შემოსახლებულ სომხებს, მათ ეთნოკულტურულ ურთიერთობებს შეეხება. რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომში გამარჯვების შედეგად კავკასიის კორპუსის მთავარსარდალმა, მთავარმართებელმა გრაფმა ივან პასკევიჩმა (1827-1831) ახალციხის საფაშოს ტერიტორია რუსეთის იმპერიას შეუერთა, თუმცა ცუდი ბედი ეწიათ იქ მცხოვრებ ქართველთა ნაწილს, რომლებიც ოსმალების 250 წლიანი ბატონობის შედეგად უკვე გამაჰმადიანებულები იყვნენ.

რუსებმა მაჰმადიან ქართველებს სომხები სახლებში შეუსახლეს. ამის გამო, ქართველი მაჰმადიანების ნაწილი იძულებული გახდა ოსმალეთში გადასახლებულიყო. მათ დაცლილ სოფლებში კი სომხები განსახლდნენ (ფრონელი, 1991: 155-156).

პასკევიჩმა იმისთვის, რომ ქართველი მაჰმადიანების გასახლება დაეჩქარებინა, სამცხე-ჯავახეთის ბეგებს მამულების გაყიდვის უფლება მისცა. ქართველ მაჰმადიანებს, რუსეთი, როგორც თურქებს, ისე ექცეოდნენ. ავინროვებდნენ, ეკონომიკურ და რელიგიურ წინააღმდეგობებს უქმნიდნენ. პასკევიჩმა, ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების დადების (1828 წ. 2 სექტემბერი) შემდეგ, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ახალციხის საფაშოს ნაწილი რუსეთის ხელში გადადიოდა, არ გაითვალისწინა მესხეთიდან და ჯავახეთიდან ოსმალების ბატონობის დროს გაქცეული თავად-აზნაურობის თხოვნა, არ დაუბრუნა მათ ქართველ მეფეთა მიერ დამტკიცებული, ნაწილობრივი ძველი მამულები და არ მისცა საშუალება სოფლებში, სადაც მო-

სახლეობა აღარ იყო, ქართველები ჩაესახლებინათ. ცარიზმის მოხელენი ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი მოსახლეობის აყრას, მიმართავდნენ პროპაგანდას, შანტაჟს, დაშინებას, მუქარას (ლომსაძე, 1975:352-353).

საქართველოში მაჰმადიანი ქართველების ადგილას ოსმალეთიდან შემოსახლებული სომხების დასახლებით რუსეთი რამდენიმე მიზანს ისახავდა – იმიგრანტების საშუალებით შესაძლებლობა ეძლეოდა მახლობელი აღმოსავლეთისათვის სომხური ვაჭრობა-ხელოსნობა დაეპირისპირებინა. ხოლო მუსლიმანური ქვეყნების საზღვარზე ქრისტიანი მოსახლეობის ჩასახლებით, ბუფერული ზონა შეექმნა და ეთნიკურად უფრო აეჭრელებინა, ისედაც პოლიეთნიკური ქართული ქვეყნის მხარე (ივლაშვილი, 2015:106).

როგორც წესი, მიგრაციული მოძრაობების დროს თავიდან მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები ფერხდებოდა, თუმცა, ხშირად სახელმწიფო, რომელიც მიგრაციულ საზოგადოებას იღებდა თავის მფარველობის ქვეშ, მისი შრომის გამოყენებასაც ცდილობდა. ადრეულ საუკუნეებში ქართველი მეფეები სომეხი ხალხის პროფესიულ საქმიანობას ვაჭრობასა და ხელოსნობას პატივს მიაგებდნენ, მაგრამ, ამავ დროს, მათ გამოყენებასაც ცდილობდნენ, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, რომლებშიც სომხები სახლობდნენ.

ჯავახეთში მართალია, ეთნიკურად და ეთნოკულტურულად უკვე XIX საუკუნიდან სხვადასხვა ეროვნების ხალხმა მოიყარა თავი, მაგრამ რელიგიური ფაქტორის გამო ქართველ-სომეხთა ურთიერთობა და მათი კონტაქტები თანდათან უფრო თვალსაჩინო გახდა. ამავ დროს, მათი, როგორც ქრისტიანულ ხალხთა ურთიერთობის ფონზე საზოგადოებაში ახალი ეთნოფსიქოლოგიური, ეთნოისტორიული, ეთნოსოციალური და, რაც მთავარია, ეთნოლინგვისტური ჩვევები ჩამოყალიბდა. ერთმანეთის მიმართ ქცევის გარკვეულმა წესებმაც იჩინა თავი, ჯავახეთში შემოსახლებულ სომხურ ეთნოჯგუფებში, ადგილი ბილინგვიზმმა დაიკავა. ოსმალეთში მცხოვრებლებმა თურქული

უკვე იცოდნენ, ქართულიც საკმაოდ მალე აითვისეს. ამრიგად, ჯავახეთის რეგიონში საუკუნეების მანძილზე მრავალი ენაა გავრცელებული: ქართული, რუსული, სომხური, „თათრული“ (ანუ თურქული) და სხვა მცირე ენები.

ზაქარია ჭიჭინაძე თავის ნაშრომში წერდა ქართველ მუსლიმებში ქართული ენის შესახებ – ...„თათრული ყველაზე ადრე ახალციხესა და ახალქალაქში შემოუტანიათ. გადმოცემის თანახმად ჯავახეთში ძველად, სწორედ ახალქალაქში ქართველ მაჰმადიანებს ქართულ ენას სასტიკად უკრძალავდნენ, ვისაც ქართულს შეატყობდნენ იმას სასტიკად სჯიდნენ. მათ ქრისტიანობასაც უკრძალავდნენ, სწორედ ამიტომ ქართველ კათოლიკეებში სომხური ენა გაბატონდა (ჭიჭინაძე, 2018:153-154).

რაც შეეხება ჯავახეთის სოფლებში შემოსახლებულ სომხებზე ალ. ფრონელის თანახმად, ამ სოფლებში ბევრ მათგანში ქართველები და სომხები ერთად ცხოვრობენ და მათ ერთმანეთის ენა კარგად იციან, მათ შორის შუღლი არასოდეს მომხდარა, ისინი მშვიდობიანად ცხოვრობდნენ (ფრონელი, 1991:171,188).

ქართულ და სომხურ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ძალდაუტანებელი, თავისუფალი ურთიერთდაახლოების გზას საბოლოოდ შერეული ქორწინებები უნდა მოჰყოლოდა.

ქართველმა ეთნოლოგმა თ. ფუტყარაძემ 1989 წ. ჯავახეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, მონაცემების შეგროვებისას ყურადღება იმას მიაქცია, რომ რეგიონში უცხო ეთნიკური ჯგუფის კომპაქტური დასახლებების და ეთნიკურად განსხვავებული ხალხის ერთად ცხოვრებამ ენის თვალსაზრისით, ყოფაში, სოციალურ და კულტურულ სფეროში ურთიერთკონტაქტების ფონზე ქართველებსა და სომხებს შორის ბიეთნიკური ქორწინებები დააფიქსირა (ფუტყარაძე, 1996:131-132).

როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს, ჯავახეთში ქართველები და სომხები მრავალი წლის მანძილზე ერთ სივრცეში, ერთიანი სამეურნეო, სოციალური და კულტურული ცხოვრებით იყვნენ დაკავშირებულნი. მათი საზოგადოებრივი

კონტაქტები (თუ ისტორიის მანძილზე ვინმე გარედან უარყოფითად არ ერეოდა) ურთიერთკეთილგანწყობილი ჩანდა. რამაც მათ შორის გარკვეული დროის შემდეგ შერეული ოჯახების შექმნაც გამოიწვია. ამ ინტეგრაციას ცხადია ქრისტიანული რელიგიაც უწყობდა ხელს. უნდა ითქვას, რომ როგორც ქართველ, ისე სომეხ მოსახლეობას საკუთარი ეროვნული სპეციფიკური ისტორიულ-სოციალური ეთნიკური სტერეოტიპები არ დაუკარგავთ.

ისეთი სოციალური ინსტიტუტი, როგორიცაა ქორწინება, ტრადიციული კულტურის ერთი ელემენტია. ამიტომ ცხადია, პირველყოვლისა იგი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებს, შემდეგ ოჯახში ჩანერგილ ნორმებს ითვალისწინებს. ქრისტიანულ მოსახლეობაში ქორწინების ტრადიციას ორი ძირითადი მხარე გააჩნია, პირველი – ეს არის ნიშნობა-ჯვრისწერა, მეორე – თვით ტრადიციული საქორწინო რიტუალი. ქრისტიანი მოსახლეობის ოჯახისთვის ცხოვრების ტრადიციული ეთნიკურ-კულტურული ქორწინება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო და არის. ოჯახი რეპროდუქციურებას, ხოლო საბოლოოდ ეთნიკური ერთეულის გამრავლებას ემსახურება და ამდენად ტრადიციის გამგრძელებელი გამოდის. აქედან გამომდინარე, იგი ყველა დროში სოციალური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. როგორც ჩანს, ქართველებსა და სომხებს შორის ბიეთნიკური ქორწინება სწორედ რელიგიურ-უფლებრივ დაშვებას ითვალისწინებდა. ორივე ხალხის ეკლესიური ნორმებით მათ ქორწინება არ ეკრძალებოდა. ამავე დროს, თვით ჯავახეთში, ქართველებს და სომხებსაც ქართველ მაჰმადიანებთან ქორწინება დაუშვებლად მიაჩნიათ. სომხურ ეკლესიას კი გრიგორიან და კათოლიკე სომხებს შორისაც ქორწინება მიუღებლად მიაჩნდათ. რაც შეეხება თვით სომხურ ეკლესიას ქართველ ქრისტიანებთან ქორწინებას უარყოფითად არ აფასებდნენ. მაჰმადიანი ქართველისა და ქართველი ქრისტიანის დაქორწინება ქართულ ეკლესიასაც მიუღებლად მიაჩნდათ.

მაგალითად, რელიგიური განსხვავებულობის გამო ქართველ მაჰმადიანს სოფ. ჭობარეთში ხმალაძეების ქრისტიანი ქალი მოსწონებია. ქალის მშობლებს მისთვის უარი უთქვამთ. ამ ქართველ მუსლიმს რჯული შეუცვლია, გაქრისტიანებულია და კვლავ ამ ოჯახში მისულა. მხოლოდ ამის შემდეგ შეურთავს ეს ქალი (ლაფაჩი, 1990:10).

თ. ფუტკარაძის ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, საინტერესოა ის ფაქტი, რომ XX ს-ის 80-იან წლებში ჯავახეთში მცხოვრებ ქართველ მამაკაცებსა და სომეხ ქალებს შორის უფრო მეტი ქორწინებები ხდებოდა, ვიდრე ქართველ ქალებსა და სომეხ მამაკაცებს შორის (ფუტკარაძე, 1996□133,136).

1989 წ. ამავეს აფიქსირებდა ტერ-სარქისიანიც (ტერ-სარქისიანი, 1989:249). მოგვიანებით, 2023 წელს, ჩვენი მიერ ჯავახეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში ჩანერილი მასალებითაც, სიტუაცია თითქმის არ შეცვლილა. ჩვენი მასალებითაც, ქართველი მამაკაცები უფრო ხშირად ქორწინდებიან სომეხ ქალებზე, ვიდრე ქართველი ქალები სომეხ მამაკაცებს მიჰყვებიან. თუმცა, იზვიათად, მაგრამ გამორიცხული არც ასეთი შემთხვევებია.

1978 წელს ნ. ვოლკოვამ ახალციხის რაიონში ეთნოგრაფიული კვლევა ქართველ და სომეხ მოსახლეობაში ჩაატარა. ქართველებისა და სომხების ქორწინების შესახებ იგი წერს, რომ – ქართველი მამაკაცის სომეხ მეუღლეებს მამჩის ბიუროში ყოველთვის ქართულ გვარზე წერდნენ და 50 წლის ცხოვრების შემდეგ ქართულ გარემოში იგი სომხურ ენას ივიწყებდა და ქართულად იწყებდა საუბარს. ამავე დროს, მისი მშობლიური ენაც, თურმე, ქართული ხდებოდა (ვოლკოვა, 1978:53).

ამ საკითხზე თ. ფუტკარაძეს სპეციალური კვლევა ჩაუტარებია. აი, რას პასუხობს იგი ნ ვოლკოვას – „საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები საშუალებას იძლევა მკვლევარ ნ. ვოლკოვას ცნობის რეალურობაში ეჭვი შევიტანოთ. საილუსტრაციოდ სწორედ ახალციხის რაიონი ავიღოთ, სადაც მთელი მოსახლეობის 42%-ს სომხები შეადგენენ. ამასთან, ისინი დიდი



ხანია ამ რაიონში კომპაქტურად ცხოვრობენ. ახალციხის მმართველის რაიონული განყოფილების მასალებში 1956 წლიდან 1979 წლამდე არც ერთი შემთხვევა არ დასტურდება, რომ ქართველი მამაკაცის ეროვნებით სომეხი მეუღლე ქართულ გვარზე ყოფილიყო დაწერილი. თუმცა, ამავე მასალებში სომეხი მამაკაცის ეროვნებით ქართველი მეუღლე ქორწინების შემდეგ დოკუმენტებით სომეხად აღმოჩნდა ჩაწერილი. ეს მეორე ასეთი ვითარება თ. ფუტკარაძის ვარაუდით იმით ყოფილა განპირობებული, რომ მმართველის ბიუროს ხელმძღვანელი სომეხი ყოფილა. 1979 წელს, როდესაც რაიონული განყოფილების გამგე შეიცვალა და ქართველი დაინიშნა, ეს ვითარებაც გამოსწორდა... ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ეროვნებათაშორისი ქორწინება ეთნიკურად ჭრელ რაიონში მეტი ყოფილა, თუმცა, ხსენებულ წლებში საერთოდ ბიეთნიკურ ქორწინებათა რაოდენობის უმეტესი ნაწილი ქართველებსა და სომხებზე მოდიოდა (ფუტკარაძე, 1996:133).

სომხურ მოსახლეობაში ეგზოგამიას შვიდი თაობის ფარგლებში იცავდნენ, თუმცა, ხდებოდა, რომ ქორწინებებში ნათესავები უკვე მეხუთე თაობიდან წესს არღვევდნენ. მაგრამ, ასეთი ქორწინების უფლება იშვიათად იყო და ისიც კათალიკოს-პატრიარქის ნებართვით (ნაროდი..., 1962:524).

ა. ტერ-სარქისიანცის მასალების გაცნობის შედეგად, აღმოჩნდა, რომ საქართველოში (ახალციხის სომხებში), სადაც სომხები მრავლად სახლობდნენ ბიეთნიკურ ქორწინებაზე ჩვეულებრივ რელიგიური მიკუთვნებულობა ახდენდა გავლენას. გარდა ამისა, მისი აზრით, სომხებს საქორწინო წრე, ტრადიციულად შეზღუდული ჰქონიათ. ცდილობდნენ პატარძალი საკუთარ ან მეზობელ სომხურ სოფელში ამოერჩიათ. რასაც თვითონ ეკონომიკური და ყოფის კარჩაკეტილობით, ასევე ეთნოგრაფიული თავისებურებებით ხსნიდნენ. ძველად, ოჯახში ახალგაზრდების დაქორწინება მხოლოდ მშობლების ნება-სურვილზე ყოფილა დამოკიდებული (ტერ-სარქისიანცი, 1989:249-250).

საერთოდ, სომხები საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში ქორწინდებოდნენ, რადგანაც მათ უშვილობის ემინოდათ. სომეხი ქა-

ლისათვის ყველაზე დიდი უბედურება სწორედ უშვილობა იყო. ამიტომ, სომხეთის სამხრეთ რაიონებში, როგორც კი გოგონა სქესობრივ მომწიფებას მიაღწევდა, ფეხზე მას ჟღარუნებიან სამაჯურს უკეთებდნენ. მათი ვარაუდით, მინაზე ბევრი ავი სულელები არსებობდნენ, ამიტომ ისინი რომ გოგონას ფეხებზე არ ასულიყვნენ და უშვილობა არ გამოენვიათ, მას საჟღარუნოები ეხმარებოდნენ (ნაროდი..., 1962:527).

საერთოდ, სომხებს საქორწინო წრე, ტრადიციულად შებენილი ჰქონიათ. ცდილობდნენ პატარძალი საკუთარ ან მეზობელ სომხურ სოფელში ამოერჩიათ. რასაც თვით სომეხი მეცნიერი ეკონომიკური და ყოფის კარჩაკეტილობით, ასევე ეთნოგრაფიული თავისებურებებით ხსნის (ტიერ-სარქისიანი, 1989:249-250).

ახალგაზრდებს შორის, რომ ქორწინება თავისუფალი არჩევანის შედეგად არ ხდებოდა ამაზე ა. ერიციოვიც ამახვილებდა ყურადღებას – ქორწინება ახალციხის სომხებში მშობლების გადანიშნულებით ხდებოდა, ისევე, როგორც აღმოსავლეთში. აღმოსავლეთის ქალთა ჩვეულებებმა სომეხ ქალებზე გავლენა იქონია. მაგ. ყარაბაზში ისინი უმეტესად განმარტოებით ცხოვრებას ეწეოდნენ და ემინოდან საზოგადოებაში ღიად გამოსვლის. ყარაბახელი სომეხი ქალები მთლიანად ჩადრით იფარავდნენ სახეს. რაც შეეხება, საქართველოში, კერძოდ, ახალციხეში, ისინი მხოლოდ აკურატულ, მსუბუქ და ლამაზ, ხოლო თბილისში ბამბის ქსოვილის თავსაფრებს ხმარობდნენ (ერიციოვი, 2010:369).

სომხებმა ძველად, აკვანში დანიშვნაც იცოდნენ. აკვანში დანიშვნის ინიციატივა ვაჟის დედისაგან მოდიოდა, რომელიც წინასწარ ქმართან და ახლო ნათესავეებსაც რჩევით მიმართავდა. აკვანში დანიშვნა აუცილებლად შუამავლის საშუალებით ხდებოდა. გოგონას მშობლები თანხმობას შუამავლის საშუალებით ატყობინებდნენ ვაჟის დედას. გოგონას დედაც ქმრისა და ძმების უკითხავად მარტო არაფერს წყვეტდა. დადებითი პასუხის შემდეგ, საქმროს ოჯახი, ახლო ნათესავეებით გოგონას

მშობლებთან მიდიოდა. ვაჟის მამას ნიშანი (სომხ.=„ნშან“) მიჰქონდა და გოგონას აკვანზე ვერცხლის ან ოქროს მონეტას ჰკიდებდა. გარდა ამისა, ბეჭედი ან რაიმე სხვა ნივთი (ყელსაბამი, მონეტებიანი ძეწკვი, მედალიონი) მიჰქონდათ. ამ დღიდან გოგონა დანიშნულად ითვლებოდა. მართალია, ნიშნობასა და ქორნილს შორის წლები გადიოდა, მაგრამ ამ რიტუალის შესრულების შემდეგ ეს ოჯახი უკვე მოყვრები (სომხ.=„ქნამი“) ხდებოდნენ და ერთმანეთს ყველანაირად ეხმარებოდნენ (ნაროდი... 1962:537).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და XX საუკუნის დასაწყისში, როგორც სომხეთში, ისე ახალქალაქის და ახალციხის რაიონებში, სომეხი მეცნიერების თანახმად პრაქტიკული გახდა ქალის მოტაცების ძველი ჩვეულება. ეს ყველა რეგიონში სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა განსაზღვრა, რადგან ამ დროისთვის აუცილებელი პირობა ქორწინების შემთხვევაში ქალისათვის გამოსასყიდით, კერძოდ, ახალქალაქსა და ახალციხეში – 100-დან 300 რუბლამდე განისაზღვრა. გარდა გამოსასყიდისა, სასიძო ვალდებული იყო ქალის ოჯახისთვის გარკვეული რაოდენობის (100-დან 300 რუბლამდე) პროდუქტი (ბრინჯი, ერბო, პური (კილოგრამობით), ხორცი ან ცხვარი, ზოგჯერ საქონელი, ღვინო, არაყი, შაქარი და სხვ.) საპატარძლოს ოჯახისთვის მიეტანა. ამავე დროს სასიძო ვალდებული იყო „ციციგანი“ (დედის რძის ფასი) გადაეხადა. ქალის ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავებისთვის საჩუქრები მიეტანა.

სომხები მოყვრებისთვის ტერმინს – „ბაჯანალ“ ხმარობენ, რომელიც ოსმალეთში ხანგრძლივი ცხოვრების გავლენის შედეგად უნდა შემოეტანათ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. ნათესაობის აღსანიშნავად ხმარობენ ტერმინს „ჯნსი“ (=არაბ. „ჯიში“, „გვარი“, „ეროვნება“). მამისა და დედის სისხლით ნათესავებს და მოკეთებულსაც განარჩევდნენ. მამის მხრით ნათესავებს – „აზლაკანს“, ხოლო დედის მხრით ნათესავებს – „ბარეკამას“ (=კეთილისმსურველი) უწოდებენ. საქართველოში მცხოვ-

რები სომხები ნათესავეებს ორ კატეგორიად ყოფენ – ღვიძლ („ტორბარეკამ“ ან „ბარეგამითიუმ“), რომლებიც ნათესავეებს მესამე თაობამდე მოიცავდა. გარენათესავეები, რომლებიც მესამე თაობის ზემოთ იგულისხმებოდა – „ჰერბარგამ“ ეწოდებოდა. რაც შეეხება მამის ნათესავეებს – „ზგაკაცნერ“//„ჰირსგან“//„აცედ“ ეწოდებოდა. დედის მხარის ნათესავეები, სხვადასხვა ტერმინებით – „ქერანქ“//„მოხქურანქ“//„მურქურ თოხუმ“//„გაირაგან ცელ“ აღინიშნებოდა (ჯალაბაძე, 2016:2-3).

სომხებს ურვადის წესი არ სცოდნიათ, მაგრამ ამავე დროს სიძეს საჩუქრის სახით „რძის ფასი“ („ციციგინი“) პატარძლის დედისთვის აუცილებლად უნდა გადაეხადა (თოფჩიშვილი, 2012:300-301; ნაროდი..., 1962:524).

ქორწილს (სომხ.=„ჰარსანიკ“) ჩვეულებრივ შემოდგომაზე, როდესაც მინდვრის სამუშაოებით სრულდებოდა ან ზამთარში იხდიდნენ, რომელიც სამი დღის (პარასკევი, შაბათი და კვირა) მანძილზე გრძელდებოდა. ქორწილამდე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალი, როგორც პატარძლის, ისე ნეფის სახლში, მექორწილეთა განბანვა იყო. ამ დროს ქალის სახლში ნათესავი ქალები, ხოლო ვაჟის სახლში ახალგაზრდა მამაკაცები გროვდებოდნენ. განბანვის დროს პატარძლის ნათესავეებს ერბოკვერცხი თაფლით მიჰქონდათ. ბანაობის დროს ერთობოდნენ, ხუმრობდნენ და მღეროდნენ (ნაროდი..., 1962:527).

საქართველოში მცხოვრებ სომხებს ჩვეულებით ელემენტად მიაჩნდათ „საქორწინო პურის“ გამოცხობა. ორივე მხარის ოჯახებში ქორწილის წინა დღეს, საკუთარი ახლობელი ნათესავეების შვიდ ახალგაზრდა ქალს მოიპატიჟებდნენ პურის გამოსაცხობად. რიტუალს სადღესასწაულო ელფერს აძლევდნენ. გოგონები ფქვილის გაცრის, პურის მოხელვის დროს (ხის ჯამში ზელდნენ, რომელსაც „ტაშტს“ ეძახდნენ) და გამოცხობის პერიოდში მღეროდნენ, ხუმრობდნენ, ცეკვავდნენ კიდეც (ტერ-სარქისიანცი, 1989:268; ნაროდი..., 1962:528).

მოლაპარაკების შედეგად წინასწარ განსაზღვრავდნენ მოპატიჟებული სტუმრების რაოდენობას, ასევე პატარძლის დედის „ციცაგინი“-ს (=დედის რძის) ფასს; „მზითვის“ (=„ბაჟნიკ“ ან „ოტიჟი“) რაოდენობას და ნეფის მამის მიერ სხვადასხვა პროდუქტის რაოდენობას, რომელიც პატარძლის სახლში იგზავნებოდა ქორწილის დღეს; მზითევეში შედიოდა – ლოგინის მოწყობილობა, საქორწინო ფარდა, ჭურჭელი, ზოგჯერ საოჯახო საქონელი (მაგრამ ძროხა არა). რაც შეეხება ქალის საქორწინო ტანსაცმელს, იგი ასევე ნეფეს უნდა მოეთანა პატარძლისთვის (ნაროდი..., 1962:527).

ქორწილის დღისთვის ნეფე თავის გამცილებლებს, უცოლო ახალგაზრდა ვაჟებს (=„მაყარ“-ს) აგროვებდა. სომხეთის დასავლეთში მათ „აზაპს“ უწოდებდნენ. მაყრების მეთაურს „მაყარბაში“ ეწოდება, დასავლეთ-სამხრეთში კი „აზაპბაში“ (=„სასიძოს ძმები“). პარასკევ დილით მუსიკოსები – ზურნითა და დოლით უკვე სახლის სახურავიდან აცნობებდნენ მუსიკით, რომ ქორწილი იმართებოდა. ქუჩებშიც მუსიკის თანხლებით გადაადგილდებოდნენ. სასიძო თავისი კავორით, მაყრებით, ზურნით, დოლით, ყასაბითა და შესანიერი ხარით, ამ თავყრილობას დილით საპატარძლოს სახლისკენ მიუძღოდა. საპატარძლოს სახლთან მისვლისას ხარის შეწირვა ხდებოდა ეზოში. სომხეთის სხვადასხვა რაიონებში ხარის შეწირვა უმეტესად ნეფის სახლის ეზოში ხდებოდა. შესანიერ ცხოველს „მატაქ“ ეწოდებოდა. მღვდელი, რომელიც ესწრებოდა ხარის შეწირვას, მისი სისხლით საქმროს შუბლზე ჯვარს უსახავდა. ამავე დროს, ცხოველის სისხლში ღია „ბოქლომს“ დებდა, წითელ და მწვანე ზონრებს გადაგრეხავდა, გამონასკვამდა და „ბოქლომს“ კვანძს უკეთებდა, ხოლო შემდეგ გასალებით კეტავდა, რასაც „ნაროტი“ ეწოდებოდა. ამით იგი ავ სულებს „კრავდა“. გარდა ამისა, სამი დღის მანძილზე, სანამ ქორწილი მიმდინარეობდა და ბოქლომი დაკეტილი იყო, ნეფე-პატარძალს სინძინდე არ უნდა დაერღვია (ნაროდი..., 1962:528).

პარასკევს ნეფე საპატარძლოს სახლიდან საკუთარ სახლში ბრუნდებოდა. შაბათ დილით, ნეფის გაპარსვის და ჩაცმის რიტუალი იწყებოდა, დალაქი, რომელიც მოწვეული ჰყავდათ, სიძეს წვერს რომ პარსავდა, ხშირად ჩერდებოდა და კავორს უყურებდა. კავორი ყოველ შეჩერებაზე მცირე რაოდენობით ფულს აძლევდა, რის შემდეგ დალაქი პარსვას აგრძელებდა. როდესაც ნეფეს ტანსაცმელს ჩააცმევდნენ. ნეფის მამა და მისი ახლო ნათესავები ღვინის კარანჩხას ალებდნენ და ღვინო მცირე დოქებში გადმოჰქონდათ. ამ დღეს ნეფის მამა და მღვდელი აუცილებლად წინაპრების სასაფლაოზე მიდიოდნენ და პანაშვიდს ატარებდნენ. მსგავსი ვალდებულება ქორწილამდე ნეფესაც ჰქონდა. იგი მღვდელთან ერთად სახლს მოივლიდა და იმ ოთახებში, სადაც წინა წლებში ოჯახის წევრები გარდაიცვალნენ, ლოცვას ატარებდნენ. ამის შემდეგ ნეფის ჩაცმა-დახურვა იწყებოდა. მისი ტანსაცმელი, ფართო სინზე გამზადებული პატარძლის ტანსაცმლის გვერდზე იდო. როდესაც ნეფეს ჩააცმევდნენ, შემდეგ იმ კუთხეს ამზადებდნენ, რომელშიაც პატარძალი უნდა დაესვათ, საკუთარი სახლიდან (მზითევში არსებული) მოტანილი ფარდის („არაგასტ“) უკან. ფარდას ნეფის სახლში მრავალნაირ ავგაროზებს უკეთებდნენ, რომ პატარძალი ავი სულებისაგან დაეცვათ (ნაროდი..., 1962:527).

საქორწინო ტანსაცმელში გამოწყობილი ნეფე და მისი თანმხლები პირები – „პატარძლის ასალებად მოდიოდნენ“. ნეფეს კავორი მარჯვნივ ედგა, ხოლო მარცხენა მხარეს „პესახპერი“ („საქმროს ძმა“), გარშემო კი მაყრებით იყო გარშემორტყმული. მთელი გზის მანძილზე, პროცესია სიმღერითა და ცეკვით, ზურნისა და დოლის მუსიკის ქვეშ მიდიოდა. ერთ-ერთ ახალგაზრდა მაყარს თავზე სინი ედო, რომელზედაც პატარძლის ტანისამოსი იდო. როდესაც პატარძლის სახლს მიუახლოვდებოდნენ, მათ შესახვედრად სახლიდან პატარძლის მშობლები და ახლო ნათესავები და მეგობრები გამოდიოდნენ. კავორკინი პატარძლის ტანისამოსიან სინს, დამხმარე ქალებს გადასცემდა. პატარძალი უკვე ფარდის უკან სკამზე იჯდა სპეცი-

ალურ კუთხეში და იქიდან არ გამოდიოდა. იწყებოდა ნადიმი, რომლის შემდეგ ყველა თავის სახლში ბრუნდებოდა. პატარძლის სახლში ნეფე თავისი კავორითა და პესახაპერებით რჩებოდნენ, თუმცა, პატარძალს არ ხვდებოდნენ.

კვირა დღეს ყველა მონვეული სტუმარი ისევ პატარძლის სახლში გროვდებოდა. ფარდის უკან დილიდანვე პატარძლის ჩაცმა და მორთვა ხდებოდა. როდესაც პატარძალი მზად იყო, კავორი მას სამჯერ გარშემო შემოუვლიდა და შემდეგ სარტყელს შემოაკრავდა, ზურგზე მსუბუქად სამჯერ ხელს დაარტყამდა და პირველს ვაჟიშვილს უსურვებდა. კავორინი პატარძალს თავზე თავსაფარს მოაფარებდა და ფარდიდან გამოჰყავდა, პატარძალს ნეფის გვერდით დააყენებდა. ამის შემდეგ, ნეფე და პატარძალი ჯვრისწერისთვის ეკლესიაში მიდიოდნენ: სახლიდან გამოსვლის წინ, ისინი „ტონირთან“ (კერასთან) მიდიოდნენ და მის გვერდს კოცნიდნენ (ძველად თუ შემთხვევით რატომღაც სხვადასხვა მიზეზების გამო ეკლესიაში ვერ მიდიოდნენ, მაშინ მათი ჯვრისწერა, მღვდლის დახმარებით, ტონირთანავე ხდებოდა). ნეფე-პატარძალს ეკლესიაში ზურნისა და დოლის თანხლებით სიმღერით და მხიარულად მიაცილებდნენ. ავი სულების დასაფრთხობად იარალიდანაც ისროდნენ. ეკლესიის წინ, კავორი და სხვა გამცილებლები ხანჯლებს გადააჯვარედინებდნენ, რომლის ქვეშ უნდა გაეცლოთ ნეფე-პატარძალს. ჯვრისწერის დროს მათ ერთი ჭიქიდან ასმევდნენ ღვინოს, რაც მათი განუყრელობის ნიშნად ითვლებოდა. ჯვრისწერის შემდეგ მღვდელი ყელზე ან მკლავზე მათ „ნაროტს“ უმაგრებდა და საკუთარი სანთლის ცვილით კრავდა.

ჯვრისწერის შემდეგ დასავლეთ სომხეთში, ჩვეულებრივ ნეფის სახლში მიდიოდნენ. უმეტეს შემთხვევაში კი, ჩრდილო-აღმოსავლეთში (ყარაბაზში, ზანგეზურში) პატარძლის სახლში ბრუნდებოდნენ, სადაც საქორწინო სუფრა გამლილი ელოდათ. პატარძლის სახლში აუცილებლად ახალი გზით ბრუნდებოდნენ, რომ ძველ გზაზე „უწმინდური სულები“, რომ არ დადარაჯებულეყვნენ. დაბრუნებისთანავე პატარძალს ისევ ფარდის უკან

სვამდნენ. მასთან აუცილებლად ბევრი ბავშვი შედიოდა და ეხვეოდა, რომ მომავალში ბევრი შვილი ჰყოლოდა. პირველად წინაპრების სადღეგრძელოს სვამდნენ და ამის შემდეგ იწყებოდა სხვა სადღეგრძელოები და მხიარულება. სუფრა სიმღერებით მიმდინარეობდა. პატარძალი მეგობარ ქალებთან ერთად განცალკევებით ჯდებოდნენ და ერთობოდნენ. სალამოს მზითევში შემავალი ნივთების, რომელიც პატარძალს ქმრის სახლში მიჰქროდა, ხმამალალი ჩამოთვლა იწყებოდა.

კვირა დილით პატარძლის სახლში ნეფის მშობლები „საპატარძლოს მისაღებად“ მიდიოდნენ. პატარძლის სახლში ორივე ოჯახის ნათესავები გროვდებოდნენ. მამას გამოჰყავდა თავისი ქალიშვილი და მამამთილს გადასცემდა სიტყვებით: „გადმოგცემთ „ქონებას“, მოიხმარეთ ბედნიერებაში“. მამამთილი პასუხობდა, რომ მას გაუფრთხილდებოდა. პატარძალი მამამთილს და დედამთილს ხელზე ეამბორებოდა. ნეფე კი პატარძლის ნათესავებთან მიდიოდა და ასევე ხელზე ყველას კოცნიდა.

გარკვეული დროის შემდეგ პროცესია ნეფის სახლისკენ იღებდა გეზს. გზაზე წყვილს ნათესავები და მეზობლები, პატარძალს – თავსაფარს, ხელთათმანებს, წინდებს ან მონეტებსაც ჩუქნიდნენ. ნეფის სახლში მისვლისთანავე ახლადდაქორწინებულებს თავზე ტკბილეულს – თხილს, ხილის ჩირს, ან რომელიმე მარცვლეულს მუჭით აყრიდნენ. სახლის შესასვლელთან უკვე ნეფის მამა ხვდებოდა, ახლად დაქორწინებულებს ცეკვით სამჯერ შემოუვლიდა, შემდეგ დედამთილი მიდიოდა პატარძალთან და სახლში შესვლამდე ეროთი სავსე ქოთანს აძლევდა ხელში, რომ მისი შესვლით ოჯახს სიმდიდრე მომატებოდა. პატარძალი ქოთანში მონეტებს ჰყრიდა. შემდეგ შიგ ნეკა თითს ჩაყოფდა და დედამთილს ცოტას თმაზე მოაცხებდა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ დედამთილს ყველაფერს დაუჯერებდა. პატარძალი სანამ სახლში შევიდოდა, მის ფეხებთან ცხვარს დაკლავენ. როდესაც ახლად დაქორწინებულები სახლში უნდა შესულიყვნენ, პატარძალი ზღრურბლს მანამ არ გადააბიჯებდა, სანამ დედამთილი თიხის ჭურჭელს არ მოუტანდა, რაც ავი სუ-



ლების დასამარცხებლად იყო საჭირო; გარდა ამისა, პატარძალი ამ ოჯახს თავის სინმინდეს სწირავდა. სახლში შესვლისთანავე ნეფე-პატარძალი, პირველად ტონირთან (კერასთან) მიდიოდნენ და ორივე მის გვერდს კოცნიდა. კერის პატივისცემის ჩვეულებით დაქორწინებული ქალი საბოლოოდ ამ ოჯახის წევრი ხდებოდა. სახლში შესვლისთანავე პატარძალი მშობლიური სახლიდან მზითევში მოტანილი ფარდის უკან ჯდებოდა, სადაც მასთან ბავშვები შედიოდნენ. ერთ-ერთი პატარა ბიჭი, აუცილებლად მის მუხლებზე მოკალათდებოდა. ეს ჩვეულება იმისთვის იყო, რომ ქალს პირველი შვილი ვაჟი ჰყოლოდა. პატარძალი ფარდის უკნიდან გამოსასყიდის გარეშე არ გამოდიოდა, რომელიც დედამთილს მიჰქონდა. ამის შემდეგ სუფრას აახლებდნენ და ნადიმი გრძელდებოდა. ამ ნადიმს სოფლის უხუცესი ესწრებოდა. ნადიმის ბოლოს მედოლე („დლოლჩი“) მღვდლის წინ დოლს დებდა და დალოცვას სთხოვდა. დოლზე ხელის დაკვრით იქ მყოფებს, „ვისაც ეს ოჯახი უყვარდა“, ყველას ცალ-ცალკე აცხადებდა („ქანჩ“). გამოცხადება კავორით იწყებოდა და შემდეგ ნათესავებს უფროს-უმცროსობის მიხედვით იძახებდა. ყველა მათგანის საჩუქარს დლოლჩი ხმამაღლა აცხადებდა, რით ასაჩუქრებდნენ ახლადდაქორწინებულებს, ვის ფული, ვის შინაური ცხოველი ან ძვირფასეულობა, ან სხვა რამ შეჰქონდა. ზოგჯერ ქორწილის ბოლოს ისეთი თანხა გროვდებოდა, რომ ხარჯი მთლიანად იფარებოდა. საერთოდ, ქორწილი ორივე ოჯახისთვის, თუ ისინი ყველა წეს-ჩვეულებას იცავდნენ, მაშინ ხარჯის თვალსაზრისით ქორწილი მძიმე ხარჯით თავდებოდა. საღამოს, ნადიმის დამთავრების შემდეგ, მექორწილე წყვილთან მღვდელი მიდიოდა და ნაროტს ჭრიდა, ზონრების ნასკვებს, საქორწინო ხარის სისხლში მოსვრილს, „ბოქლომსაც“ ხსნიდა და ხანჯლის წვერით სანთლის ცვილისგან ათავისუფლებდა. ამის შემდგომ ახალგაზრდა წყვილს საქორწინო სარეცელის გამოყენების უფლება ეძლეოდა. ქორწინება სომხეთში დაურღვეველი იყო. მოლაღატეს, როგორც კაცს, ისე ქალს, თმებს ჭრიდნენ, ვირზე სახით კუდისკენ სვამდნენ, ზურნისა და დოლის ხმების

ქვეშ ქუჩებში ატარებდნენ (ნაროდი..., 1962:529-530; ტერ-სარქისიანი, 1989:271-272; ერიცოვი, 2010:370).

ა. ერიცოვის მონაცემებით, თითქოს სომხების მსგავსი „ტონირის“ ჩველება ქართველებმაც იცოდნენ, თუმცა, წყაროების გაცნობის მიუხედავად, სამცხე-ჯავახეთის ეთნიკურ ქართველებში მსგავსი ჩვეულება ვერ დავაფიქსირეთ.

სამცხისა და ჯავახეთის ქართველებშიც ძველად, ქორწინება მშობლების სურვილით, ასევე მაჭანკლის საშუალებით ხდებოდა. აკვანში დანიშვნაც სცოდნიათ იმ ოჯახებში, რომლებიც ერთმანეთის მიმართ კეთილი, მეგობრული ურთიერთობით გამოირჩეოდნენ და ერთმანეთთან დამოყვრება უნდოდათ. მაშინ ვაჟის პატრონი დანიშვნის დღეს ქალის ოჯახში „კრიალოსანს“ მიიტანდა და ბავშვის აკვანზე ჩამოჰკიდებდა, „ბეი“ – აბრეშუმის ხელმანდილი და თავშალიც მიჰქონდა. თუმცა, აკვანში დანიშვნის წესი მალე მოსპობილა. ჯავახეთის ქართველებში ჩანს, რომ უფრო მაჭანკლის საშუალებით ხდებოდა ქალ-ვაჟს შორის საქორწინო გარიგების პროცესი. მსგავსი გარიგების დროს ვაჟმა თვით იცოდა საცოლის ოჯახში სანიშნოს მიტანა, მაგრამ ამ დროს ვაჟს საცოლეს არ უჩვენებდნენ. სანიშნო – კრიალოსანი, აბრეშუმის თავსაფარი და სხვა იყო. ჯავახეთის ქართველები სანიშნოს დიდი ხნის მანძილზე „ბეი“-ს უწოდებდნენ. მსგავსი შემოჭრილი ტერმინები 250 წლიანმა ოსმალეთის დამპყრობლურმა პოლიტიკამ დიდხანს შეუნარჩუნა ქართველებს.

სანიშნოს მიტანის შემდეგ ვაჟის ოჯახი, ქორწილისთვის, ქალის წამოსაყვანად ემზადებოდა. დათქმულ დროზე, ნეფე „შეყრილი“ მაყრით საცოლის ოჯახში მიდიოდა. საპატარძლოს სახლთან მიახლოებისთანავე იგი მახარობელს გზავნიდა, რომელსაც თან პური მიჰქონდა. მახარობელს ჯამით არაყს მიართმევდნენ. იგი არაყს დაღევდა და ჯამს ძირს დაანარცხებდა და იტყოდა – „ასე დაიმტვრეს თქვენი მტერიო“. მახარობელს მხარზე ერთ წყვილ ჭრელ წიდანას გადაკიდებდნენ. როდესაც ნეფე თავისი მაყართ ქალის ოჯახს მიაღგებოდა, მას შემფურზე

მწვადით და პურით გამოეგებებოდნენ. ნეფის „მაყარბაში“ (მაყართა მეთაური) ყველა დამხვდურს მოტანილ სასმელს შეასმევდა. სახლში შესვლის შემდეგ „მოყვარე“ (ნეფის მამა ან ბიძა) პატარძალს მოიკითხავდა. პატარძალი ამ დროს მეზობლის სახლში უნდა ყოფილიყო. მოყვარე პატარძლის მოსაყვანად მიდიოდა მეზობლის ოჯახში, სადაც მცირე სუფრა ხვდებოდა. სასმელის შესმისა და ოჯახის დალოცვის შემდეგ პატარძალი სახლში მოჰყავდა და პირდაპირ „სათონეში“ შეჰყავდა, სადაც ორი ქალი პატარძალს, საქმროს მიერ მოტანილ საქორწინო ტანსაცმელს აცმევდა და რთავდა. თავზე „ჩაყრათს“ (შარფს) წამოახურავდნენ და სკამზე დასვამდნენ. ასეთ კუთხეს სათონეში თუ სხვა ადგილას, პატარძლის სახლშიც და ნეფის სახლშიც წინასწარ ამზადებდნენ, სადაც ფარდას ჰკიდებდნენ, რომ პატარძალი დაესვათ. ამავე ფარდის უკან რთავდნენ პატარძალს ჯვრისწერამდეც (მაკალათია, 1938:91-92).

„მოყვარე“ საპატარძლოს მორთვისთვის ქალებს მცირე რაოდენობით ფულს სწირავდა. პატარძალთან ბავშვი მიჰყავდათ, რომ მისთვის ხელი შეეელო. მოყვარე მასაც თეთრი ფულით ასაჩუქრებდა. ამის შემდეგ პატარძლის ძმა (ან ბიძაშვილი) პატარძალს, საქორწინო კაბიდან სამჯერ მოხსნიდა სარტყელს და ისევ გაუკეთებდა. ამ წესით მას მრავალშვილიანობას უსურვებდნენ. მოყვარე „ქამრის საჩუქარსაც“ იხდიდა. მომავალ მამათილს პატარძალი ნეფესთან მიჰყავდა სიტყვებით – „ესეც შენი ღვთის ამანათი“. ამის შემდგომ ჯვრისწერისთვის ყველანი ეკლესიაში მიდიოდნენ – მაყრები, დადე, მეჯვარე, „ხეჩაფერი“ და „ძმადე“ (მეჯვარის თანაშემწე). ჯვრისწერის დროს ნეფე-დედოფალს თავზე ტოტებიან გვირგვინებს ადგამდნენ და ხმალამონვდილი მაყრებს სიმღერით მოჰყავდათ ჯვარდანერილები ისევ ქალის ოჯახში, სადაც საქორწინო სუფრა ხვდებოდათ გაშლილი. ნეფე-დედოფალს ტახტზე დასვამდნენ. სტუმრები დაილოცებოდნენ, მათ ბედნიერებას უსურვებდნენ. პატარძალი თავისიანებს დაემშვიდობებოდა. ამის შემდეგ ცხენებზე შესხდებოდნენ და ნეფის ოჯახში მიდიოდნენ. ჯავახეთში მათ გზაზე

მეცხვარე ხვდებოდა დიდი ვერძით. ცხენზე მჯდომ პატარძალს ეს ვერძი უნდა აენია. თუ იგი ვერძს ცხენზე აიყვანდა, მისი იყო, თუ არა, პატარძალს მეცხვარე ერთი წყვილი წინდით უნდა დაესაჩუქრებინა. ჯავახეთში პატარძალს ცხენიდან ჩამოსვლისას ქვაბს დაუმხობდნენ, რომელზედაც ფეხს დაადგამდა, რომ ეშმაკი და წყეული არ მოსდგომოდა. ჩამოსვლის შემდეგ პატარძალი ფეხით ქვაბს პირაღმა გადმოაბრუნებდა, რომ ოჯახი ფეხზე დადგესო. პატარძალმა თუ ეს ვერ მოახერხა, მაშინ დამხობილ ქვაბს მისი ძმა ან ერთი მაყართაგანი გადმოაბრუნებდა. სიძე-პატარძალი კერიანი სახლის კარებთან მივიდნენ, სადაც სიძის დედა (ან ნეფის რძალი, ბედნიერი ქალი) ხვდებოდა. ბედნიერ ქალს (რომელსაც ყველა ახლობელი ცოცხალი უნდა ჰყოლოდა) პატარა სუფრა ეჭირა ხელში, რომელზედაც სანთლები ენთო და შაქრის სამი ნატეხი იდო. ერთ ნატეხს ნეფე იღებდა, მეორეს – დედოფალი, ხოლო მესამეს მეჯვარე (ნათლია). პატარძალი თავის წილ შაქარს წყლიან კოკაში აგდებდა – ოჯახმა ტკბილად დამინახოსო, ხოლო ნეფე და ნათლია შაქრის ნატეხს შეჭამდნენ. იქვე მდგარი ორი თუ სამი ვაჟი ქამრებს შემოიხსნიდნენ, ერთმანეთზე გადააბამდნენ და ნეფე-დედოფალს გზას გადაუღობავდნენ, მტრედებს ააფრენდნენ და ხმამაღლა იტყოდნენ – „ნეფე-დედოფლის გვირგვინი უცვლელი იყოს ერთ სასთუმალზე დაგაბეროთ ღმერთმან წყვილადო“. ნეფე მათ ფულს მისცემდა და სახლში შესასვლელი გზაც ეხსნებოდათ. სახლში შესვლისთანავე, კერას სამჯერ შემოუვლიდნენ. ამით პატარძალი ქმრის სახლის კერას ეზიარებოდა და ოჯახის წევრი ხდებოდა. კერასთან მდგარ ერბოიან და თაფლიან ქოთნებში ნეკს ჩაჰყოფდა და შეჭამდა. ამის შემდეგ სიძე-პატარძალი „აჯილაკზე“ აპყავდათ, სადაც ტახტზე ბევრი ბალიშები ეწყო და იქ სხდებოდნენ. „აჯილაკი“ 4-5 საფეხურით მაღლა იყო იატაკიდან. აჯილაკიდან დარბაზის სხვენზე კიბე ადიოდა, სადაც მოგრძო კორიდორი ყოფილა. ამ ადგილს „ჰარამოდას“ უწოდებდნენ. აქ ნეფე-

დედოფლის საქორწინო სარეცელი იყო გაშლილი (მაკალათია, 1938:86-88, 91-97).

სამცხე-ჯავახეთის სოფ. ჭობარეთში იქაური ქართველების საქორწინო ჩვეულებაში მცირე განსხვავებები არსებობდა. ძველ ჭობარეთში ნიშნობიდან ქორწილამდე გარკვეული წესები იყო შესასრულებელი, განსხვავებით ჯავახეთის ოჯახისაგან. ჭობარეთში დანიშნის შემდეგ, წლამდე, ქალი მშობლების სახლში იმყოფებოდა. არც ვაჟს და არც ქალს ამ დროის მანძილზე ერთმანეთის ნახვის არავითარი უფლება არ ჰქონდათ. ქორწილამდე რამდენიმე კვირით ადრე სამამამთილო ან უფროსი ძმა მაჭანკალთან ერთად საპატარძლოს ოჯახში ქორწილის გადახდის დროის გადასაწყვეტად მიდიოდნენ. ჭობარეთში საპატარძლოს მზითევში – ორი ხელი მატყლის ლოგინი, თავისი ბუმბულის ქვეშაგებითა და ბალიშებით, ფიჩვი, ხალიჩა, ჯეჯიმი, ჭილოფი, ყიჯარი (=ცხენის უნაგირზე გადასაფარებელი, ხელით ნაქსოვი), ხურჯინი, კიდობანი, ზოგჯერ ნაბადიც, სპილენძის ჭურჭელი (ქვაბები, ტაფები, თუნგები), რამდენიმე ხელი ტანსაცმელი (წინდები, თავსაფრები და სხვ.) მიჰქონდა. თუ შეძლებული იყო, ოჯახი ძროხასაც ატანდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჭობარეთში მზითევში იმ წლის მოსავალს, ვაშლის ხის ნაყოფს მთლიანად პატარძალს ატანდნენ, რასაც ისინი ნაყოფიერების გამრავლების სიმბოლოდაც თვლიდნენ (მესხიშვილი, 1990:45).

სამცხე-ჯავახეთში საპატარძლო ქორწილამდე საქმროს ნათესავებისგან ფულად საჩუქრებს იღებდა, რომელიც შემდეგ მზითვის მომზადებაზე იხარჯებოდა (იველაშვილი, 1981:87).

სოფ. ჭობარეთში, საქორწინო წესებში, ერთი გამორჩეული წესიც სცოდნიათ. როგორც ქრისტიან, ისე მაჰმადიან ქართველებში ამ წესს – „პატარძლის ენის მოჭრა“ ეწოდებოდა. ქორწილში, გაშლილ სუფრასთან, სტუმრები დაიძახებდნენ – „ხალხო, რას იტყვით პატარძალს ენა მოვაჭრათ თუ თავიო“. სხვები უპასუხებდნენ – „ენა მოკვეთეთ, ენიანი არ გამოვიდე-

სო“. ნათლია პატარძალს პირბადეს ახდიდა, თხელ ლავაშს პირზე მიადებდა და ხანჯლის წვერით ლავაშს პატარა ნაჭერს აჭრიდა... (მესხიშვილი, 1990:51).

სხვა მკვეთრად განმასხვავებელი წესები სამცხეში ვერც ს. ხოსიტაშვილის მიერ აღწერილ ქორწინების ჩვეულებებში მოვიძიებთ (ხოსიტაშვილი, 1972:168-190).

XX საუკუნის დასაწყისში ალ. ფრონელისთვის, ქართველთა ქორწინების შესახებ, 75 წლის მოხუც მთავარდიაკონს უცნობებია, რომ – ქართველები, ოსმალების ბატონობის პერიოდში ქორწილისა და ჯვრისწერის ცხადად გამომჟღავნებას ვერავინ ბედავდნენ. ქართველებს შორის ეს წეს-ჩვეულება მალეულად ხდებოდა. საქორწინო ახალ ტანსაცმელს გამოსაჩენად ვერავინ ჩაიცმევდა, რადგან „თათრები“ შენიშნავდნენ, გახდიდნენ და გააუპატიურებდნენო. ალ. ფრონელის მთხრობლის ძალუას, მოხუც ქალს, საკუთარი მაგალითი მოუყოლია. იგი ჯვრისწერის წინ სოფ. ჩუნჩხიდან ვაჟის ტანისამოსით წაუყვანიათ სოფ. ძველში, ერთ მივარდნილ ბნელ სახლში, სადაც ჯვარი მას და მის მომავალ ქმარს ჩუმად დაუწერიათ. ამ სახლში, იმ მომენტში ერთდროულად ექვსი წყვილი იწერდა ჯვარს თურმე, პატარძლები ლურჯ სამოსში ყოფილან გამონყობილი (ფრონელი, 1991:64).

ამრიგად, წყაროების გაცნობის შედეგად აღმოჩნდა, რომ ჯავახეთში მცხოვრები ქართველების და სომხების ზემოთ მოცემული მასალებიდან ირკვევა, რომ ორივე ეთნიკური მოსახლეობის საქორწინო რიტუალის ციკლის გარკვეული ნაწილი მსგავსი აღმოჩნდა. საქორწინო წესებში ასეთი მსგავსებები, როგორც ახალციხის, ისე ახალქალაქში მცხოვრები ორი ეთნოსის წარმომადგენელთა შორის, ჩვენი ვარაუდით, საქართველოში გვერდი-გვერდ, საუკუნეების მანძილზე ცხოვრების, სოციალურ-კულტურული ურთიერთობის, ეთნოისტორიული დაკვირვების შედეგად უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, სომხური საქორწინო ჩვეულებების ცალკეულ წესებს ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული გავლენა უნდა განეცადა, რასაც თვით

მათ მიერ ქართული ტერმინოლოგიის გამოყენებაც ადასტურებს. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მსგავსების ფონზე ამ რიტუალებში ბევრია თავისებური და განსხვავებულიც – ეროვნული, ინდივიდუალური და მათთვის დამახასიათებელი.

უნდა ითქვას, რომ ჯავახეთში ჩვენს მიერ მოძიებული მასალათა ფაქტებით დღესაც, ქართველებსა და სომხებს შორის შერეული, ბიეთნიკური ქორწინებები არსებობს და რაც მთავარია, ისინი მეზობლურად მშვიდობიან ცხოვრებას ეწევიან და მათ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, როგორც თვით აცხადებენ, უარყოფითი დამოკიდებულება არ ვლინდება.

ახლა, რაც შეეხება მშობიარობას ჯავახეთის ქართველებში – სამცხე-ჯავახეთში ქალს პირველი შვილი მშობლების სახლში უნდა გაეჩინა. ამ მიზნით ორსული ქალი მამის ოჯახში მიდიოდა. მშობიარე ქალს თავზე ბებია ქალი ედგა და მშობიარობის შემსუბუქებაში ეხმარებოდა. თუ ქალს მშობიარობა გაუჭირდებოდა, ბებია ქალი მას ზურგზე მოიკიდებდა და შეანჯღრევდა. ეზოში კი ამისთვის თოფის სროლას იწყებდნენ. მშობიარეს ბალიშის ქვეშ ხანჯალს, დანას ან რაიმე რკინეულს უდებდნენ, რომ მას მავნე არ მიჰკარებოდა. ახალდაბადებულ ბავშვს ბებია ჭიპს მაკრატლით გადაუჭრიდა და სახლის კარებთან მიჰყავდა, სადაც იტყოდა – „კარს საკეტი, ბანსა ჯვარი ღმერთო, შენ დანერე ჯვარი“. ამ სიტყვების შემდეგ ბავშვს ჯვარს გადანერდა მშობიარობის შემდეგ მელოგინეს „ჩალმახას“ (წყალში გახსნილ მანონს) დაალევინებდნენ. სანამ ახალდაბადებული ბავშვი დედის ძუძუს მოსწოვდა, მანამ პირში ერბოს მოანუნნინებდნენ. შემდეგ „ხუჭიჭში“ (აკვანში) ჩაანვენდნენ. მთვარე რომ ამოვიდოდა, აკვანში მწოლიარეს გარეთ გაიყვანდნენ, რომ მთვარესავით გაბადრული იყოსო. აკვანში მწოლიარე ბავშვს, თავთან და ფეხებთან პურის კვერებს უდებდნენ. აკვნის ქვეშ კი ფქვილით გატენილ ჯამს და მარილსაც უდგამდნენ, რომ „პურმარილიანი“ გამოსულიყო. ფქვილი და პურის კვერები ბებია ქალს მიჰქონდა. მხოლოდ ერთ კვერს დედას აჭმევდნენ. მელოგინე ქალს ორმოცი დღის განმავლობაში გარეთ არ უშვებდნენ, იგი მხოლოდ აკვანთან იჯდა და

არანაირ საქმეს არ აკეთებდა, რადგან ქალი გარეთ რომ გამოსულიყო, შეიძლება სეტყვას ყანები გაეჩანაგებინა. მეორმოცე დღეს მასთან მღვდელი მიდიოდა და განათლავდა. ამის შემდეგ მას გარეთ გასვლა და საქმის კეთებაც შეეძლო. ბავშვს, ამ ორმოცი დღის მანძილზე არაფერი რომ დამართნოდა, ან ავად არ გამხდარიყო, აკვანზე „ჩანჩხურას“ უკიდებდნენ. ჩანჩხურაში – თვალის სანინალმდეგო მძივი, „ოროჯი“ (ანუ ღვინჭილა), „აყიყი“ (წითელი მძივი ნახევარმთვარისა და ვარსკვლავების გამოსახულებით) და სხვა იდო. ბავშვს აკვანში ორ წლამდე აწვენდნენ. ჯავახეთში ქართველ ქალებს, ვისაც შვილი არ რჩებოდა ბოლომდე ან შემდეგ კარგავდა, უბანში შვიდ კომლს დაივლიდა და სააკვენე ფიცრებს, ვერცხლის და სპილენძის ფულს ან ნივთებს აგროვებდა. ფიცრებისგან აკვანს, ხოლო ნივთებისაგან საკეტს აკეთებდნენ. ბოქლომს ბავშვს გულზე დაუკერებდნენ, რომელიც 18 წლამდე უნდა ეტარებინა (მაკალათია, 1938, 97-100).

სომხებში, ქალისთვის ყველაზე დიდი უბედურება უშვილობა იყო, ხალხის წარმოდგენით კი უშვილობა ავ სულებს მიეწერებოდა. ამის სანინალმდეგოდ ყველანაირ ზომებს ღებულობდნენ. მაგალითად, სომხეთის სამხრეთ რაიონებში, გოგონა როგორც კი სქესობრივ მომწიფებას მიაღწევდა, მას ფეხზე ჟღარუნებიან სამაჯურს უკეთებდნენ, რომ მინაზე ავი სულები დაეფრთხო და მის ფეხებზე არ ასულიყო. ქალი, რომელსაც შვილი არ უჩნდებოდა, სოფლის ბებია ქალს მიმართავდა დასახმარებლად. ამავე დროს, იგი ეკლესიაშიც დადიოდა და ლოცულობდა. მიუხედავად ეკლესიასთან ურთიერთობისა, უშვილო ქალები მაგიურ ქმედებებსაც მიმართავდნენ. ასე მაგალითად, როცა ეკლესიაში ლოცვა მიმდინარეობდა, ქალი საკმაო მძიმე ქვით, რომელსაც ზურგზე იდებდა „სალოცავს“ (ეკლესიას) გარშემო სამჯერ შემოუვლიდა, რომ ისიც მალე ასე „დამძიმებულიყო“. ორსულ ქალს უშვილო ქალის გვერდით ჯდომა ეკრძალებოდა „სენის გადადების შიშით“. ზოგიერთ სომხურ რაიონში ორსულ ქალს მშობლების სახლში მისვლა და მით უმეტეს, მამასთან კონტაქტი ეკრძალებოდა. ქალი მშობიარობის შემდეგ



დედასთან შვილით ვერ მივიდოდა. შვილი ფეხმძიმობის დროსაც და მშობიარობის შემდეგაც გარკვეული დროით მამას საერთოდ ერიდებოდა (ნაროდი..., 1962:531).

ორსულ ქალს შვილი ჯანმრთელი რომ შესძენოდა, რომელიმე ცხოველისთვის (კატა, ძაღლი, ძროხა, ცხვარი და ა.შ.) უნდა გადაეხადებინა (ჯალაბაძე, 2016:32).

ქალს მშობიარობის დროს ბებია ქალი („ტატმერ“) ბავშვის დაბადებაში ეხმარებოდა. ძნელად მშობიარე ქალს, ქავორი და მწყემსი სახეში წყალს შეასხამდნენ და დასალევადაც თვით მიანოდებდნენ. ფიქრობდნენ, რომ ამით ბავშვის გაჩენა „დაჩქარდებოდა“. ქავორი ბავშვის ნათლია იყო, ხოლო მწყემსი, რადგანაც „ცხვრებს ბატკნების დაყრაში ეხმარებოდა“, ქალის „დამხმარედაც“ გამოდგებოდა. ზოგჯერ მშობიარეს სხვადასხვა სახელებიდან ქსოვილების გადანაჭრებისაგან პერანგს უკერავდნენ და აცმევდნენ, რომ „მონრიალე“ ავ სულელებს ვისი შვილი იბადებოდა ვერ გაეგოთ. როგორც კი ბავშვი დაიბადებოდა, ბებია ქალი გვერდით ოთახში მყოფებს ატყობინებდა. ბიჭის დაბადებას ოჯახებში უფრო დიდი სიხარულით ხვდებოდნენ, ვიდრე გოგონას დაბადებას. სამხრეთის სომხებში, რომელ ოჯახშიც ვაჟი დაიბადებოდა, საოჯახო ტრადიციის გამაგრძელებლის სიმბოლოდ, იმ სახლის წინ, მთელი დღე სადღესასწაულო საეკლესიო მუსიკა ისმოდა. ახლობლები და ნათესავები ბავშვის დაბადების შემდეგ, ჩქარობდნენ გამოეგზავნათ ან თვით მოეტანათ მელიოგინესთვის ერბოკვერცხი თაფლით და სხვა რაიმე ტკბილეული, ასევე ერბო. სომხებში მარილი დამცავ საშუალებად ითვლებოდა, ამიტომ სახლში შემომსვლელი ჯერ მარილით სავსე ჭურჭელში დებდა ხელს, ამის შემდეგ კი, დედასთან და ბავშვთან მიახლოება შეეძლოთ (ნაროდი..., 1962:531).

როგორც ვხედავთ, ორივე ბიოსოციალურ, შვილიერების პრობლემების მიმართ ქართულ და სომხურ ეთნიკურ ერთობებში ქალებს ერთნაირი მშობლიური ინსტინქტები აქვთ ჩამოყალიბებული. თვით წესები კი, ნაწილობრივ ერთმანეთის მსგავსიცაა და განსხვავებულიც.

საქართველოს, ჯავახეთის რეგიონში, ეთნიკურად განსხვავებულ მოსახლეობაში ეთნოსოციალური ურთიერთშედარებითი კვლევის ფარგლებში აუცილებელია ეთნოკულტურული ბირთვის – ოჯახის კვლევა, რადგან ამაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ ოჯახს ეკუთვნის. ოჯახი ფუნდამენტია, როგორც საოჯახო სტრუქტურის, შიდა ურთიერთდამოკიდებულების, მმართველობის ფორმის, საზოგადოებაში და ოჯახში ქცევის ეთნიკური სტერეოტიპების, თითოეული წევრის საქმიანობის განსაზღვრის. ამავე დროს, აუცილებელია გამეორება, რომ ოჯახი თაობათა რეპროდუქციას, მის აღზრდას, ეთნიკური ერთეულის გამრავლებასა და ჩამოყალიბებას ემსახურება. იგი თაობათა შორის ტრადიციების დამამკვიდრებელია.

ოჯახის თეორიის არსის გაგებაში მთავარი ისაა, რომ ოჯახი მთელი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს უკავშირდება, ეს კავშირი მრავალმხრივი და სხვადასხვა მნიშვნელობისაა ოჯახისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ოჯახი თავის ცხოვრებაში საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესს და ცვლილებას ასახავს. ამავე დროს, ეს პროცესები ცალმხრივად როდი აიხსნება ოჯახში, არამედ კომპლექსურად, მთლიანობაში. ეს ურთიერთზემოქმედება საზოგადოებისა და ოჯახის ურთიერთობის ისეთ ჯაჭვს ქმნის, რომელშიც ყოველი მომენტი ერთი და იგივე დროს პირობაც შეიძლება იყოს და შედეგიც. ამიტომაც აღიარებული, რომ ოჯახი საზოგადოების ერთ-ერთი ურთულესი უჯრედი, საზოგადოების ერთიანი სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვესისტემაა, რომლის მჭიდრო კავშირი საზოგადოებასთან განსაზღვრავს არა მარტო ოჯახის დამოკიდებულებას საზოგადოების ცხოვრებაზე, არამედ ოჯახი ერთგვარ გავლენასაც ახდენს მასზე (ბექაია, 1988:104-105)

შერეულ ოჯახებში, რომელშიაც ეთნიკური განვითარება ჯერ, ალბათ ენას და შემდეგ ეროვნულ თვითშეგნებას ეკუთვნის. ვფიქრობთ, ყველა შემთხვევაში, შერეულ, ქართულ-სომხურ ოჯახებს, ენასთან პრობლემა ნაკლებად უნდა ჰქონოდათ,

რადგან ქართულ-სომხურ უბნებში ორივე ენა საურთიერთობოდ გამოიყენებოდა. ეს ქორწინების შედეგად შესული ქალის და შემდეგ ცოლ-ქმრის მემკვიდრეების, შვილების პრობლემას უფრო წარმოადგენდა. თუმცა, ქართულ და სომხურ, ე.ი. კავკასიურ ოჯახში ეროვნული თვითშეგნების თვალსაზრისით მამაკაცის მხარეს მეტი უფლებამოსილება გააჩნდა. მამის ბიუროში გაფორმებასაც თავისი პრიორიტეტი ჰქონდა. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ შვილის გაჩენის შემდგომ ქალი ბავშვს ბუნებრივია, თავის ენაზე დაელაპარაკებოდა. თუმცა, ასეთ ოჯახში მოზრდილი ბავშვი უკვე „ორენოვანი“ ხდებოდა, სწორედ ეთნიკური მიკუთვნებულობით. მამის ეროვნება, როგორც ქართულ, ისე სომხურ ოჯახში, დიდ როლს თამაშობდა. ჯავახეთის ეროვნულ-შერეული ოჯახების ამ პრობლემაზე წყაროებში, სამწუხაროდ, ინფორმაცია არ არის.

აუცილებელია, ჯავახეთში მცხოვრები ქართველებისა და სომხების ოჯახების კვლევისას გათვალისწინებულ იქნას, რომ ჯერ ოსმალეთის იმპერიამ XVIII საუკუნის დასაწყისიდან თავისუფალი ცხოვრების საშუალება ქართველებს მოუსპო. მათ საკმაოდ კონსერვატიული სოციალური, სოციალურ-ეკონომიკური წყობა და მასთან ერთად მაჰმადიანური რელიგია ძალადობრივად მოახვიეს თავს. რაც შეეხება, ისლამურ პროვინციებში მცხოვრებ სომხებს, მართალია, შეჯგუფებულად ცხოვრობდნენ, მაგრამ ოსმალებისგან მუდმივად თავდასხმებსა და ძარცვას, დამცირებას განიცდიდნენ. იქ მაცხოვრებელ სომხებში „გერდასტანები“ (=დიდი ოჯახი) იყო მათი თავდაცვის საშუალება. ამიტომ მათ დიდხანს შეინარჩუნეს დიდი ოჯახები, იგი მხოლოდ მას შემდეგ დაიშალა, როდესაც რუსეთმა ისინი საქართველოში შემოასახლა. თუმცა, ცხადია, მიგრაციული სომხური ეთნო-სოციალური ჯგუფი, უკვე სხვა სახელმწიფოში, იქ მოსახლე მკვიდრ და უცხო ეთნო-სოციალური სხვადასხვა ჯგუფის გვერდით, ვერც დასახლების ძველ და ვერც დიდი ოჯახის ფორმას ვეღარ შეუნარჩუნებდნენ.

1828 წ. 23 ივლისს, რუსეთის ჯარის ნაწილებმა, გრაფ პასკევიჩის მეთაურობით ახალქალაქი აიღეს. ამ დროიდან ჯავახეთი რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. თუმცა, ამავე დროს, იგი საქართველოსაც დაუბრუნდა... 1830-1840 წლებში რუსეთის მთავრობამ ოსმალეთიდან ჯავახეთში სომხები დიდი რაოდენობით (100 000) ორჯერ შემოასახლა. რუსები სომხებს ბევრად უკეთ ექცეოდნენ, ვიდრე მკვიდრ ქართულ მოსახლეობას – მაჰმადიან ქართველებს, რომლებსაც მათივე საცხოვრებლებში სომხებს უსახლებდნენ. ამიტომ, ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთში გარბოდნენ დასასახლებლად. ქართული სოფლები დაიცალა, რომლებშიაც სომხები განსახლდნენ... ცუდი ბედი ეწია ერუშეთ-კოლა-არტაანში მოსახლე ქართველ კათოლიკეებს. ოსმალების იქ შეჭრის გამო, ქართველი მართლმადიდებლების ხუთი ხეობა დაზარალდა – ფოცხოვი, ერუშეთი, არტაანი, კოლა და ჩულურეთი. რის შედეგადაც ყველა ქართული ოჯახი ჯავახეთში გადმოსახლდა. თუმცა, რუსები მართლმადიდებელ ქართველებსაც ცუდად ექცეოდნენ. გადმოსახლების შემდეგ სოფ. ხიზაბავრაში ჩასახლებულმა ქართველმა ქრისტიანებმა ქვის ეკლესია ააშენეს, ქართული და ლათინური წარწერებით. მაგრამ, რუსებმა ეს წარწერები კირით შელესეს. გადმოსახლებულ ქართულ სოფლებში მცხოვრებ მღვდლებს, სომეხი „ტერტერა“ (=მღვდელი) თუ მას პავლე ერქვა, პოლოსათი, ხოლო გიორგის – გეორგათი უცვლიდა სახელს, რასაც ხელს სწორედ რუსები უწყობდნენ (ფრონელი, 1991:155-156, 171, 195-196).

აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ ჯავახეთში რუსეთის შესვლის შემდგომ, ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს, რომ მკვიდრი მაჰმადიანი, ქრისტიანი და კათოლიკე ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილის, სწორედ ახალქალაქის მაზრიდან აყრა და გადასახლება მომხდარა – აღმოსავლეთ საქართველოში – შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში. ამრიგად, თუ ჯავახეთში მანამდე მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, ყარსის და არზრუმის საფაშოებიდან იქაური სომხობის ჯავახეთში გადმოსახლების შემდეგ, რომელთა დასასახლებლად აქ საახ-

ალშენო კომიტეტი ყოფილა დაარსებული, ეროვნული შემადგენლობა თითქმის ძირფესვიანად შეცვლილა.

1832 წელს ჯავახეთში ქართველებს უკვე სომხები ჭარბობდნენ, ხოლო ქართველ მაჰმადიანებს მეორე ადგილი ეკავათ. ჯავახეთის (და არტაანის) აოხრებაში და ქართული მოსახლეობის მოსპობაში ლეკიანობამაც ძალიან დიდი როლი ითამაშა. ქრისტიანი ქართველების ჯავახეთიდან გადახვეწაში ლომის ნილი ახალციხის საფაშოში მოკალათებულ ლეკებს მიუძღოდათ (თოფჩიშვილი, 2013:138-144; თოფჩიშვილი, 2015:263-283; თოფჩიშვილი, 2017:332-333).

საოჯახო ყოფის კვლევისას, ყველა ზემოთ მოცემული ინფორმაცია გასათვალისწინებელია. ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული ის საზოგადოებრივი ცვლილებები, რომელიც ეთნიკურად შერეულ საზოგადოებაში მომხდარ სოციალურ და კულტურულ გარდაქმნებს მოჰქონდა. ბუნებრივია, ჯავახეთში მომხდარი გარდასახვები, უცხო ეთნიკური სხვადასხვა მოსახლეობის შემოსახლებას, მართალია, ოჯახის ფორმაზე ალბათ არ იმოქმედებდა, თუმცა, მათ გვერდი-გვერდ, საუკუნეების მანძილზე, ცხოვრებას გარკვეული კვალი მაინც უნდა დაემჩნია.

თავდაპირველად, სომხურ საოჯახო ყოფას გავეცნოთ, რომელიც ძველი ტრადიციულ-ეთნოგრაფიული დაყოფით ორი ტიპის – დიდ და მცირე ინდივიდუალურ ოჯახებს გვაცნობს.

ოჯახისთვის სომხები ტერმინს – „ნატანიკ“ ხმარობენ, რომელიც „ერთ ჭერქვეშ“//„ერთ სახლად მცხოვრებთ“ აღნიშნავს. ისინი ერთ საოჯახო კერას მიეკუთვნებოდნენ. კერის აღსანიშნავად ისინი ქართულ ტერმინს „ოჯახ“ ხმარობენ, თუმცა, როგორც თვითონ წერენ, ძველად ამისთვის „ერდ“<sup>1</sup> ტერმინს გა-

---

<sup>1</sup> ჩვენი ვარაუდით, „ერდ“ ქართული ტერმინი „ერდო“ უნდა იყოს, რომელიც სომხურში სესხების შედეგად უნდა შესულიყო. ქართლში იგი სწორედ დარბაზში კერის თავზე არსებული ბოლის გასასვლელს ეწოდებოდა. ამავე დროს დარბაზში ღია ერდოდან სინათლე ჩადიოდა.

მოიყენებდნენ, რადგან „ერდ“, სხვენში არსებულ ბოლის//კვამლის გასასვლელს ეწოდებოდა (ნაროდი... 1962:526).

ძველად, სომხებისთვის ტრადიციული დიდი ოჯახი „გერდასტან“ იყო დამახასიათებელი. გერდასტანი სამიდან ხუთი და მეტი ძმათაშვილების ახლო ნათესაურ გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელთაც ყველა მათგანს საკუთარი მოვალეობები და უფლებები გააჩნდათ. ასეთი დიდი ოჯახის სათავეში, განუსაზღვრელი ძალაუფლებით, უხუცესი მამაკაცი ან, თუ ის ცოცხალი აღარ იყო, მისი მომდევნო ძმა იდგა, რომელსაც „ტენტერ“ (=სახლის უფროსი) ეწოდებოდა. ტენტერი, ოჯახის, როგორც უძრავ, ისე მოძრავ ქონებას ერთპიროვნულად განაგებდა. ასევე მისი გადასაწყვეტი იყო ოჯახის წევრთა ბედიც. მის ფუნქციებში შედიოდა საერთო საოჯახო მეურნეობის ხელმძღვანელობა. ოჯახის ყველა მამაკაცს სამეურნეო – ძირითადად სამიწათმოქმედო და მეცხოველეობის საქმიანობით თვით ასაქმებდა. კონტროლს ოჯახის ყველანაირ შემოსავალს და მათ შორის, თითოეული წევრის ინდივიდუალურად შემოტანილ გასამრჯელოს უწევდა. ოჯახის მეთაურისადმი ოჯახში ყველას გარკვეული ეტიკეტის ნორმები ეკისრებოდა. ტენტერის გამოჩენისთანავე ყველა ფერხზე დგებოდა, მის ბრძანებებს ყველა ფერხზე მდგარი ისმენდა. სამეურნეო საქმიანობის განაწილებაც მკაცრად ხდებოდა, როდესაც მამაკაცები სამუშაოდან სახლში ვახშმად სუფრასთან იყრიდნენ თავს. მაგიდასთან ისინი უფროს-უმცროსობის მიხედვით სხდებოდნენ. სუფრასთან, ოჯახის უფროსი პირველად, ცენტრალურ ადგილზე, კერასთან ახლოს ჯდებოდა. ოჯახის უფროსს ყველა ანგარიშს აბარებდა, დღის განმავლობაში რა გააკეთა. შემდეგ კი, ოჯახის უხუცესი მეორე დღის სამუშაოს ანაწილებდა. მისი ოთახში ყოფნის დროს ხმამაღალი საუბარი არავის შეეძლო. დასაძინებლად იგი პირველი მიდიოდა. თუმცა, ყველაზე ახალგაზრდა რძალს ან ოჯახის ქალიშვილს მისთვის ფეხები უნდა დაებანა და ტანსაცმლის გახდაში მიხმარებოდა. ოჯახის წევრები ასაკისა და სქესის მიუხედავად სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ მას. გამონაკლისი

მხოლოდ უხუცესი ოჯახის დიასახლისი „ტენტირუი“//„ტანტიკინ“ იყო. იგი ოჯახში არსებულ ქალებს სახლის სამუშაოებს უნაწილებდა და ხელმძღვანელობდა. სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის პროდუქტების მათ მიერ დამუშავებას ყურადღებას აქცევდა. პურის გამოცხობა, სადილის მომზადება და ოჯახის წევრებს შორის განაწილება მისი მოვალეობა იყო. ასევე ოჯახში სისუფთავესა და წესრიგზეც ის ზრუნავდა. ოჯახში თუ რაიმე ფასეულობა იყო, მათ შორის, პროდუქტებიც, არავის შეეძლო მისი ნებართვის გარეშე ხელი ეხლო. ტანკინის სიტყვა შვილების გათხოვებისა თუ დაქორწინების დროსაც მნიშვნელოვანი იყო. მამაკაცებთან, გაშლილ სუფრასთან, მხოლოდ მას შეეძლო დაჯდომა. მისი სიკვდილის შემდეგ ტანკინი წლოვანებით ოჯახის უფროსი რძალი ხდებოდა, რომელიც დიასახლისის სიცოცხლეშიც მისი დამხმარე იყო და როდესაც ტანკინი მთაში, საზაფხულო საძოვარზე საქონელს წველიდა და პროდუქტს ამზადებდა, ოჯახში ის ცვლიდა (ნაროდი..., 1962:524-525; ტერსარქისიანი, 1990:402; კარაპეტიანი, 1958:37-43; ლისიციანი, 1955:232).

ოჯახის პირდაპირი მემკვიდრეები ვაჟიშვილები იყვნენ. თუ ოჯახს ვაჟი, მემკვიდრე არ ჰყავდა, სახნავი და სათიბი მიწები თემს რჩებოდა, ხოლო ხილის ბაღი, წისქვილი და სამეურნეო ნაგებობები, ასევე მოძრავი ქონება, უახლოეს ნათესავებზე გადადიოდა. ძველად, ოჯახის უხუცესის, ხელმძღვანელის სიცოცხლეში მისი თანხმობის გარეშე გაყრა და ქონების განაწილების მოთხოვნაც კი, არავის შეეძლო. მაგრამ, როდესაც ოჯახის უფროსი უკვე აღარ იყო ცოცხალი და ოჯახში ერთ ჭერქვეშ ცხოვრება შეუძლებელი ხდებოდა, მაშინ ოჯახი იყრებოდა. თავდაპირველად, ოჯახის რძლების მზითვი გამოიყოფოდა საერთო ქონებიდან, რომელიც ქალის საკუთრებას წარმოადგენდა. შემდეგ გაუთხოვარი ქალების მომავალი მზითვი გამოიყოფოდა. უფროსი ძმისთვის ჩვეულებრივ თავიდანვე „საუფროსო“ მიწის ნაკვეთს და საქონელსაც გამოყოფდნენ. მოძრავი ქონებიდან ყველაფერი ძმებს შორის თანაბრად ნაწილდებოდა. თუ

ერთი ძმა გარდაცვლილი იყო, მის წილს მეორე ძმა იღებდა, თუმცა, ამავე დროს იგი, ძმის გარეშე დარჩენილი ქვრივ-ობლების მეურვეობის უფლებას სოფლის უხუცესისაგან იღებდა. იგი ვალდებული იყო ძმის შვილის – ვაჟის სრულწლოვანებამდე და ქალიშვილების გათხოვებამდე მათთვის მოეწყო. სრულწლოვანი ვაჟი უკვე მამის ქონების განმკარგავი ხდებოდა. მოგვიანებით, როდესაც გაყრა და ქონების განაწილება მამის სიცოცხლეში შეიძლებოდა, მამა ძმის უფლებით სარგებლობდა და წილს იღებდა. მარტო დედა თუ რჩებოდა ცოცხალი, ქონების განაწილების დროს, მას გარკვეულ წილს აძლევდნენ. თუმცა, იგი ერთ-ერთ შვილთან, უმეტესად უფროს ვაჟთან რჩებოდა საცხოვრებლად. უძრავი ქონება – მიწა, გაყრის დროს აუცილებლად სულადობის მიხედვით იყოფოდა. რაც მთავარია, ეს მიწის წილები უთუოდ წილის ყრით ნაწილდებოდა. თუ ოჯახში გაყრის დროს დაუქორწინებელი ვაჟი რჩებოდა, საქორწინო ხარჯისთვის მასაც წილს აძლევდნენ. გამოყოფილ ახალ ოჯახებში პირველად კერა მამისეული სახლიდან მოტანილი ნაკვეთჩხლით ინთებოდა. გაყრის შემდეგ ძმები ერთმანეთთან კავშირს ინარჩუნებდნენ (ნაროდი..., 1962:525-526).

„გერდასტანები“ რუსეთის მფლობელობის დამყარების შემდეგ (1828 წ.) დაიშალა და სამი თაობის ფარგლებში ინდივიდუალური ოჯახები ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა, ოჯახის უფროსის სტატუსმა, მდგომარეობამ, ავტორიტეტულმა ხასიათმა და ურთიერთობამ ინდივიდუალურ ოჯახშიც იჩინა თავი. სომხეთის ტიპიურ ტრადიციულ ოჯახში ახალდაქორწინებული წყვილი, მართალია, იწყებს ცხოვრებას, თუმცა, შვილის გაჩენის შემდეგ ისინი ცალკე ოჯახად იწყებენ ცხოვრებას. მშობლების მოხუცებულობის დროს ერთ-ერთი შვილი, მით უმეტეს უმცროსი, მათთან რჩებოდა საცხოვრებლად. თუმცა, გამონაკლისებიც არსებობდა. ხშირად თვით მოხუცი მშობლები იმ რძალთან ირჩევენ ცხოვრებას, რომელიც უფრო მშრომელი და მათ მიმართ უკეთესი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა (ტერ-სარქისიანცი, 1989:408).



სისხლით ნათესაობას ჩქარა არ ივინყებდნენ. ისინი აღინიშნებოდნენ ტერმინებით – „ცეხ“ (=ტომი), უმეტესად მამის ნათესავეების მხარისთვის გამოყენებული იყო „აზგ“ (პატრონი-მია), „აზგაკან“ (სიტყვა-სიტყვით „მოყვარე“). დედის მხრიდან ნათესავეები – „ბარეკამ“ ტერმინით აღინიშნებოდნენ (=კეთილგანწყობილნი“). დედის მხარის ნათესავეები სამეურნეო ცხოვრებით არ იყვნენ დაკავშირებულნი, მაგრამ დასაფლავების ან ქორწილის შემთხვევაში ურთიერთდახმარება აუცილებელი იყო (ნაროდი... 1962:526).

სომხებში სტუმარმასპინძლობა მკაცრად იყო დაცული. ისინი კარზე მომდგარ ყველა მგზავრს ღამის გათევის და საკვების მიღების საშალებას აძლევდნენ. თუ სტუმრისთვის რაიმე საკმარისი არ ჰქონდათ (ლოგინი ან სხვა რამ), შეეძლოთ მეზობლისთვის ეთხოვნათ, რადგან ასეთი სტუმარი მეზობელთანაც შეიძლება მისულიყო და მასაც რაიმე დასჭირებოდა. სოფლის უხუცესს უფლება ჰქონდა სტუმარი რომელიმე სახლში, უმეტესად შეიძლებულში მიეყვანა. სტუმარი რომელ სახლშიც იმყოფებოდა, მეზობლებს იმ სახლში თავისუფლად შეეძლოთ მისვლა და მასთან საუბარი, მაგრამ სუფრასთან დაჯდომას ყველა ერიდებოდა. კარაპეტიანისა და ლისიციანის გადმოცემით დასავლეთ სომხეთის სოფლებში სტუმრისთვის სპეციალური სასტუმრო შენობა ჰქონიათ, რომელიც კეთილგანწყობილი ყოფილა, მაგრამ სტუმართან ყოველდღე საკვები მიჰქონდათ და სოფლის ოჯახები რიგის მიხედვით ემსახურებოდნენ (ნაროდი..., 1962:527).

ჯავახეთში XIX საუკუნის 30-იან წლებამდე უმეტესად ძირძველი ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა. რუსეთის შემოსვლის შემდეგ, მართალია, ეს მხარე ოსმალებისგან განთავისუფლდა, მაგრამ ამავე დროს, რუსეთის იმპერიის წარმომადგენლებმა ეს მხარე, როგორც განსხვავებული ეთნიკური მოსახლეობით, ასევე რელიგიური კუთხითაც ააჭრელეს.

ერთ-ერთი ისტორიკოსი და ფილოლოგი, რომელმაც 1900 წლიდან 5 წლის მანძილზე სამცხე-ჯავახეთი კარგად შეისწავლა

და ისტორიული მონოგრაფია შექმნა, იყო ალ. ფრონელი (ალ. ყიფშიძე). იგი სამცხე-ჯავახეთში მომრიგებელ შუამავლად დაინიშნა. ამ მხარის ისტორია მის მიერ საკმაოდ დაკვირვებით და საქმის ცოდნითაა ასახული. აი რას წერდა იგი – 1828 წელს რუსებმა რომ საქართველოს ეს ძირძველი კუთხე დაიჭირეს, თითქმის სრულიად გადარჯულებული იყო. მალულად, ჩუმად, თითო-ოროლა სოფელი თუ მისდევდა ქრისტიანობას. გამაჰმადიანებული ჯავახეთის ქართველობას, რუსების ბატონობა არ მოეწონათ და ოსმალეთში გადაიხვეწნენ. დარჩნენ მხოლოდ ჩუმი მართლმადიდებელნი, ქართველი კათოლიკენი სომხის ტიბიკონისა, ქურთნი, თარაქამანი და გამაჰმადიანებული ქართველების სულ მცირე ნაწილი... პასკევიჩმა არზრუმიდან დიდძალი სომხობა დააბინავა ქართველების ნასოფლარებში. ათი წლის შემდეგ ჯავახეთში რუსებიდან დევნილი დუხობორები ჩამოასახლა (ფრონელი, 1991:171).

ამრიგად, ამ დროიდან ქართული ოჯახების სოციალური სპეციფიკურობა, მათი მთლიანობა, დასახლების ფორმები, ყოფის წესი, საზოგადოებრივი ურთიერთობა დაირღვა. მართალია, ჯავახეთში XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ არსებობდა ისეთი სოციალური ინსტიტუტი, როგორც დიდი ოჯახი იყო. მაგრამ ლიტერატურულ წყაროებში ჯავახური ქართული ოჯახის ფორმების შესახებ საკმაოდ მცირე მასალა არსებობს.

როგორც ჩანს, დიდ ოჯახს ჯავახეთში, როგორც „მრავალრიცხოვან ჯალაბს“ ისე მოიხსენიებდნენ. ხშირად, ასეთ დიდ ოჯახში ექვსი თუ შვიდი თაობის ერთად ცხოვრების ფაქტები დასტურდება. მსგავსი ოჯახების დაშლის შედეგად დიდი ოჯახები იმავე ერთ საცხოვრებელში ერთმანეთის გვერდიგვერდ განაგრძობდნენ ცხოვრებას. საერთოდ, სამცხე-ჯავახეთის ქართული დიდი ოჯახი, კოლექტიური შრომითა და შრომის პროდუქტების თანაბარი განაწილებით ხასიათდებოდა. თვით ტერმინი („დიდი ოჯახი“) „მრავალრიცხოვანი ჯალაბი“ სოციალური შინაარსის გამომხატველია, იგი მხოლოდ ოჯახის ფორმას და მის სოციალურ შინაარსს უსვამს ხაზს.

ს. მაკალათიას ნაშრომიდან ჩანს, რომ სამცხე-ჯავახეთის „მრავალსულიანი ჯალაბი“ – ერთ საერთო ჭერქვეშ, სწორედ 6-7 თაობის გაუყრელ მამებს, ძმებს, მათ ცოლებს და შვილებს მიწურ-ბანიან, ძველებურ დარბაზში უყრიდა თავს. ეს საცხოვრებელი, სანამ „ჯალაბი“ დაიშლებოდა განაყარ ოჯახებად საერთო, საოჯახო საკუთრებას წარმოადგენდა, რომლის მფლობელი ოჯახის ყველა წევრი იყო. ამ საცხოვრებლის აღწერილობიდან ისიც კარგად ჩანს, რომ სახლები დროთა ვითარებაში ცვლილებებს განიცდიდა. მეცნიერის მიერ აღწერილი დარბაზული, კარაპნიანი, ოდური სახლი ძველი დარბაზის ბევრად შეცვლილ სახეს წარმოადგენდა. თუმცა, იატაკი, ბანი ყველას მიწური და ერთნაირი ფორმისა ჰქონდა. ეს დარბაზი თავისი მოცულობით, სიდიდით, რამდენიმე საოჯახო ხასიათის ოჯახებისაგან შედგებოდა. დარბაზული სახლის წინ აივანი იყო, რომელიც ზოგან გადახურული ყოფილა. მართალია, მას ერთი შესასვლელი კარი ჰქონია, რომელიც პირდაპირ კარაპანში (დერეფანში) შედიოდა. კარაპნის მარჯვნივ საცხოვრებელი „ოდა“, მის გვერდით ჯერ „საზაფხულო“, ხოლო შემდეგ „საზამთრო“ ოთახი, ბუხრით განყოფილი ყოფილა. ამ სახლში ჯალაბი ცხოვრობდა. შემონახული ყოფილა ასევე უფრო ძველი ტიპის დარბაზებიც, განსაკუთრებით რაბათში, როგორც „კირქესელის“ დარბაზი ყოფილა. ეს დარბაზი მალაღუმბათიანი იყო და მათ „მერცხლის ბუდურას“ ეწოდებოდნენ. ქერქესელის დარბაზი საკმაოდ დიდი ყოფილა და რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა. მართალია, ეს დარბაზი იმ დროისთვის თავისი პირვანდელი სახით ყოფილა შემორჩენილი, მაგრამ მისი კარაპანი – გადატიხრული და ოთახებად გადაკეთებული. ძველებური დარბაზის ბანი დიდ დედაბოძე ყოფილა დაყრდნობილი. დარბაზის გვირგვინი რვაკურთხა და მთლიანად „სანარბეებზე“ ყოფილა დაბჯენილი, რომლისაგან რვანახნაგოვანი გუმბათის ფორმა იქმნებოდა. „სანარბეებზე“ გარდი-გარდმო „ჩანთა“ და „ფართხები“ ყოფილა დაწყობილი, რომლისგანაც რვანახნაგოვანი გუმბათის ფორმა იქმნებოდა. ჩანთა-ფართხების კიბე 15-16 საფეხუ-

რისგან შედგებოდა, რომლებიც ზემოთკენ თანდათანობით მოკლდებოდნენ. თუმცა, „კოკოშაკამდე“ ადიოდა და კონუსის ფორმა ჰქონდა. კოკოშაკის წვერი რამდენადაც დიდი იყო, დარბაზიც უფრო განიერი და დიდი ყოფილა. კოკოშაკიდან დარბაზში შუქი და ჰაერი, დარბაზიდან კი, კერის ბოლი გადიოდა. ძველად ის მხოლოდ ავდარში თუ იხურებოდა გასანევ-გამოსანევი ხაფანგით. დარბაზს სამალავიც ჰქონია, რომელიც გარედან შეფიცრული და უჩინარი ყოფილა. შიშიანობის დროს იქ მთელი ოჯახი და მათი ქონება იმალებოდა. წინათ სამცხე-ჯავახეთის ამ ძველ დარბაზში „მრავალრიცხოვან ჯალაბს“, ხშირად ექვსსა თუ შვიდ თაობას, ერთად უცხოვრია (ფრონელი, 1991:84-87).

ძველად შუა დარბაზში კერა ენთო და მის გვერდით სამკვრე მდგარა, რომელზედაც კვარი ყოფილა ანთებული. დარბაზში ტახტი – „საფი“ არ ჰქონიდათ. ჯალაბის წვერები, კერის გარშემო, მიწაზე დაგებულ ჩალასა და ქილოფზე წვებოდნენ. სკამის მაგივრად ჯირკვლებს ხმარობდნენ დასასხდომად. დიდი ოჯახის დაშლის შემდეგ, ისინი დარბაზულ გადაკეთებულ, შეცვლილ საბინაო პირობებში, თანამედროვე და კულტურული მოთხოვნების მიხედვით, კვლავ, ახლო-ახლო ცხოვრობდნენ. დარბაზი, კარაპანი, ახვარი გატიხრულ იქნა, გადაკეთდა ოთახებად – ე.ი. „ოდებად“, გვირგვინი მოიხსნა, სინათლისთვის აღმოსავლეთის მხარეზე ორთვლიანი სარკმელი გამოუჭრიათ და მასში შუშა ჩაუსვამთ. ოდების შინამონყობილობაც ქალაქური გამხდარა. სანოლები, მაგიდა, სკამები და სხვა დაუდგამთ. კედლებზე ხალიჩა, სარკე, სურათები ჩამოუკიდიათ. კერა მოუშლიათ და ბუხრები გაუმართავთ. ბუხრის ერთ გვერდზე ფურნე გაუკეთებიათ, ბუხრის ქვეშ კი თონე მოუწყვიათ. ბუხრის მეორე კედელზე კერა მოუთავსებიათ. სამივედან ბოლი ბუხრის ერთ მილში გადიოდა – მოგვიანებით თითოეულ ოჯახს სახლის შენება დაუწყია. მასალას წინასწარ იმარაგებდნენ. საშუალო ზომის სახლს 5 საყენი ქვა სჭირდებოდა, რომელიც იქვე ბლომად მოიპოვებოდა, ამიტომ ადვილად იმარაგებდნენ, ხე-ტყის მასალა კი, ურავლის, აბასთუმნის და აწყურის ტყეებიდან მოჰქონდათ.

როცა ისინი უკვე ინდივიდუალურ ოჯახებად იყვნენ დაშლილი, მათ ოჯახებს ძველი წესი, ურთიერთდახმარების ფორმები შემორჩენილი ჰქონდათ. სახლის მშენებლობის დროს ისინი ურთიერთდახმარებას იყენებდნენ და ამას ტერმინს – „ნარდს“ (ნადი) უწოდებდნენ. ნადი – მატყლის გაჩეჩვის, ჭილოფების ქსოვის, ბულბულის პუნკვის, ყანის დამუშავების და სხვა სამუშაოების დროსაც სცოდნიათ (ფრონელი, 1991:88-89).

XIX საუკუნის 30-40-იანი წლების პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობის ცვალებადობამ, ქვეყნის გარედან სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობის მიგრაციული ტალღების შემოსახლებას სოციალური წყობის სწრაფი ცვალებადობაც მოჰყვა. „ჯალაბი“ ოჯახების ნაცვლად მიწურბანიანი დარბაზის გადატიხრულ ოთახებში უკვე დაშლილმა ნუკლეარულმა ოჯახებმა დაიწყო გამოყოფილად ცხოვრება. თუმცა, მათ მალე, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ცალკეული, ინდივიდუალური სახლების მშენებლობა დაიწყო.

ნუკლეარულ ოჯახებში ორი ან სამი თაობის წარმომადგენლები იყრიდნენ თავს. ოჯახის შემადგენლობაში – მშობლები და შვილები, ან მშობლები, შვილები და შვილიშვილები შედიოდნენ. სოფელში, ბუნებრივია, რომ ასეთ ოჯახებშიც მამაკაცები მინდვრისა და მესაქონლეობის საქმიანობით იყვნენ დაკავებული. რაც შეეხება დედა ქალსა და რძალს, ან რძლებს, ისინი სახლის საქმიანობით (ძროხის მონველით, ყველის ამოყვანით და სხვადასხვა პროდუქტების დამზადებით და სხვ.) და ბავშვების მოვლა-პატრონობითა და მათი გაზრდით იყვნენ დაკავებული. ამ ოჯახს უკვე სრულიად ახალი სოციალური ხასიათი ჰქონდა. ოჯახში ორგანიზაციულ საკითხებს ოჯახის უფროსი მამაკაცი თავის მეუღლესთან ერთად შეთანხმებით წყვეტდნენ. თუმცა, გამორიცხული არ იყო რძლის ან რძლების აზრიც გაეთვალისწინებინათ.

სოციალური ინსტიტუტი – დიდი ოჯახი – გაყრისა და ქონების განაწილების შემდეგ ერთი რეალური წინაპრისაგან წარმოშობილ ხუთ, ექვს და ზოგჯერ მეტი თაობის აგნატ ჯგუფებს

მოიცავდა. მეცნიერებაში მას „პატრონიმიას“ უწოდებენ. ამ ჯგუფს, მკაცრად დაცული ეგზოგამია, რიგი ერთობლიობის ნიშანი, სოციალურ, მეურნეობრივ და იდეოლოგიურ სფეროში ახასიათებდა. რასაც მემკვიდრეობის მკაცრ რეგლამენტაციას ტერიტორიულად კომპაქტური განსახლება განაპირობებდა. პატრონიმიულ ორგანიზაციას ძირითადი კომპონენტები აყალიბებდა – აღმავალი სახით IV-V თაობამდე კარგად დაცული გენეალოგია, რომელიც ბუნებრივია, ნათესაური სიახლოვესთან დაკავშირებულ ქცევის ტრადიციულ ვალდებულებათა და მოვალეობათა ნორმებს, ოჯახის გაყოფის დროს, ქონების ზოგიერთი ობიექტის საერთო სარგებლობაში დატოვებას, მეურნეობრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროში ინტერესების ერთიანობას, ზოგიერთი დღეობა-დღესასწაულის (ახალი წლის პაპისეულ სახლში) ერთობლივად გადახდის პრაქტიკას, პატრონიმიის სახელდებას, რომლის ამოსავალი დიდი ოჯახის ეპონიმი განსაზღვრავდა. ამდენად, ეს ნათესაური გაერთიანება რთული სოციალური ინსტიტუტი ხდებოდა.

სომეხი მოსახლეობის რწმენით, სიკვდილის მომენტში, უკანასკნელი ამოსუნთქვისას „სულიც“ ამოდის. ამიტომ, სიკვდილის დადგომისას სომეხები ფართოდ აღებდნენ კარებს ან ფანჯარას, რომ სულთან ერთად „სიკვდილის ანგელოზს“ თავისუფლად შესძლებოდა წასვლა. ამ დროს სომეხები მაგიური წესების გამოყენებით საშუალებას არ აძლევდნენ გათავისუფლებულ სხეულში ავი სული ჩაბუდებულიყო. დასაფლავების დროსაც მიცვალებულის („მერელოც“) სულს მაგიური საშუალებით „დაბრუნებაში“ ხელს უშლიდნენ. ქვის ფილის, ძეგლის საფლავზე დადგმით, მათი სურვილი ის კი არ იყო, რომ დასაფლავების ადგილი დაეფიქსირებინათ, არამედ ეს მისწრაფება ყოფილა, რომ „მიცვალებულს შესაძლებლობა „ადგომის“ არ მისცენ“. ძველად, ამ მიზნით დასაფლავების ადგილს უამრავ მსხვილ და წვრილ ქვებს აყრიდნენ, გარშემოც საფლავს დიდ ქვებს უწყობდნენ. ეს მაგიური „ბეჭედი“ ყოფილა, რომლითაც მიცვალებული თავის დაღწევას ვერ შეძლებდა. დასაფლავებამდე სოფელ-

ში მინდვრის სამუშაოებს, ბაღში და ბოსტანში, მინის სამუშაოებს წყვეტდნენ, რადგან მინის „გადაბრუნება“ დასაფლავებამდე არ შეიძლებოდა. სანამ სომხეთში კუბოს შემოიღებდნენ, ძველად, მიცვალებულს სუდარაში ახვევდნენ და ისე ასაფლავებდნენ. ნათესავები „მიცვალებულის სულისთვის“ („ხოგეხაც“), დასაფლავებამდე ერთი დღით ადრე, მიცვალებულის ოჯახში, ნათესავებს დასაფლავების დღის „შენდობის“ სადილისათვის სხვადასხვა პროდუქტები მიჰქონდათ, რითაც მონაწილეობას იღებდნენ სადილის გამართვაში. მიცვალებულს ძველ დროში, საფლავში მისთვის საყვარელ ნივთებს ატანდნენ, რომ ისინი იმქვეყნიურ ცხოვრებაშიც გამოეყენებინათ. სოფელში მიცვალებულების მოსაგონარი დღე აღდგომა იყო. ამ დღეს მთელი სოფლის მაცხოვრებლები ფულს აგროვებდნენ და შეკრებილი ფულით ხარს („ახარ“=სულის შესანიერი) ყიდულობდნენ, კლავდნენ და მთელი სოფელი „შენდობის დღეს“ („მერელც“) იხდიდა. მოხარშულ ხორცის ნაჭრებს, ლავაშთან ერთად, სოფლის ყველა წევრს ურიგებდნენ. მიცვალებულის კავშირი ოჯახთან ამ დღეს „ახლდებოდა“. ძველად, სასაფლაოზე, „ქვა-ჯვარს“ („ხაჩკარ“) დგამდნენ. ეს იყო ფართო, მაღალი და მასიური ჯვრის გამოსახულება, რომელიც დაფარული იყო სხვადასხვა მხატვრული ორნამენტებით (ნაროდი..., 1962:531-532).

ქართველმა ხალხმა თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მიცვალებულის გლოვისა და დაკრძალვის გარკვეული ტრადიციები გამოიმუშავა. ახალციხისა და ახალქალაქის რეგიონებში სიკვდილის ამბავს სოფელი ზარის რეკვით შეიტყობდა. სამგლოვიარო ზარს დროგამოშვებით, მძიმედ, სამჯერ ან ხუთჯერ (კენტი რიცხვი) შემოკრავდნენ. სამუშაოს ყველა ტოვებდა და იმ სახლში მიდიოდნენ, სადაც მიცვალებული ესვენა. ახლობელი ნათესავები ან მეზობლები, გამოცდილი პირები მიცვალებულის გამზადებას შეუდგებოდნენ – ტანს, ფეხებს, ხელებს თავის ადგილზე დაუნყოფდნენ, შემდეგ ტახტზე გადაასვენებდნენ, პირით აღმოსავლეთისაკენ დაანვენდნენ,

ტანსაცმელს ჩააცმევდნენ. სამცხე-ჯავახეთში იყიდდნენ კუბოს და სუდარას, ჭირისუფალი ქალებისთვის კი შავი ნაჭრის ქსოვილს. კუბოს ნაძვის ან ფიჭვის ხის ფიცრებისგან ამზადებდნენ. კუბოს ფიცრების გადანაჭრებს შეაგროვებდნენ და ისეთ ადგილას გადაიტანდნენ, სადაც კაცის ფეხი არ მოხვდებოდა. ასეთნესი ჰქონდათ ჯავახეთის სოფლებში ჩუნჩხაში, პტენასა და სხვაგან. სუდარას კარიდან არ შემოიტანდნენ, არამედ ერდოდან ჩამოაგებდნენ. მიცვალებულის კუბოში ჩასვენება მზის ჩასვლამდე იცოდნენ. მიცვალებულს კუბოში ტანისამოსის გარკვეულ ნაწილს ულაგებდნენ, ნაწილს კი ღარიბებზე გასცემდნენ. მიცვალებულის გარშემო ოჯახის წევრები ისხდნენ. ყველა გლოვობდა...

სამცხე-ჯავახეთში მიცვალებულის პატივსაცემად ღამის გათევა იცოდნენ, ვისაც სურდა. ღამისთევაზე ახლობლებთან ერთად ზოგჯერ დიაკვანიც მიდიოდა, „თავითიანსა“ და „საღვთო რჯულს“ კითხულობდა. მიცვალებულს სახლში ორ დღეს აჩერებდნენ, მესამე დღეს ეკლესიაში წაასვენებდნენ. გამოსვენებისას სახლის კარს ჩაკეტავდნენ, კუბოს ფეხების მხრიდან ჩაკეტილ კარს სამჯერ მიარტყამდნენ. დასაფლავება მესამე დღეს ხდებოდა. პარასკევს მიცვალებულს არ დასაფლავებდნენ – ხალხის რწმენით, ქრისტე პარასკევ დღეს იყო დასაფლავებული, ამიტომ მის პატივსაცემად იმ დღეს მიწის „განძრევა“ არ შეიძლებოდა. ანდერძის აგების შემდეგ, მღვდელი ეკლესიის მსახურს ან დიაკვანს სამგლოვიარო ზარი დროგამოშვებით უნდა დაერეკა, სანამ მიცვალებულს სასაფლაომდე მიასვენებდნენ. გამოსვენებისას ეკლესიაში კუბოს სამჯერ აწევდნენ, სამჯერ მიწაზე დადგამდნენ, ეკლესიასაც გარშემო სამჯერ მოატარებდნენ. სამარეს მხოლოდ დაკრძალვის დღეს ჭრიდნენ. საფლავის გაჭრა საპატიო საქმედ ითვლებოდა. ჭირისუფლები რომ მიცვალებულს გამოემშვიდობებოდნენ, კუბოში სამ მუჭა მიწას ჩაყრიდნენ, სიტყვებით: „მიწა იყავ და მიწად იქეც“. შემდეგ კუბოს თავს ახურავდნენ და მიცვალებულს მიწას მიაბარებდნენ. დამარხვის შემდეგ ნიშანს, თავთან ჯვრის დასმით უკეთებდნენ.



ჭირისუფალი „შვიდს“, „ორმოცს“, „ნლისთავს“ აუცილებლად აღნიშნავდა. ახლობლები ორმოცი დღის განმავლობაში ლოცულობდნენ და მიცვალებულს იხსენიებდნენ. სასაფლაოს მოვლა და მასზე მზრუნველობა მამაპაპური წეს-ჩვეულება იყო (აბრამიძე, 1990:117-128).

ქართველთა და სომეხთა ურთიერთობიდან გამომდინარე, აუცილებელია კიდევ ერთი სოციალური საკითხის – ამიერკავკასიის საზოგადოებაში ერთიანი ფეოდალიზმის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა.

IX-XV საუკუნეები ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის არსებობის ეპოქა იყო. ფეოდალურ საქართველოში მცხოვრები ქართველი და სომეხი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნ. ბერძენიშვილის აზრი – ამიერკავკასიის საზოგადოებაში ერთიანი ფეოდალიზმის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

იგი წერდა, რომ – ვინც IX-XIII საუკუნეების ფეოდალური ხანის ფაქტებს ქართველ-სომეხთა ურთიერთობიდან იცნობს, მას არ შეიძლება თვალწინ მეტად საგულისხმო ტენდენცია არ გადაეშალოს, მიმართული იქეთ, რომ ამიერკავკასია ერთ დიდ სამეურნეო და პოლიტიკურ-კულტურულ ერთეულად ქცეულიყო. სომხეთის ფეოდალური სამთავროები (ყარსის, დვინის, ანისის, ვასპურაკანის) ქართული ფეოდალური სამთავროები (აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის, კახეთის) სრულიადაც არ იფარგლებოდნენ საკუთრივ „ქართლით“... ტფილისის საამირო, სომხით-ზორტაკეტი, ჰერეთი, გარდმანი, შირაკი, ვანანდი, ბასიანი; ბრძოლა ასევე ალბანეთისთვისაც მიმდინარეობდა. სამხრეთ ალბანეთში სომეხთა უპირატესობით, ხოლო ჩრდილოეთ ალბანეთში ქართველთა უპირატესობით. სხვადასხვა გარემოებათა დამთხვევის შედეგად ამის გამაერთიანებელი ერთეული საქართველო აღმოჩნდა. X საუკუნეში, როცა ჯერ კიდევ ქართველური და არაქართველური პოლიტიკური ერთეულები ერთიმეორეს ებრძოდნენ „ქართლსა ზედა“, უკვე ცნება „საქართველო“

ნარმოქმნილი იყო, ისე რომ ფეოდალური საქართველოს გაერთიანება უჩუქრად უნდა მომხდარიყო. ამასთანავე, პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურულად ამიერკავკასიაში ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა დასრულებულ იქნა (ბერძენიშვილი, 1975:398-399, 405-406).

ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წყობის უპირატესობას აღმოსავლეთთან შედარებით, ქართული ფეოდალური ურთიერთობის თავისებურებად, ვ. გაბაშვილი, სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა იმ საყურადღებო მოვლენას, რომ „ქვეყანაში საგარეო ფაქტორის უარყოფითი ზეგავლენის მიუხედავად, „ფეოდალური საქართველოს „ეკონომიკურ აგებულებასა და წყობაში“ მოცემული იყო ელემენტები, რომლებიც შესვენებისა და მშვიდობიანობის პერიოდებში დაუყოვნებლივ ქმნიდნენ განვითარებისთვის საჭირო პირობებს“. მტრებმა გაოსმალებითაც ვერ მოახერხეს ქართული მიწათმფლობელობის თავისებურებანი შეეცვალათ, რის გამოც ახალციხის საფაშო მეტად განსხვავებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა ოსმალეთის სახელმწიფო ორგანიზმში (გაბაშვილი, 1958:109,11-112).

XII-XIII საუკუნეებში, როდესაც საქართველოს შემადგენლობაში შემოსული სომხეთი სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულად შეუფერხებლად ვითარდებოდა, სომხური მოსახლეობა სავსებით კანონზომიერად ქართულ ფეოდალურ მონარქიას საკუთარ სახელმწიფოებრიობადაც აღიქვამდა. ამით თავის კულტურულ-პოლიტიკურ და სოციალურ ერთიანობას მასთან აღიარებდა (მაისურაძე, 1982:96).

ის, რომ მართლაც სომხური მოსახლეობა ქართულ სახელმწიფოებრიობას საკუთარივით იღებდა, ამაზე ს. ჯანაშიას სიტყვებიც მოწმობს – „იდეოლოგიური და თვით ფსიქოლოგიური მხარე საკითხისა იმაში მდგომარეობს, რომ სომეხი მოსახლე ქართულ სახელმწიფოებრიობას თავისი მმართველობის აპარატით, როგორც მშობლიურ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინსტიტუტს ისე იღებდა (ჯანაშია, 2009:55). ამ სისტემის

ფორმირებას ბაგრატი III-მ ჩაუყარა საფუძველი (მაისურაძე, 2009:164-271).

სომხეთში უმაღლესი ხელისუფლების ბუნების შესახებ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულება თანაარსებობდა. ერთნი ფიქრობდნენ, რომ სომხეთში ფეოდალიზმს აღმოსავლური ან აზიური ფორმა ჰქონდა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მიწის კერძო და კოლექტიური მფლობელობა და არა კერძო საკუთრება მიწაზე. მეორე თვალსაზრისით, სომხური ფეოდალიზმი ძირითად ხაზებში ემთხვეოდა დასავლურ-ევროპულ ფეოდალიზმს. უმაღლესი მესაკუთრეები და ნახარართა სამფლობელოები ნახარარული გვარების მემკვიდრეობით საკუთრებას წარმოადგენდნენ. ამ შეხედულებას წყაროებში შესაფერისი მასალები არ მოეპოვება (მაისურაძე, 1882:46-47).

წყაროების გაცნობის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართველ მკვლევართა უმეტესობა ფიქრობს, რომ ქართული ფეოდალური მონარქიის წარმოქმნა ამიერკავკასიის ხალხთა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების საერთო პროცესთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და უნდა ვიფიქროთ, რომ მის კანონიერ პროდუქტსაც წარმოადგენდა. აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ X საუკუნიდან იგი ამიერკავკასიაში მართლაც მძლავრ აღმავლობას განიცდიდა.

ამიერკავკასიის ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის გარემოება გაიზიარეს ვ. გაბაშვილმა (გაბაშვილი, 1958:117), გ. მელიქიშვილმა (მელიქიშვილი, 1973:128), გ. მაისურაძემ (მაისურაძე, 2009:264-283) და სხვ. ზოგიერთმა რუსმა მეცნიერმა კი ჩათვალა, რომ საქართველოში ეს პროცესი განვითარდა, მაგრამ სომხეთში ფეოდალიზმის განვითარების შეფერხების გამო ეს პროცესი იქ დამუხრუჭდა (ნოვოსელცევი, პაშუტო, ჩერეპნინი, 1972:46).

XI საუკუნის 40-იან წლებში სომხეთი ბიზანტიის ბატონობის ქვეშ მოექცა. თუმცა, ბიზანტიელთა ოცნლიან ბატონობას ბოლო სელჩუკებმა მოუღეს, მომთაბარულ ისლამურ სამყაროსთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში ქართველმა მე-

ფეებმა არნახულ წარმატებებს მიაღწიეს, დავით აღმაშენებელმა 1110-1123 წლებში საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის გაერთიანების პროცესი დაასრულა. ამავე დროს, ხორცი შეესხა კავკასიის პოლიტიკური ერთობის იდეასაც. დავით აღმაშენებელმა, დიდგორის ველზე გამარჯვებულმა, მტერს ანისის საზღვრამდე მისდია. დავით აღმაშენებლის საქმე წარმატებით გააგრძელეს მისმა მემკვიდრეებმა – დემეტრე I-მა, გიორგი III-მ, თამარმა და XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს სამეფოში, ქრისტიანული კავკასიის უდიდესი ნაწილი გაერთიანდა (ჭეიშვილი, 2017:49-52; ნერსესიანი, 2016:127-128).

XII საუკუნეში, თამარის გამეფებამდე, ქართველები რამდენჯერმე დაეუფლნენ ანისს. უცხოელი ავტორები, თანამედროვენი თუ მოგვიანო ხანის სომეხთა დედაქალაქის აღებას, როგორც ანისის ქართველთა სამფლობელოებში შესვლას ისე აფასებდნენ. ანისის დაუფლება ჩრდილოეთ სომხეთზე გაბატონებას ნიშნავდა. სომხეთის მთიანეთის მაღლობებზე ფეხის მოკიდებით საქართველოს სამეფოს კონტროლქვეშ კავკასიიდან ანატოლიაში, სირიასა და მესოპოტამიაში მიმავალი გზები ექცეოდა. სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალებზე ბატონობა საქართველოს სამეფოს, სამხედრო-სტრატეგიულ უპირატესობასთან ერთად, დიდ ეკონომიკურ კეთილდღეობასაც უქადდა (ჭეიშვილი, 2017:52-53).

მეზობელი სომხეთის, კერძოდ, მისი ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონების გასათავისუფლებლად თამარ მეფის დროსაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთი, რომელიც ყოფილ ვანადის, ანისის, შირაკის, ტაშირ-ძორაკეტის და სიუნიქის სამეფოებს მოიცავდა, განთავისუფლდა. სომხეთის ეს ნაწილი საქართველოს მფლობელობაში შევიდა (აკოპიანი, 2016:131-148).

ჰ. მანანდიანის აზრით – თამარ მეფის ხანაში, თითქმის მთელი სომხეთი „დაიპყრეს“ მისმა მხედართმთავრებმა ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა და ამ ახალი სამთავრო საგვარე-

ულოს სიუზერენული ხელისუფლების ქვეშ ფეოდალური სომხეთი ხელახლა აღდგა, როგორც საქართველოს ვასალური ოლქი (მანანდინი, 1943:43,46).

ქართული ფეოდალური მონარქიის ცენტრალიზაციითა და მისი სიმტკიცით თვით სომხური მოსახლეობის ფართო ფენები იყვნენ დაინტერესებული და მისი ძლიერებისთვის აქტიურადაც იღვწოდნენ (მაისურაძე, 1982:15).

ამრიგად, ქართველ და სომეხ ფეოდალებს შორის იმდენი მჭიდრო კავშირი ყოფილა, რომ XII-XIII საუკუნეებიდან XIX საუკუნის I მეოთხედამდე „კავკასიის სომხეთი“ ხან მთლიანად, ხან კი ნაწილობრივ ქართველ მეფეთა გამგებლობაში იყო მოქცეული, რის გამოც ქართველი და სომეხი გლეხის ექსპლუატაციის ფორმებს ბევრი რამ საერთო ჰქონდა (მაისურაძე, 1982:183-184; არუთინიანი, 1954:35). ამ ორი ხალხის ისტორიული ურთიერთობისთვის – „კულტურულ-სოციალური პოლიტიკური ერთობის“ ტრადიციითა და ზეგავლენით ეკონომიკური ურთიერთობა ვითარდებოდა და ძველიდან დამკვიდრებულ ურთიერთობის განმტკიცებას უზრუნველყოფდა. ამავე დროს, სახელმწიფო მათ შეღავათებსაც უწესებდა... სომხური წყაროები კმაყოფილებით და მადლიერებით მოიხსენიებდნენ ქართველ მეფეებს სომხური მოსახლეობისთვის შრომისა და ცხოვრების ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, რომელიც როსტომ მეფის ხანაში შედარებით ხანგრძლივ მშვიდობიან პერიოდს უკავშირდებოდა (მაისურაძე, 1982:163-167).

თბილისში სომხების სავაჭრო გავლენასა და მათ კაპიტალზე, სომეხთა სამშობლოს სიყვარულზე და ხალხის ერთიანობაზე ა. ერიციკოვი წერდა, რომ მართალია, სომხები გაფანტულები არიან სამშობლოდან და მასთან დაცილებულები, მაგრამ არ ივიწყებენ მას... მათ თბილისში ყველაზე დიდი სავაჭრო დაწესებულებები აქვთ, რომლის დიდი კაპიტალი მათ ხელშია. სომხები საუკეთესო სახლებს აშენებენ, ეხმარებიან ჯარს, აქვთ გაფართოებული „ქარავან-სარაი“... უცხო მხარეში ცდილობენ თავისი თვისებები შეინახონ, წეს-ჩვეულებებიც, რაც მთავარია,

ცდილობენ სამშობლოს ერთგულები იყვნენ (კრილოვი, 2010:363).

ამრიგად, საქართველოში გადმოსახლებული სომხობა დგებოდა რა ქართული სახელმწიფოს სამსახურში, აქტიურად ებმოდა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, რითაც დროთა განმავლობაში მასზე კარგ გავლენას ახდენდა. XV საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის დასასრულამდე ამ ორი ხალხის განსაკუთრებული ურთიერთობის ფორმამ, ვაჭრობა-ხელოსნობის XVIII საუკუნეში შედგენილ კანონ-პროექტებში ასახვაც ჰპოვა (მაისურაძე, 1982:172).

ქართველთა და სომეხთა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა თუ ქართველებისთვის სარგებლიანი იყო, ვფიქრობთ, სომეხებისთვისაც სარგებლიანი უნდა ყოფილიყო. ამ ქვეყანაში მათ არავინ ჩაგრავედა, ისინი თავს კარგად გრძნობდნენ, სახელმწიფოს სამსახურში მონაწილეობდნენ, ამით ძირითადი მოსახლეობისაგან არ გამოირჩეოდნენ. ამავე დროს, ქართველებისგან, როგორც მინათმოქმედი მოსახლეობისგან თვითონაც სამეურნეო საქმიანობას ეცნობოდნენ და გავლენასაც განიცდიდნენ.

ამრიგად, ჯავახეთში, მართალია, ერთნიკურად და ეთნოკულტურულად უკვე XIX საუკუნიდან სხვადასხვა ეროვნების ხალხმა მოიყარა თავი, მაგრამ რელიგიური ფაქტორის გამო ქართველ-სომეხთა ურთიერთობა და მათი კონტაქტები თანდათან უფრო თვალსაჩინო გახდა. ამავე დროს, მათი, როგორც ქრისტიანულ ხალხთა ურთიერთობის ფონზე საზოგადოებაში ახალი ეთნოფსიქოლოგიური, ეთნოისტორიული, ეთნოსოციოლოგიური და რაც მთავარია, ეთნოლინგვისტური ჩვევები ჩამოყალიბდა; ერთმანეთის მიმართ ქცევის გარკვეულმა წესებმაც იჩინა თავი.

## გამოყენებული ლიტერატურა

- აბრამიძე 1990** – ა. აბრამიძე, მიცვალებულის გლოვისა და დაკრძალვის წესები სამცხე-ჯავახეთში, ძველი და ახალი ქობარეთი, თბ., 1990.
- აბულაძე 1944** – სომხური ლიტერატურული ურთიერთობიდან, თბ., 1944.
- ბერძენიშვილი 1975** – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975.
- ბექაია, 1988** – მ. ბექაია, ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის მეთოდური საკითხები, თბ., 1988.
- გაბაშვილი 1958** – ვ. გაბაშვილი ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს-ში, თბ., 1958.
- თოფჩიშვილი 2013** – რ. თოფჩიშვილი, სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან, თბ., 2013.
- თოფჩიშვილი 2015** – რ. თოფჩიშვილი, ხალხთა მიგრაციები, თბ., 2015.
- თოფჩიშვილი 2017** – რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017.
- იველაშვილი 1981** – თ. იველაშვილი, საქორწინო ურთიერთობების ხასიათი ნიშნობიდან ქორწილამდე სამცხე-ჯავახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, თბ., 1981.
- იველაშვილი 2015** – თ. იველაშვილი, ეთნიკური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში, თბ., 2015.
- ლაფაჩი 1990** – ც. ლაფაჩი, სოფ. ქობარეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ძველი და ახალი ქობარეთი, თბ., 1990.
- ლომსაძე 1975** – შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975
- მაისურაძე 1982** – გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს-ში, თბ., 1982.
- მაკალათია 1938** – ს. მაკალათია, მეხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1938.

- მესხიშვილი 1990** – ც. მესხიშვილი, ქორწინების წესები ჭობარეთში, ძველი და ახალი ჭობარეთი, თბ., 1990.
- ნერსესიანი 2016** – მ. ნერსესიანი, სომხეთი XI-XIV სს-ში, სომეხი ხალხის ისტორია, უძველესი დროიდან 1921 წლამდე, თბ., 2016. წინათქმა, კომენტარები და რედაქცია დ. მერკვილასის.
- სტრაბონი 1957** – სტრაბონი, გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1957.
- ფრონელი 1991** – ალ. ფრონელი (ალ. ყიფშიძე), დიდებული მესხეთი, თბ., 1991.
- ჭეიშვილი 2017** – გ. ჭეიშვილი, ქუეყანა ანისისა, თბ., 2017.
- ჭიჭინაძე 2018** – ზ. ჭიჭინაძე, ყარსის მიდამოების გამაჰმადიანება, ბათუმი, 2018.
- ხოსიტაშვილი 1972** – ს. ხოსიტაშვილი, ქორწინების წესები მესხეთ-ჯავახეთში, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972.
- ჯავახიშვილი 1930** – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია I, თბ., 1930.
- ჯალაბაძე 2016** – ნ. ჯალაბაძე, ქართველთა და სომეხთა სოციალური ყოფა (ურთიერთშედარებითი ასპექტი), თბ., 2016 (ხელნაწერის სახით).
- არუთინიანი 1954** – Арутюнян П. Т. Освободительное движение армянского народа, в. первой четверти XVIII в., М., 1954.
- ვერმიშევი 1889** – Вермишев Х.А. Экономический быт государственных крестьян в Ахалцихском и Ахалкалакском уездах Тифлисской губернии, МИЭБТКЗК т. III, 1886.
- ვოლკოვა 1978** – Волкова Н.Г. Этнические процессы Грузинской ССР, Этнические и культурно-бытовые процессы на Кавказе, М., 1978.
- ერემიანი 1979** – Еремян С.Т. Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья в. IX-XIII вв., "Кавказ и Видения, Т. I, Ереван, 1979.



- ერიცოვი 2010** – Ерицов С.А. Армяне. История, народы, Обычай, Кавказ, 2010.
- „ისტორია...“ 1951** – История Армянского народа I, Ереван, 1951.
- კარაპეტიანი 1950** – Карапетян Э.Т. Выкуп в свадебных обрядах армян и его социально-экономические корни, Ереван, 1950.
- კარაპეტიანი 1950** – Карапетян Э.Т. Армянская семейная община, Ереван, 1950.
- კარაპეტიანი 1958** – Карапетян Э.Т. Армянская семейная община, Ереван, 1958.
- ლალაიანი 1965** – Лалаян Е. Материалы армянской экспедиции, ПК, Л,მ 1965.
- ლისიციანი 1955** – Лисицын С.Д. Очерки этнографии дореволюционной Армении, КЭС, М, 1955.
- მანანდიანი 1943** – Манандян Я. А. Краткий обзор истории древней Армении, М-Л, 1943.
- „ნაროდი“ ... 1962** – Народы Кавказа, II, М., 1962.
- ნოვოსელცევი, პატუშო, ჩერეპნინი 1972** – Новосельцев А.П., Пашуто В.Т., Черепнин Л.В. Пути развития феодализма, М., 1972.
- ტერ-სარქისიანცი 1989** – Тер-Саркисянц А.В., Брак и свадебный Цикл у армян (Вторая половина XIX в – начало XX в) КЭС., IX, М., 1989.
- ტერ-სარქისიანცი 1990** – Тер-Саркисянц А.Е. Армяне. Семейный быт народов СССР, 1990.

## ირმა კვაშილავა

### ქართველი ხალხის ეთნოკულტურული ურთიერთობები სომხებთან სულიერი კულტურის სფეროში (ჯავახეთის მაგალითზე)

კავკასიის (უფრო მეტად სამხრეთ კავკასიის) მითებს, ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს, რიტუალებს მკვლევრები მუდამ ინტერესით ეკიდებოდნენ იმის გამო, რომ კავკასიაში ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და ინტენსიური ურთიერთობების პირობებში ჩამოყალიბებული პალეოკავკასიური, ინდოევროპული და თურქული მოდემის ხალხების სოციოკულტურულ ერთობას საფუძვლად უდევს ეთნიკურ ფასეულობათა ორმხრივი ინფილტრაციის შედეგად წარმოქმნილი ტრადიციული კულტურის ერთგვაროვანი პარადიგმები, იდენტური ღირებულებები (ანთელავა, 2017:5). კავკასიის ავტოქტონი ქართველებისა და აქ გვიან მოსული ინდოევროპელი სომხების სულიერი კულტურა საინტერესოა მითებისა და რიტუალების თვალსაზრისით, რადგან მითოსი სინთეზური ფენომენია, ამიტომ თავისთავად, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი. სახელდობრ, „მითოლოგია ადამიანისათვის გაუგებარ მოვლენებს მისთვის გასაგები თვისებებით ხსნიდა, რთულს მარტივის საშუალებით გადმოსცემდა, საგნისა და მოვლენის არსი გენეზისამდე დაჰყავდა. ამით მითი აუქმებდა გაუგებრობას და საზოგადოებისათვის მისაღებ სამყაროს სურათს გამოიმუშავებდა. ის ქმნიდა ახალ „უმალლეს რეალობას,“ რომელიც ილუზორული იყო, მაგრამ ამავე დროს, რეალურად არსებული და ჭეშმარიტი“ – წერდა მ. ხიდაშელი მითების მაღალ დანიშნულებაზე (ხიდაშელი, 1999:10). რიტუალები, მისივე თქმით, ხშირად მითების ინსცენირებას წარმოადგენდნენ, ხოლო მითები, თავის მხრივ, ხსნიდნენ და ასაბუთებდნენ ამ ცერემონიალის არსს. რიტუალები თანდათან მტკიცდებოდნენ, კანონიკურ სახეს იღებდნენ, დიდ ძალას იძენდნენ და ერთიანი მითოსური ცნობიერების რღვევასთან ერთად, უკვე და-

მოუკიდებელ და მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სოციუმის ცხოვრებაში (ხიდაშელი, 2001:295).

კავკასიის ხალხთა მითოსში, მათ შორის ქართულ და სომხურში ერთ-ერთ უძველეს და უმთავრეს ღვთაებად მზე გვევლინება, რომელსაც ადრე ქართველები თაყვანს სცემდნენ. იგივე ითქმის მთვარეზეც. კოლხურ-ელინური ეპოსის მითიური წარმომადგენელი, კოლხი აიეტი მზის ღმერთის – ჰელიოსის ვაჟია. სამეგრელოს მითოლოგიას ასევე შემორჩა უძველესი ინდოირანული ღვთაების – მითრას კულტის ნაშთები. მითრას თვალს, მზეს ეძახდნენ, რაც მზიურ კოლხეთში მისი კულტის პოპულარობას ამართლებს (გელოვანი, 1983:39).

შემთხვევითი არ არის ის, რომ საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის გზაჯვარედინზე იმყოფება, სადაც „გადაიკვეთება აღმოსავლური (არაისტორიული) და დასავლური (ისტორიული) მსოფლმხედველობები. ამიტომ, ბუნებრივად ითვლება უძველესი ქრისტიანული ტრადიციების ქვეყნად“ (აბაკელია, 1997:3).

აღნიშნული ნაწილობრივ სომხებსაც ეხება. სომხურ მითოლოგიაში მზის პერსონიფიცირებული სული – არევი, ასევე პოპულარული იყო. არევის კულტი, რომელიც უძველესი დროიდან იყო გავრცელებული, ხალხურმა შელოცვებმა და ფიცის ფორმულებმა XX საუკუნემდე შემოინახა (ანთელავა, 2017:89). შედარებისთვის ქართული დაფიცების ერთ-ერთი ვარიანტი – „ღედის მზეს ვფიცავარ“ და მისთანა ქართულ სინამდვილეშიც გვიანობამდე შემორჩა. სომხურ წარმართულ პანთეონს ციური სიმართლის, სიკეთის მზიური ცეცხლოვანი ღმერთი – მიჰრი ჰყავდა, არამაზრდის ვაჟი... ქრისტიანულ ეპოქაში მან ტრანსფორმაცია განიცადა და მირქმის დღესასწაულს დაუკავშირდა (ანთელავა, 2017:439).

ქართულ ტრადიციულ კულტურაში ზედისმწერლები//ზედისმწერალნი (ქიზიყ.) ძველი ხალხური რწმენით, ადამიანის ბედ-იღბალს წინასწარ განსაზღვრავდნენ, რასაც დაბადებისთა-

ნავე შუბლზე აწერდნენ. ასე განისაზღვრებოდა ახალშობილის მომავალი ხვედრი, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ბედი, თუ უბედობა. ადამიანთა ბედის წინასწარმეტყველი სულელები, თუ რაღაც ძალა სომხური „გროლი“ – ჩამწერი, მწერალი დაბადებისთანავე აწერდა ბედს ახალშობილს შუბლზე, ან საგანგებო წიგნებში ინიშნავდა (ანთელავა, 2017:194). საინტერესოა ისიც, რომ შუბლწანერიანი (მეგრულად „სივიაჭარე“) ადამიანი თავისი კუთვნილი ცხოვრებით იცხოვრებს ამქვეყნად, ხიფათისაგან დაზღვეული. არიან ისეთებიც, რომლებსაც არ გააჩნიათ შუბლზე წარწერა (მეგრულად „უვიაჭარე“) და ისინი თავისი ბუნებრივი სიკვდილით, თავისი დღით არ კვდებიან (ცანავა, 1990:41). ქართული ენის ლექსიკონი მდიდარია ბედ-იღბლის შინაარსის მომცველი ტერმინებით, როგორიცაა: ბედკეთილი, ბედკრული, ბედოვლათი, ბედშავი, ბედუკუდმართი, ბედობა, ბედის ამარა, ბედის მაძიებელი, ბედმა გაულიმა, ბედისკვერები და მისთანა. ყოველივე ეს მიანიშნებს ბედისმწერლების, ბედისწერის უძველეს წარმოდგენებზე, რომელიც ქრისტიანობამ განგების, დაბადებლის ცოცხალ რწმენას, ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი ორიენტაციას დაუკავშირა. ბედისწერა არ არის ის, რაც ადამიანს შეემთხვა, არამედ ისაა, რასაც ადამიანი საკუთარ სულში ატარებს თავად (კ. გამსახურდია). რაც შეეხება ბედის კვერებს – უახლოეს წარსულში საახალწლო რიტუალის შემადგენელი იყო, რომელსაც ქართველები და სომხები ოჯახის ყველა წევრისათვის აცხოვდნენ და მარჩიელობდნენ კიდევაც (ანთელავა, 2017:144-147; 194). მაგალითად, სომხური რიტუალური პური „ქრქენი“ ბედობა დღეს (4 იანვარს), საქართველოში კი მისი ანალოგიური ფიგურალური პური – კვერი, ჯავახეთში ბედობას (2 იანვარს) ცხვებოდა (ანთელავა, 2017:674). „ქრქენში“/“კრკენში“ გულად ნიგვზის მარცვალს, კურკას, ვერცხლის მონეტას (ჯავახეთში მას „ფულის პურს“ ეძახდნენ) დებდნენ, ვის პურშიც ის აღმოჩნდებოდა, მისთვის ბედნიერი წელი დგებოდა.

კავკასიაში უძველესი მსოფლმხედველობრივი კულტურული ერთობა არაერთგზის გამოვლინდა არქეოლოგიური კულტურების, თუ ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე; ასევე, მითორელიგიურ წარმოდგენებშიც. მაგალითად, როგორცაა ამინდის მართვის რიტუალები, ავადმყოფობასთან დაკავშირებული ღვთაებები თუ დემონოლოგიური პერსონაჟები, სამონადირეო თუ საგმირო ეპოსი... აღსანიშნავია, რომ კავკასიაში ამინდის მართვის რიტუალებს შორის საყოველთაოდ გავრცელებული აღმოჩნდა გვალვის დროს სოფლის ქალების შებმა გუთნეულში და წყლის სიმბოლურად მოხვნა, რაც ნაყოფიერების ძალების პროვოცირებისაკენ იყო მიმართული (სიხარულიძე, 2006:142-143). გარდა ამისა, გვალვის დროს, კათოლიკე ქართველებს მღვდლის საშუალებით ეკლესიიდან ხატის გამოტანა და მინდვრად გასვლა სცოდნიათ. წმინდა ხატის ეკლესიიდან გატანის რიტუალს ასევე, მესხეთ-ჯავახეთში მოსახლე სომხებიც ატარებდნენ. ისინი სასაფლაოზე სიმღერით მიდიოდნენ, აქედან კი, ხატს ისევ ეკლესიაში აბრუნებდნენ (ჯალაბაძე, 1972:31). წვიმის გამოწვევის რიტუალის მთავარ პერსონაჟად აგრეთვე, გვევლინება დედოფალა, სომხურად „ნურინი“, იგივე მეგრულ-აფხაზური „ძივავა“-„ძივოუ“. რიტუალის შინაარსი და ფორმა იმდენად იდენტურია, რომ ასეთი დამთხვევა შემთხვევითი არ იქნებოდა. კერძოდ, გოგონები შეიკრიბებოდნენ, ცოცხს თოჯინასავით მორთავდნენ და წყლის ჭურჭლით ხელში მთელ სოფელს მოატარებდნენ სიმღერით. პროცესიას ასაჩუქრებდნენ სურსათ-სანოვავით, რასაც შემდგომ მდინარის პირას გაშლიდნენ და ღვთაებებს ბარაქიანობას ევედრებოდნენ. საერთო ჯამში, ეს სამინათმოქმედო კულტის რიტუალებისათვის იყო დამახასიათებელი (ანთელავა, 2017:493; სიხარულიძე, 2006:145). წვიმის გამოსწვევი რიტუალის მთავარი პერსონაჟი თუშეთშიც დედოფალა ყოფილა. გადაჯვარედინებულ ჯოხს პატარძლის სამოსით გამოანყობდნენ, გრძელ ტარს გაუკეთებდნენ და მალა აწეულს სოფელში კარდაკარ დაატარებდნენ. თან საავდრო სამ-

ღვთოსთვის საფულე ფორს, სანთელ-ზედაშეს მოკრებდნენ და სადიდებელს იტყოდნენ (ცოცანიძე, 1987:150).

წყლის სტიქიის დემონური პერსონაჟის ფუნქციები ერთმანეთს ემსგავსება ქართულ-სომხურ წარმოდგენებში იმ განსხვავებით, რომ წვიმის გამოწვევა და შეწყვეტა წყლის დედაზეა (მეგრ. „წყარომ დიდა“) დამოკიდებული (სახოკია, 1959:15). წყლის პატარძალი, სომხურად – „ჯრაჰარსი“, სომხური მითოლოგიის წყლის ქალი თევზის კუდითა და წყალმცენარის მსგავსი თემებით წყლის ქვეშეთში ცხოვრობს. ის სალამოობით პერიოდულად ჩნდება წყლის ზედაპირზე გაშლილი თემებით, ხიბლავს მამაკაცებს, იტყუებს წყალში და ახრჩობს (ანთელავა, 2017:841). წყლის დედა ადამიანს რომ დაახრჩობს, კოკისპირული წვიმა წამოვა და მანამდე არ გადაიღებს, სანამ წყლის დედა თავისი მკერდიდან არ მოიშორებს დაზარალებულს და მდინარის პირას არ გამორიყავს (სახოკია, 1959:15); ამიტომ, სამეგრელოში გადაუღებელი წვიმიანი ამინდის დროს იტყვიან ხოლმე: ვინმე ხომ არ დამხრჩვალა უბედური, ეს რა ავდარიაო. ზ. თანდილავას მიერ სამცხე-ჯავახეთში ჩანერილი მასალის მიხედვით, წყლის ოქროსთმიანი ქალი მისი სილამაზით მოხიბლულ მსხვერპლს ახრჩობს. იგი წყალში წელს ქვემოთ თევზის ფორმისაა, ხოლო ხმელეთზე ადამიანის მსგავსია, ამიტომ აცდუნებს მნახველებს (თანდილავა, 1978:24).

წარმართობისდროინდელი წყლის მფარველი ღვთაების – წყლის დედის სახე და ფუნქციები ქრისტიანიზაციის შედეგად თანდათან დაკნინდა. თ. შიოშვილმა დაასკვნა, რომ სამეგრელოს მითოლოგიაში „წყლის დედა“ – „წყალთა მეფედ“ ნოდებულის, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში „წყლის ქალად“, შემდგომში კი – „წყლის ალად“, „ალად“, „ალქაჯად“ იქცა (შიოშვილი, 1980:68). ალი ძალზე აქტიური სახეა, როგორც ავსული, რომელსაც სომხური „ალქი“ – დემონური პერსონა შეესაბამება. სომხები მათ წინააღმდეგ (ორივე სქესის არსებებია) სხვადასხვა სახის ამულეტებს იყენებდნენ (ანთელავა, 2017:64). ასევე,

სამეგრელოში „ალის კბილად“ წოდებულ ავგაროზს, გახვრეტილ ფულს, ავი თვალის სანინაალმდეგოდ აკვანზე ჩამოჰკიდებდნენ (მაკალათია, 1941:272). კიდევ ერთი უჩვეულო თვისება, რაც საერთოა ქართულ-სომხური, დემონური პერსონაჟებისათვის არის „კოჭუკუდმართობა;“ მაგ., თუშეთში წყლის დედა, ხევსურეთში ნადირთ მწყემსი ქალი, ტყის ქალი კახეთში. მათი უცნაური გარეგნობა მნახველებში ძვალ-რბილის დამშლელ შიშს იწვევდა (თათარაიძე, 1998:121). „ჩარქი“ (სომხ.) გამოიყენებოდა იმ ბოროტ სულთა კატეგორიისათვის, რომლებიც იყვნენ ტერფშემობრუნებული ზოო და ანთროპომორფული არსებები. ისინი ფსიქონერვულ დაავადებებს იწვევდნენ (ანთელავა, 2017:725). აღნიშნული სნეულება, ხშირად შიშით, გაურკვეველი შფოთვით ეუფლებოდა ადამიანს. ძველ ქართულში „ავადმყოფობა“ მხოლოდ დაავადებას არ გულისხმობდა, არამედ საერთოდ ცუდად ყოფნას... თუკი „კარგად მყოფი“ სიკეთეში მყოფს ნიშნავდა, „ავადმყოფი“ – ავი სულების ტყვეობას გულისხმობდა, ანუ ადამიანის სხეულში ავი სული, ავი ძალა იყო შეჭრილი, რომლის გამოსადეგნად შელოცვებსა და მაგიურ ქმედებებს ასრულებდნენ (სიხარულიძე, 2006:61). მაგ., ბატონებისადმი მიძღვნილ რიტუალში ცეკვაც იყო ჩართული. მის ერთ-ერთ ძველ და პოპულარულ სახეობას – საფერხულე (განსაკუთრებით, წრისებრი) სიმღერებს და ცეკვებს სასწაულმოქმედი, სამკურნალო თვისება გააჩნდა (სიხარულიძე, 2006:64). „ფერხული ქართულ ჯგუფურ ცეკვას ეწოდება, როდესაც ხელიხელჩაკიდებული მოცეკვავენი წრეს უვლიან და თან საცეკვაო სიმღერას დასძახიან“ (ქართული, 1986:444). ფერხული საკრავიერი მუსიკის თანხლებით, სამცხე-ჯავახეთში საქორნილო რიტუალებში გამოვლინდა. სახელდობრ, ნეფე-დედოფლისადმი ფერხულით მიგებება, შვიდი წყვილი ფერხული (შვიდი წყვილი ბედგამოუცვლელი ცოლ-ქმარი), მამაკაცთა ფერხული (მინდაძე, აბაკელია, 1990:45). საფერხულოები – ტრადიციული კოლექტიური ცეკვები სომხებმაც იცოდნენ. უფრო მეტიც, ამ ცეკვის მოთავეს „პა-

რაბაში“/“პარბაში“, ხოლო დამხმარეს – „ოგნაკანი“ ერქვა (ან-თელავა, 2017:509). აღსანიშნავია, რომ ჩერქეზეთში მცხოვრები სომხები ყვავილბატონებისას მფარველ სულს ავედრებდნენ ავადმყოფს. ბატონები – სახადი დაავადება ისეთი გავრცელებული იყო კავკასიაში, რომ მას მრავალფეროვანი რიტუალები მიეძღვნა. მაგ., ჯავახეთში ბატონები რომ ადვილად მოეხადა ავადმყოფს, შეუთქვამდნენ: „თეთრი ტანსაცმელი ჩავაცვათ და ისე მივიყვანოთ თქვენს კარზეო.“ წმ. ბარბალეს ბატონების დედას უწოდებდნენ, ამიტომ წმ. ბარბალეს სახელზე აგებულ ეკლესიაში მიდიოდნენ. თან სამხთო/სალმრთო ტარიგი მიჰყავდათ (ზედგინიძე, 1946:35). სხვადასხვა აღთქმა-შეთქმის გამო, დიდ დღეობებზე სალმრთოების შეწირვა ჯავახეთში სომხებმაც იცოდნენ. მაგ., ბარალეთში ამალლების დღეობაზე, სომხური სოფლებიდან მოდიოდნენ, სალმრთოები მოჰყავდათ – ცხვარი, მტრედები, ვისაც რა ჰქონდა შეთქმული. „დედალი სამღვთოდ არ შეიძლება. სამღვთოა, რასაც გულში გაივლებ. ზოგს ისეთი მაგარი შეთქმა აქვს, რომ მუხლის ჩოქვით ადიოდნენ სალოცავში“ (ჩუბინაშვილი, 1987: რვ. 3).

ერთ კულტურულ გარემოში მცხოვრებნი, მათ შორის სომხები, ითავისებდნენ კავკასიელების წეს-ჩვეულებებს და პირიქით. ამიტომ, ხშირად ბევრი მსგავსება შეიმჩნევა. სახელდობრ, ავადმყოფობის გამომწვევი წმინდანის სახელის დადგენის ერთ-ერთ მაგიურ წესს მესხეთში „ფითილის დახვევა“, ხოლო სომხეთში – „ფითილის დადგმა“ – „ფიხთა დნელი“ ეწოდება. ავადმყოფობის გამომწვევი წმინდანის დასადგენად, ფითილის დამხვევი დედაკაცი თითისტარს ბამბის ფითილს, ან მატყლს გადაახვევდა ორკეცად, თან ასახელებდა მაცხოვარს და წმინდანებს. შემდეგ ამ ფითილიან ხელტარს (თითისტარს) „გადახილავდნენ“ წყლით სავსე ჯამზე და მასზე დააფარებდნენ „ფეშქირს“ (პირსახოცს) და ცოტა ხანს დააცდიდნენ. ზოგჯერ სამ ფითილს ახვევდნენ. ასახელებდნენ დედისა და მამის ხატებს. შემდეგ აიღებდნენ თითისტარს და რომელი ფითილიც



თავისით გამოიხსნებოდა და ჩამოვარდებოდა, ავადმყოფიც ამ ხატისაგან იყო დამიზნებული (მაკალათია, 1938:112). უპირველესად, ცხადია, „დამამიზნებელი“ ხატის სალოცავში მიდიოდნენ, ავადმყოფიც მიჰყავდათ, მსხვერპლს სწირავდნენ საკლავის სახით და გულმოდგინედ ავედრებდნენ მას. ანალოგიურია სომხურად „ფითილის დადგმა“ ოდნავ განსხვავებული დეტალებით (ანთელავა, 2017:634).

ავადმყოფობისაგან საკურნებლად არაფერს დაზოგავდნენ, მაგრამ თუ ადამიანი გარდაიცვლებოდა, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საცხოვრებელი რიტუალები წლის მანძილზე მინც უსაზღვროდ მრავალრიცხოვანი იცოდნენ. სულის ამოსვლის დღიდან დაწყებული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მთასა და ბარში შესანდობარი და მისაგებელი იყო ყოველივე, რასაც ჭირისუფალი, ახლობლები გაიღებდნენ. ამის მიზეზი სულეთის არსებობის მყარი რწმენა იყო, რომელსაც საიქიოს გამგებელიც ჰყავდა. იმქვეყნად ახლადგარდაცვლილს „მგებრები“ – ახლო ნათესავები ხვდებოდნენ, ეგებებოდნენ, შეუძღვებოდნენ. მთაში ხშირად გაიგონებთ, „კარგი ძმები მყავს იმ სამზეოში“-ო, ბარად კი, – „იქ ერთმანეთი მოგეძებნოთ, ერთად ყოფილიყავით, როგორც აქ განუყრელად ერთად ცხოვრობდით“-ო. ის „სამზეო“ ზუსტად ისე წარმოედგინათ, როგორც ეს „სოფელი“ და ცდილობდნენ არაფერი დაკლებოდათ. ხანდაზმულები-საგან არაერთგზის გამიგია – „სანამ შენ ამას მიაღწევ, მე იმქვეყნად ვიქნები“-ო.

მიცვალებულის სულის სურვილების განმცხადებელი „მესულთანეც“ კი განაჩინა ქარველმა კაცმა; რაოდენ უსაზღვრო იყო მისი წადილი, გარდაცვლილის სულთან კავშირი ნებისმიერ ფასად შეენარჩუნებინა. ასევეა, სულის სახელის, გარდაცვლილის სახელის დარქმევის წესი არდავინწყების მიზნით, საკრალური დანიშნულებით; ამავე მიზეზით ხდებოდა მიცვალებულის ნიშნის დაფენა სამოსის „ფლასის დაგება“ (თუშურ.), „სულის ტალავარი“ (ხევს.); მის აღებამდე მიცვალებულის სახელზე ყოველკვირეული ტაბლის დადგმა მისი გარდაცვალების დღიდან;

სულის ხუცესის წმინდა მოვალეობა – მიცვალებულის, მკვდრის რიგის კურთხევა, მისი სულის ცხენის დაკურთხება, ზოგადად, მიცვალებულის კულტის სამსახური.

სულის „დახსნის“ – სიკვდილის ადგილიდან გარდაცვლილის სულის წამოყვანის მისტიკური რიტუალი, რომელმაც აქამდე მოაღწია და ომის შემდგომ აფხაზეთში (გალის რ-ნი) მას ამ სტრიქონების ავტორიც ესწრებოდა.

„სულის საჯსარი“ (ხევის.), მიცვალებულის ცოდვების მოსანანიებლად დასაკლავი საქონელი იყო, რომელიც ორმოცზე ან წლისთავზე იკვლებოდა; საკლავის შეწირვა საღმრთოს სახით უძველესი ტრადიციაა. ბიბლიაში მოხსენიებული პირველი მსხვერპლი, რომელიც ადამიანმა ღმერთს შესწირა, ადამის შვილის – მართალი აბელის მიერ დაკლული საკლავი იყო (შექმნათა 4,4). ძველი აღთქმის ეკლესიაში, ღმრთისმსახურების ასეთი ფორმა, მღვდელმოქმედების საყრდენს შეადგენდა. მსხვერპლშეწირვას რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა. დაკლულის სისხლის პკურებით ისრაელს ცოდვები მიეტივებოდა (ლევიტ. 14, 14-16) (ეპისკოპოსი ნიკოლოზი, 1998:57). საღმრთოს დაკვლის ტრადიცია ფორმით დღესაც იგივეა, მაგრამ სხვა შინაარსს ატარებს. მაგ., ზოგჯერ არ დაიკვლება, მონყალების სახით შეიწირება.

სრულად ვერ ჩამოითვლება რიტუალური სანესო პრაქტიკის ყველა დეტალი, რასაც მიცვალებულთა სულის საცხონებლად მიმართავდა ქართველთა წინაპარი, რომელიც „მახვილითა და სახნისით“ ქმნიდა ამ კულტურას, სულის უკვდავების, რწმენის კულტურას, რომელიც ქრისტიანობამ სხვა სიმაღლეზე აიყვანა. მაგ., „სულეთის საგზალი“ (თუშეთ.) – საიქიოში მიმავალი მიცვალებულისთვის საგზლის მომზადება; „სამონანული“ (თუშეთ.) – სულის მოსახსენიებელი სუფრა, რომელსაც ჭირისუფალი წლების გასვლის შემდეგ რომელიმე მარხვისას გადაიხდიდა გარდაცვლილის სულის საოხად (ცოცანიძე, 1987:102). ნიშანდობლივია სულთა შაბათი (ლექსუმში). მთავარანგელოზობას

(ახ. სტ. 21 ნოემბერს) რომ შაბათი მოსდევს, სულთა შაბათია. ამ დღეს სადილობამდე სუფრა უნდა „წაედგათ,“ ღვინოს „წო-უზედაშებდნენ: ღმერთო, განათლებაში ამყოფე ჩემი ძველი და ახალი მკვდარიო“ (გარდაფხაძე-ქიქოძე, 1995:47). ამავე მხარე-ში – ლეჩხუმში „სულის გახსნაზე“, ანუ „ხელის გახსნაზე“ უსათ-უოდ ცხვარი უნდა დაეკლათ, ასევე, გოჭი და ქათამი. თუ ახლა რამე დააკლდა მიცვალებულს, მერე სულ დაკლებული ექნებაო. აქაც „წოუზედაშებდნენ: ღმერთო, გამინათე ჩემი მკვდრის სუ-ლი, ამიერში დამეკარგა, იმიერში ნათელში მიმყოფე“ (გარდაფ-ხაძე-ქიქოძე, 1995:50). „სულის ახსნა“, იგივე „მკლავის გახსნა“ (გურია, იმერეთი) გურიაში დაკრძალვიდან მესამე, ხოლო იმერ-ეთში – მეშვიდე დღეს უწევდა. სამგლოვიარო მარხვის მოხსნი-სას ჭირისუფალი ხორციანს იგემებდა (ანთელავა, 2017:594). ნ. აბაკელიას აზრით, „მკლავის ახსნა“ გულისხმობს გარდაცვლი-ლის სულის მოსვლას ცოცხალ ახლობლებთან, „ხელის გაშლას“ და „ჭამადის“ მოთხოვნას, რის დაკმაყოფილებასაც ისინი ასე თავგამოდებით ცდილობენ (აბაკელია, 1997:155).

საერთოდ, გარდაცვლილთა სულებისთვის განკუთვნილი ტაბლა-საკურთხების სიმრავლე მოსახსენიებელ დღეებსა, თუ დღესასწაულებში არა მარტო ქართველებში, არამედ ზოგადად, კავკასიაში, მათ შორის სომხებში, მრავალფეროვან სანესო კერძებსაც გულისხმობს. თუ ადამიანი საიქიოში აგრძელებს ცხოვრებას და იქ ყველაფერი ისევეა როგორც ამქვეყნად, სა-კითხავია, რატომ არა აქვთ თავიანთი საჭმელი და გაუგებარია, ცოცხლებისაგან მოცემულით რატომ იკვებებიან. საქმე იმაშია, რომ მიცვალებულები ინარჩუნებენ ცოცხლებისადმი მტრობისა და მეგობრობის გრძნობას, ამიტომ სააქაოს დარჩენილები მსხვერპლშენირვით იმადლიერებენ მათ (სიხარულიძე, 2006:241). სომხებსაც ასევე სწამდათ, რომ სიკვდილი არ იწვევს ადამიანის სამუდამო გაქრობას, არამედ იგი სიცოცხლის ერთი ფორმის მეორეში გადასვლაა, ამიტომაც მიცვალებულს უსათ-უოდ სჭირდება კვება. ამას გარდაცვალებიდან პირველივე

დღეს იწყებდნენ. დაკრძალვიდან მეორე დღეს ჭირისუფალი საფლავზე გადიოდა, რასაც „ეკნაპოლი“ ერქვა. მიცვალებულის სახელობის სუფრები მისი გარდაცვალებიდან მე-7, მე-40 დღეს და წლისთავზე იმართებოდა (ანთელავა, 2017:242). გარდა აღნიშნულისა, მიცვალებულთა ხსოვნის დღეები სომხ. „მეღელონი“ ხუთი დიდი საეკლესიო დღესასწაულის – ქრისტეშობის, აღდგომის, ფერისცვალების, ღვთისმშობლის მიძინებისა და ამალღების მეორე დღეს აღინიშნება (ანთელავა, 2017:429). ღვთისმშობელ მარიამის მიძინების დღე შუა აგვისტოს, კვირა დღეს აღინიშნება. სომხური ეკლესიის მიერ დაწესებული წმ. მარიამისადმი მიძღვნილი რვა დღესასწაულიდან მარიამობას ყურძნის აკიდობით მიდიან და ახალ მოსავალს ღვთისმსახურს აკურთხებინებენ (ანთელავა, 2017:410). საქართველოს ეკლესია აღნიშნულ მსახურებას ფერისცვალებას – 19 აგვისტოს აღასრულებს, ხოლო ღვთისმშობლის მიძინებას – 28 აგვისტოს. აღსანიშნავია, რომ „მარიობას“ რაჭაში დიდი უქმე იყო. შვიდი სულის პურის გამოცხობა ყველიანი, ან ქაღიანი წესად ჰქონდათ ძველი თუ ახალი გარდაცვლილისათვის (გარდაფხაძე-ქიქოძე, 1995:83). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთში დიდი ხატობა – „ღვთისმშობლობა“ მარიამობას იცოდნენ, რომელიც ყველაზე ძლიერ და პატივსაცემ ვარძიაში იმართებოდა. აქ სალოცავად შორეული კუთხეებიდანაც მოდიოდნენ, ღამეს ათენებდნენ, საკლავს კლავდნენ და გულმოდგინედ ევედრებოდნენ წმ. მარიამს (მაკალათია, 1938:112). „ყველა ერთად მივდიოდით, გარჩევა არა გვქონდა უნინ“ – ასე ირწმუნებიან მესხეთში ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის მასპინძლები და მართლაც საერთო ბევრი გვქონია სომხებთან. მაგ., მაცხოვრის დაბადების აღნიშვნა სომხური საშობაო აღილოთი – „ავეთისით;“ მეალილოების კარდაკარ სიარული და ოჯახებისათვის ქრისტეშობის მილოცვა (ანთელავა, 2017:33). ქრისტეშობის მახარებლებს სომხებიც ასაჩუქრებენ მადლიერებით. „ავეთისს“ ასევე, უწოდებდნენ მაცხოვრის აღდგომისადმი მიძღვნილ ხალხურ სიმღერებსაც და ას-

ობით ავეთისი არსებობდა (ანთელავა, 2017:33); სააღდგომოდ, აღდგომის წინა დღეს, უფრო ზუსტად დიდმარხვის ბოლო კვირას საქართველოს აღმოსავლეთ მხარეებში ჭონაზე სიარული ლექსაობით და სიმღერით ჩვეულებრივი საწესო რიტუალი იყო. ისინი ოჯახებს მოივლიდნენ და დასაჩუქრებულნი კმაყოფილნი რჩებოდნენ როგორც სტუმრები, ისე მასპინძლები. ს. მაკალათიას ჭონაზე სიარული მესხეთის ძველ ქართულ ჩვეულებებში აქვს განხილული (მაკალათია, 1938:108). ამ მხარეში ასევე სცოდნიათ ბერიკაობა, რომელსაც ყველიერში (თებერვალ-მარტში) ასრულებდნენ. ეს ხალხური თამაშობა-წარმოდგენა წარმართული დღესასწაულია. მსგავსი საწეს-ჩვეულებო რიტუალი ყველიერში „ხან-ფამას“ სახელწოდებით სომხებმაც იცოდნენ (ანთელავა, 2017:786). მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ შვიდკვირიანი სომხური დიდმარხვის პირველი დღე მომდურავთა შერიგებით, მეთემეთა შორის მშვიდობისა და თანხმობის დამყარებით ხასიათდებოდა (ანთელავა, 2017:430). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ამავე დანიშნულებით, დიდმარხვის წინა დღეს შენდობისა და მიტევების წესს აღასრულებს.

ამდენად, ერთ კულტურულ გარემოში თანაცხოვრებამ ბევრი საერთო გაუჩინა უძველესი კულტურის მატარებელ ამ ხალხებს – ქართველებსა და სომხებს. საწესო რიტუალების დანიშნულებას ოჯახების მფარველობა, ნაყოფიერება, კეთილდღეობა და სხვა კეთილშობილური მიზნები წარმოადგენდა. მსგავსი წეს-ჩვეულებების თუ რწმენა-წარმოდგენების დამთხვევა როდის და როგორ ხდებოდა მაინც საიდუმლოდ რჩება თავისი არქაულობის გამო, ამიტომ დღეს შედარებით მარტივი დამთხვევების ახსნაც გვიჭირს. მაგ., ყველიერში ქალიშვილებისათვის გამომცხვარი მლაშე კვერის შექმა, რომ ძილში მისთვის საბედოს წყალი დაეღვეინებინა, „ვეძიკვერა“ ქიზიყში (მენტე-შაშვილი, 1943:45); ანალოგიური გავრცელებული იყო სომეხ ახ-

აღგაზრდებში სუბ-სარქისის დღესასწაულზე (ანთელავა, 2017:599).

ასევე, რთულია ერთი შეხედვით სრულიად მარტივი ჟესტების ახსნა, რომელსაც ზოგიერთი ამაოდ მორწმუნე დღესაც მიმართავს სამეგრელოში, როცა მიცვალებულზე საუბრობენ და ვინმე დააცემინებს. ამ უკანასკნელს ყურს ცოტათი აუწევენ ამ სიტყვებით – „ჩვენი ხარო, ჩვენთან დარჩებიო,“ ე. ი. მიცვალებულმა რომ არ წაიყვანოს, ასეთი უწყინარი ჯესტით იმშვიდებენ თავს. საოცარია, რომ სომეხთა რწმენით, „წვერქი“ – მოძრაობა და ჟესტთა ერთობლიობა, ადამიანს ავსულებისაგან, გათვალვისაგან, ჯადოქრობისაგან, ავადმყოფობისაგან იცავდა. როდესაც ბავშვის თანდასწრებით ავადმყოფობაზე ლაპარაკობდნენ, ბავშვს ყურებს აუწევდნენ, რომ იგივე არ დაემართოსო (ანთელავა, 2017:482). ასეთი ნიუანსები, დამთხვევები ნებისმიერი კულტურის დონეზე მყოფი არამეზობელი ხალხების ყოფაშიც უხვად შეიძლება მოიძებნოს, მაგრამ ეს უსათუოდ შემთხვევითი იქნება.

მითოსური აზროვნებიდან მოყოლებული კავკასიური კულტურის სახეები, სიუჟეტები, ტიპოლოგია ერთგვაროვან სურათს ქმნის. მაგ., „თონრი ჰსაკი“ – „ჯვრისწერა კერასთან,“ რომელიც ზანგეზურსა და მთიან ყარაბახში იმ შემთხვევაში სრულდებოდა, თუ სოფელში ეკლესია არ იყო, ახალგაზრდები საქორწილო ასაკის არ იყვნენ, ეკლესიაში მიცვალებული ესვენა და სხვა. მთავარია, რომ ჯვრისწერას კერასთან საეკლესიო ჯვრისწერაზე მაღლა აყენებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ „თონირი“ მათ კვებავს, ათბობს და წმენდს (ანთელავა, 2017:320). საკურთხევლის მაღალი დანიშნულება კერის კულტით ჰქონდათ ჩანაცვლებული, ასე სწამდათ, სანამ ქრისტიანობა გავრცელდებოდა. კერის კულტი ცალკე თემაა. კერა პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, გადატანითი აზრით არის ადგილი, სადაც რაიმე წარმოიშვება, საიდანაც შეიძლება გავრცელდეს რამე. მაგ., კულტურის კერა, ომის საშიში კერა... კერის გაცემა ხომ ოჯახის მოშლას ნიშნავდა (ქართული, 1986:263). ენა სანი-

მუშოდ ინახავს მისი მატარებელი ხალხის კულტურის უნივერსალურობას. აქვე დავამატებ იმასაც, რომ მიცვალებულის ხსენებისას, გარდა იმისა, რომ მის სულს შენდობას შეუთვლიდნენ და შეცოდებებზე თითქმის არაფერს ამბობდნენ თუ რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არ ჰქონდათ, მას მხოლოდ „სულმნათი,“ „სულკურთხეული,“ „ცხონებული,“ „ნეტარხსენებული“ და მსგავსი ეპითეტებით მოიგონებდნენ; ამით მსმენელის, გარდაცვლილის და საკუთარი თავის პატივისცემას ერთდროულად გამოხატავდნენ. მსგავს მაგალითებს სომხური ენის საგანძურადან ვერ დავასახელებ, მაგრამ უსათუოდ მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ სომხურად „სურბი“ წმინდას, სინმინდეს, სამლოცველოს ნიშნავს. ასე უწოდებდნენ სომხები საოჯახო სამლოცველოს, რომელიც სახლში ჰქონდათ მოწყობილი. ტერმინი მიუთითებს არა ნაგებობაზე, ან სინმინდეთა სათავსოზე, არამედ იქ არსებულ სინმინდეზე, სახელდობრ, „ოვანესის კუთვნილი სახარების ადგილი“, „სალოიანების წითელი სახარება“ და ა. შ. ამ სინმინდის წინ ანთებდნენ სანთლებს, ლოცულობდნენ და მსხვერპლშენიშვას ასრულებდნენ (ანთელავა, 2017:599). საოჯახო სამლოცველოს მსგავსი ტიპოლოგიური ნაგებობა გვხვდება საინგილოში. ძველად, მტრის ხშირი შემოსევების დროს, ცალკეულ ოჯახებში ეკლესიებიდან საეკლესიო განძეულობის გახიზვნის ტრადიციამ, არალეგალური ქრისტიანული სამლოცველოებისა და წმინდა ადგილების მოწყობამ საინგილოს ქართული მოსახლეობის ნაწილი ეროვნული გადაგვარებისაგან იხსნა. ერთ-ერთ ასეთ საოჯახო სამლოცველოს „ხუციანთ ოთხთავი“ წარმოადგენს. ხუციშვილების ოჯახში თაობიდან თაობას რელიქვიად გადაეცემოდა წმინდა ოთხთავი, რომელსაც ხალხში „ხუციანთ ოთხთავს“ უწოდებდნენ. „ეს ოთხთავი საეკლესიო ნივთებთან ერთად კიდობანში იყო ჩასვენებული, რომელიც ამ სინმინდისათვის აგებულ მომცრო შენობაში იდგა.“ სახლი და კიდობანი დღესაც არის შემონახული, მაგრამ თვით სახარება – „ხუციანთ ოთხთავი“ და სხვა სინმინდეები 30-იან წლებში მთავრობის წარმომადგენლებმა წაიღეს (თორია, 2003:107).

ირკვევა, რომ კავკასიელთა ეთნოკულტურული ნიუანსები ისეთ სიახლოვეს ავლენენ, როგორც ქართველი მთიელების სულიერი საკითხების ურთიერთმიმართება იძლევა ხოლმე. იგივეს თქმა შეიძლება გაკავკასიელებული ეთნოსების მაგალითზე, რომლის დასტურს ზემოთ აღწერილი მითებისა და რიტუალების მცირე მიმოხილვა წარმოადგენს. ამიტომ, კავკასიელ სომხებს უფრო მეტი სიახლოვე ჰქონდათ ადგილობრივებთან, ვიდრე „თვისტომთან.“ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იმონებებს ი. კანადეევის წიგნიდან ამონარიდს სომხების შესახებ. კერძოდ, „ოსმალეთიდან გამოქცეული სომხები ისეთი ცუდი და უმადური ხალხია, რომ კავკასიელმა სომხებმა სამადლობელი პარაკლისი გადავიხადეთ, როდესაც რუსეთის მთავრობამ უკან დააბრუნა ისინი ოსმალეთში“-ო (გაზეთი, 1902:2). ამ ცნობის უტყუარობაზე ვერაფერს დავამატებ. საკვლევი საკითხის გაშუქებისას მხოლოდ ჰუმანური მიზნები დავისახე. იგივე ამოდრავებდათ ჩვენ წინაპრებს, რადგან მათ მთავარ პრინციპად ქრისტეს რჯული – ქრისტიანული მრწამსი აირჩიეს. მათ სწამდათ, რომ ბიბლიური სიბრძნე საზოგადოების ყოველგვარ პრობლემას მშვიდობიანად აგვარებს. თუმცა, რჯული მაშინ არის კეთილი, თუ ვინმე ჯეროვნად იყენებს მას (ტიმოთე 1:7-8) (ახალი აღთქუმაჲ, 2005:400).

ქართველებისა და სომხების სარწმუნოებრივმა უთანხმოებამ რადიკალურად შეცვალა ყოველივე. რადგან VI ს-ში სომხების გავლენიანი წრეები აღმოსავლეთის ქრისტიანობას და მონოფიზიტობას მიემხრნენ, ქართველებმა კი – დასავლეთის ქრისტიანობასა და ქალკედონის კრებას დაუჭირეს მხარი, ქართველ და სომეხ სამღვდელოებასა და სამწყსოს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რომელიც 607 წელს, სრული განხეთქილებით დამთავრდა. ამავე დროიდან, ქართული ეკლესიისა და წმიდანთა თაყვანისცემის გაეროვნულება იწყება. მაგრამ ეს პროცესი მხოლოდ შემდეგში გაძლიერდა და იმდენად განმტკიცდა, რომ ქართულ ეკლესიას თავისი განსაკუთრებული სახე და ელფერი მიეცა (ჯავახიშვილი, 1966:304). ივ. ჯავახიშვილი განიხი



ლავს რა საქართველოს ისტორიის მთავარ ეტაპებს და მისი განვითარების კანონზომიერებას, დაასკვნის, რომ აღმოსავლეთის ქრისტიან ერთა შორის მხოლოდ ქართველებმა შეძლეს ადრეულ შუა საუკუნეებში მხატვრული მწერლობისა და საერთო პოეზიის შექმნა: „არც ბიზანტიელებს, არც სომხებს, არც ასურელებს მაშინ არაფერი ამის მსგავსი არ ჰქონიათ“ (ჯავახიშვილი, 1966:309).

გავიხსენოთ აზერბაიჯანელი კლასიკოსი ნიზამი განჯელი „ლეილმეჯნუნიანში“ – „შეაბი ქალსა მახვილი წელზე/ქალად დარჩება ის სარეცელზე“; „თუნდ ძუ ლომივით ჰქონდეს მას ძალი/მაინც ქალადა შობილა ქალი.“ რუსთაველი ამაზე უპასუხებს: „ლეკვი ლომისა სწორია...“ სამართლიანად კითხულობს მკვლევარი: განა შეიძლება ამაზე შორს წასვლა? დასავლეთ ევროპაში, ქალში ამ დროს ხედავდნენ ევას ბოროტის სანყისს, ხოლო საქართველოში ბოროტისაგან გამომხსნელ იესოს დედას, ღვთისმშობელს, რომლის წილხვდომილადაც რუსთაველის ეპოქის დასაწყისში გამოცხადებული იქნა საქართველო (კეკელიძე, 1956:13). ჩვენი კულტურის ზენიტი – რუსთაველის ეპოქა ფასეული იმითაც იყო, რომ ქართულმა კლასიკურმა ეპოქამ ეროვნული კულტურის აღორძინებასთან ერთდ, შეითვისა ყოველივე მონინავე და პროგრესული, რაც კი მაშინდელ აღმოსავლეთსა და დასავლეთს მოეპოვებოდა (ცაიშვილი, 1986:17). ამიტომ, ყველგან და ყველაფერში იგრძნობა, რომ ოფიციალური რელიგიის ჩარჩოები ვეღარ აკავებს თავისუფალი აზრის მძლავრ შემოტევას (ცაიშვილი, 1986:6). ამ დიდი ისტორიულ-კულტურული მშენებლობის შედეგია იმდროინდელი ქართული ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური სახე, რომელიც აერთიანებდა მთელ კავკასიას.

საქართველოში არ გაურბოდნენ დინასტიურ ნათესაურ კავშირს რუსებთან, ბერძნებთან, ოსებთან, სელჩუკებთან, ხვარაზმელებთან, სომხებთან და სხვასთან, სადაც მაჰმადიან პოეტებს, სუფიებს და მწერლებს თავშესაფარს უშენებდნენ, პენსიას უნიშნავდნენ და ყოველნაირად მფარველობდნენ. აქ, სწო-

რედ ამ გარემოში შეიძლებოდა წარმოშობილიყო ძმობისა და მეგობრობის ქადაგება საკაცობრიო იდეალების სამსახურისათვის, განურჩევლად ეროვნებისა – „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (კეკელიძე, 1956:10-11). ასეთი ოქროს ხანა აღარ განმეორებულა, მიუხედავად იმ გავრცელებული შეხედულებიდან გამომდინარე, რომ „ისტორია მეორდება.“ ამის მიზეზი გასაგებია: დასავლეთ ევროპასთან შედარებით, აღმოსავლეთი იმით იყო უბედური, რომ ამ დროს ევროპას ხალხთა დიდი გადმოსახლების შემდგომ უკვე ადამიანთა მოძრაობის სტიქიური ძალა აღარ უნახავს და მისი მყუდრო ცხოვრება და კულტურული განვითარება ამგვარი შემოსევის ტალღებს აღარ ნაუღეკავს. აღმოსავლეთი, განსაკუთრებით სპარსეთი, მცირე აზია და კავკასია საუკუნეთა განმავლობაში ამგვარი გამანადგურებელი სტიქიონის მსხვერპლი მრავალჯერ ყოფილა. ამის გამო, მისი სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების განვითარების ბუნებრივი მიმდინარეობა არაერთხელ შეწყვეტილა (ჯავახიშვილი, 1956:310). ხაზარები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, ოსმალები, ყიზილბაშები... რა არ იღონეს მტრებმა, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე კავკასიელებს ქედი ვერ მოახრევიანეს; ქართველმა ხალხმა თავის ისტორიულ მიწა-წყალზე განვლო ეთნიკური, პოლიტიკური, თუ კულტურული განვითარების თითქმის ყველა ეტაპი და ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარე, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაცია სახელმწიფოებრივი ერთობით დაგვირგვინდა. სახელმწიფოს გამაერთიანებელი აქტიური ძალა ქრისტიანული რელიგია და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია აღმოჩნდა, რომელმაც კულტურული ერთობის განმტკიცებით ეროვნულ ერთიანობას შეუნყო ხელი. ისე როგორც სხვაგანაც, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა ხშირად ქრისტიანული რელიგიისათვის ბრძოლის სამოსელში ეხვეოდა (კაჭარავა, 1966:12). ასე იყო არა მხოლოდ უწინ, არამედ სახელმწიფოებრივი წყობილების ყველა ეტაპზე, ასეა დღესაც. რელიგია სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს და იმავდროულად ექვემ-

დებარება სახელმწიფო პოლიტიკას. გამოიარა რა ქვეყანამ საშინაო და საგარეო კრიზისი, ყველა განსაცდელს გაუძლო, იცავდა რა ტერიტორიულ და კულტურულ ერთობას. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია რელიგიური შემწყნარებლობა იყო, რაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ქართველი მემკვიდრეები (ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები) ქართველების დადებითი და უარყოფითი თვისებების შეფასებისას, მათ უცხოთ შემწყნარებლობას გამოყოფდნენ, რაც ადამიანთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის გარანტიას წარმოადგენს. საფიქრებელია, რომ საქართველოში ძველთაგანვე არსებული რელიგიური თავისუფლება ხომ არ იყო ქართული უცხოთშემწყნარებლობის საფუძველი? „თუ ქართველობა, ამოდენა დევნისა, ტყვევნისა და მუსრისაგან დარჩა და ისევ ცოცხალია და არა აღიგავა მიწისაგან პირისა, მიზეზი იყო ეს ძვირფასი ხასიათი ქართველებისა – შეწყნარება და შეთვისება უცხო მორწმუნეთა და ეროვნებათა“ (ანტონ ფურცელაძე). ქართველების ეთნოფსიქიკაზე კეთილისმყოფელი გავლენა ქრისტიანულმა საეკლესიო მოძღვრებამ მოახდინა, სახელდობრ, ეკლესიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთობას, თანხმობას, ერთსულოვნებას და არა გაყოფას, დათითოკაცებას, რადგან ეშმაკი ჰყოფს, ღმერთი აერთიანებს. რაც შეეხება შემწყნარებლობას, დღესაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართველებს განსხვავებული აღმსარებლობის გამო პრობლემა არა აქვთ ეთნიკურ უმცირესობასთან; მაგალითად, ჯავახეთში მცხოვრებ ქართველებს სომხებთან, ან კათოლიკებთან, რაც წელს კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა საველე მუშაობისას დავაფიქსირეთ. მაგალითად, სოფელ ნიგორში 1951 წელს დაბადებული ლია ლონდარიძე გვარწმუნებს, რომ „პრობლემა სომხებთან ამჟამად აქაურ ქართველებს არა გვაქვს, არც კუმურდოში, ყველგან მშვიდობაა. საეკლესიო დღესასწაულებს – მარიამობას, კვირაცხოვლობას აღვნიშნავთ; სომხები ცალკე აღნიშნავენ თავიანთ დღეობას. ბალები არა გვაქვს გაყოფილი, ჩვენი თუთა იყრება იმათზე ან პირიქით. მეზობლები ვართ, რო-

გორ იქნება; სომხები ქირაობენ ქართველებს კარტოფილის მოსავლის აღებისას იმიტომ რომ შემოსავალი მეტი აქვთ, კარტოფილი ბევრი აქვთ.“ სოფელ ხიზაბავრაში, მისივე თქმით „მეტი წილი კათოლიკეა. კათოლიკეებსა და ქრისტიანებს (მართლმადიდებელ) ჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ, მისვლა-მოსვლა, გამოთხოვება“ (კვაშილავა, 2023). სხვა მთხრობელიც იგივეს გვიდასტურებს: „ქორწინებიან აქაური ქართველები (მართლმადიდებლები, ი. კ.) კათოლიკეებზე, თხოვდებიან სომხებზეც, მაგრამ თავს იკავებენ. სოფელ დამალაში (ასპინძა) მართლმადიდებელი სომხები არიან, მათ იმდენი ხილი არა აქვთ. ჩემს ახალგაზრდობაში ჩვენგან ყიდულობდნენ, მათგან ჩვენ ხორბალს ან ქერს ვცვლიდით. სომხებთან რა არ გასაღდებაო, ვამბობდით. თათრებზეც კარგს ამბობდნენ, სანამ გაასახლებდნენ (1944 წელს), მაგრამ თათრები სულ მტრად მიგვაჩნდნენ. მამამთილის ხუთი ძმა თათრებს შეენირა, ამიტომ არ ენდობოდნენ თათრებს, ისეთი გამწარებული ვყავდით. ამბობდნენ, თათარს რჯული მრუდე ჰქონდა, სიტყვა – სწორი“-ო.

„ჯავახეთში ქართველები მიცვალებულს მესამე დღეს კრძალავდნენ, მხოლოდ სამი ჭიქით შეუნდობდნენ ქელეხზე. სასაფლაოზე კვირაცხოვლობას გადიოდნენ. აღდგომას, არც ჯვარცმას (პარასკევს) არ გავდივართ“ (სოფელი სარო, ლენა მიქელაძე-ასპანიძე, დაბ. 1943 წელს). ამ ფრაგმენტული ჩანაწერებიდან მკითხველი უსათუოდ შეამჩნევს მესხეთის მკვიდრთა მტკიცე ხასიათს, რაც მათი პატივისცემისაკენ გიბიძგებს. ყველასთან მშვიდობის მომტან დადებით თვისებებს ეძებდნენ, რადგან ვინ იყო ჩვენი მოყვარე?! ჩვენი წინაპრების დიდი გამოცდილება ამ საქმეშიც უტყუარია. მაგალითად, თათრებზე ასეთი აზრისანი იყვნენ: „სომხებს გარეგნულად მაინც ვიცნობთ, თათრები ვინ არიან, რა არიან? ისინიც ჩვენი მეზობლები არ არიან? ჩვენსავით კავკასიელები არ არიან? განა კავკასიის განათლება, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება მათი ინტერესიც არ არის?“ როდესაც ერები ერთად ცხოვრობენ და ახლა

ინყებენ კულტურულ ცხოვრებას, მათთვის ძნელია საერთო ცხოვრების, თანხმობის, ერთმანეთის უფლებების დაცვის პირობების შემუშავება. ბევრი დაკვირვებაა ამისთვის საჭირო, მეტი გამოცდილება, მეტი შეგნება (გაზეთი, 1902:3). ამიერკავკასიის მცხოვრებნი: სომეხნი, ქართველნი და თათარნი შეერთებულნი არიან თავიანთი ქვეყნების ერთგვარი ინტერესებით ზნეობრივად, საზოგადოებრივად და ეკონომიურად. მათ ერთმანეთი უნდა შეისწავლონ, ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილება უნდა იქონიონ და ესმოდეთ, რომ მათი ყოველი ინტერესი საზოგადოა. რაც ერთისთვის სასარგებლოა, მეორისთვისაც იგივეა. რაც ერთს ავნებს, მეორესაც დააზარალებს (გაზეთი, 1889:2). შეიძლება, ისე გამოვიდა, რომ წარსულით უფრო ვცხოვრობთ, ვიდრე აწმყოთი, ან მომავლის იმედით. სამოქალაქო საზოგადოებაში წინსვლა უნდა წარიმართოს წარსულთან კავშირის გაუნყვეტლად, კულტურის განვითარება ხომ ძველი მიღწევების გათვალისწინებით მიმდინარეობს.

ჩვენი ექსპედიციის მასპინძლები დაუფარავად აღნიშნავენ, რომ სოფელ გოგამენში მხოლოდ ორი აჭარელი ოჯახია. დანარჩენები ადგილობრივ მოსახლეობას ვერ შეეგუენ და აჭარაში წავიდნენ. „სომეხებს შევეგუეთ, ქართველებშიც ხომ არის ხანდახან პრობლემები. სიძე მყავს სომეხი – დის ქმარი. სომეხს თუ ნაჰყვა, გვარი მათია და მათ ეკუთვნის. ჩემი სიძე გრიგორიანი იყო და გადაინათლა; ბავშვები ქართულად გაიზარდნენ; სკოლა, განათლება – ქართული; ამჟამად, მართლმადიდებელი სომეხები არიან. მათ შეუძლიათ იყვნენ მართლმადიდებელი ბავშვის ნათლია. სომეხებს არ ეთაკილებათ ჩვენთან დღეობაზე მოსვლა. სომხურ ეკლესიაშიც შეიძლება სანთელი დაანთოს კაცმა ქართველმა. ვანთებთ კიდევაც. ნათქვამია – „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე!“ სუფთა ქართული სოფლებიც არის და შერეულიც. აი, ბავრა ქართველები იყვნენ მამა-პაპანი. კუმურდოში სომეხების არაფერია. თვითონ ყველაფერზე იძახიან ჩვენი. აქაურმა სომეხებმა (იგულისხმება სოფელი ოკამი) ქართულიც იციან, სომხური ჩვენც ვიცით, თათრული –

არა. სკოლა ქართულ-სომხური ერთ შენობაშია. სოფელ ქარცოხიდან სომეხი ბავშვები ამ სკოლაში დადიან. დაპროექტებულია, სამომავლოდ სკოლა ცალ-ცალკე გვექნება. 120-150 კომლი თუ იქნება სოფელში“ (მთხრობელები: გ. ხოსიტაშვილი, 65 წლის; ტ. ოქრუაძე, 64 წლის, სოფელი ოკამი).

საინტერესო ფენომენია ის ფაქტი, რომ საქართველოში ქრისტიანობა და ეროვნულობა ერთმანეთთან იყო გაიგივებული და შესაბამისად, სარწმუნოებისათვის ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას ნიშნავდა. ამავდროს, უცხო კულტურის, სხვა აღმსარებლობის ქრისტიანებთან და სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან მუდამ თავისუფალი ურთიერობა ჰქონდათ, ღია და გამჭვირვალე. როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არც ქართველებსა და აღარც ეთნიკურ უმცირესობებს (მაგ., სომხებს) განსხვავებული აღმსარებლობის გამო პრობლემები არა აქვთ და კონფლიქტი რელიგიურ ნიადაგზე, ცხადია, არ მოსვლიათ იმიტომ, რომ თანაცხოვრების გამო, ყოფით კულტურაში ბევრი რამ მსგავსი ჰქონდათ, ან თანდათან დაემსგავსა. სოფელ ბარალეთში (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი) ქართველები და სომხები მეგობრულად ცხოვრობენ და ამ მეგობრობას გაფრთხილება უნდა – შეგვახსნებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. ამ მხარეში მოგზაურობისას იგი ასევე იხსენებს ე. წ. სამამულო ომის პერიოდს. „ომიანობის დროს, ორჯონიკიძეში ჩვენს მეზობლად ერთი სომხის ოჯახი ცხოვრობდა და ეს მეზობელი მოკლეს. ისეთი დრო იყო, რომ სასაფლაოზე დაკრძალვა არ ხერხდებოდა; სთხოვეს ბიძაშვილებს, მიცვალებული მათ ეზოში დაესაფლავებიათ, მაგრამ მათ უარი თქვეს, მამაჩემმა კი, საკუთარი სახლის ეზო-ბაღში დაამარხინა“ (სრულიად, 1988:41).

ძლიერი მსგავსება შეინიშნება სადღესასწაულო ციკლში, ტრადიციულ სამოსში, ფოლკლორულ გადმოცემებსა და რწმენა-წარმოდგენებში (ჯანიაშვილი, 2021:217). ასეა ქვემო ქართლში. მიუხედავად სომხური და ქართული ეკლესიების ურთი-

ერთგანსხვავებისა, საუკუნეთა მანძილზე სომხებმა ქართველებთან მაინც მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს (ჯვალაბაძე, 1987:15). თუმცა, სომხების მიერ ეკლესიების მისაკუთრება – პროზელიტიზმი „არ ახალია, ძველია.“ როგორც აქაურმა კათოლიკე ღვთისმსახურმა გვიამბო, „სომხურ და კათოლიკურ ეკლესიებსაც აქვთ ჩამორთმეული ეკლესიები. ამ და სხვა მიზეზით კათოლიკეები ახლა გადადიან მართლმადიდებლობაზე. მისი თქმით, პროზელიტიზმი ხდება, რაც სამწუხაროა, მაგრამ მშვიდობიან ხასიათს ატარებს, თუმცა, ამის გამო, პრეტენზიები აქვთ მთავრობასთან“ (ხიზაბავრელი ღვთისმსახური დ. მაზნი-აშვილი – კათოლიკე). სხვა სახის რაიმე პრეტენზია მთავრობასთან არა აქვთ, ვინაიდან ქვემო ქართლში ხელისუფლების მხრიდან არავითარი შეფერხება და ზეწოლა არ არის (ქვემო ქართლსა, 2014:8).

საჭიროდ მიგვაჩნია, სომხურ და კათოლიკურ პროზელიტურ მოღვაწეობაზე აღინიშნოს ის, რომ მესხეთში, ხშირ შემთხვევაში, ქართველ კათოლიკეთა მრევლს სომეხ კათოლიკეთა წარმომადგენლები, ან გასომხებული ქართველები წინამძღვრობდნენ. ასეთი ვითარება ქართველ კათოლიკეებში სრულ დაბნევას იწვევდა, რადგან მეტყველებდნენ ქართულად, მაგრამ აიძულებდნენ ელოცათ სომხურად, ადიდებდნენ რომის პაპს და ცხოვრობდნენ თურქული პოლიტიკის გავლენის ქვეშ. „...შოვინისტი კათოლიკე მოძღვარნი ყველაფერს აკეთებდნენ ქართველ კათოლიკეებს დაევიწყებინათ მშობლიური ენა, გვარი, წარმომავლობა და სომხებად გამოეცხადებინათ“ (ლომსაძე, 2011:492). საკითხავია, მაშინ ქართველ კათოლიკებს რომელ მთავრობასთან ჰქონდათ პრეტენზია, ვინ შეისმენდა...

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის კანონმდებლობამ გააუქმა საქართველოში ძველთაგანვე არსებული რელიგიის თავისუფლება. კერძოდ, მან აკრძალა მართლმადიდებლური სარწმუნოების შეცვლა კათოლიკურად. მიუხედავად ამისა, საქართველოში მყოფი კაპუცინები მაინც განაგრძობდნენ კათოლიციზმის პროპაგანდას საგანმანათლებლო მუშაობის ხაზით,

თითქოს, მხოლოდ კათოლიკეთა შორის. ასეთი პროპაგანდის ერთ-ერთ საშუალებად ისინი თვლიდნენ სკოლას, რომელიც XVII-XVIII სს-დან ჰქონდათ (თავიშვილი, 1948:96). ე. წ. საზაფხულო სკოლა ჯავახეთში კათოლიკურ ეკლესიასთან ამყამად, ჩვენც დავაფიქსირეთ, მათი გულითადი მასპინძლობაც აღსანიშნავია.

ეროვნული უმცირესობის ინტეგრაცია საქართველოში სახარბიელო არ ჩანს. კერძოდ, 2012 წლის კვლევები აჩვენებს, რომ ქვემო ქართლში მცხოვრებნი 6 წელზე უფროსი ასაკის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების 71,5 % ვერ ლაპარაკობს სახელმწიფო ენაზე (ეროვნული, 2017:20). აღნიშნული კვლევისაგან განსხვავებით, ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სომხურ მოსახლეობაში, მაგალითად, ხაჩინში (შერეული სომხურ-აზერბაიჯანულ-ქართული მოსახლეობა) პირიქით დაგვარწმუნეს, რომ ინტერნეტით და სხვა თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებით ახალგაზრდები უკეთ ეუფლებიან ქართულს, რელიგიის მიმართ დაინტერესება იზრდება ადგილობრივ ახალგაზრდებში, ხოლო ოჯახებში მშობლიური კულტურა და ტრადიციები შენარჩუნებულია (კვაშილავა, 2017). ამის დასტური ისიც არის, რომ ლიად მიგვიღეს, გაგვიმასპინძლდნენ, ინტერესით მოეკიდნენ საერთო სატკივარს და პრობლემებს. შეუძლებელია, არ მოგვაგონდეს წინა საუკუნის (XIX საუუნე იგულისხმება, ი. კ.) მოვლენები: „თბილისის ქართველი სომხობა ანგარიშობდა, სთვლიდა, ციფრების მაგიერ ქართული ანბანით სწერდა. რა გავლენა უნდა ჰქონოდა სომხის აქაურ ჯგუფს ქართველებსა და მათი ისტორიის მსვლელობაზედ, როდესაც თავისი გადაივიწყეს და შეისწავლეს ქართული ენა, ჩვეულება, წერა-კითხვა და თვით წირვაც კი მოაწყვეს ქართულად“ (გაზეთი, 1903:2). საქართველოში იდენტობის ნარატივების მკვლევრებმა გაზეთ „მშაკის“ XIX ს-ის მასალების მიხედვით, შეადარეს ქართველების, სომხების როგორც ეთნიკური/კულტურული ერთობის დამოკიდებულება სხვა ეთნიკურ ერთობა-



თა წევრებთან. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც განასხვავებს ქართველებს სომხებისაგან, ეს არის მაღალი ეროვნული თვითშეგნება, რომლის მთავარი დამცველი არც რელიგიაა, არც ეროვნება, არამედ სამშობლო და მშობლიური ენაა. „...რამდენად ძლიერია ეროვნული თვითშეგნება ქართველებში, რომ მათ თავიანთი ენის მეშვეობით შეუძლიათ შეიერთონ სხვა ერისა და სხვა რწმენის ადამიანები, ხოლო სომხებს არა აქვთ უნარი თავიანთი მოძმე, მაგრამ განსხვავებული რელიგიის მქონე პიროვნებებთან ეროვნული კავშირი დაამყარონ“ (ჩიქოვანი, ჩხეიძე, წერეთელი, 2008:159). გაზეთ „მშაკის“ ამ მოსაზრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაეთანხმოს მკითხველი, რომ ქართველებში ეროვნული თვითშეგნება ისეა განვითარებული, რომ ამ მხრივ მათ სხვა რომელიმე ეროვნება ძნელად თუ შეედრება (უორდროპი, 1993:44). მარჯორი უორდროპი კარგად იცნობდა ქართველებს და ამიტომ სწორად შეაფასა მათი ეთნოფსიქოლოგია, როცა დაწერა – ისინი ბუნებით ერთგულები არიანო. არც მაშინ შემცდარა, საქართველოში მოგზაურობის შემდეგ ქართულ სოფელს შემდეგი სტრიქონი რომ მიუძღვნა: „ძნელად წარმოსადგენია ისეთი სიმშვიდე ჰპოვო სადმე, ვიდრე ქართულ ულამაზეს სოფელში“ (უორდროპი, 1993:42, 44).

ცნობილია, რომ სომხებმა საქართველოში ჩამოსახლება უფრო მეტად XVII ს-ის დამდეგს დაიწყეს. სომეხ ხალხს ქართველი ხალხი ძმურად იღებდა და თვშესაფარს აძლევდა. XVII-XVIII სს-ის საქართველოში დასახლებული სომხების უმრავლესობა ისე გაქართველდა, რომ ძნელია მათი გარჩევა ქართველებისაგან, რადგან ენა, ზნე-ჩვეულება, ჩაცმა-დახურვა და მრავალი სხვა ქართველებისაგან გადმოიღეს და შეითვისეს (გონგაძე, 1959:26). ჯავახეთში ჩამოსახლებული სომხების საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი გენეტიკურად და ტიპოლოგიურად, სამხრეთ ქართულის ანალოგიურს წარმოადგენს. რატომ? მათ ადგილზე დახვდათ ქართველებისაგან მიტოვებულ ნასოფლარებში საცხოვრებლად ვარგისი კომპლექსები

და მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც მზამზარეული აითვისეს, ნაწილი კი – თავიანთი მოთხოვნილებებისამებრ გადააკეთეს (ჩიქოვანი, 1982:35). ეს პროცესი დღემდე გრძელდება, მაგრამ ჩვენი წინაპრების მიერ ოფლისა და სისხლის ფასად იმდენი მატერიალური ძეგლი იყო დატოვებული სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე, რომ სომხებმა ვერ შეძლეს სრულიად მოესპოთ ამ კუთხეში ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების უტყუარი მოწმეები... ამათგან მხოლოდ ვარძიის, ხერთვისის და კუმურდოს დასახელებაც კმარა (მეტრეველი, 2010:42). ამიტომ რელიგიურ დღესასწაულებზე, ჭირსა და ლხინში ქართველი კაცი უპირველესად ღმერთს ადიდებდა და მერე წინაპრებს, ვინც ქრისტიანობა და ქართველობა შემოგვინახა. ნუთუ არაფერს ნიშნავს რუსთაველის სამშობლოში – მესხეთში დიდად გავრცელებული „ძმადნაფიცობით“ ან „ძმობილობით,“ „დადნაფიცობით“ ან „დობილობით“ დანათესავება? საქართველო „არის ესე,“ „არ დავინყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“ (ხოსიტაშვილი, 1983:11).

საქართველოში ურთიერთთანადგომა და თანაგრძნობა ტრადიციად დასტურდება. თვითონაც მრავალჭირვარამგადატანილი მოსახლეობა ადვილად ითავისებს სხვის გასაჭირს. სიყვარულით თუ არა, სიბრალულით მაინც განენყობა დაზარალებულისადმი. საქართველოში სხვა ხალხების ჩამოსახლება იმ მიმე პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა, რომელშიც ქართველ ხალხს მოუხდა ცხოვრება. ჩამოსახლებული ლტოლვილი მოსახლეობის ნაწილი მაინც დაკარგულის სრულად აღდგენას ცდილობს და უანგაროდ ეუფლება დამხვედურთა მონაპოვარს, სულიერს თუ მატერიალურს. ბოლნისის სომხურ მოსახლეობას არ დაუმაღავს, რომ ისინი ხაჩინში სომხეთიდან არიან გადმოსახლებული, მაგრამ კითხვაზე – „რომელი საუკუნის ტაძარი მოჩანს?“, „ემშაკმა იცისო“ – ერთმა მათგანმა ასე გვიპასუხა. არც თავისი ვინაობა გაამხილა, მაგრამ ის კი გვიაშბო, რომ წელიწადში ერთხელ ერეგნიდან მღვდელი ჩამოდის და აქაურ ბავშვებს სომხური რჯულით ნათლავსო (კვაშილავა, 2017).

ძალიან მძიმეა ლტოლვილთა ხვედრი, დათრგუნულნი გამოიყურებიან, ძნელად ენდობიან ვინმეს, საბოლოოდ კი – ბედს ეგუებიან. მესხეთში შერეული ოჯახები აქვთ – ქართულ-სომხური; ზოგს სიძე ჰყავს სომეხი. სიძე-სიმამრს ჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს, იმიტომ რომ ოჯახებში ტრადიციული კულტურა შენარჩუნებულია, მაგრამ ხანდახან რალაც გამოხტომები აქვთ სომხებს, – გულისტკივილით გვიამბობენ ქართველები; სხვა რესპუბლიკაზე საუბარი, როცა საქართველოში ცხოვრობ, შრომობ, წინ მიდიხარ, მხოლოდ ამბიციებიანო (კვაშილავა, 2023).

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ეთნიკური ქართველები მოსახლეობის საერთო რაოდენობის 83,8 %-ს შეადგენენ, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფები 15,2 %-ია (რეკომენდაციები, 2008:5). სამცხე-ჯავახეთის სპეციფიკურობა განაპირობა ორი ეთნიკური ჯგუფის დომინირებამ. ქართველები და სომხები კომპაქტურად ცხოვრობენ აღნიშნული რეგიონის ორ ნაწილში. ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების მოსახლეობა, ძირითადად, ქართულია, ხოლო ახალქალაქისა და ნინოწმინდის – სომხური. ახალციხეში კი, ქართველებსა და სომხებს შორის თანაფარდობა 60/40-ზეა (საქართველოს, 2005:15). სომხური მოსახლეობის ჯავახეთში გადმოსახლება XI-XII სს. უწინ უნდა მომხდარიყო ეთნოკულტურული გარემოს შეცვლის გარეშე (ჭეიშვილი, 2017:50). მათ მნიშვნელოვანი კულტურული კვალი ისე დატოვეს, რომ უძველესი (XV ს.) სომხური ხელნაწერები ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება. ბოლო ხელნაწერი XIX ს-ით თარიღდება და მოიცავს მწერლობის ყველა დარგს, რომლებიც საინტერესოა თემატური თვალსაზრისით. აქვე უნდა ითქვას, რომ მუზეუმში ქართულ ხელნაწერთა კოლექცია 100 ხელნაწერს ითვლის და

რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია დაცული (ივ. ჯავახიშვილი, 1989:3, 145).

ახალქალაქის ისტორიულ მუზეუმში, არა მარტო სომხური ხელნაწერები, არამედ საღვთისმეტყველო წიგნებიც მხოლოდ სომხურენოვანი ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ძველად ყველა სოფელში ერთი, ორი (ხშირად მეტი) ეკლესია-სამლოცველო იყო. ამის გათვალისწინებით, ადვილი წარმოსადგენია, ვინ ვიყავით ჯავახეთში და რა ვართ ამჟამად (სრულიად, 1988:41, 43). დღევანდელი მესხეთის მდგომარეობა უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ (იგულისხმება 1988 წ.), გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ სამცხე-საათაბაგოში უნინ 13 საეპისკოპოსო არსებობდა.

აქ, მესხეთში ქართველი კათოლიკეები სომხურ კათოლიკურ ეკლესიას ექვემდებარებოდნენ და ისინი სომხებს მიაწერეს. ისიც საკითხავია, რა ნიშან-თვისებით მიიჩნევენ ისინი თავს სომხებად, ან ქართველებად? წარმოშობის, მშობლიური სალაპარაკო ენის, ადათ-წესების, ტრადიციების რელიგიური მრწამსის თუ მოქალაქეობის მიხედვით. ჩვენი მთხრობელები ჯავახეთიდან ირწმუნებიან, რომ სომხებს თუ მიმართავ „შე სომეხოო,“ სწყინთ. „შე ქართველო, მე არ მწყინს რომ მეტყვიან,“ ამით განვსხვავდებითო. კიდევ ის დაამატეს, რომ სასკოლო ასაკში სომხების შვილებმა ქართული იციან, მაგრამ მშობლები უშლიან მეტყველებას ქართულად. თუ ისწავლა, რატომ არ უნდა ილაპარაკოს? დუხობორებს, რუსებს, კათოლიკე ქართველებს სომხებთან მეტი ურთიერთობა ჰქონდათ.

განსხვავებული სურათი გვაქვს აჭარლებთან. სოფელ ოკამის აჭარლები ძალიან იცავენ მაჰმადიანურ რწმენას. მამაკაცები კი, მაგრამ ქალები ღორის ხორცს არ ეკარებიან. როგორც აჭარლებს, მაჰმადიანებს ცივად მოიხსენიებენ ჩვენი მასპინძელი მესხები (კვაშილავა, 2023).

რაც შეეხება მაჰმადიან ქართველებს, ისინი უკვე ქართველად აღარ მიიჩნეოდნენ და აღარც თვითონ მიიჩნევდნენ ას-

ეთებად თავიანთ თავს. XIX ს-ის ცარიზმის მიერ ჩატარებული აღწერებიდან კარგად ჩანს „თათრებად“ ჩაწერილი მოსახლეობის ქართული წარმომავლობა, ხშირ შემთხვევაში კი, მათი ადრინდელი ქართული გვარებიც (თოფჩიშვილი, 2013:59-60). რუსეთის მთავრობამ მესხეთში არა მხოლოდ ქართველების გათურქების პროცესი დააჩქარა, არამედ როგორც ქრისტიანთა გვარამაძე მოგვითხრობს, ეკლესიებში ქართველ კათოლიკებს ქართულად ლოცვა აუკრძალა. ქრისტიანულ წიაღში რომ დარჩენილიყვნენ, „უღიარებიათ ღვთისმსახურებს საწმენოებით სომეხი კათოლიკენი ვართ დედაენა კი ქართული გავექსო.“ 1882 წელია. ივანე გვარამაძეს დაუმტკიცებია ქ. ახალციხეში ჩამოსულ გრაფ იგნატიევისათვის, რომ მხოლოდ ახალციხის, ახალქალაქის ქართველი კათოლიკები ლოცულობენ სომხური ტიპიკონით, ხოლო გორის, თბილისის – ლათინურად და ქართულად. მათ ყველა ეკლესიას ქართული წარწერები აქვს, ყველა საეკლესიო ნივთს კი – ქართული ნიშან-თვისების დამახასიათებელი ნიშნები. თვითონ ხალხი შეხედულებებითა და ეთნოგრაფიული ჩვენებით ქართველები ვართო. მას საუბარი ახალქალაქის ოთხ სოფელზე ჰქონია: ბავრა, ხულგუმო, კარტიკამო და ტუცხი. ამ უკანასკნელში არზრუმიდან გადმოსახლებული რამდენიმე სომეხი კათოლიკე ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო ყველა დანარჩენი ქართველი კათოლიკეა. მხოლოდ ავტოკეფალიის აღდგენის დღეს (1917 წლის 25 მარტი) მიეცათ საშუალება ქართველ კათოლიკებს ქართულ ენაზე ლოცვა-გალობა შეესრულებინათ (ჯვარიძე, ლაფაჩი, 2018:90, 93).

ფოლკლორულ ჩანაწერებში ნათლად ჩანს აქაურების ენით გამოუთქმელი ტკივილი. მაგ., კლარჯთა საანდაზო მეტყველებას ღირსსახსოვრად შემორჩენია მონატრება თვისტომთა – „ქართველი იყოს და ტალახიანი იყოსო.“ თუ როგორი რთული იყო მესხეთში მოსახლეობის ურთიერთობები მოარულ გამოთქმებშიც შეიმჩნევა: „კათოლიკიშვილო!“ „ებრაელიშვილო!“ „შეგიუარის შვილო!“ „შე ერმენის შვილო!“ (ერმანი/ერმენი – სომე-

ნი თურქ.); ან წყევლა – „გასასახლებლო“ (შოიშვილი, 2017:38, 388).

გვაგონდება ოჯახის კეთილდღეობის, ფუძის სალოცავი ისე როგორც თემის, სოფლის, გვარის, ხეობის ნაკლები მნიშვნელობისა არ იყო. მაგალითად, ქართული/მეგრული სალოცავი ოდაბადე „ჩემს ფუძეზე დამაბერეო,“ გამჩენს ავედრებდა მამულს, კერას, მიწას, საფიცარს... ერთგვარი სიამაყე მაინც არასოდეს სტოვებდა, დამარცხებისას არ ეცემოდა, გამარჯვებისას თავბრუ არ ეხვეოდა – „ჩვენ არსაიდან მოსულები არ ვართ, აქაც საქართველო იყო“ – უთქვამს სახალხო მთქმელს კლარჯეთში (შოიშვილი, 2017:38).

ასევე, მდიდარი წარსულით და სამეურნეო კულტურული ტრადიციებით ამაყობენ ქართველები: „თურქი ცხენის ზურგიდან არ იყო ჩამოსული ჩვენ ყანას ვთესდითო“ (იდენტობისა, 2010:60). რუსები თუ რამეს დასცინოდნენ, ჩვენ თავაუღებელ შრომა-საქმიანობას და არა მარტო ჩვენსას. ისინი საქართველოს დაცინვით სიმინდის რესპუბლიკას, აზერბაიჯანს – საზამთროს და სომხეთს ფორკლის ქვეყნებს უწოდებდნენ (ჯვარიძე, ლაფაჩი, 2018:144). სამაგიეროდ, ქართული მიწის მადლი სომეხ დრამატურგს – სუნდუკიანელს თავისი გვარის სახელით სანიმუშოდ გამოუთქვამს ქართველი მწერლის – რაფიელ ერისთავის იუბილეზე, როდესაც პერსონალურად უდღეგრძელებიათ: „მე კერძო სადღეგრძელოს ღირსი არა ვარ დღეს, რადგან ყოველივე ამისთანა სადღეგრძელო მარტო ჩვენს იუბილარს ეკუთვნის. ამასაც მოგახსენებთ ჩვენი გვარის მაგივრად, რომ ჩვენ საქართველოში აღზრდილი სომხები ქართული მიწით ვართ გაზრდილი, ჩვენ საქართველოს ჭირის და ღვინის მუდამ თანამოზიარენი ვყოფილვართ და ვიქნებით“ (საერო, 1899:37). XIX საუკუნის ბოლოს, თბილისში სომხური მოსახლეობა სოციალურ-კულტურულად დანინაურდა. სომეხ მოღვაწეებს სამადლობელი ნამდვილად ჰქონდათ. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში სომეხ გრიგორიანელთა სკოლები

გაჩნდა. XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს კათოლიკური სკოლები არსებობდა ახალციხის რაიონში, ქუთაისსა და გორში. 1801 წელს თბილისში არსებობდა ერთი სომხური სკოლა მოღვის ეკლესიასთან. 1820 წლისთვის, საქართველოში სომეხთა კოლონიზაციის შედეგად, თბილისში საჭირო გახდა მეორე სომხური სკოლის დაარსება. 1824 წელს არქიეპისკოპოს ნერსეს დანყებითი სკოლის ბაზაზე თბილისში სომხური სასულიერო სემინარია დაარსდა (თავზიშვილი, 1948:97-98). მაღლიერი ქართველი ხალხიც იქნება, რადგან მესხეთის ქრისტიანული სამწყსოს ნაწილი მაინც სომხური გრიგორიანული ეკლესიის წიაღში გადაარჩა როგორც ქრისტიანი. ვახუშტი ბატონიშვილი როდესაც დიდებული მესხების შემართებაზე, მხნეობაზე, ცოდნახელოვნების მოყვარეობაზე მჭერმეტყველებს, უცებ ხისტად ამთავრებს: „...არამედ ან მაჰმადიანობის გამო არღარა!“ (ბატონიშვილი, 1974:660).

მართლაც, ოსმალთა აუტანელი ბატონობის შედეგად განადგურდა და გაიძარცვა საეკლესიო და საერო განძეულობა. თურქებისაგან დაბეგრული იყო: პირუტყვი, ფრინველი, ფუტკარი, მარცვლეული, ბალ-ვენახი, ბოსტანი, წისქვილი, ტყე, საძოვარი, წყალი და მთელი უძრავ-მოძრავი ქონება (კოჭორიძე, 1987:48-49). ვინც გამუსულმანდებოდა, მხოლოდ მას ჰქონდა შელავათები. ამას დამატებულია ლეკების თარეში, შიმშილი, ყვავილის დაავადება, შავი ჭირის ეპიდემია – ჟამი გამოჩნდა, გახშირდა, – გვამცნობს ახალციხური ქრონიკები. „უდეს წავედი ჟამიანის ცხედრის დასაყენებლად“ (1768 წ., 1790 წ.). ასეთი ფიზიკურად გაუხადლისი ტანჯვა და სულიერი კრიზისი სარწმუნოებრივი დაქსაქსულობით იყო გამოწვეული. ამ უკანასკნელის შესახებ მცირე ფრაგმენტულ საკმარისია ი. ხოჯაშვილის დღიურიდან: „1777 წელი, სომხის მარტიროზ ვარდაპეტი ქუთათისს მოვიდა ორი ტერტერებით, სადაოთ. მეფემ სომხის ვარდაპეტის ქრთამისათვის, მგონია, ქუთათურ კათოლიკეებს უბრძანა გაქართველება ან გასომხება“ (ხოჯაშვილი, აბინაშვილი,

ნავროზაშვილი, 2015:15, 50). ასე იყო თუ ისე, ამჟამად მოსახლეობა მესხეთში მუსულმანურ უღელს სიმწარით იხსენებს და სხვას აღარ. მართებულად უნდა ჩაითვალოს ნ. პაპუაშვილის მოსაზრება, რომ ქართველ კათოლიკებს გარკვეული მისია ეკისრათ სამშობლოს წინაშე და ეს მისია უმთავრესად, ევროპულ ცივილიზაციისთან სულიერი და პოლიტიკური ხიდების მშენებლობაში გამოიხატებოდა (პაპუაშვილი, 2015:8). რაც შეეხება სომხების ისტორიულ მისიას, რთული შესაფასებელია. მაგ., არტაშანში „ახალციხელ და ახალქალაქელ სომხებს და ურიებს რიცხვი არა აქვთ. საცა ესენი იქმნებიან, იქ რა სიკეთე ინახება. ყველაფრის სიძვირეა... კვალი სომხების მოქმედებისა ართვინის მაზრაში უფრო შესამჩნევია. ამას გარდა, რომ ყველა კათოლიკე და გრიგორიანთა ეკლესიათან არის გამართული სასწავლებლები, რომელშიაც ასწავლიან სამშობლოს და რუსულ ენას“ (ასლანიშვილი-ბავრელი, 2008:46, 103). როგორც ირკვევა, სომხებს რუსებთან საერთო ენის გამონახვა არასოდეს უჭირდათ, მაგრამ საკითხავია, საუკუნის ერთი მეათედის განმავლობაში რა ვაკეთებდნენ, ქართველებმა ამ ახალაღებულ მხარეში (ანუ ართვინის მაზრაში). პასუხი ძალიან მოკლეა: არაფერი გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ქართველი სამსახურის მიზეზით, ან სამეცნიერო აზრით ესტუმრებოდა და მოაგონებდა აქაურ გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომ თქვენი მამა-პაპა ქართველნი იყვნენ და სხვა მეტი არაფერი (ასლანიშვილი-ბავრელი, 2008:183). მათ იცოდნენ და ახსოვდათ (მაგ., შავშებს), რომ ძალით გაუმაჰმადიანებიათ და საქართველოსგან მოუგლეჯავთ; ისინი თავის თავს ქართველებად აღიარებდნენ, ძველ ეკლესიებს პატივს სცემდნენ, წმინდა სანთლები მიჰქონდათ დასანთებად. ზოგიერთ დღესასწაულზე სამღვთოდ მამალი მიჰყავდათ; ამბობდნენ, რომ „დედაკაცებში დღესაც საიდუმლოდ ქრისტიანობა დარჩენილა. შავშეთში სომეხ კათოლიკებს ახალი ეკლესიები აუშენებიათ, რომელშიც მუდამ წირვა-ლოცვას იხდიდნენ. ქართველები ძველი ეკლესიების ნანგრევებზედ ლოცულობდნენ, სანთლებს ანთებდნენ, სამღვთოს სწირავდნენ“ – ნერდა



პ. უმიკაშვილი იმ ქართველებზე, რომლებიც 14 000 სულს შეადგენდნენ, დაახლოებით, 2 000 კომლს და 58 სოფელში იყვნენ განსახლებულნი. იგი ტბეთის ეკლესიას სვეტიცხოველზე აღმატებულად მიიჩნევდა. რასაც სომხეთის ისტორიისათვის ქალაქი ანისი, წარმოადგენს, იმაზე ბევრად მნიშვნელოვანი საქართველოს პოლიტიკური და განსაკუთრებული კულტურული ისტორიისათვის ტაო-კლარჯეთის ნანგრევები გვევლინებაო (უმიკაშვილი, 1915:40-41). ამ აზრს ერთნაირად იზიარებს დიდებული მესხეთის როგორც გულშემმატკივარი, ისე ამ მხარეში მოხვედრილი მოგზაური. საქართველოს მესხეთი რომ ჩამოვაშოროთ, საქართველოს ისტორიიდან მესხთა სახელი რომ ამოვშალოთ, ამ ისტორიას საუკეთესო ფურცლები მოაკლდებოდა. საქართველო უმესხეთოდ, თითქმის არაფერი იქნებოდა; ყოველ შემთხვევაში, განახევრდებოდა მისი პოლიტიკური და კულტურული ძალა და შემოქმედება (ფირცხალავა, 1915:8). ნ. ბერძენიშვილმა ამის თაობაზე, თავის დროზე, აღნიშნა, რომ ისე როგორც არარატის ველი შეიქმნა სომეხი ხალხის ჩამოყალიბების საფუძველი, ასევე, ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას საფუძველი ჯერ ქვემო ქართლმა, შემდეგ მცხეთამ და ზენა სოფელმა (ქვემო ქართლთან ერთად) დაუდო (ბერძენიშვილი, 1975:250). ზენა ქვეყანას//ზენა სოფელს ოსმალეთმა დაუკარგა ეს უნიკალურობა, მაგრამ არც რუსებს დაუკლიათ „მოყვრულად“ მტრობის ხელი. XIX ს-ის დასაწყისში, როდესაც რუსის მთავრობა დამკვიდრდა ქართლ-კახეთს, მესხეთს ქართველობისა აღარა ეტყობოდა რა. მას შემდეგ, რაც მთავრობამ ქართველი მუსულმანი „თათრად“ აღიარა, სულ ბოლო მოელო ათასწლოვან ქართულს (ფრონელი, 1914:28, 49). ამასთანავე, ცარიზმმა მოსახლეობის „ნებაყოფლობით“ გასახლება-ჩამოსახლებას შეუწყობ ხელი და ამით ეროვნული შუღლი და მტრობა გააღრმავა; სომხების გადმოსახლება-გამრავლებასთან დაკავშირებით უარყო იქაურ ქართველ კათოლიკეთა ქართველობა და ისინი ხელაღებით ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად გამოაცხადა (კოჟო-

რიძე, 1986:25). თავის მხრივ სომხებმაც არ იკმარეს ის ხელსაყრელი პირობები და რუსეთის მეფის მოხელეებს დამატებითი მოთხოვნები წაუყენეს: ერთ-ერთი ჩამოსახლებული სომხების სოფლებში ქართველთა ცხოვრების დაუშვებლობა იყო. სომეხთა ჩასახლების სოფლებში შემორჩენილი თითო-ოროლა ქრისტიანი ქართველი ზენოლას ვერ უძლებდა და ტოვებდა მშობლიურ კერას, ან სომხდებოდა (მეტრეველი, 2010:39, 41). ოსმალეთისა და რუსეთის აღნიშნული პოლიტიკის წყალობით, თანამედროვე სომხური ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფია ცდილობს მთელი სამხრეთი საქართველო სომხეთის ისტორიულ მიწა-წყლად წარმოადგინოს (თოფჩიშვილი, 2019:51). დასახული მიზნის მისაღწევად აყალბებენ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს, არამედ ანადგურებენ კულტურის ძეგლებს, მტრისაგან ისედაც არაერთგზის იავარქმნილს (იველაშვილი, 2019:160-175). ასეთ დამოკიდებულებას სერიოზულ გაუგებრობამდე, ხშირად უთანხმოებამდე მიყვავართ, მაგრამ „ჩვენთვის ამ უთანხმოების იქით არსებობს თანხმობაც, დღევანდელი დღის იქით ხვალინდელი დღე! უნდა ვიფიქროთ ამ ხვალინდელი დღისთვის“ (გაზეთი 1902 ბ:2). ერთხელ მაინც უნდა დავფიქრდეთ იმაზეც, თუ როგორი წინააღმდეგობა გაუწიეს მესხებმა ოსმალეთს, რომელიც XVI-XVII სს. უძლიერესი სახელმწიფო იყო ევროპასა და აზიაში... მტერი საუკუნენახევარი იბრძოდა საათაბაგოში თავისი მმართველობის დასამყარებლად, ორასი წელიწადი მესხების გადასარჯულებლად (ფირცხალავა, 1915:36-37). ძლიერი ქრისტიანული ტრადიციების მქონე ქართველმა ერმა ტრადიციული შეუპოვრობით სძლია „უძლეველს:“ „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტკირსა.“ ზნეობის მხრივ, აქაური ხალხი სხვებზე მალლა მდგარა, ღვთის მავედრებელი, წირვა-ლოცვის მოყვარულები ყოფილან, „საშინლად უყვარდათ“ ღვთისმსახურება... ახალციხის მაზრის ქართველები ცუდ, ბოროტ, ღვთის საგმობ საქმეებს ძლიერ ერიდებოდნენ; ეკლესიებს, სამღვდელოებას და დღესასწაულებს დი-

დი მონინებით, შიშით ეპყრობოდნენ (გაზეთი, 1984:2). ამ ცოცხალი რწმენის შედეგად მივიჩნიერთ ის ფაქტი, რასაც წლევანდელი ჩვენი ექსპედიციის წევრები შევესწართ. ანისიკენ მიმავალნი, ე. წ. ქაჯეთის ციხესთან შევჩერდით დასათვალიერებლად. ციხის ეკლესიაში, რომელიც ნანგრევებია შემორჩენილა, ჩვენსავით სანთლის დასანთებად მოსულ მგზავრებს გადავანყდით. მათ ყველანაირად ეტყობოდათ, რომ ქრისტიანები არ იყვნენ. მამაკაცმა გულის ჯიბიდან სანთელი ამოიღო და დაანთო. მას თან ორი ქალბატონი და მოზარდი ვაჟი ახლდა, რომლებმაც აგვიხსნეს, რომ წარმოშობით ამ ადგილებიდან არიან და სტამბოლიდან ჩამოვიდნენ ამ დიდი წმინდა საქმისათვის. ისინი იყვნენ საქართველოს გულის – დიდებული მესხეთის დიდგულა ქართველები, სწორუპოვარნი, შეუპოვარნი. ანისის ქვეყანა სხვა თემაა, ასევე, არანაკლებ დიდებული! თუ იმასაც დავუმატებთ, რომ რწმენის დაკარგვას ეროვნების დაკარგვა მოსდევს (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე), ადვილი წარმოსადგენია ვინ ვიყავით და რა ვართ ამჟამად (სრულად, 1988:43).

ამჟამადაც, ქართველი ხალხისა და საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობისა და კონსოლიდაციის საქმეში მართლმადიდებელი ეკლესიის მონოლითურობა უცვლელი ფაქტორია. ასევეა სომხებშიც, – ერის ერთიანობის სიმბოლოდ ეკლესია მოიაზრება. საქართველოს ისტორიული და სოციალური მემკვიდრეობის გათვალისწინებით, სომხეთის სამოციქულო ეკლესია ტრადიციულ რელიგიურ ორგანიზაციად აღიქმება (საქართველოს, 1997:83), ისევე როგორც ისლამი. მაშინ როდესაც რუსეთის ადმინისტრაცია ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში შეუდგა არზრუმელი სომხების ჩასახლებას, სამცხე-ჯავახეთში, უმეტესად, სამცხეში 180-მდე ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სოფელი დარჩა. აქ სამი რიგის მაჰმადიანები ცხოვრობდნენ – ქართველები, თარაქამები და ქურთები (საქართველოს, 1998:185).

ამდენად, საქართველოში მართლმადიდებელი სარწმუნოების პრივილეგირებული მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის წარმოადგენდა სახელმწიფოში აღმსარებლობებს შორის ინტერკულტურული და ინტერრელიგიური დამოკიდებულების გარანტს. ასეთია ისტორიულად ჩამოყალიბებული ადგილობრივი რეალობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ქართველებისა და სომხების ისტორიული ერთიანობა, ეთნოკულტურული ურთიერთობები. დღესდღეობით, კულტურათა შორის დიალოგს უკვე დასავლეთში არსებული გამოცდილებაც ემატება, რომელიც გლობალურ პროცესებში სამყაროს აღქმის ახალ აზროვნებას ამკვიდრებს – სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოებები და კულტურები საერთო ღირებულებებს ავლენენ.

### **დამონშებული ლიტერატურა**

- აბაკელია 1997** – აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997
- ანთელავა 2017** – ანთელავა ნ., კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, თბ., 2017
- ასლანიშვილი-ბავრელი 2008** – ასლანიშვილი-ბავრელი ს., წერილები „ოსმალის საქართველოზე“, თბ., 2008
- ახალი ალექსანდრე 2005** – ახალი ალექსანდრე, თბ., 2005
- ბატონიშვილი 1974** – ბატონიშვილი ვახ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წ. IV, თბ., 1974
- ბერძენიშვილი 1975** – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, თბ., 1975
- გაზეთი 1889** – გაზეთი „ივერია“, N 79, 1889
- გაზეთი 1894** – გაზეთი „ივერია“, N 23, 1894
- გაზეთი 1902 ა** – გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1902, N 1942
- გაზეთი 1902 ბ** – გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1902, N 1796
- გაზეთი 1903** – გაზეთი „ივერია“, N 38, 1903

- გარდაფხაძე-ქიქოძე 1995** – გარდაფხაძე-ქიქოძე ფ., ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ლეჩხუმი), თბ., 1995
- გელოვანი 1983** – გელოვანი აკ., მითოლოგიური კექსიკონი, თბ., 1983
- გონგაძე 1959** – გონგაძე ვ., თეთრინყარო, თბ., 1959
- ეპისკოპოსი ნიკოლოზი 1998** – ეპისკოპოსი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი), წესი ქრისტიანის ცხოვრებისა, თბ., 1998
- ეროვნული 2017** – ეროვნული უმცირესობის ინტეგრაცია საქართველოში, თბ., 2017
- ზედგენიძე 1946** – ზედგენიძე გ., მშობიარობა და აღზრდა ჯავახეთში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 1946, რვ. 2.
- თავზიშვილი 1948** – თავზიშვილი გ., სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საართველოში, წ. II, თბ., 1948
- თათარაიძე 1998** – თათარაიძე ე., სამძიმარი და მდედრი დემონური არსებანი, ჟურ. „ცისკარი“ N3, თბ., 1998
- თანდილავა 1978** – თანდილავა ზ., მასალები მესეფეზე, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, თბ., 1978
- თორია 2003** – თორია ზ., საინგილო, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ N1, თბ., 2003
- თოფჩიშვილი 2013** – თოფჩიშვილი რ., სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან, თბ., 2013
- თოფჩიშვილი 2019** – თოფჩიშვილი რ., კავკასიელთა თანამედროვე ეთნოცენტრისტული ისტორიოგრაფია და საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემები, თბ., 2019
- იდენტობისა 2010** – იდენტობისა და კულტურათა დიალოგის თანამედროვე პრობლემები, თბ., 2010
- ივ. ჯავახიშვილის... 1989** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1989
- იველაშვილი 2019** – იველაშვილი თ., რელიგიური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში, თბ., 2019.

- კაჭარავა 1966** – კაჭარავა ი., ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები, თბ., 1966
- კეკელიძე 1956** – კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ნ. 1, თბ., 1956
- კვაშილავა 2017** – კვაშილავა ი., საველე დღიური, ბოლნისი, 2017
- კვაშილავა 2023** – კვაშილავა ი., საველე დღიური, მესხეთი, 2023
- კოჟორიძე 1987** – კოჟორიძე დ., სამცხე-ჯავახეთი წარსული და დღევანდელი, თბ., 1987
- კოჟორიძე 1986** – კოჟორიძე დ., განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1986
- ლომსაძე 2011** – ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, თბ., 2011
- მაკალათია 1938** – მაკალათია ს., მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938
- მაკალათია 1941** – მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941
- მენტეშაშვილი 1943** – მენტეშაშვილი ს., ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943
- მეტრეველი 2010** – მეტრეველი კ., ჯავახეთი, თბ., 2010.
- მინდაძე, აბაკელია 1990** – მინდაძე ნ., აბაკელია ნ., სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში, საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ., 1990.
- პაპუაშვილი 2015** – პაპუაშვილი ნ., წინასიტყვაობა წიგნ. ხოჯაშვილი ი., აბინაშვილი სტ., ... ახალციხური ქრონიკები, თბ., 2015
- რეკომენდაციები 2008** – რეკომენდაციები ევროპის საბჭოს 1993 წლის რეგიონული და უმცირესობათა ენების ქარტიის რატიფიცირებისათვის საქართველოს ასაღები ვალდებულებები შესახებ, თბ., 2008
- საერო 1899** – საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო, ტფ., 1899
- საქართველოს 2005** – საქართველოს რეგიონალური მედია-რუკა, თბ., 2005
- საქართველოს 1997** – საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 765, საქმე 418, ტ. 1.

- საქართველოს 1998** – საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 765, საქმე 107, ტ. 1.
- სახოკია 1959** – სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1959
- სიხარულიძე 2006** – სიხარულიძე ქ., კავკასიური მითოლოგია, თბ., 2006
- სრულიად საქართველოს 1988** – სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის მოგზაურობა მესხეთ-ჯავახეთში, უურ. „ჯვარი ვაზისა“ N4, 1984.
- უმიკაშვილი 1915** – უმიკაშვილი პ., სამაჰმადიანო საქართველო, ტფ., 1915
- უორდროპი 1993** – უორდროპი მ., მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1993
- ფირცხალავა 1915** – ფირცხალავა ს., სამაჰმადიანო საქართველო, ტფ., 1915
- ფრონელი 1914** – ფრონელი ალ., დიდებული მესხეთი, გორი, 1914
- ქართული 1986** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.
- ქვემო ქართლსა 2014** – ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში არსებული პრობლემები და ადგილობრივი მოსახლეობის საგარეო პოლიტიკური პრეფერენციები, თბ., 2014
- შიოშვილი 1980** – შიოშვილი თ., ქართული მითოლოგიური პერსონაჟები – წყლის დედა, კუდიანი (თედო სახოკიასეული მასალების მიხედვით), „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია) N2, თბ., 1980
- შიოშვილი 2017** – შიოშვილი თ., კლარჯული ფოლკლორი, თბ., 2017
- ჩიქოვანი 1982** – ჩიქოვანი თ., ჯავახეთი, თბ., 1982.
- ჩიქოვანი, ჩხეიძე, წერეთელი 2008** – ჩიქოვანი ნ., ჩხეიძე ი., წერეთელი ი.; დ. მაცაბერიძე, ქ. კაკიტელაშვილი – იდენტობის ნარატივები საქართველოში მრავალენოვანი ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918), თბ., 2006
- ჩუბინაშვილი 1987** – ჩუბინაშვილი ე., მესხეთ-ჯავახეთის 1987 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, თბ., 1987, რვ. 3.

- ცაიშვილი 1986** – ცაიშვილი ს., შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა, ნიგნ. შ. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი,“ თბ., 1986, რედაქცია, შესავალი წერილი და ლექსიკონი სარგის ცაიშვილისა.
- ცანავა 1990** – ცანავა ა., ქართული ფოლკლორის საკითხები, თბ., 1990.
- ცოცანიძე 1987** – ცოცანიძე გ., გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1987
- ჭეიშვილი 2017** – ჭეიშვილი გ., ქუეყანა ანისისა, თბ., 2017
- ხიდაშელი 1999** – ხიდაშელი მ., ზოგიერთი მოთოსური მოტივის შესახებ ადრექრისტიანული ხანის ქართულ საისტორიო მწერლობაში, „ანალები“ N 2, თბ., 1999
- ხიდაშელი 2001** – ხიდაშელი მ., მითი და არქაული სულიერი კულტურის სტრუქტურა, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“ N10, თბ., 2001
- ხოსიტაშვილი 1983** – ხოსიტაშვილი ს., ქორწინებისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1983.
- ხოჯაშვილი, აბინაშვილი, ნავროზაშვილი 2015** – ხოჯაშვილი ი., აბინაშვილი სტ., ნავროზაშვილი ს., ახალციხური ქრონიკები, თბ., 2015
- ჯავახიშვილი 1966** – ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1966
- ჯალაბაძე 1987** – ჯალაბაძე გ., ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, კრ. „შიდა ქართლი“, თბ., 1987.
- ჯალაბაძე 1972** – ჯალაბაძე გ., მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ. „მესხეთ-ჯავახეთი“, თბ., 1972.
- ჯანიაშვილი 2021** – ჯანიაშვილი ლ., ტრადიციული კულტურა რევიტალიზაციასა და ინოვაციას შორის, ნიგნი „ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაცია ქვემო ქართლში (სომხები და აზერბაიჯანელები)“, თბ., 2021.
- ჯვარიძე, ლაფაჩი 2018** – ჯვარიძე გრ., ლაფაჩი ლ., ინფორმაცია მუზეუმში დაცული პირადი არქივების შესახებ, ახალციხე, 2018



## ლერი ლევიძე

### თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემები და ბუნებათსარგებლობის ხალხური ტრადიციები

**შესავალი.** თანამედროვე ეკოლოგიის სოციალურ პრობლემებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბუნებრივ-სტიქიურ მოვლენებს. საშუალო მნიშვნელიდან მკვეთრად გადახრილ, ანუ ექსტრემალურ ბუნებრივ მოვლენებს ანუ სტიქიებს, მაგალითად მინისძვრას, თოვლის ზვავს, მენყერს, წყალდიდობას, მენყერს და ა.შ. როგორც წესი, დიდი უბედურება და ზარალი მოაქვს მთელი პლანეტის მოსახლეობისათვის, რაც განაპირობებს კიდევ, ეკოლოგიის საკითხთა პრობლემატიკას შორის ბუნებრივი სტიქიების და მათთან ბრძოლის კვლევისა და გზების ძიების განსაკუთრებულ აქტუალობას. ამერიკელი მკვლევარის რ. კეიტსის მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სტიქიური უბედურებების შედეგად მსოფლიოს ეკონომიკა განიცდის ყოველწლიურად 30 მილიარდი დოლარის ზარალს, რომელთაგან 20 მილიარდი წმინდა ზარალია, 10 მილიარდი დოლარი კი იხარჯება სტიქიური მოვლენების პროგნოზირება-შეტყობინებისათვის. ყოველწლიურად ჩვენს პლანეტაზე სტიქიური უბედურებების შედეგად დაღუპულთა რიცხვი საშუალოდ 250 ათას ადამიანს აღწევს, რომელთა ნახევარიც დიდი სტიქიური მოვლენების შედეგად იღუპება.<sup>1</sup> აღსანიშნავია, ისიც, რომ მიუხედავად კოლოსალური ხარჯებისა, სტიქიური უბედურებების რიცხვი მართალია არ იზრდება ან თითქოს არ იზრდება, მაგრამ მის მიერ მიყენებული ზარალი და ადამიანთა მსხვერპლის რაოდენობა მატულობს, რასაც უმთავრესად მსოფლიოს მოსახლეობის მსწრაფი ზრდით და სამეურნეო საქმიანობისა და ცხოვრებისათვის არახელსაყრელი და

---

<sup>1</sup> Человек и среда, Тезисы докладов и сообщений XXIII, МГК, М., 1976 г., стр. 196

ხშირად აშკარად საშიში რაიონების ათვისებით ხსნიან.<sup>1</sup> არც თუ უმნიშვნელოა აგრეთვე დაჩქარებული სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ადამიანის სულ უფრო მზარდი დამლუპველი ჩარევა ბიოსფეროს ბუნებრივ პროცესებშიც.

ჩვენი პლანეტის, მისი ბიოსფეროს შემადგენელი ნაწილია საქართველოს ტერიტორია და აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, მისთვისაც აქტუალურია ზემოხსენებული პრობლემის შეძლებისდაგვარად გადაწყვეტა. რამდენადაც მრავალფეროვანია საქართველოს ბუნება, მისი ლანდშაფტები, იმდენად ნაირგვარია ბუნებრივი სტიქიებიც. ესენია: მიწისძვრები, გრიგალისებური ქარები, ნყალდიდობები, ზღვის ნაპირების ჩამორეცხვა, ღვარცოფები, ნიადაგის ინტენსიური გამოფიტვა, სეტყვა და თოვლის ზვავები, რომლებიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ ქვეყანას და ამ მოვლენების ლიკვიდაცია დიდ ფულად, მატერიალურ და შრომით რესურსებს მოითხოვს.<sup>2</sup> თქმა არ უნდა, რომ ბუნებრივი სტიქიების მავნე და დამლუპველი შედეგების შემცირებასა და აღმოფხვრაში უპირველესი როლი ენიჭება ტექნიკურ და სამეცნიერო მიღწევებზე დამყარებულ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს. მაგრამ ამავე პრობლემის გადანვეტისათვის დიდი სახმარების განევა შეუძლია ბუნებათსარგებლობისა და ამ შემთხვევაში ბუნებრივ სტიქიებთან ბრძოლის ხალხურ გამოცდილებას, რომლის იგნორირებაც, თამამად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კატასტროფის ტოლფასია საზოგადოების არსებობისათვის.

როგორც ლ. ბერიაშვილი შენიშნავს: „საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთგავლენათა ნორმების გართულება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხის მიერ შემუშავებული პრაქტიკული მინითსარგებლობის ღონისძიებათა გამოყენებასა და დანერგვას, სადაც ბუნების სიმდიდრეთა დაცვის ხასიათი

---

<sup>1</sup> Стихийные бедствия и методы борьбы, М., «Прогресс», 1978 г. С.Б. иб. Лавров, Предисловие, стр. 5-8

<sup>2</sup> „ბუნების დაცვა თითოეულის მოქალაქეობრივი ვალია“, გაზ. „კომუნისტისტი“, 1978 წ. N 278

ცალკეული ეთნიკური გარემოს პირობებში ჩამოყალიბებული ტრადიციული ნორმებითა და საშუალებებით არის წარმოდგენილი“.<sup>1</sup>

ა. ბრომლეი წერდა: ‘ადამიანის ზემოქმედება ბუნების მოვლენსა და პროცესებზე, სადღეისოდ, როგორც ცნობილია, ბევრი სამეცნიერო დარგის ღრმა ინტერესს იმსახურებს. ეს განსაკუთრებით შეეხება ბუნების დაცვის საკითხებს. ამასთან ერთად, ადამიანის მოღვაწეობის სახეობათა უმეტესობას გარკვეული ეთნიკური სპეციფიკა ახასიათებს. ეთნოსში ისტორიულად დაგროვილი შრომითი შედეგები, მის ფარგლებში ჩამოყალიბებული საწარმოო და სამეურნეო ყოფითი ტრადიციები, თავის დაღს ასვამს შესატყვისი რეგიონების კულტურულ ლანდშაფტებს. ამიტომ, კულტურული ლანდშაფტების შესწავლა შეუძლებელია მეურნეობის ტრადიციული ფორმების შეუცნობლად“.<sup>2</sup>

წინამდებარე ნაშრომში საუბარია ბუნებრივ-ექსტრემალურ მოვლენებთან ბრძოლის ტრადიციებზე ზოგადად და არა რომელიმე ერთი ხალხის, მაგალითად, მარტო ქართველების ბუნებრივ სტიქიებთან ბრძოლის ხალხურ საშუალებებზე.

**I.** სტიქიური ბუნებრივი მოვლენების საწინააღმდეგო ღონისძიებები ძირითადად ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. მათ შორის პირველი და ყველაზე უმთავრესია წინასწარგანზრახული და მუდმივი ღონისძიებების ციკლი (მაგალითად, საცხოვრებელი ადგილის შერჩევა, გვალსაშიშ რაიონებში სოფლის მეურნეობის იმ დარგების განვითარება, რომლებიც შედარებით ნაკლებად არიან დამოკიდებულნი წყალზე, ირიგაციის მოწყობა, ფერდობის ნიადაგის ჩამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით, მისი დატერასება და ა.შ.).

მეორე მომენტი, უშუალოდ ბუნებრივი სტიქიების დროს

---

<sup>1</sup> ლ. ბერიშვილი, ნიადაგის ათვისების და დაცვის ტრადიცია საქართველოში, თბ., 1989 წ. გვ. 5

<sup>2</sup> Бромлей Ю.В. Этнос и этнография, М., 1973, стр. 261-262

ადამიანთა მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის შეძლებისდაგვარად აღკვეთის ან შემცირების მიზნით განხორციელებული სასწრაფო გადაუდებელი ღონისძიებები (მაგალითად, სტიქიური უბედურების რაიონში სამაშველო რაზმების ორგანიზაცია, მოსახლეობის გახიზვნა და ა.შ.).

ადამიანების საქმიანობა, რომელიც სტიქიური მოვლენების უარყოფითი შემცირებისკენ არის მიმართული ჩვეულებრივ აღნიშნავენ ტერმინით – „შეგუება“ («приспособление») ან „დაცვითი ღონისძიებები“. ექსტრემალურ-ბუნებრივ მოვლენასთან დაკავშირებული ზოგიერთი დამცავი ღონისძიება, რომელიც გულისხმობს ინდივიდის პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას, აღინიშნება ტერმინით – „აღქმა“ («восприятие»). ამ შემთხვევაში საინტერესოა დადგინდეს – ადამიანები როგორ აფასებენ ჩვეულებრივ ექსტრემალურ მოვლენებს და მასთან დაკავშირებულ საფრთხეს. აგრეთვე, მასთან ბრძოლაში თავიანთ შესაძლებლობებს.<sup>1</sup>

როგორც ამერიკელი მეცნიერი ჯილბერ უაიტი აღნიშნავს, არსებობს სტიქიურ უბედურებაზე რეაქციის სამი ტიპი:

1. ხალხური ანუ წინალუსტრიული საშუალებები. ისინი მოიცავენ იმ ღონისძიებების ფართო წრეს, რომლებიც მიმართულია უფრო ცხოვრების წესის შეგუებაზე ბუნებასთან, ვიდრე მის კონტროლზე. ეს ღონისძიებები მოქნილი და მრავალფეროვანია, არ მოითხოვს დიდ მატერიალურ ხარჯებს, არ აღემატება ცალკეული ინდივიდის ან ადამიანთს პატარა ჯგუფის შესაძლებლობებს და შეიძლება მკვეთრად იყოს განსხვავებული თვით მცირე მანძილით დაშორებული ადგილიდან ადგილზე.

2. თანამედროვე ტექნიკური ანუ ინდუსტრიული შეგუება, რომელიც მიმართულია უმთავრესად ბუნების კონტროლისაკენ. ისინი მოქნილნი არ არიან, თითქმის არ უშვებენ ცვლილებებს, მოითხოვენ დიდ კაპიტალდაბანდებებს, ურთიერთკავ-

---

<sup>1</sup> Уайт Г.Ф. Изучение стихийных бедствий: концепции, методы и социально-экономические решения, М., 1978 г., стр. 29

შირში არიან სოციალურ ორგანიზაციასთან და ატარებენ საკმაოდ სტანდარტულ ხასიათს.

3. კომპლექსური ან პოსტინდუსტრიული, რომელიც აერთიანებს ორივე წინა ტიპის თავისებურებებს და რაც შესაძლებელს ხდის უფრო გაფართოვდეს შეგუების წრე, გახდეს ის უფრო მოქნილი და მრავალფეროვანი აუცილებელი მატერიალური ხარჯებით და ორგანიზაციული მოთხოვნებით.<sup>1</sup>

ბუნებრივ-სტიქიურ მოვლენებზე საზოგადოების რეაქციის პირველი ტიპის – ხალხური გამოცდილებისა და საშუალებების კვლევა-ძიება საინტერესოა არა მხოლოდ კულტურულ-ისტორიული ასპექტების თვალსაზრისით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბუნებრივ-ექსტრემალურ მოვლენებთან ბრძოლის მესამე – კომპლექსური ანუ პოსტინდუსტრიული საშუალებები გულისხმობს თანამედროვე ტექნიკური და ხალხური საშუალებების ერთობლიობას, შეიძლება განვაცხადოთ, რომ სტიქიებთან ბრძოლის ხალხურ გამოცდილების და საშუალებების გამოვლენა და შესწავლა ვერ ეტევა წმინდა მეცნიერების ჩარჩოებში და საზოგადოებისთვის აქტუალურ პრაქტიკულ-სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

ბუნებრივ-ექსტრემალურ მოვლენებთან ბრძოლის ხალხური საშუალებები თავის მხრივ იყოფა რაციონალურ და ირაციონალურ ღონისძიებებად.

საქართველოს სამეურნეო ყოფაში, მაგალითად ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთში ახლო წარსულამდე ფართოდ იყო გამოყენებული ფერდობზე შეფენილი სამეურნეო ნაკვეთების დატერასება ანუ დასაფეხურების წესი. მთის დამრეც ფერდობზე განფენილი ნაკვეთების დატერასება რამდენიმე მნიშვნელოვან მოთხოვნას პასუხობდა, რომელთაგანაც ერთ-ერთი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა იყო.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 30

<sup>2</sup> მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1962 წ., გვ. 46

მთის რეგიონებში ქართველი მეურნე ძლიერი დახრილობის ფერდობზე ვენახს აშენებდა; ვაზი ძლიერ ფესვთა სისტემას ივითარებდა, ხშირი გადანვენის მეშვეობით, და ნიადაგურ ფენას საიმედოდ იცავდა. ასეთ ნიადაგებში მათ გასანოყიერებლად ვენახში შენაცვლებით ცერცვის ნაირების თესვა იყო მიღებული.<sup>1</sup>

რაციონალური ღონისძიებების სხვა მაგალითი – ხალხური დაკვირვებით შემჩნეულია და დღეს უკვე მეცნიერულად დადასტურებულია, რომ სუბალპური ზონის ტყეების გამეჩხერება და მისი საზღვრების დაბლა დაწევა ზვავების წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორია. ა. გეგეჭკორის შენიშვნით: „რაც უფრო დიდია ზვავის გარბენის მანძილი, მით უფრო მეტია მისი გამანადგურებელი ზალაც. მამასადამე ტყეების შემცირებით ვზრდით რა ზვავების ძალის მოსაკრებ სასტარტო ასპარეზს, ამით განსაკუთრებით საშიშს ვხდით მას“.<sup>2</sup>

„მთის ფერდობზე შეფენილი ტყეების ზემოხსენებული როლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი უნდა ყოფილიყო საქართველოს მაღალმთიან ზოლში დადასტურებული ტყეების განსაკუთრებით ფრთხილი და ზომიერი ექსპლოატაციისა. კიდევ უფრო მეტიც, სოფლების მახლობლად არსებული ტყეების გარკვეული ნაწილი თავისებურ ნაკრძალებად – „ხატის ტყეებად“ იყო გამოცხადებული, საიდანაც ფიჩხის გამოტანასაც კი ერიდებოდნენ, არა თუ ხის მოჭრას“.<sup>3</sup>

„დადგენილია, რომ მეურნის მიერ, მრავალი მონაცემის გათვალისწინებით, წინასწარ იყო გაანგარიშებული სამოსახლოსა თუ სავარგულისთვის მოსალოდნელი საშიშროების წყარო (ღვარი, ღვარცოფი, ლეკი, შვავი, მენყერი, ზვავი და ა.შ.) და მისი ხარისხი. განსაკუთრებით „საშიშ“ ადგილებში მეურნე

<sup>1</sup> ლ. ბერიაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 236

<sup>2</sup> ა. გეგეჭკორი, თუშეთის ბილიკებით, „საქ-ოს ბუნება“, 1980 წ. N3

<sup>3</sup> ლ. ლევიძე, ბუნებრივი სტიქიები და სოციალური ორგანიზებულიობა, კრ. ისტ.-ეთნოგრაფიული მტუდიები, თბ., 1982 წ., გვ. 63

არც სახლს ააშენებდა, არც ვენახსა თუ ყანას აწყობდა; ამგვარად თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეს გაფრთხილება, რომელიც ერთგვარი „ტოპონიმიკური კოდის“ მეშვეობით იყო განხორციელებული. მინათმოქმედებისთვის განკუთვნილი ფერდობების დაცვა წარმოებდა ყოველი კონკრეტული ნაკვეთის მოთხოვნილებათა შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ადგილი ჰქონდა ნიადაგდამცველი ნაგებობების კონსტრუქციულ დიფერენციაციას, მათ მრავალფეროვნებას. სადღეისოდ ამ ნაგებობათა შემცველი ტოლფასოვანი საინჟინრო მონყობილობები არ გაგვანჩია (მხოლოდ წყლისპირების დაცვაა განხორციელებული ბეტონის ფილაქნის მეშვეობით), ძველის აღდგენაზე კი არავინ არ ზრუნავს.<sup>1</sup>

ბუნებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად შექმნილი ხალხური ცოდნა-გამოცდილების უგულველყოფა ხშირად ბუნებრივ-ექსტრემალური მოვლენების უარყოფითი შედეგების ზრდის მიზეზია. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს კოლხეთის დაბლობის ამოშრობის შედეგად მიღებული ახალ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე სამრეწველო დანიშნულების ხეხილის ბაღების გაშენების პრაქტიკა საბჭოთა წყობილების პერიოდის საქართველოში, როდესაც ქვეყნის შესაბამისმა ხელმძღვანელმა სტრუქტურებმა არ გაითვალისწინეს ადგილობრივი არახელსაყრელი მიკროკლიმატური რეჟიმი, კერძოდ კი ძლიერი ქარები, რაც სწორედ ნაყოფის სიმწიფეში შესვლის პერიოდში რეგულარულად იცის კოლხეთის დაბლობზე და რის შედეგადაც წყალში გადაიყარა რამდენიმე წლის მანძილზე ხეხილის გაშენებისა და მოვლისათვის გაღებული სახელმწიფო სახსრები და შრომა.<sup>2</sup>

ბუნებრივ-ექსტრემალური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ირაციონალურ ღონისძიებებსაც.

მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმში მემინდვრობასთან დაკავში-

---

<sup>1</sup> ლ. ბერიაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 236

<sup>2</sup> მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978, გვ. 9

რებული წეს-ჩვეულებების ერთი წყება სასურველი ამინდის უზრუნველყოფისადმია მიძღვნილი. კონკრეტულად – ელიობა, კონხინჯრობა, ხვამლობა. მეორე მხრივ თვით გვალვა-ავდარში შესრულებულ რიტუალთა წყება, სეტყვისა და გვალვის საწინააღმდეგო ირაციონალური საშუალებანი.<sup>1</sup> როგორც ნ. ბრეგაძე შენიშნავს – „ეს უკანაკსნელები, რიგ შემთხვევაში, სასურველი შედეგით მთავრდებოდა. ამასთან დაკავშირებით თუ გავიხსენებთ მოსალოდნელი ამინდის წინასწარ გარკვევის საქმეში ხალხის საინტერესო დაკვირვებას და გავითვალისწინებთ ხალხური მეტროლოგიის მონაცემებს, ნათელი გახდება ირაციონალურ საშუალებათა შესრულებით „გამოწვეული“ წვიმის მოსვლის მიზეზი. ცხადია, სასურველი ამინდის „გამოსანვევად“ ირაციონალურ ქმედებათა მესვეურნი სათანადო წესის შესასრულებლად შეგნებულად ირჩევდნენ დღეს, როცა ხალხური პროგნოზით მოსალოდნელი იყო წვიმა. ამიტომაც ამ წეს-ჩვეულებებმა, რომლებიც ხალხის თვალში შედეგიანი ჩანდა, თითქმის ბოლომდე შემოინახა თავი.“<sup>2</sup>

საქართველოში, ლაზარეს, როგორც ამინდის ღვთაების კულტის სადიდებლად მართავდნენ დღეობას – ლაზარობას, რაც „ცის ნამის“, ტალახის გასაჩენად გარკვეულ ცერემონიას გულისხმობდა. ლაზარეს თიხის კერპს კარდაკარ დაატარებდნენ, ასველებდნენ და ამბობდნენ: „ახ, ლაზარე, ლაზარე, ცას ღრუბლები აშალე, ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა, შენ მოგვიყვან წვიმასა“... თუ მომაბეზრებელი წვიმა გაგრძელდებოდა, მასვე შესთხოვდნენ, გორახი გააჩინე, ტალახი გააშრეო. სვანეთში წვიმას იდლიანის მთის-ლუხუმის ან სხვა რემელიმე ტბის წყალში ტატის ჩახრჩობით „ინვევდნენ“ ან ღრუბლების ღმერთს შესთხოვდნენ“.<sup>3</sup>

წვიმის გამოწვევის მიზნით, ქართლში და აგრეთვე, მთელ

---

<sup>1</sup> ნ. ბრეგაძე, მთის მინათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969 წ., გვ. 226

<sup>2</sup> დასახ. ნაშრომი, გვ. 226-227

<sup>3</sup> აკ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983 წ., გვ. 270



საქართველოში მიღებული იყო მიცვალებულის საფლავიდან აღებული ქვის ან ძვლის მდინარეში ჩაგდება. ზოგან კი მა მიზნით (ქვემო ქართლი) საფლავიდან ამოღებული თავის ქალა გამოიყენებოდა.<sup>1</sup>

გვალვის საწინააღმდეგო საინტერესო რიტუალია დაფიქსირებული ქართლში, სადაც გუთნით წყლის მოხვნას მიმართავდნენ. „რიტუალი სრულდებოდა არა მარტო ბარის რაიონებში, არამედ გარდამავალ ზოლშიც. გ. ჩიტაიას მიერ დადგენილია, რომ გუთნით წყლის მოხვნის დროს გუთანში შეებმებოდნენ ქალები და წყალში ეჭქონდათ გუთანი, თან მიყვებოდნენ გუთნის დედა და სხვა ქალებიც (სასურველი იყო გუთანშიც ქვრივი ქალები შებმულიყვნენ). წყალში შესულნი ერთმანეთს ებლარძენებოდნენ, ეჭიდებოდნენ, წყლით წუნავდნენ, სარცხვენელში ასხამდნენ წყალს და სხვ. გუთნით წყლის მოხვნის შემდეგ, წვიმის გამოწვევის რიტუალი ხშირად გრძელდებოდა ქალქებთან, ქვადედაკცთან, მოზვერქვასთან, ეს ხდებოდა სოფლებში, სადაც მდებარეობდა ასეთი ქვები. სპეციალურ ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი გადმოცემები ქალქებსა და მამიდა ქვებზე“.<sup>2</sup>

მ. მაკალათიას მასალების მიხედვით, ლიახვის ხეობის სოფლის, ვანათის მკვიდრნი გვალვის დროს ჯერ დიდებაზე რამდენიმე სოფელს მოივლიდნენ, შემდეგ გუთნით მოხნავდნენ წყალს და ბოლოს მოზვერა ქვასთან მივიდოდნენ. სხვა სოფლებში ჩანერილი მასალით ქვაზე კენჭებს დაალაგებდნენ, შემდეგ შეარჩევდნენ ყველაზე ძლიერ ქვრივ დედაკაცს, რომელსაც ქვაზე ისე უნდა მოეშარდა, რომ კენჭები გადაეტანა.<sup>3</sup>

დმანისის მოზვერა ქვა „ავ ფუძედ, ფინო ფუძედ“ ითვლებოდა („ავი ფუზი“). გზაში მიმავალი დედაკაცები როცა ქვას ჩაუვლიდნენ, ცხენიდან ჩამოხტებოდნენ, ქვასთან მივიდოდნენ და

---

<sup>1</sup> მ. მაკალათია, წყლის კულტის გადმონაშთები შიდა ქართლში, კრ. შიდა ქართლი, თბ., 1987, გვ. 93

<sup>2</sup> იქვე, გვ. 93

<sup>3</sup> იქვე, გვ. 95

ზედ მოშარდავდნენ. ერთი მთხრობელის თქმით – „ჩემი დედის სამშობლო (ე.ი. დედუღეთი), მოზვერა ქვამ ამონყვიტაო“ (მათი ოჯახი ქვასთან ახლოს სახლობდა თურმე). მოტანილი მასალა გვიჩვენებს, რომ მოზვერა ქვა ფილიაური ძეგლია. წვიმის გამონვევის მიზნით, გუთნით წყლის მოხვნის შემდეგ, მოშარდვის რიტუალი ქაისხევშიც სრულდებოდა თურმე, შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო გადმოგვასხი, გადმოგვაფსი“.<sup>1</sup>

შ. გოზალიშვილის ჩანაწერებით, რომელიც გ. ჯალაბაძის წყალობით გახდა ცნობილი, მოზვერა ქვასთან მიმავალი ქალები თეთრ თავსაფრებს იხურავდნენ და ფეხშიშველები უნდა ყოფილიყვნენ. მოზვერა ქვაზე ქვრივ ქალს უნდა მოეშარდა, მერე სველი ადგილი ქვეშ უნდა მოექციათ. რიტუალს ოცამდე ქალი მაინც ასრულებდა. ქალები ევედრებოდნენ ღმერთს: „ღმერთო გაავდრდესო, წვიმა მოვიდესო, ქვეყანა დაინამოსო, რო ჭირნახული არ გახმეს და მოვიდესო“. ქალებს წყალი კოკებით მოჭქონდათ და სახამდნენ ქვას, მერე ქვაზე შარდავდნენ და ისე ასველებდნენ.<sup>2</sup>

ქართველ მინათმოქმედთა რწმენა-წარმოდგენებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა წმ. ელიასაც, ტაროსის განმგებელს, რომლისადმი მიმართულ სარიტუალო ქმედებების მეშვეობით (კოხინჯრობა, ელიობა, კვირტობა და სხვ.) გლეხი ცდილობდა ბუნების სტიქიურ ძალთა მოქრთამვა-დამორჩილებას.<sup>3</sup>

ქართლში ჩანერილი ერთი გადმოცემის თანახმად, ელია ბრმა არის (ლეგენდის მიხედვით, ის ქალმა შეაცდინა და ამის გამო თვალები დაითხარა). თვალდათხრილს ეშმაკი დაატარებს, ხშირად შეცდომაში შეჰყავს და სეტყვას სოფელს და მის სავარგულებს უშენს. ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ, სეტყვის ღრუბლების გამოჩენისას სოფელსი იწყება რკინის საგნების ერთმანეთზე ცემა, ზარების რეკვა, თოფების სროლა, ყიჟინა, რათა ელია

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 95

<sup>2</sup> იქვე, გვ. 95-96

<sup>3</sup> ნ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 251

„მიახვედრონ“, რომ ქვევით სოფელია, მართალია, ელია ქრისტიანული წმინდანია, მაგრამ მისი „სიბრმავე“ შესაძლოა ხეთური ამინდის ღვთაებას ანალოგიტ არის წარმოქმნილი. თუ ცვენ ამას დაეუშვებთ, მაშინ მის პროტოტიპად ჩაითვლება ხეთური ამინდის ღვთაება, რომელსაც გველი (ურჩხული) ილუანქა ამარცხებს და დამარცხების ნიშნათ გულსა და თვალს ამოცლის, რის გამოც ის ცალთვალა რჩება, ბრმავედება.<sup>1</sup>

როგორც მაკალათია აღნიშნავს: „ელიაზე უფრო ძველი ღვთაებაა ამირანის მითის „ცა-ლრუბელთ უფალი“, ყამარის მამა, რომელიც ქაჯთა ბატონადაც მოიხსენიება. ივარაუდება, რომ ამ შემთხვევაშიც ხეთური მითის ნაშთთან უნდა გვექონდეს საქმე. ხეთური მითის მიხედვით, „ურჩხული ილუანქა ამინდის ღვთაებას ამარცხებს. იგი ამოუღებს ღვთაებას გულსა და თვალს. ამინდის ღვთაება შურისძიების მიზნით თავის ვაჟს ცოლად შერთავს ილუანქას ქალიშვილს, თავისი მამის თვალსა და გულს. ამინდის ღვთაების ძლიერება აღსდგება. იგი ამარცხებს ილუანქას, მაგრამ მასთან ერთად კლავს თავის შვილსაც. ჩვენს შემთხვევაში ქალის მამაა „ცა-ლრუბელთ უფალი (და არა ურჩხული); ამირანი ყამარს იტაცებს და მამამისს კლავს.“<sup>2</sup>

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ისიც, რომ რაჭის ტერიტორიაზე, ქვიშნარის განძში სპილენძის ცულები, რომელსაც გ. ნიორაძე ჭექა-ქუხილის ღვთაებისადმი შეწირულად მიიჩნევს“.<sup>3</sup>

წმინდა გიორგის კულტი საპატიო ადგილი უკავია რაჭა-ლეჩხუმის (და საერთოდ ქართველების) ყოფაში. წმინდა გიორგის კულტის ესოდენ გავრცელება და მისი დიდი მნიშვნელობა სავსებით ბუნებრივია და გასაგებია, რადგანაც ქართველი ხალხის აზროვნებაში მას ძველი წარმართული პერიოდის მთვარის ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია,<sup>4</sup> რომელსაც ძვ.წ. IV-III სა-

---

<sup>1</sup> მ. მაკალათია, დასახ. დაშრ. გვ. 96-97

<sup>2</sup> იქვე, გვ. 97-98

<sup>3</sup> ნ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 251

<sup>4</sup> იქვე, გვ. 251-252

უკუნეების მიჯნაზე არმაზის მეომარი კულტი ჩაენაცვლა. ამიტომ, ქრისტიანული პერიოდის წმ. გიორგის კულტმა მიიღო მთვარისა და შემდგომ არმაზის კულტის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთაგან ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი მამაკაცისა და მამაკაცური სამიანობის მფარველობა არის. ამიტომ არის, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გაჭირვებაში ჩავარდნილი და მათ შორის ბუნებრივ-ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩენილი მამაკაცი, უპირველეს ყოვლისა წმ. გიორგიზე ლოცულობდა და ხსნას და მფარველობას ეხვეწებოდა.

ბუნებრივ სტიქიებთან ბრძოლაში ირაციონალური ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა მატო, რა თქმა უნდა, ქართველთა ყოფისთვის არ იყო დამახასიათებელი. ასე მაგალითად, კუნძულ ჰავაიზე, სადაც ხშირად აქვს ადგილი ვულკანის ამოფრქვევებს, მცხოვრებლები ორგანიზებულ, რაციონალურ ღონისძიებებთან ერთად, მიმართავენ ისეთ საშუალებებს, როგორც არის მიმართვა ზებუნებრივი ძალებისადმი, უმთავრესად კი ვულკანის ღმერთქალი პელესადმი. კუნძულის მრავალი მცხოვრები, განსაკუთრებით კი მოხუცები, ვულკანის ქალღვთაება პელეს სწირავენ მაგარ სასმელებს, ტკვილეულს, თუთუნს, ყვავილებს, საკვებს და კომბოსტოს პალმის – „ტის“ ფოთლებს. ამის გარდა, ჰელესადმი მიცემული თავიანთი ნათესავეების საშუალებით და დახმარებით შესაძლებლად მიაჩნიათ შესთხოვონ ქალღვთაებას, რათა ვულკანის ამოფრქვევის შედეგად დაძრული ლავის ნაკადი მათთვის სასურველი მიმართულებით მიმართოს. პელესადმი თაყვანისცემამ შეიძლება განსაზღვროს აგრეთვე მოხუცი ჰავაელების მოქმედება ევაკუაციის შემთხვევაშიც. ისინი ლავის ნაკადს აიგივებენ თვით პელესთან, რომელიც „ნებისმიერ დროს შემძლეა ხელში ჩაიგდოს ყველაფერი, რასაც კი ისურვებს“. და თუ ლავის ნაკადი მიუახლოვდება მათ თუნდაც უკანასკნელ სარჩო-საბადებელს, ისინი არავითარ ღონისძიებას არ მიმართავენ მის გასაჩერებლად, რათა ამ ქმედებით არ გამოიწვიონ პელეს განრისხება. 1955 წლის ვულკანის ამოფრქვევის დროს, ერთმა მოხუცმა ჰავაელმა ზემოაღნიშნული მიზეზის გამო უარი განაცხ-

ხადა უსაფრთხო ადგილზე გადაეტანა თავისი ქონება, მათ შორის, ტელევიზორი და მაცივარი.<sup>1</sup>

ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხი – ნოღაელები გვალვის შემთხვევაში აწყობდნენ ე.წ. ჯასაკ-ს ან „კურმანლიკ“-ს. ეს სლესასნაულები იმართებოდა როგორც მამაკაცების, ასევე ქალების მიერ ცალ-ცალკე. ქალების „კურმანლიკი“ მაგალითად, მდგომარეობდა იმაში, რომ ორი-სამი, რომლებსაც სპეციალურად ირჩევდნენ, ჩამოივლიდნენ მთელ აულს და ოჯახებიდან შენიღბულების სახით აგროვებდნენ ფქვილს, ხორბალს, ფულს და ა.შ. ვისაც რა შეეძლო. სპეციალურად დათქმულ დღეს აულის ქალები და გოგონები იკრიბებოდნენ მდინარესთან, მიჰქონდათ იქ საჭმელი. აქვე იკრიბებოდა აულის უხუცესები და სასულიერო პირები. ანთებდნენ ცეცხლს და მასზე აცხობდნენ კვერებს, ხარშავდნენ ხორცს და წვავდნენ მწვადებს. სასულიერო პირები იცოდებდნენ, რისი დამთავრების შემდეგაც მომზადებულ საჭმელს ანაწილებდნენ. ყველაზე საუკეთესო ნაჭრებს უხუცესებს და სასულიერო პირებს სთავაზობდნენ და იქვე, რბილ ბალახზე შეექცეოდნენ. ძვლებს კი ან კოცონში სწვავდნენ ან მინაში მარხავდნენ, რათა ძალღს ან არანმინდა ცხოველს არ გაექეჟა და წმინდა დღესასწაული არ გაეუწმინდურებინა. სადილის დამთავრების შემდეგ, ქალებსა და გოგონებს ჭურჭლით მოჰქონდათ წყალი და იწყებდნენ ერთმანეთის და სხვა დამსწრეების განუწვას. გაჭუჭვიდან თავის დახსნის ორი საშუალება იყო. პირადი მოხერხება, სიმარჯვე და გამოსყიდვა. დამსწრე ფულის წვრილ მონეტებს მარჯვნივ და მარცხნივ მიმოაბნევდა. ფული ხელში ჩაგდებას წუნაობაში მონაწილე ქალები ცდილობდნენ, რის გამოც წყლის ჭურჭელს თავს ანებებდნენ. წარმოქმნილ ზედახორში წყალი იღვრებოდა, მისგან გაჩენილ ტალახში ისვრებოდნენ.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Мертон Бр.Дж., Шимабукуро М. Приспособление человека к опасности вулканических извержений в районе Пуна на острове Гавайи, в кн., Стихийные бедствия: изучение и методы борьбы, М., 1978 г., стр. 161

<sup>2</sup> Алейников М., Поверья ногойцев, СМОМПК, XXVII, отд., II, стр. 12-13

**II.** მსოფლიოს მრავალ კუთხეში და ხალხებში ჩატარებული შესაბამისი გამოკვლევების შედეგად თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ განსაზღვრულ კონკრეტულ ტერიტორიაზე ხანგრძლივად მობინადრე ადამიანებს, ბუნებაზე დაკვირვებისა და სამეურნეო საქმიანობის ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდათ გარკვეული გამოცდილება, მათ სამოსახლო და სამეურნეო ტერიტორიებზე, ამ ადგილებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივ-ექსტრემალური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისა, რაც კვლავ ეფექტურ საშუალებად რჩება თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებთან ერთად.

ასე, მაგალითად, აღმოსავლეთ კენიაში, სადაც გვალვები არც თუ იშვიათად ნაციონალური უბედურების და შიმშილობის მთავარ მიზეზად გვევლინება, მრავალი წლების განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობაში ჩამოყალიბდა გვალვასთან ბრძოლის მრავალფეროვანი საშუალებანი, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო და სოციალური სისტემისთვის დამახასიათებელი მუდმივი თავისებურებანი გახდნენ მოცემული რეგიონისთვის. როგორც მაგალითი, შეიძლება მივუთითოთ მათთვის დამახასიათებელ იმ მინდვრის კულტურებზე და ცხოველების ჯიშებზე, საძოვრებზე და მინდვრებზე, რომლებსაც მნიშვნელოვანი ტერიტორია უჭირავს და უზრუნველყოფს გარკვეულ წილად გვალვაზე ნაკლებად გამოკიდებულ ან დამოუკიდებელ ეკონომიკურ საქმიანობას. მაგრამ ეს უმთავრესად ეხება ლოკალურ საზღვრებში მოქცეულ მცირე გვალვას. რაც შეეხება რეგიონალურ და მით უფრო ნაციონალური მასშტაბების გვალვას, ზემოხსენებული მეთოდი თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გარეშე ნაკლებად ეფექტური ხდება.<sup>1</sup>

ერთხელ უკვე აღინიშნა, რომ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, ურბანიზაციისა და საერთოდ მოსახლეობის ზრდასთან, ბუნებრივი კატასტროფების თვალსაზრისით

---

<sup>1</sup> Виснер Б., Мбити Ф.М., Засуха в восточной Кении: продовольственное положение и сельскохозяйственная деятельность. Сб. Стихийные Бедствия: изучение и методы борьбы, 1978, стр. 84-85

მაღალი რისკის ზონების ათვისება-დასახლების კვალდაკვალ იზრდება ბუნებრივ-სტიქიური უბედურებების მასშტაბებიც. ამ მხრივ საინტერესოა ინგლისის საგრაფო შროპშირის ქალაქ შრუსბერში XIX-XX საუკუნეების მანძილზე მომხდარ წყალდიდობის მასშტაბების დინამიკაზე დაკვირვება.

ქ. შრუსბერი მდებარეობს მდინარე სევერნიზე, ლონდონიდან დაახლოებით 250 კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთით და 70 კმ-ზე ბირმინჰემიდან. მდინარე სევერნი ერთ-ერთი უდიდესია ინგლისში. ქალაქი შრუსბერი მდებარეობს მდინარე სევერნის ზემო დინებაზე. ქალაქ შრუსბერის ძველი საზღვრები მდებარეობდა საკმაოდ მაღალ, კარგი დრენაჟის ნაკვეთზე. ძველ დროს შრუსბერი თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა. შენობები კი ციხე-სიმაგრის ირგვლივ შენდებოდა. ქალაქის კედელი კი ზღუდავდა შრუსბერის გაფართოებას. ქალაქმა მას შემდეგ დაიწყო ზრდა, როდესაც მიიღო ახალი, მნიშვნელოვანი სავაჭრო ფუნქცია რკინიგზის მშენებლობასთან ერთად, ანუ XIX საუკუნიდან ქალაქმა მიიღო მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძის ფუნქცია, რამაც ხელი შეუწყო მას, რათა გამხდარიყო სავაჭრო და სამრეწველო ცენტრი. მოსახლეობის მოზღვაგებასთან ერთად აღიმართა ახალი საცხოვრებელი რაიონები ქალაქის კედლის გარეთ. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კი საცხოვრებელი მასივები გაჩნდა მდინარე სევერნის მიმდებარე ჭალებშიც, რამაც განაპირობა კიდევ მდინარე სევერნის ადიდების შედეგად მიყენებული ზარალის დიდი მასშტაბებიც. ასე მაგალითად, 1960 წლის წყალდიდობის მიერ მიყენებული ზარალი 26 მილიონი დოლარი იყო, 1964 წლის და 1965 წლის – 12 მილიონი დოლარი. 1968 წლის წყალდიდობის შედეგი კი 29 მილიონ დოლარს შეადგენდა.<sup>1</sup>

ნორვეგიაში, თოვლის ზვავებზე მოდის დიდი ზარალის და უბედური შემთხვევების ყველაზე უფრო დიდი ხვედრითი წილი.

---

<sup>1</sup> Харуинг Д.М., Паркер Д. Дж., Наводнения в Шрусбери, Великобритания, сб. Стихийные бедствия: изучение и методы борьбы, М., 1978, стр. 49-51

დადგენილია, რომ 1836 წლიდან 1978 წლამდე თოვლის ზვავების შედეგად 1600 ადამიანი დაიღუპა, ე.ი. საშუალოდ წელიწადში 12 ადამიანი. შედარებისთვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ შვეიცარიაში წელიწადში საშუალოდ 25 ადამიანი იღუპება, მაგრამ მათი უმეტესობა მოთხილამურეები არიან, მაშინ, როდესაც ნორვეგიაში ზარალს განიცდის უმთავრესად ადგილობრივი მოსახლეობა.

თოვლის ზვავებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების მასშტაბის თვალსაზრისით აღსანიშნავია 1679 წლის სტიქიური უბედურების შემთხვევა, როდესაც 400-500 ადამიანი დაიღუპა. 1755 წელს თოვლის ზვავის შედეგად 200 ადამიანი დაიღუპა. 1886 წელს კი – 161. შედარებით დიდი რაოდენობა ადამიანებისა დაიღუპა 1880 წელს – 20 კაცი, 1881 წელს 60, 1895 წელს – 24, 1906 წელს – 29, 1918 წელს და 1919 წელს – 31 ადამიანი. უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით დიდი რიცხვი დაღუპულებისა მოდის 1955 და 1956 წლების ზამთარზე, როდესაც 30 ადამიანი დაიღუპა. მაგრამ ეს ციფრები მხოლოდ დაღუპულების რაოდენობას ეხება და არაფერია ნათქვამი დასახიჩრებული ადამიანების შესახებ. არაფერია ნათქვამი რამდენი სახლი დაინგრა, რამდენი შინაური ცხოველი დაიხოცა, რა ფართობის ტყე და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგული განადგურდა. ამ მხრივ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სტიქიური უბედურებების, ნორვეგიის სახელმწიფო ფონდის მონაცემები, რომლის თანახმადაც 1962-1971 წლების მანძილზე თოვლის ზვავების მიერ მიყენებულმა ზარალმა 1,6 მილიონი დოლარი შეადგინა. ხოლო იმავე პერიოდში ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებებში დახარჯულმა თანხებმა კი 600 ათასი დოლარი შეადგინა. მაგრამ აქ ნაჩვენები არ არის ყველა ზარალი და ხარჯები კერძო სექტორის, მსხვილი სამრეწველო საწარმოების და იმ სხვა ობიექტების, რომლებისთვისაც ზემოაღნიშნული ფონდის წესდების თანახმად კომპენსაცია ზარალისა არ ვრცელდება. ზარალისგან, რომელიც ზვავისგან არის გამოწვე-



ული, შეიძლება დაზღვევა, მაგრამ დაზღვევას ნაკლებად მიმართავენ. კერძო საკუთრების დაზღვევა სავალდებულო არ არის, ვინაიდან ზარალის შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი იფარება სტიქიური უბედურების სახელმწიფო ფონდის მიერ.

ზვავები საფრთხეს წარმოადგენს აგრეთვე გზატკეცილებისა და რკინიგზებისათვისაც, ვინაიდან მას შეუძლია ჩაკეტოს ეს საშუალებები კომუნიკაციისა სხვადასხვა დროით, რაც საკმაო ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას.

ეკონომიკური ასპექტის გარდა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისიც, რომ ბევრი ადამიანი მთელი ზამთრის განმავლობაში ზვავის საშიშროებასთან დაკავშირებით იმყოფება მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ. ხშირ შემთხვევაში ადამიანებს არა აქვთ ევაკუაციის გარდა სხვა გამოსავალი. ზოგიერთ რაიონებში ბავშვებს სახლიდან აგზავნიან სხვა ადგილებში, ხოლო უფროსი ასაკისანი რჩებიან ყოველდღიური სამუშაოების შესასრულებლად. უბედური შემთხვევის შეტყობის შემთხვევაში, განგაში და შიში ხშირად ვრცელდება სხვა რაიონებშიც. ისინი, ვინც უშუალოდ მთის თოვლიანი კალთების ძირში ცხოვრობენ, თითქმის მუდმივ შიშში სიცოცხლისათვის იმყოფებიან.

ნორვეგიის ზვავასაშიში რაიონების მცხოვრებლები ძველი დროიდანვე მიმართავენ ზვავისგან თავდაცვის გარკვეულ საშუალებებს. დასავლეთ ნორვეგიის ფიორდების და დაბლობების ბევრ ადგილას შეიძლება შეგვხვდეთ სახლები, რომლებიც ქვაცირილების უკან მდებარეობენ, ან ბუნებრივ შემადლებულ ადგილზე არიან აშენებული, ან კიდევ მათ უკან. მიზეზი სახლების ასეთი განლაგებისა, რა თქმა უნდა სხვადასხვა შეიძლება იყოს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს კეთდებოდა თოვლის ზვავებისგან თავდაცვის მიზნით.

იმ ადგილებში, სადაც ბუნებრივი წინააღმდეგობა ზვავისთვის საკმარისი არ არის, შეიძლება გამოყენებული იყოს თავდაცვითი ნაგებობები. ისინი შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად: 1) ნაგებობები ზვავის ფორმირების ადგილზე ან მის გზაზე;

2) ნაგებობები ზვავის მოწყვეტის ადგილზე და 3) ნაგებობები ავავის მოწყვეტის ზონის ქარისპირა მხარეს.

პირველი ნაგებობების დანიშნულებას წარმოადგენს შეაჩეროს თოვლის მასა მანა, სანამ ის მიაღწევს საფრთხის ქვეშ მყოფ რაიონს ან აისხლიტოს ის და მიმართოს ობიექტის ზემოთ. მეორე და მესამე კატეგორიის ობიექტები განკუთვნილია ზვავის წარმოქმნის ალკვეთისათვის პირდაპირი ან ირიბი გზით.

მას შემდეგ, რაც ზვავი მოძრაობაში მოვა, მისი შეჩერება ჩვეულებრივ შეუძლებელია. ერთადერთი გადაწყვეტა, რომელიც წარმატების იმედს იძლევა, არის წინალობის შედგმა მოვარდნილი თოვლის გზაზე, როდესაც ის მიაღწევს ძირს და დაკარგული აქვს უკვე სანყისი სიჩქარე. ეს შესაძლებელია განივი კედლების დახმარებით ან ე.წ. ზვავის დასაკავებელი დამბების საშუალებით.

კიდევ უფრო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ნაგებობებს, რომლებიც იძლევა საშუალებას გააპოს ან გადახაროს, მიმართულება შეუცვალოს თოვლის მასას. ამ ნაგებობებიდან უმარტივესია მინაყრილები ან ქვაყრილები, რომლებიც ზვავის წამოსვლის მიმართულების მხარეს სახლს იცავდნენ.<sup>1</sup>

1972 წელს აშშ-ს გაზეთი „დეილი ჰერალდი“ წერდა, რომ იუტას შტატში, მოყინვების შედეგად მიყენებული ზარალი მხოლოდ სამი ღამის განმავლობაში 9 მილიონი დოლარი შეადგინაო.<sup>2</sup> უოსატჩის რაიონი, რომელიც იუტას შტატში მდებარეობს, თავისი ბუნებრივი პირობებით მნიშვნელოვნად განსხვავდება შტატის სხვა მშრალი უდაბნოებით მდიდარი რაიონებისაგან და მათ ფონზე ოაზისის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს რაიონი აღმოსავლეთიდან უოსატჩის მთებით არის შემოსაზღვრული, ხოლო დასავლეთიდან მდინარის ბასეინით და ქედით. უოსატჩის ქედი დიდ გავლენას ახდენს რაიონის კლიმატზე. მოსახ-

---

<sup>1</sup> Г. Ремпи, Снежные лавины в Норвегии. Сб. Стихийные бедствия: изучение и методы борьбы. М., 1978, стр. 204-209.

<sup>2</sup> Джексон Р.Х. Ущерб причиняемый заморозкам и приспособление в оазисе Уосатч, сб. Стихийные бедствия... стр. 136

ლეობა განლაგებულია ზღვის დონიდან დაახ. 1200-1500 მეტრზე და ამ რაკონისთვის დამახასიათებელია ცინვები, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ ხეხილის ბალებს. ზარალის სიდიდე დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცინვების მომენტში კვირტის მდგომარეობა. ყველაზე კრიტიკული პერიოდია ყვავილობა. უკიდურესად საპასუხისმგებლოა ყვავილობის დაწყების უშუალო წინა პერიოდიც. ტემპერატურა – 1,66°C-დან და ქვემოთ ანადგურებს ყვავილებს, ხოლო – 2,22°C კი ფაქტიურად ანადგურებს მთელ მოსავალს. ამგვარად, ზარალის სიდიდე დამოკიდებულია ხეხილის სახეობისა და მათი განვითარების სტადიებზე, ვინაიდან ზოგიერთ სახეობის ხეხილი შედარებით გვიან ყვავილობს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამეურნეო საქმიანობისა და ბუნებაზე დაკვირვების შედეგად ადგილობრივი მეურნე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ზარალის სიდიდეს, არის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი ბაღის ადგილმდებარეობისა. ასე მაგალითად, ხეხილს სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე კვირტები გამოაქვს ადრე და უფრო ზარალდება ცინვისგან, ვიდრე ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობებზე. ადგილობრივი მოსახლეობა იშვიათად აშენებს ხეხილის ბალებს დაბლობის ძირში, ვინაიდან უკიდურესი დაბლობი ყველაზე მეტად განიცდის მოყინვებს, ვინაიდან ღამლამობით აქ იჭრება ცივი ჰაერის მასები.<sup>1</sup>

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში კარგად ჩანს ზვავისა და წყალდიდობებისაგან ნიადაგების დამცველი ღონისძიებების შექმნის ხალხური გამოცდილება. „დადგენილია, რომ მეურნის მიერ მრავალი მონაცემის გათვალისწინებით, წინასწარ იყო გაანგარიშებული სამოსახლოსა და სამეურნეო სავარგულისთვის მოსალოდნელი საშიშროების წყარო (ღვარი, ღვარცოფი, ლეკი, შვავი, მენყერი, ზვავი და ა.შ.) და მისი ხარისხი. განსაკუთრებით საშიშ ადგილებში მეურნე არც სახლს აშენებდა,

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 136-140

არც ვენახს თუ ყანას აწყობდა. ამგვარად, თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეს გაფრთხილება, რომელიც ერთგვარი „ტოპონიმიკური კოდის“ მეშვეობით იყო განხორციელებული. მიწათმოქმედებისათვის განკუთვნილი ფართობების დაცვა წარმოებდა ყოველი კონკრეტული ნაკვეთის მოთხოვნილებათა შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ადგილი ჰქონდა ნიადაგდამცველი ნაგებობების კონსტრუქციულ დიფერენციაციას, მათ მრავალფეროვნებას.<sup>1</sup>

ხალხურ გამოცდილებას წყლის სტიქიასთან ბრძოლის საქმეში გვიდასტურებს საქართველოში ე.წ. წყლის დასაოკებელი და ნიაღვარ საწინააღმდეგო ნაგებობათა არსებობაც, რაც რელიეფურ პირობებთან შესატყვისობაშია განხორციელებული. დიდი და პატარა ხევ-მდინარეებით დასერილი მიწა-წყალი მოითხოვდა იმ სამეურნეო ნაკვეთების დაცვას, რომელთაც მდინარეთა მოდილებისა თუ ღვარცოფების დროს წალეკვის საშიშროება ელოდათ. ეს იყო, როგორც სახნავ-სათესი ადგილები, ასევე სავენახე ფართობები, ბალ-ბოსტანი და ეზო-კარმიდამო. ქართლის ხევისპირა სოფლების მოსახლეობა ორგვარ საშიშროებას, სტიქიის ორმაგ შემოტევას უმკლავდებოდა – მათ მუდმივად უხდებოდათ ხევისპირებზე განლაგებული სავარგულელებისა თუ საკარმიდამო ნაკვეთების დაცვა წყლით წალეკვისაგან და ასევე ფერდობზე განლაგებული კულტურული ნიადაგების შენარჩუნებისათვის ბრძოლა. სოფ. მეჯვრისხევი – მეჯუდაზე, სოფ. მარანა – ლიახვზე, სოფ. სასირეთი – ქსანზე და ამგვარად ქართლის სოფლების უმეტესობა სათანადო დაცვით ნაგებობების მუდმივ შენებასა და განახლებას საჭიროებდა. მათი მთავარი დანიშნულება იყო წყლის ნაკადის დაოკება, მისი ძალის შენელება, სანაპირო ზოლის დაცვა და ასევე სათანადო ღონისძიებათა მეშვეობით სარწყავად გამოყენება. ამ ნაგებობათა მრავალი სახე არსებობდა, რომელთა მოხმარება შეესატყვისებოდა კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო თავისებურებათა

---

<sup>1</sup> ლ. ბერიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 236

ხასიათს. მათ შესახებ მდიდარი ეთნოგრაფიული მონაცემებია შემონახული ხალხის ყოფაში,<sup>1</sup> და რომლის მაგალითადაც შეიძლება რამდენიმე მოვიტანოთ.

ფართოდ ყოფილა გავრცელებული სანაპიროს დამცველი ნაგებობები-„ბურჯები“. ბურჯი შემდეგი წესით არის მოწყობილი: მუხის ხის მსხვილ სარებზე – „მანებზე“ იწვნება გოდრის-მაგვარი ფორმის სათავსი, რომელსაც ადგილობრივ „ჯინი“ ეწოდება. მისი საშუალო ზომაა 3-4 მ. სიგრძე და 2-2,5 მ. სიგანე, მოწნული ჯინი მოაქვთ წყლის ნაპირზე და ამაგრებენ სათანადოდ ადგილზე, რის მერეც იწყება მისი ქვით ამოვსება. დროდადრო შეაყოლებენ ნერგის გრძელ სარებს, რომელიც ნედლი უნდა იყოს და უფოთლო. დროთა განმავლობაში იგი ფესვებს გაიდგამს ბურჯის ძირში და ამით სიმაგრეს შემატებს.<sup>2</sup>

ბურჯის პრინციპზეა შექმნილი სანაპირო ზღის დამცველი ნაგებობა „გოდორყური“, რომელსაც ქართლის ზოგ სოფელში „ჯინგოდორასაც“ უწოდებენ. მისი ფუნქცია მდგომარეობს წყლის მიმართულების შეცვლით, წყლის დინების სქეცივით, ნაპირთან ახლოს მდებარე სავარგულების დაცვაში. ამიტომ, ბურჯებთან შედარებით გოდორყური მეტი რაოდენობით (დიდი ფართობზე) უკეთდება საჭირო ადგილებში. თითო ნაგებობა 8-10 მეტრის სიგრძეზე არის ჩადგმული წყლის კალაპოტში და საჭიროების დროს ნაპირთან მათი რიცხვი ათეულს აღემატება.

გოდორყური მარგილებზე დაწნული ოვალური ფორმის დიდი გოდორია, რომლის სიმაღლე 2-2,5 მ. და გარშემოწერილობა 8-10 მეტრამდეა. უკვე მოწნული სათავსი მიაქვთ ნაპირზე და საჭირო ადგილებში დგამენ. ყოველი მომდევნო გოდორყური პირველთან შედარებით მეტადაა წყალში შეზიდული. ამგვარად, თანდათანობით ნაპირის განსაზღვრული მონაკვეთი წყლის დინებას შორდება, იტბორება, წყალი აღარ რეცხავს ნი-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 71-72

<sup>2</sup> იქვე, გვ. 72-73

ადაგს და ნალეკვის საფრთხეც მოხსნილია. „წყალს ძალა ეკარგება“.<sup>1</sup>

ჯებირი უკეთედებოდა არა მარტო წყლის პირებს, არამედ ფერდობზე მდებარე ყველა სამეურნეო ფართობს ღვარცოფის მოვარდნის განსაკუთრებით საშიშ ადგილებში, რაც წვიმებით და თოვლიანობით გამოწვეულ, მთიანი რელიეფისათვის დამახასიათებელ ხშირ ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს. ჯებირი ბურჯისა და გოდორყურისაგან განსხვავებით უფრო ხანგრძლივი დროით გამოსაყენებელი დამცველი საშუალებაა. იგი განსხვავდება თავისი კონსტრუქციით და მისი მოწყობის რამდენიმე ხერხი დასტურდება – ქვით, ქვა-ფიჩხით, ფიჩხ-კონით.

ჯებირის მშენებლობა გვიან შემოდგომით იწყებოდა ან ადრე გაზაფხულზე „როცა წყალი დამცხრალი იყო“. ჯებირივ მოსაწყობად „გამძლე ხის ბოძებს დასხავდნენ ორ რიგად“ წინასწარ მონიშნულ ადგილას, ისე რომ „ნახევარი არშინით მაინც უნდა ჩასულიყო მიწაში“. შემდეგ, ბოძებზე, რომელთა დაშორება ნახევარ მეტრს არ აღემატებოდა, იწვენებოდა ღობისმაგვარი წნული კედელი, რომელიც 2 მეტრამდე სიგანის მონაკვეთს ქმნიდა; მისი სიგრძე ადგილის შესატყვისად იფარგლებოდა. შემოზღუდული ადგილი ქვით ივსებოდა და იტკეპნებოდა და ძველ ჯებირს ზედა ნაპირთან უშენებდნენ მომცრო, 40-70 სმ-ის სიმაღლის კედელს, რომელიც ძველ ნაგებობას სიმაგრეს მატებდა.

ძლიერი ნიაღვრის ადგილებში დახრამული ფერდობისა და ხევის სანაპიროზე მონიშნულ მონაკვეთში ადგილს განმენდნენ ქვა-ღორღისაგან და მოასწორებდნენ. შემდეგ ჩაყრიდნენ მუხის მარგილებს, თითო არშინის დაშორებით, შემოსაზღვრავენ ოვალურ მონაკვეთს და მსხვილი წნელით იწყებენ მარგილებზე შემონვნას ძირში, თავიდანვე ერთ ფენა ქვას 2 მტკაველზე „ჩაუფენდნენ“ და წვნის პროცესში, ყოველი წნელის ბოლოს ჯებირის მთელ სიგრძეზე გადაფენდნენ. ამრიგად, ქვის ფენას

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 74

ზევით მოექცევა წნელის ფენა, რომელსაც ზევიდან ისევ ქვა ეყრება. გამოდის ქვითა და წნელით შექმნილი მკვიდრი ნაგებობა.<sup>1</sup>

ნიადაგის ეროზიის შესამცირებლად საყოველთაოდ მიღებული ყოფილა საქართველოში წყლის სანაპიროს შემაგრება მწვანე ნარგავების საშუალებით. ამისთვის საგანგებოდ არჩევდნენ შესაფერის ჯიშებს – ტირიფს, ფმატს, რცხილას. განსაკუთრებული თვისებით გამოირჩეოდა ნერგი, რომელიც ძლიერი ფესვთა სისტემის განვითარების მეშვეობით ინტენსიურად უწყობს ხელს წყლიანი ნიადაგის გაშრობას.<sup>2</sup>

**დასკვნა.** ეკოლოგიური პრობლემების კომპლექსში თავისი აქტუალობით გამორჩეულია ბუნებრივ-ექსტრემალურ მოვლენებთან ბრძოლა. თემის აქტუალობას განაპირობებს სულ უფრო მზარდი მასშტაბები და ზარალი, რაც თან ახლავს ბუნებრივ-სტიქიურ მოვლენებს. ეს პროგრესირებადი მასშტაბები და ზარალი გამოწვეულია ერთის მხრივ, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის, ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციის, მოსახლეობის რიცხვის ზრდისა და მასობრივი ურბანიზაციის და მეორე მხრივ კი, ბიოსფეროს ბუნებრივ პროცესებში ადამიანის სულ უფრო აქტიური ჩარევით და ამ პროცესების ხელოვნური ცვლილებებით.

ზემოხსენებული საკითხების მკვლევარნი ბუნებრივ-სტიქიური უბედურებების შემცირებისათვის და შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე დასაყვანად ბრძოლის სამ ტიპს გამოყოფენ:

1. ხალხური ანუ წინაინდუსტრიული საშუალებები, რომლებიც მიმართულია უფრო ცხოვრების წესის შეგუებაზე ვიდრე მის კონტროლზე. ეს საშუალებები მრავალფეროვანია, არ მოითხოვს დიდ მატერიალურ ხარჯებს, არ აღემატება ცალკეული ინდივიდის ან მცირე კოლექტივის შესაძლებლობებს.

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 75-76

<sup>2</sup> იქვე, გვ. 80

2. თანამედროვე ანუ ინდუსტრიული, ტექნიკური საშუალებები, რომელიც მიმართულია უმთავრესად ბუნების კონტროლისაკენ. ეს ღონისძიებები დაკავშირებულია დიდ კაპიტალდაბანდებებთან, ურთიერთკავშირში არიან სოციალურ ორგანიზაციასთან და ატარებენ საკმაოდ სტანდარტულ ხასიათს.

3. კომპლექსური, პოსტინდუსტრიული, რომელიც აერთიანებს ორივე წინა ტიპის თავისებურებებს და რაც შესაძლებელს ხდის უფრო გაფართოვდეს ბუნებრივ-სტიქიურ მოვლენებთან შეგუების წრე, იყოს უფრო მოქნილი და ეფექტური, რა თქმა უნდა, აუცილებელი მატერიალური ხარჯებით და ორგანიზაციული მოთხოვნებით.

ბუნებრივ-ექსტრემალურ მოვლენებთან ბრძოლის მესამე და ყველაზე ეფექტური – პოსტინდუსტრიული ტიპი განსაზღვრავს ბუნებრივ სტიქიებთან ბრძოლის ხალხური საშუალებების გამოვლენის მნიშვნელობასაც. იმ ხალხური საშუალებებისა, რომლებიც ადამიანმა ბუნებაზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და სამეურნეო საქმიანობის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ კარგად ეგუებოდნენ ამ საშუალებების მეშვეობით ბუნებრივ-ექსტრემალურ მოვლენებს.



## დავით მერკვილაძე, ერეკლე ხუციშვილი

### პეტრე ბუტკოვი სომხური საკითხის წამოჭრისა და რუსეთის გეგმების შესახებ. 1783-1784 წლები

რუსეთის არმიის გადამდგარი ოფიცრისა და კავკასიისა და მიმდებარე მხარეთა ისტორიის შემდგენელ პეტრე ბუტკოვის (1775-1857) ნაშრომში – „მასალები კავკასიის ისტორიისათვის 1722-1803 წლებში“ XVIII საუკუნის კავკასიის ისტორიით დაინტერესებული ისტორიკოსებისათვის მრავალი მნიშვნელოვანი მონაცემი მოიპოვება. დასახელებული სტელტანიანი ნაშრომი პ. ბუტკოვის გარდაცვალებიდან 12 წლის შემდეგ ორ ტომად გამოსცა პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ [ბუტკოვი 1869ა; ბუტკოვი 1869ბ].

ამჯერად მკითხველს წარვუდგენთ პ. ბუტკოვის ნაშრომის ერთი მონაკვეთის ქართულ თარგმანს. მასში საუბარია ყარაბაღის ხან იბრაჰიმ ხალილის მიერ სომეხი მელიქების შევინროება და ამ უკანასკნელთა სწრაფვა, რათა ხანის მორჩილებისაგან როგორმე თავი დაეღწიათ. როდესაც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სადმი დახმარების თხოვნამ შედეგი არ გამოიღო (ერეკლე მეფე და იბრაჰიმ ხანი ერთმანეთის რეგიონალური პოლიტიკური მოკავშირეებს იყვნენ), მელიქებმა მთელი იმედი დაამყარეს სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკურად გააქტიურებული რუსეთის შემწეობაზე. თავის მხრივ რუსეთის ხელისუფლებაც ყურადღებით სწავლობდა წამოჭრილ საკითხს ყარაბაღელი და ყარადაღელი სომხების მისწრაფებების შესახებ და ახლო მომავალში მის სათავისოდ გამოყენების გეგმებს სახაზვდა. აქვე ბოლოს მოთხრობილია ასურელი ქრისტიანების შესახებ, რომლებსაც ასევე გაუჩნდათ გარკვეული ინტერესი ირანისაკენ რუსეთის იმპერიის ძალაუფლების შესაძლო განვრცობის მიმართ. თარგმანის აღნიშნული მონაკვეთი მოიცავს პ. ბუტკოვის ნაშრომის 115-117-ე თავებს (თავები დასათაურებულია ჩვენ მიერ).

ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია დავით მერკვი-  
ლაძისა და ერეკლე ხუციშვილის მიერ. ტექსტს დართული განმარ-  
ტებების ერთი ნაწილი პ. ბუტკოვის ნაშრომის ზემონახსენები პირ-  
ველი გამოცემიდან არის გადმოტანილი, მეორე ნაწილი ეკუთვნის  
მთარგმნელებს. მათ გასარჩევად შენიშვნებს დართული აქვს შესა-  
ბამისი მითითებანი.

## **თავი 115** **სომხური საკითხი და რუსეთის მთავრობის** **გეგმები 1783 წელს**

ყარაბაღის სომეხი მელიქები შევიწროებულნი იყვნენ იბ-  
რაჰიმ-ხან ჯევანშირის<sup>1</sup> (Ибраим-Хан Шеваншир) მხრიდან ჩაგ-  
ვრით, რომლის მამა, ფანა-ხანი (Фона-Хан),<sup>2</sup> მათი ძველი მამუ-  
ლის წიაღში, შუშაში დამკვიდრდა; ახლა მათ ეს სიძიმე უფრო  
მეტად იგრძნეს, როცა სპარსეთში განკერძოებული ხანების  
თვითნებობა უკვე არანაირი ხელისუფლებით არ იყო მოთოკი-  
ლი.

სომხეთში გამოჩნდა სომეხი ემინ ოსიპოვი,<sup>3</sup> დაბადებული  
ქალაქ ჰამადანში (Амедан), რომელიც 1760 წელს ინგლისიდან  
პეტერბურგში ჩასვლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ულ-  
ლის გადაგდებაზე დაიწყო ფიქრი, რომელსაც ის (სამშობლო –  
დ.მ.) ატარებდა. მისი დაჯგუფება უკვე მნიშვნელოვანი იყო.  
თურქებმა მაშინ თავის სამფლობელოებში სომხების შევიწროე-  
ბა დაიწყეს; მეფე ერეკლემ კი, რომელსაც ემინ ოსიპოვმა მი-  
მართა, განსაჯა, რომ დიდი ძალების დახმარების გარეშე ემინი

---

<sup>1</sup> იგულისხმება ჯევანშირთა საგვარეულოს წარმომადგენელი იბ-  
რაჰიმ ხალილი, რომელიც ყარაბაღის ხანის ტიტულს ფლობდა 1759  
(მეორე ცნობით, 1763) წლიდან 1806 წლამდე (მთარგმნ.).

<sup>2</sup> სრულის სახელი ფანაჰ-ალი ხანი, ყარაბაღის სახანოს დამაარსებელი  
მისი პირველი დამოუკიდებელი ხანი 1747-1763 წლებში (მთარგმნ.).

<sup>3</sup> იგულისხმება სომეხი მოღვაწე იოსებ (ოვსეფ) ემინი (1726-1809)  
(მთარგმნ.).

ვერავითარ წარმატებას მიაღწევდა, მისი თანამოაზრენი გაფანტა, თვით მას კი [სამეფოდან] წასვლა აიძულა. ემინი ინდოეთში, ქალაქ კალკატში (კალკუტაში?) წავიდა და იქ გარდაიცვალა.<sup>1</sup>

ამის შემდგომ შუშელმა იბრაჰიმ-ხანმა უფრო საგრძნობლად დაიწყო ყარაბაღელი მელიქების შევიწროება. იცოდა რა დუზახის სიღნაღის (дузахского сигнала) მელიქის, ესაიას (Исая) სიმდიდრის შესახებ, მას მტანჯველი სიკვდილით გამოგლიჯა მისი განძეული 1781 წლის დასაწყისში. ერთი თვის შემდეგ კი ასევე მოექცა მის მემკვიდრეს, მელიქ ვალგინგს (Валгинг). ამით დაშინებული მელიქები – ჩარაპერტელი ადამ იბრაილევი (Адам Израилев чарапертский) და იგერმადარელი იოსები (Иосиф игермадарский) ღიად განუდგნენ იბრაჰიმ-ხანს და თავიანთ გამაგრებულ ადგილებში თავშეფარებულნი მფარველობას მეფე ერეკლესთან ეძიებდნენ, თუმცა ეს ნაკლებად საიმედო იყო, რადგან ერეკლე იბრაჰიმ-ხანთან კავშირს მტკიცედ ინარჩუნებდა.

როდესაც საქართველოს რუსეთის სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლების დაქვემდებარებაში მიღება გადაწყდა, ყარაბაღისა და ყარადაღის სომხებმა საიდუმლო გზავნილის მეშვეობით რუსეთის კარს თავიანთი ერთგულება გამოუცხადეს და ევედრებოდნენ უცხოტომელთა ჩაგვრისაგან გათავისუფლებას. თან რუსული ჯარის უხვად მომარაგებას ჰპირდებოდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ მათ ნაყოფიერ ქვეყანაში 30-ათასიანი ჯარისათვის სურსათის მიწოდება 5 წლის შემდეგაც არ გაუჭირდებოდათ.<sup>2</sup> 1783 წლის 3 მარტის ეს წერილი მათი ყველა

---

<sup>1</sup> 1790 და 1791 წლებში თავადი პოტიომკინი იქიდან მისი გამოძახების დავალებას იძლეოდა, მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული იყო (გამომც.).

<sup>2</sup> 1783 წლის ივნისში მეფე ერეკლე, გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინს საქართველოს მომიჯნავე ქვეყნებზე სხვადასხვა ცნობებს რომ ატყობინებდა, ამბობდა, რომ ყარაბაღსა და ყარადაღში 62500 მეოთხე-

მღვდელმთავრის, მელიქისა და სხვა უწარჩინებულესი ადამიანების მიერაა ხელმოწერილი.

თავადმა პოტიომკინმა იმპერატრიცა ეკატერინეს ნებართვით მათ თავიანთი სურვილის ასრულების იმედი მისცა.

მეფე ერეკლესთან მჭიდრო კავშირის განმტკიცების<sup>1</sup> შემდეგ ჩაფიქრებული იყო შუშელი იბრაჰიმ-ხანის ჩამოგდება და ყარაბაღისა და ყარადაღისგან სომხური ოლქის შექმნა, რომელიც რუსეთის გარდა არავისზე არ იქნებოდა დამოკიდებული; ასევე – იქ მმართველობის თანამემამულისთვის ჩაბარება და მისი, რაც შეიძლება, ხალხისთვის სასარგებლოდ მოწყობა, რათა ყარაბაღელი სომხების მიბაძვით სხვა (სპარსეთის?) ძლიერ სომხურ პროვინციებს მათი მაგალითისთვის მიებაძათ და, ბოლოს და ბოლოს, აზიაში ქრისტიანული სახელმწიფო განეახლებინათ.<sup>2</sup>

ამისთვის განსაზღვრული იყო: ყიზლარიდან რუსული ჯარის კორპუსის გაგზავნა და დერბენდის დაკავება, რომელიც თავდაპირველი მოქმედებების დაწყების დროს სომხებისთვის თავშესაფრად შეიძლებოდა გამოყენებულიყო; თუ შესაძლებელი იქნებოდა, ფათალი ხანის (Фетали-Хан),<sup>3</sup> რომელიც მაშინ თავად ალექსანდრე გრუზინსკისა<sup>4</sup> და ვითომ აბას-მირზასთან

---

დამდე (четверть – უდრიდა 12 ფუთს – მთარგმნ.) პურის შეგროვება შეიძლება, და ამდენივესი – დერბენდიდან შირვანამდე და ჭარამდე (გამომც.).

<sup>1</sup> სავარაუდოდ იგულისხმება ერეკლე II-სთან „მფარველობით ხელშეკრულების გაფორმება (მთარგმნ.).

<sup>2</sup> იმდროინდელი ცნობების თანახმად, სომხური კომლების რიცხვი ყარაბაღში იყო 7 ათასამდე; დერბენდში – ათასი; შირვანში – 2 ათასი; შაქში – ათასი; განჯაში – 1500; ერევანში – 3 ათასი; ნახჭევანში – 500; თავრიზში – 500; მარალაში – 200; ყარადაღში – 300; ხოიში – ათასი (გამომც.).

<sup>3</sup> ყუბა-დერბენდის ხანი ფათალი (1758-1789) (მთარგმნ.).

<sup>4</sup> იგულისხმება ქართლის ტახტის პრედენდენტი ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონი, ვახტანგ VI-ის შვილიშვილი (მთარგმნ.).

ერთად ვერაგული განზრახვებით იყო დასაქმებული, შეპყრობა და ასტრახანში გაგზავნა; ყველა ზღვისპირა ქვეყნის დაკავება გილანამდე, მაშინ როცა სხვა სამხედრო კორპუსი იმავდროულად ისეთსავე მოქმედებებს საქართველოდან ჩაატარებდა.

გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინისათვის უკვე მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები იყო გადაცემული; ასტრახანშიც 6 ათასი კაცისთვის სურსათის ერთნახევარი წლის მარაგი, 1500 ცხენისთვის კი შვრია მომზადდა; დერბენდის დაკავების შემდეგ კასპიის ფლოტილიას, რომელიც კასპიის ზღვაზე ჩვენს ვაჭრობას მფარველობს, ამ მარაგის წლიური ოდენობა დერბენდში უნდა გადაეზიდა.

ამ გეგმის გადამწყვეტი შესრულება გადაიდო 1784 წლის ზაფხულისთვის, ყირიმსა და ყუბანზე ყველა საქმის დასრულების შემდეგი დროისთვის, რათა ამ მხრივ სრული უზრუნველყოფა ყოფილიყო. კავკასიის ხაზზე მაშინ მყოფ [ნაწილებიდან] ჯარი უკვე გამოყოფილი იყო.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ცალკე ფურცელზე შემდეგი შენიშვნაა:

„პეტრე დიდის დროიდან მოყოლებული, რუსეთის კარის სომხეთთან ურთიერთობა მხოლოდ სიგელებით გამოიხატებოდა, რომლებსაც რუსი მონარქები გასცემდნენ ერმიადინის სომეხი პატრიარქის (სომხებს სამი პატრიარქი ჰყავთ, რომელთაგან უმთავრესი, კათოლიკოსად წოდებული, ერმიადინში ცხოვრობს. ის აკურთხებს ორ დანარჩენს, რომელთაგან ერთი ცარგრადში ცხოვრობს, მეორე კი იერუსალიმში; ისინი სხვა არავინ არიან, თუ არა კათოლიკოსის თანაშემწე პატრიარქები. ქვემოთ მიწერილია: „სომხებს კიდევ ორი ტიტულარული პატრიარქი ჰყავთ, ერთი კონსტანტინეპოლში, მეორე იერუსალიმში.“), ასევე – მელიქების, იუზბაშების, მმართველებისა და მთელი საპატიო სომეხი ხალხის სახელზე, სარწმუნოდ და დასამონებლად, რომ მონარქები კეთილინებებენ, სომეხი ხალხი, ქრისტიანობის გამო, თავის განსაკუთრებულ სამპერატორო წყალობაში ჰყავდეთ. ამ სიგელების შენახვას ისინი ერმიადინის უპირველეს სატახტო ტაძარში ითხოვდნენ ხოლმე რუსეთის იმპერატორების წყალობისა და კეთილი ნების სამუდამო სახსოვრად. მათ ასეთი სიგელები უკვე 1724 წლიდან იმპერატორ პეტრე I-საგან, და 1726 წლიდან იმპერატრიცა ეკატერინე I-საგან ჰქონდათ. 1768 წელს, იმ

## თავი 116.

### ყარაბაღის ხან იბრაჰიმის რეაქცია რუსეთის გეგმებზე

სომხეთის მიმართ რუსეთის განზრახვები და მზადება როგორი ფარულიც არ უნდა ყოფილიყო, შუშელი იბრაჰიმ-ხანი მას ჩასწვდა და ისწრაფვოდა მისდამი დამუქრებული საფრთხის აცილებას. ჯერ კიდევ 1783 წლის აპრილში ის გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინს სწერდა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში შედიოდა და მზად იყო, ხარკი გადაეხადა. მაგრამ თავად პოტიომკინის 1783 წლის 19 მაისის განკარგულებით მას პასუხი გაეცა, რომ ხარკი, რასაც რუსეთის იმპერატრიცა სცემს პატივს, არის ერთგულება, და თუკი ის ურყევად იქნება [რუსეთის] მოკავშირე და მუდამ მზად – უმაღლესი ბრძანებების შესასრულებლად, მაშინ ასეთი მცდელობით მას შეუძლია, ქვეშევრდომობაში მიღების იმედი ჰქონდეს.

ამ ცივმა პასუხმა იბრაჰიმ-ხანს ზომების მიღება აიძულა. ის სასწრაფოდ ამაგრებდა თავის ციხე-სიმაგრე შუშას, ხოლო წარჩინებულ სომხებს ავინროებდა და სხვადასხვა საბაბით ძარცვავდა ფულის შესაგროვებლად.

სომხები არ წყვეტდნენ დაცვისათვის რუსეთისადმი ვედრებას, იბრაჰიმ-ხანმა კი 1784 წლის იანვარში თავისი დესპანი მუსა-სულთანის გამოგზავნა წერილით და ითხოვა, რომ რუსეთის სახელმწიფოს მისი ხანად ურყევად ყოფნის მფარველობა გაენია და რომ მისი საქმეების მართვაში არ ჩარეულიყო. ამაზე თავადმა პოტიომკინმა იბრაჰიმ-ხანს ხსენებული დესპანის პი-

---

დროიდან, როცა რუსეთში სომხების რიცხვი გაიზარდა, ეჩმიაძინის პატრიარქს მონარქისაგან ნებართვა მიეცა, რომ რუსეთის იმპერიაში მოსახლე სომეხი ხალხისა და [სომხური] კონფესიის ადამიანები სულიერი გარემოებებისა და საეკლესიო წესების მიედვით თავის გამგებლობაში ჰყოლოდა; და საამისოდ, როცა ისინი მოითხოვენ, მათთან გაიგზავნოს სომეხი არქიეპისკოპოსი ან სხვა წოდების სასულიერო პირი პატრიარქის წერილობითი მონებობით, რის გარეშეც მათ რუსეთის იმპერიაში არ მიიღებენ.“ (გამომც.).

რით უპასუხა: სასურველია, რომ მან ასეთი მნიშვნელობის საქმეში ყველანაირი უნდობლობა და ეჭვები უკუაგდოს და თავისი შემოთავაზებანი სრული გულწრფელობით წამოაყენოს.

1784 წლის იანვარში იბრაჰიმ-ხანის ერთგული მოკავშირე, ხოის ხანი აჰმედიც, რომელზეც ამას წინათ ვსაუბრობდით, მეტი გულწრფელობით ეძიებდა რუსეთის მფარველობაში შესვლას თავის ყველა ხელქვეითთან ერთად. თავისი მოღვაწეობისა და სიმდიდრის გამო მას მთელ ადერბიჯანში სცემდნენ პატივს. იმპერატრიცა ეკატერინემ ხოის ხანის [ქვეშევრდომად] მიღებაზე თანხმობა კეთილინება და თავად პოტიომკინისგან 1784 წლის 21 ივნისს მას ეცნობა, რომ როგორც კი მისგან, თარლუს შამხლის მსგავსად, წერილობითი სათხოვარი გამოიგზავნებოდა დეპუტატებთან ერთად, მას მაშინვე გაუგზავნიდნენ წყალობის ნიშნებითა და თავის ღირსებაში მისი დამტკიცების უმაღლეს სიგელს.

მაგრამ პორტამ, რომელიც ჩვენთვის ყველგან ხელის შეშლას ცდილობდა, ეს საქმე შეაჩერა. ხოის ხანის სამფლობელოების თურქეთის საზღვრებთან მეზობლობის საბაბით 1784 წელს პორტამ მას ადერბიჯანის მთავარი სერასკერის ტიტული უბოძა და ამ გზით, ის ჩვენგან განაშორა და საშუალება გაუჩინა, ისპაჰანელი მბრძანებლებისგან დამოუკიდებლობის ძიებისა.

ყურადღებამ, რასაც პორტა ამ მხარეს აქცევდა, გაამხნევა შუშელი იბრაჰიმ-ხანი. ახლა იგი რუსეთს ნაკლებად უფრთხოდა და გააძლიერა სომხების შევიწროება, განსაკუთრებით მათი, რომლებიც რუსეთთან საიდუმლო ურთიერთობებში მონაწილეობდნენ.

ისპაჰანელ ალი-მურად-ხანთან (Али-Мурат-Хан) ურთიერთობის შესაძლებლობის გამოჩენა, რაზეც მალე ვისაუბრებთ, სომხეთის საქმის უფრო იოლად და მტკიცედ დასრულების იმედს იძლეოდა, ვიდრე მანამდე იყო ნავარაუდები. ამის გამო 1784 წელს ჯარის მოძრაობა შეაჩერეს. სომხებს კი თავზე ხელს უსვამდნენ და მათში რუსეთისადმი კეთილგანწყობას ასაზრდოებდნენ, რათა ისინი ყოველთვის ჰყოლოდათ ერთგულად და

მზად იმ საქმეების შესასრულებლად, რასაც გარემოებები და ჩვენი საქმეების სარგებელი მოითხოვდა.

### **თავი 117. ასურელი ქრისტიანები და მათი დაკავშირება რუსეთთან 1784 წელს**

როდესაც ყარაბაღელი სომხები ხელებს რუსეთისკენ იწვდიდნენ, ასურელმა ქრისტიანებმა ამის შესახებ რომ შეიტყვეს, 1784 წლის დასაწყისში თავად პოტიომკინთან საიდუმლოდ გაგზავნეს თავიანთი მელიქი ანუ თემის მეთაური, ილია სარკოშის ძე (Илию Саркошева сына) რუსეთის მფარველობაში მიღების თხოვნით.<sup>1</sup>

ამ ხალხის ძველი საცხოვრისი მდებარეობს ურმიაში (В Урумии), ჰამადანის მთების იქით, რომელსაც სხვანაირად ქურთისტანი ეწოდება. ხალხის გამრავლების შემდეგ მისი სოფლები იმ მთების ძირიდან [მთების] შუამდე გავრცელდა და ისინი მთიელი ქურთების მეზობლები გახდნენ.

ამ მძარცველი ხალხის თავდასხმებისგან თავდაცვის საჭიროებამ მთისწინეთის ასურელები (полугорных Ассириян) აიძულა, თავდასაცავად იარაღი აეღოთ; მათ აითვისეს მეომრული ჩვევები და ქურთებისგან გადმოიღეს ჩვევები და ცხოვრების წესი. სარწმუნოება და ენა კი იმ დარჩა იმად, რაც მათ მთების ძირას მცხოვრებ თანატომელებთან აერთიანებს დღემდე.

როდესაც შაჰ-აბას დიდმა ურმია დაიპყრო და მისგან სპარსული ოლქი შექმნა, მთების ძირას მცხოვრები ასურელები მის შემადგენლობაში შევიდნენ, მაგრამ მთისწინელებმა ამ უღლისადმი მორჩილება არ ისურვეს და ამჯობინეს ქურთების მეთაურისადმი დამორჩილება, თუმცა განიდციან მიწის დიდ უკმარისობას, რომელიც მათთან მთიანი და მიუდგომელია. იმ დროიდან მოყოლებული ამ ასურელებს ეწოდათ ასურელი ქურთები.

ასეთ გარემოებებში ურმიის გარშემო მოზინადრე ასურ-

---

<sup>1</sup> არშიაზე ფანქრით: „თითქოს იგივე სომხებია“ (გამომც.).



ელების მრავალრიცხოვანი ტომისგან ძლივსღა შემორჩა 4-დან 5 ათას კომლამდე, ანუ ოჯახამდე;<sup>1</sup> მაგრამ ქურთებთან შეერთებულ მათ თანამოძმეთ 20 ათას კომლამდე ითვლიან.

როგორც ეს, ისე მეორე ასურელები ნესტორიანული ერესის ქრისტიანული აღმსარებლობისანი არიან და საკუთარი კათოლიკოსი, ანუ პირველი მღვდელმთავარი ჰყავთ, რომელსაც 1784 წელს ეწოდებოდა აბუნა,<sup>2</sup> და რომელსაც ასურელები მეტად ემორჩილებიან, ვიდრე საერო ხელისუფალთ. მისი ადგილსამყოფელი ასურელ ქურთებთანაა. გარდა ამისა, მათ ჰყავდათ 4 ეპისკოპოსი, რომელთაგან ერთი ურმიაში იმყოფებოდა. ყოველ სოფელში არის ეკლესია.

ურმიელ ასურელებს ყოველთვის მართავდნენ მბრძანებელთა ძველი სახლის წარმომადგენელი საკუთარი მელიქები, რომელთაც სპარსელი მფლობელები ნიშნავდნენ. მაგრამ ურმიელმა იმამ-ყული-ხანმა (Иман-Кули-Хан), ავშართა გვარისაგან, მათ მთელი ძალაუფლება წაართვა ყოველ სოფელში მაჰმადიანი უფროსის დანიშვნით. მათ (მაჰმადიანმა უფროსებმა – მთარგმნ.) კი თავიანთ თავს ყველანაირი თვითნებობის უფლება მიანიჭეს – დაიწყეს ღვთისმსახურების აღსრულებისათვის ხელის შეშლა და [ასურელების] იძულებითი გამაჰმადიანება.

მიუხედავად იმისა, რომ ურმიელი ქრისტიანები მეომარი ხალხი არაა, არამედ შინამეურნეობით არიან დაკავებულნი, იმავე ხანმა ომიანობისას მათგან კომლიდან ერთი კაცის გაყვანა დაიწყეს.

ადრე ასურელები ურმიის ხანს სულზე 2 რუბლსა და 40 კაპიკს უხდიდნენ, ახლა კი იმდენის გამორთმევა დაიწყეს, რამდენსაც მოისურვებდნენ.

---

<sup>1</sup> პოლკოვნიკი ბურნაშევი 1786 წელს მათ 2 ათას კომლად ანგარიშობდა (გამომც.).

<sup>2</sup> აბუნა (არაბ. „მამაო ჩვენო“) – საპატრიო მიმართვა მღვდელმსახურისადმი არაბულენოვან ქრისტიანებში. საკუთარი სახელის წინ ეს ტერმინი გამოიყენება „წმიდას“ მნიშვნელობით [ენციკლოპედია:].

ასეთი შევიწროების გამო ურმიელი ასურელები თავიანთი ძველი მელიქების სახლს მიმართეს ჩაგვრის უღლისგან მათი მეშვეობით გასათავისუფლებლად. მელიქები კათოლიკოსს მოეთათბირნენ და, ხალხის დასაიმედებლად, თავის წიგნებში მონახეს წინასწარმეტყველება, რომ მოახლოვდა ის დრო, როდესაც რუსეთი ყველა ხალხს დაიპყრობს.

ამგვარად, ხალხისგან მათი ხვედრის შემამსუბუქებელი გზების მოსაძებნად არჩეული მელიქი ილია ყველა ურმიელი ქრისტიანის სახელით პირობას იძლეოდა, რომ შეუერთდებოდნენ რუსულ ჯარს, თუკი იმ მხარეში რუსული იარაღი გამოჩნდებოდა ადერბიჯანის დასაპყრობად, ანდა ამგვარი შემთხვევის დროს შექმნილი ვითარებისას, მშობლიურ ქვეყანას დატოვებდნენ და გადასახლდებოდნენ საქართველოში, ან იქ, სადაც გადაუწყვეტდნენ. ამასთან, დასახული იყო იმედიც, რომ ასურელი ქურთები, ქრისტიანული რწმენის მეოხებით, იმ ქვეყანაში რუსების მისვლის შემთხვევაში მათ ერთსულოვნად დაეხმარებოდნენ.

ეს მელიქი ილია 1787 წელს გარდაიცვალა თავად პოტიომკინთან ყოფნისას, და ასურელებთან დაკავშირებით მეტი არაფერი მომხდარა. მაგრამ ისინი ალბათ სომხებთან ერთად საერთო გეგმაში შედიოდნენ, რადგან სომხების მცირე ნაწილი მათთან შერეულად ცხოვრობს.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა**

**ბუტკოვი 1869ა:** Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. ч. 1, СПб. 1869.

**ბუტკოვი 1869ბ:** Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. ч. 2, СПб. 1869.

**ენციკლოპედია:** Православная Энциклопедия,  
<https://www.pravenc.ru/text/62532.html>

**Davit Merkviladze  
Erekle Khutsishvili**

**Peter Butkov about raising the Armenian issue and Russia's  
plans for it in 1783-1784**

Summary

The retired officer of the Russian army Peter Butkov (1775-1857) collected a large amount of materials for the history of the Caucasus and its neighboring countries and presented it in the form of a fundamental work. It was published by the special commission created for this purpose at the St. Petersburg Imperial Academy after the author's death in 1869 in two volumes: "Materials for the History of the Caucasus in 1722-1803".

The Georgian translation of this section of Butkov's work tells about the oppression of the local Armenian Meliks by Karabakh Khan Ibrahim-Khalil and the desire of the Meliks to somehow get rid of the Khan's dominion. When the request for help to King Erekle II of Kartli-Kakheti did not bear fruit (King Erekle and Ibrahim Khan were regional political allies of each other), the Meliks pinned all their hopes on receiving help from the Russian Empire, which was going to be more politically active in the South Caucasus. On the other hand, the Russian authorities also carefully studied this issue and intended to use it for their own imperial purposes in the near future. The last part tells about the Assyrian Christians, who also had some interest in the possible expansion of the power of the Russian Empire southward, towards Iran.

The Georgian translation of the text was made by Davit Merkviladze and Erekle Khutsishvili.

## ნიკოლოზ ოთინაშვილი

### ქართველ კათოლიკეთა ისტორიიდან (სოფელ ბეთლემის (ახალხიზის) თავგადასავალი და ძიებანი)

სოფელი ბეთლემი (ახალხიზა) მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საკრებულოში და როდესაც ონომასტიკური მასალების ჩასაწერად მასალები მოვიძიეთ, აღმოჩნდა, რომ ამ პატარა დასახლებას ფრიად გამორჩეული ისტორია ჰქონია, რომლის შესწავლაც თანამედროვე ეტაპზე აუცილებელ მოვალეობად მიგვაჩნია.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სოფლის ბედი დაკავშირებულია მთლიანი საქართველოს და განსაკუთრებით ქართლისა და მესხეთის ტრაგიკულ ისტორიასთან, როცა მოსახლეობა თავგანწირვით უმკლავდებოდა თურქეთის ძალმომრეობას, ფიზიკურ თუ რელიგიურ ექსპანსიას.

სანამ ონომასტიკური მასალების განხილვაზე გადავალთ, აუცილებელია ზემოხსენებული დასახლების ისტორიის განხილვა, რომლის ცოდნაც ყველა ჩვენთაგანისთვის სავალდებულოა.

აღნიშნული საკითხების შესახებ ავტორიტეტული კონსულტაცია გაგვიწია სოფლის მკვიდრმა კობა მუგასაშვილმა, რომელმაც ათეული წლების წინათ მოიძია მასალები თავისი სახელოვანი წინაპრების შესახებ და კიდევ გამოაქვეყნა წლების წინათ გაზეთ „გორში“. ეროვნული მოძრაობის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ, როდესაც შეიტყო ამ მასალის შესახებ, სათანადო მიმართულება და დავალება მისცა ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს არჩილ მინდიაშვილს, რომელმაც მიზანშეწონილად ცნო, რომ მასალა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისთვის აუცილებლად უნდა გამოქვეყნებულიყო და გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ ფურცლებზე ქართველმა მკითხველმა იხილა ცნობილი მოღვაწის დამსახურება ერის წინაშე.

მესხეთის მკვიდრის პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ სტამბოლში დაარსებულ ქართულ კათლიკურ ეკლესიასთან არსებულ სასულიერო სემინარიაში განათლებამიღებულმა ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა იმდროინდელი ქართული მეცნიერული აზრისა და ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში. მათ შორის აღსანიშნავია სოფელ ხიზაბავრის მკვიდრის პატრი დომინიკე ივანეს ძე პანაძის (მულაშაშვილის – მუგასაშვილის) დამსახურება.

დომინიკე ივანეს ძე პანაძე (მულაშაშვილი) დაიბადა 1864 წელს, სოფელ ხიზაბავრაში. მისი წინაპრები ახალციხელ-რაბათელი მართლმადიდებელი ქრისტიანები ყოფილან. რადგანაც იმ პერიოდში მიმდინარეობდა ქართული მოსახლეობის მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე მოქცევა, ამიტომ 1600 წელს დომინიკეს წინაპრები თურქებს გამოქცევიან ახალციხიდან. სოფელ ხიზაბავრაში შეუფარებიათ თავი და იქ დამკვიდრებულან საცხოვრებლად, მაგრამ სათანადო მსხვერპლი მაინც გაუღიათ. კათოლიკური სარწმუნოების მიღების შემდეგ პანაძეების ნაცვლად რატომღაც მულაშაშვილები – მუგასაშვილები გამხდარან, როგორც მრავალი ქართული გვარი. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ ქართულ გვარს, კერძოდ, სოფელ ხიზაბავრაში შემორჩენილ ძველი გადმოცემის თანახმად კლარჯაიშვილების ნამდვილი გვარი ადრე აბაზაძე ყოფილა. ამ გვარის ერთ-ერთ წარმომადგენელს მკალავ (მკალავი თურქულ ენაზე კალაიჯი) გიორგის წლისთავზე ვაჟიშვილი შესძენია. ბავშვი ხიზაბავრის წმინდა მარიამის ეკლესიაში მოუნათლავთ. რატომღაც ახალშობილი აბაზაძის მაგივრათ კლარჯაიშვილის გვარით გაუტარებიათ. ასეთი ფაქტი ბევრი არსებობს ქართული გვარების ისტორიაში.

დომინიკე 16 წლამდე სოფელ ხიზაბავრაში იზრდებოდა. მამამისი ივანე პანაძე-მულაშაშვილი იმ დროს ბარბარის სახელით ცნობილი უმინაწყლო, სოფლის უბრალო დალაქი ყოფილა. ეწეოდა ექიმბაშობასაც: კბილის ამოღებას, სისხლის გამოშვებას, იარების მორჩენას და სხვა.

ივანეს ჰყოლია ოთხი ვაჟი (ქალებზე ცნობილი არაფერია): ანტონი, ვანო, დომინიკე და მისი ტყუპისცალი ერისკაცობაში ცნობილი სახელით გასპარი, რომელსაც სტამბოლში მიუღია სწავლა-განათლება და სულ ახალგაზრდა იქვე გარდაცვლილა. დასაფლავებული ყოფილა სტამბოლში ქართულ კათოლიკთა ეკლესიის ტერიტორიაზე, როგორც იქ მცხოვრები ბევრი ქართველი.

დომინიკეს მასწავლებელი იყო ცნობილი პედაგოგი, მკვლევარი და პუბლიცისტი, ხიზაბავრელი მღვდელი ივანე გვარამაძე „ვინმე მესხი“. მან, მიხეილ თამარაშვილთან ერთად დომინიკეც გაგზავნა სტამბოლში (ქართველ ვაჭრებს გააყოლა) პატრი პეტრე ხარისჭილაშვილის მიერ დაარსებულ ქართულ კათოლიკთა მონასტერთან არსებულ სასულიერო სემინარიაში. იქ მას დახვდნენ მესხეთ-ჯავახეთიდან ადრე მივლინებული ბევრი ქართველი ახალგაზრდა: ა. ბათმანიშვილი, მ. ანტონიშვილი, შ. ვარდიძე, კ. საფარაშვილი და სხვები. ამავე პერიოდში სტამბოლში, ქართულ კათოლიკურ ეკლესიასთან მოქმედებდა ეროვნული სტამბაც, სადაც სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი მთარგმნელი ანდრია წინამძღვრიშვილი, მკვლევარი ალექსანდრე ბათმანიშვილი, ტირასპოლის სემინარიის რექტორი პროფესორი იოანე ანტონაშვილი, ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი ემანუელ ვარდიძე, გამოჩენილი ექიმი იოსებ მერაბიშვილი და სხვები.

1890 წელს 26 წლის დომინიკე ამთავრებს სასულიერო სემინარიას და სტამბოლიდან საქართველოში ბრუნდება. იგი სოფელ ხიზაბავრაში, შემდეგ ახალციხეში ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. სხვადასხვა მიზეზების გამო მიუტოვებია (ავინროებდნენ სომხები, იმდროინდელი ცარიზმის მოხელეები) მამა-პაპეული ადგილი და სამოღვაწეოთ გორში, შემდეგ კი ქ.თბილისში გადმოსულა, სადაც იგი პუბლიცისტურ და საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა.

თბილისში მოღვაწეობის პერიოდში დომინიკე პანაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ დროისათვის ცნობილ ბევრ ქარ-

თველ მოღვაწესთან. ასევე საქმიანი კავშირი არ გაუწყვეტია მიხეილ თამარაშვილთან. აღსანიშნავია, რომ მ. თამარაშვილს თავისი შრომის „ისტორია ქართველი კათოლიკებისა“ ხელნაწერი დასაბუქდად უკვე მომზადებული ჰქონდა, მაგრამ მისი დაბეჭვდისათვის საჭირო პირობები და თანხები არ გააჩნდა. ამიტომ, იგი 1901 წელს თავის ხელნაწერს აგზავნის თბილისში დასაბუქდად. შრომის რედაქტორ-კორექტორად დანიშნული იქნა პეტრე მირიანაშვილი. ხელნაწერის წიგნად დაბეჭვდის პერიოდში ყოველგვარ ტექნიკურ საქმეს კარგად უძღვებოდა ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ რედაქტორი დომინიკე პანაძე-მულაშაშვილი. 1902 წელს გაზაფხულზე გახარებული დომინიკე თამარაშვილს მოახსენებდა: „დაბეჭვდაში მიგვდის 32 გვერდში 29 მანეთი. თქვენი ათი თავი წიგნისა ტექსტებითურთ გამოდის შვიდასი – 700 გვერდი, დაახლოვებით 640 მანეთის ქალაქში 700 მანეთი. წიგნის ფორმა „მომბეზე“ ცოტა დიდი მოდის. ასე, რომ ამაზე იმას აღარ შეგანუხებთ ფულისათვის, ახლავე ხელში მაქვს 1 000 მანეთი, გამოცემის სახელი არ დაინერება და არც გამოცხადდება, გარდაცწყვიტეთ, რომ 600 ეგზემპლარი გამოვცეთ კაი ქალაქში“. ამის საპასუხოდ მიხეილმა მოითხოვა, რომ წიგნის ტირაჟი გაზრდილიყო 1 200 ეგზემპლარამდე, რამაც, ბუნებრივია, ხარჯები ორჯერ გაზარდა. ამრიგად, წიგნის ბეჭვდა დაიწყო და იგი სულ 1 818 მანეთი დაჯდა. 1902 წელს ოქტომბერში თედო სახოკია წერდა: „თქვენი წიგნი ამ ერთ თვეში მზად იქნებაო“ და უკვე 1902 წლის 4 დეკემბერს დ. პანაძე (მულაშაშვილი) აცნობებდა მ. თამარაშვილს: „დასრულდა ბეჭვდა თქვენი დიდი ხნის ნატრული წიგნისა, თქვენი მოწერილობისამებრ ყველა, რაც შემეძლო ისე მოვიქეცი“ თითქმის ხუთი წლის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ მ. თამარაშვილი ენია გულის წადილს – მისი წიგნი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ დაიბეჭდა. ამ წიგნის გამოსვლით ქართული ისტორიოგრაფია ერთბაშად წინ წავიდა (შოთა ლომსაძე, „მ.თამარაშვილი და ქართული კათოლიკნი“).

დომინიკე პანაძე (მულაშაშვილი) თავისი ერისთვის დაულაღვი მებრძოლი რომ იყო, ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მისი თაოსნობით და საკუთარი ხარჯებით 1906 წელს თბილისში დაარსდა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, რომელიც შემდეგ ყოველკვირეულ საეკლესიო-საზოგადოებრივ გაზეთად გადაკეთდა. ამ ორგანომ დიდხანს ვერ იარსება, სულ 18 ნომერი გამოვიდა და დაიხურა. აღსანიშნავია, რომ მე-12 ნომერში დაიბეჭდა მ. ჯანაშვილის საქართველოს ისტორიის I ტომის მასალები უძველესი დროიდან 985 წლამდე.

დომინიკე პანაძის აზრით, ქართულ კათოლიკთა ბრძოლას რომ შედეგი მოჰყოლოდა, საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა მიზანმიმართული და ორგანიზებული მოქმედება, რაც თავისთავად მშობლიურ ენაზე კათოლიკთა საკუთარი პერიოდული ორგანოს გამოცემის აუცილებლობას აყენებდა. მან გადაწყვიტა ისეთი ორგანოს გამოცემა, რომელსაც ერქმეოდა „ჯვარი ვაზისა“ და რომლის სახელიც იქნებოდა პირველი ნიშანი მართლმადიდებელ ქართველობასთან თანადგომისა: „ეს დალოცვილი დომინიკე როგორ საუცხოო კაცი გამოდგა“ – წერდა მ. თამარაშვილი. „დომინიკე მართლაც ჭკვიანი კაცია, მეტისმეტი აჩქარება რომ არ იცოდეს და ამ აჩქარებით საქმეს რომ არ აფუჭებდესო“ – კილავდნენ ახლობლები.

1901 წელს მიხეილ თამარაშვილი ძმას (გრიგოლს) ავალებდა: „რადგან მე ჯერ მანდეთ მოსვლას არ ვაპირებ, ამისათვის გთხოვ. პატრი დომინიკემ მომწერა თავისი რედაქტორობის შესახებ. მართალი რომ ვსთქვა, დიდი იმედი არა მაქვს. ვნახოთ, როგორ დაატრიალებს საქმეებს, რაც შემძლია არ დაეზარდები... მე ვურჩიე, რომ გაზეთი ჯერჯერობით თვეში ერთხელ გამოსცეს, როცა კარგად შეძლებს, საკვირაოდ გადააქციოს“. როგორც ჩანს, თამარაშვილს მისი სიჩქარის ეშინოდა, მაგრამ შიში დომინიკე პანაძის რედაქტორობაზე არ გამართლდა. მან საკმაო ხელისმომწერებიც გაიჩინა და გაზეთიც შინაარსით თუ ფორმით საკმაოდ პოპულარული გახადა. იგი კვირაში ერთხელ გამოდიოდა, ხელის მომწერთა უმრავლესობას ქართველი კა-



თოლიკები შეადგენდნენ, როგორც საქართველოს შიგნით, ისე მისმფარგლებს გარეთაც.

1906 წლის ივლისში სტამბულიდან წერდნენ: „აქ მყოფი საქართველოს კოლონია მოხარულია თქვენს მიერ გამოცემული „ჯვარი ვაზისა“ ფურცელზედ... კეთილი იყოს დაბადება ამ დიდი ხნით ნატრული ფრიად საუკეთესო კვირეულისა, რაც შეგვიძლია აქედან ყველა ქართველის სახლობას თითო ნომერს გამოვანერინებთ, მაგრამ იძახიან, ჩვენებური (ახალციხის) ამბები თითქმის არაფერიანო, ნატრობენ მის გაგებას, ჩვენი ახალციხის და მის სოფლების, საიდანაც არიან წამოსულები სულ ყველანი და ნამეტანს 20, 30, 40 წლის აქეთა არ ღირსებია ჩამოსულებს მამულის ხილვა“. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, თუ როგორ ინტერესს იწვევდა იმ დროს ქართველ საზოგადოებაში გაზეთ „ჯვარი ვაზისა“ გამოშვება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ თამარაშვილი გაზეთის აქტიური კორესპონდენტი იყო, სადაც იბეჭდებოდა მისი როგორც ისტორიული, ისე პოლემისტური ხასიათის წერილები.

მკითხველს უნდა ვაუწყოთ, რომ თავის დროზე დიდი ქართველი მგოსანი აკაკი წერეთელი დიდ ყურადღებას იჩენდა ქართველი კათოლიკეებისადმი. არანაკლებ პატივისცემას გრძობდა დიდი მგოსანი ქართული კათოლიკეების მხრიდანაც, რაზეც მეტყველებს მიმდინარე წლის 2 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ ბატონ ანრი კარბელაშვილის მიერ გამოქვეყნებული სტატია „დღესასწაული სტამბოლში“, სადაც ვკითხულობთ, თუ როგორ გადაიხადეს 1908 წელს აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილე სტამბოლში. როგორც იმ დროინდელი ქართველი კორესპონდენტი ქართველიშვილი იტყობინება თავის პუბლიკაციაში, იუბილეზე, დამსწრეთა წინაშე გამოვიდა თბილისიდან სტამბოლში ჩამოსული პატრი დომინიკე პანაძე, რომელმაც თქვა: „შემთხვევით აქ თქვენთან მყოფმა, მე, პირადად ვნახე დიდებული სურათი საქართველოში გადახდილი აკაკის იუბილის და გული არ მიშვებს ორიოდ სიტყვა არ ვთქვა. 1908 წელი დაუვიწყარი იქნება ქართველი ერის ცხოვრებაში...

ხალხმა დიდებულად იდღესასწაულა ორმოცდაათი წლისთავი მეორე საყვარელი პოეტის აკაკი წერეთლისა. ექვსი ათასი სული ერთი კაცივით იდგა აკაკის წინ და გულის ძგერით შესცქეროდა მას ერთს გრძნობით გადატაცებული...”

დომინიკე პანაძემ ვრცლად ილაპარაკა აკაკი წერეთლის მოღვაწეობაზე და განსაკუთრებით აღნიშნა, ქართული ენის შენარჩუნების საჭიროება თურქეთში მცხოვრები ქართველების მხრივ.

„ჩვენ უნდა ვუმაღლოდეთ ქართველ მაჰმადიან დედებს, რომ სამშობლოდან გადმოხვენილნი წმინდად ინახავენ თავიანთ ოჯახებში დედა-ენას და დღეს მათი შვილები ქართულად გველაპარაკებიან. მე ამაში ზეგარდმო მადლსა ვხედავ და ვირწმუნები, რომ სამი სარწმუნოების სამი შტო ქართველთ გვაროვნებისა ისევ ერთ ხეზე ყოფილა დამყნული და თავის ფესვს არ მოშორებია. გაუმარჯოს იმ ქართველ მოღვაწეთ, რომელთაც ძირი ამ ხისა უხვად ურწყვიათ სისხლითა და ცრემლით!“ – სთქვა თბილისიდან ჩამოსულმა სტუმარმა.

სტამბოლის ქართველ კათოლიკთა მონასტრიდან არსებულ სასულიერო სემინარიაში სწავლა-განათლებამიღებული დომინიკე პანაძე (მულაშაშვილი) იყო თავდადებული მებრძოლი თავისი ერისა.

1908 წელს იგი ქ. გორში გადმოდის ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში (ფრანგების ეკლესიადწოდებული) სამოღვაწეოდ. აქ მან შეიტყო, რომ სახელმწიფო ბანკის მეშვეობით იყიდებოდა თავადი შალიკაშვილის აუთვისებელი მამულები გორის მაზრის სოფელ სკრაში. მისი უშუალო ინიციატივით და გარკვეული საკუთარი ხარჯებით შეიძინა აღიშნული მამულები: მთებით, ტყეებით, სახნავ-სათესი მიწებით და მესხეთიდან 25 კომლი ჩამოასახლა 1910 წელს და დააარსა სოფელი (ქართველ კათოლიკთა რამდენიმე ოჯახისგან) რომელსაც უწოდა ბეთლემი. მას ფიქრად ჰქონდა მოეზიდა ძირითადად მშობლიურ ენადაკარგული კათოლიკნი, რომელნიც მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობით გარშემორტყმულნი

აღმოჩნდნენ სოფლებში: ხულგუმოში, ბავრაში, კარტიკამში და სომხურენოვანი ტიპიკონისა და გარემო პირობების წყალობით გასომხების გზას დაადგნენ, საბოლოო გადაგვარებისაგან. „მათ მხოლოდ ქართულ გარემოში შესვლა თუ იხსნისო“ – ასაბუთებდა დომინიკე პანაძე და ყოველგვარ მიზანმიმართულ და მიზანსწრაფულ ღონისძიებებს ახორციელებდა, თუნდაც თავისი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო, რათა მათთვის შეექმნა ყოველივე პირობა თავის ხსნისა, ზემოთ აღნიშნული გარემო თუ სოციალური პირობებისაგან. ერთხანს დომინიკე სოციალურ საკითხებზე მუშაობამ გაიტაცა, თავის წერილებში ეროვნული და სახელმწიფოებრივი საკითხების მოწესრიგებას სოციალური საკითხების მოწესრიგებასთან აკავშირებდა. მაგრამ აღნიშნული საკითხი, როგორც მიხეილ თამარაშვილს, ისე დომინიკე პანაძე-მულაშაშვილსაც არასწორად ესახებოდათ. მოდიოდნენ რა ეროვნული თავისუფლების ინტერესებიდან, მათი პოლიტიკური მრწამსი დაახლოებით ასე ყალიბდებოდა: ეროვნული თავისუფლებისათვის საჭიროა სოციალური თავისუფლება, რომლის მიღწევა შეიძლება დემოკრატიულ-პოლიტიკური გარდაქმნით.

დომინიკე პანაძე-მულაშაშვილის დაუღალავმა და მიზანსწრაფულმა ბრძოლამ ეროვნული თავისუფლების ერთიანობისათვის და მისმა პრაქტიკულმა საქმიანობის შედეგებმა საკმაო რაოდენობით გაუჩინა მტრები, რომელთაც იგი 1911 წლის 28 ოქტომბერს (ძველი სტილით) ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს. იგი დაკრძალეს ქ. გორში, ქართველ კათოლიკთა ეკლესიის კედლის ძირში. ეკლესიის კედელზე გაკეთებული იქნა მარმარილოს ფილა შესაბამისი წარწერით.

დღეს სოფელ ახალხიზაში გამრავლდა ქართველ კათოლიკთა ჯიში და ჯილაგი. დღეისათვის 170 კომლი ცხოვრობს ამ სოფელში. არიან დომინიკეს ახლობლები შინაურები, უშუალოდ მისი პირდაპირი შთამომავლები. იგი დიდი პაპის, ანტონის ღვიძლი ძმა იყო. დღეს მისი მეოთხე თაობა ცხოვრობს სოფელში, ახსოვთ, ან გადმოცემით იციან დიდ პატივს მიაგებენ მის პიროვნებას. მისი პირდაპირი შთამომავლები დიდი პაპის, დომი-

ნიკეს კვალს გაჰყვნენ. სამივე ძმამ (ორმა წარჩინებით) დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უფროსი ძმა (ვლადიმერი) მუგასაშვილი იყო უნივერსიტეტის პოლიტეკონომიური კათედრის დოცენტი, თუ არა წყეული სენი, იგი ბრწყინვალე მეცნიერი გახდებოდა, რომელიც თავის ერს გამოადგებოდა. იგი 1989 წლის აგვისტოში დაიღუპა.

მიმდინარე წელში დიდი წვალეების შემდეგ ისტორიული და ეთნოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებიც დახმარებით მივაკვლიეთ და მოიძებნა დომინიკე პანაძე (მულაშაშვილის) საფლავის მარმარილოს ფილა, სადაც გარკვევით არის აღნიშნული: „აქ განისვენებს რედაქტორი ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ დამფუძნებელი ბეთლემისა პატრი დომინიკე მულაშაშვილი (პანაძე). დაბადებული 1864 წელს სოფელ ხიზაბავრაში, ტრაგიკულად მოკლული ავაზაკთაგან სოფელ სკრაში, 28 ოქტომბერს 1911 წელს. განსვენება საუკუნო მიანიჭე მას უფალო“ ანალოგიური ციტირება აქვს გაკეთებული მარმარილოს ფილას უცხო ენაზეც. ქ. გორის მართლმადიდებელ კათოლიკთა ეკლესიის კედელზეც ნაპოვნია ამოღებული ფილის ნამტვრევების ადგილი მის განსვენების ადგილსამყოფელიც. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აღნიშნული ფილა ამოუღიათ ეკლესიის კედლიდან და ათეული წლების განმავლობაში ინახებოდა მუზეუმის სარდაფში.

ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ეს ნატეხი ჭკვიანი კაცის ხელში მოხვედრილა თავიდან, რომ არ დაკარგულიყო უკვალოდ. არა და, ერთი კარგი მამულიშვილის საფლავი, მისი მოღვაწეობა დაკარგულად ჩაითვლებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მის მიერ დაარსებულ სოფელ ბეთლემსაც შეუტყვალეს სახელი. ახლა იწოდება ახალხიზად. ალბათ სოფლის ჭკვიანმა ხალხმა სხვა სახელის დარქმევას ისევ ეს სახელი არჩიეს. ძველი ხიზა ბავრა მესხეთში დატოვეს და მის სასიყვარულოდ ახალხიზა უწოდეს. ბუნებრივია, იმდროინდელი რაიონის ხელმძღვანე-

ლობის ჩარევით სოფლის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სურს სოფელს დაუბრუნოს ძველი სახელი „ბეთლემი“, რამეთუ გადმოცემის თანახმად ბეთლემში ქრისტეა დაბადებული. ასევე სოფლის მოსახლეობის აზრია სოფელ ახალხიზაში, ცენტრში დაიდგას მისი ბიუსტი შესაბამისი წარწერით, რომელიც აუცილებელია დღეს ქართველი ერისთვის, საქართველოსთვის.

ქალაქ გორის მართლმადიდებელი ეკლესიის (კათოლიკური) კედელზე ძველ ადგილას ჩაისვას ანალოგიური სახის მარმარილოს ფილა ძველი წარწერით. როცა ყოველივე ამას, დღევანდელ, დემოკრატიულ საქართველოში სოფლის მოსახლეობა მოითხოვს, იგი უთუოდ უნდა აღდგეს, რომელიც კეთლად წაადგება სოფელს, რაიონს, მთელ საქართველოს, ქართველ ერს.

მითუმეტეს დღეს, როგორ პოპულარულია ჟურნალ „ჯვარი ვაზისა“ და მისი დამაარსებლის, პირველი რედაქტორის დომინიკე პანაძე-მულაშაშვილის საქმე უკვალოდ არ უნდა დაიკარგოს, რამეთუ მისი შთამომავლობა დღეისათვის განაგრძობს ცხოვრებას. მისი საქმე უკვდავყოფილი უნდა იქნეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ახალხიზაში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები მის შთამომავლობას გადწყვეტილი აქვს, ძირძველი მესხური გვარის „პანაძის“ დაბრუნება. იმედი გვაქვს ამით დიდი საქმე გაკეთდება. იმედია ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ დღევანდელ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დაინტერესდება ამ საკითხით და სათანადო დახმარებასაც აღმოგვიჩენს.

კარგი იქნება თუ ქ. თბილისის პირველი მაისის ქუჩას (ძველად არსებული კათოლიკების ქუჩა), სადაც დაარსდა და მოქმედებდა დომინიკე პანაძის რედაქტორობით თეოლოგიურ საზოგადოებრივი გაზეთი „ჯვარი ვაზისა“, ეწოდოს მისი სახელი.

როგორც გადმოცემით ვიცით, იგი იმ დროისათვის ვინმე ცნობილ ყაჩაღ ხუციშვილს (სხვა პიროვნებებთან ერთად, სხვების გვარები ცნობილი არ არის) ღამით ხანჯლით მოუკლავს. ალბათ მისი მკვლელობის შესაბამისი ფაქტი მოითხოვს დღეის-

ათვის სათანადო კვლევასაც, რომელსაც სულ მალე ფარდა აეხდება.

პატრი (მღვდელი) დომინიკე მულაშაშვილი-პანაძის  
მკვლევლობის ისტორია

ისტორიკოსი ზაქარია ჭიჭინაძე. წიგნი „სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები“ – 1912 წ.

1911 წლის 28 ოქტომბერს სოფელ ბეთლემში, სადაც სახლობენ ქართველი კათოლიკე გლეხები, თავის სახლში მჯდარა პატრი დომინიკე ჩაიზედ, ამ დროს მასთან შევარდნილა ორი ოსი. პატრი დომინიკეს სტუმრები ჰგონებია, ამიტომ იგინი მიუწვევია, მობრძანდით ჩაი მიირთვიო. ოსებს უთქოვს: ჩვენ ჩაი არ გვინდა – ფული მოგვეციო. პატრს მიუცია რაც ჰქონია, ამ დროს ერთ მათგანს ხანჯალი დაურტყავს თავში, დაჭრილი გამწარებული შეხვეწნია ნუ მომკლავთ და აგერ აი იქ ერთი თუმანი არის და აიღეთო. ისიც აუღიათ და ამ დროს მეორე ოსს მაუზერის დამბაჩა უსროლია თავში და იქვე მოუკლავსთ. მკვლელნი გასულან ოთახიდან და სახლში მყოფთათვის უთქვამთ, რომ მინამ ჩვენ სოფელს არ გავცდებით ბოლომდე, თქვენ ხმა არ ამოილოთო, მკვლელნი გასულან თავისუფლად და წასულან უჩუმრად ჩუმად (ამ დროს სახლში ყოფილა 17 სული, რომლებიც მეორე ოთახში ჩაუკეტიათ ოსებს).

სოფელ ბეთლემის ონომასტიკური მასალები.

ცნობილია მესხურ-ჯავახურში ანთროპონიმთა საწარმოებლად ძირითადად დასტურდება -თ სუფიქსი, რომელიც კუთვნილებას გამოხატავს. ეს წარმოება შენარჩუნებულია სოფელში. დომინიკე პანაძის შთამომავლები იწოდებიან როგორც ბამბრეანი, რომელსაც დაერთვის -თ სუფიქსი და კრებითობა უკვე კუთვნილების ფორმას მიიღებს. გვხვდება მუგასათ სტეფანი, ვანო, ანტინა, ბაგრატა, შოთა, ვლადიმერი...

მამუკიშვილი – წინაპრის მიხედვით იწოდებიან ყაჭოანთ, კევათი.

დათიშვილი არის ძიბოთი.  
ჭონიშვილი არის ჭონიათი ან ჭონიაანთი.  
მურადაშვილი იწოდება მურადათი.  
მაზიაშვილი არის მაზათი – შარიფათი.  
ხუციშვილები – ხუციანთი.  
მაზმიშვილი – შარიფათი.  
მუზერიძე – მუზერთი და სხვა.  
ამ მიმართულებით კვლევა კვლავ გრძელდება.  
ბალიაშვილი – კეხოთი.

სოფლის ტოპონიმია ენის ლექსიკური ფონდის განუყოფელი ნაწილია და ზოგად კანონზომიერებას ემყარება, რაც არ გამოორიცხავს დიალექტობრივ მომენტებს. საკუთარი სახელები ქმნიან სხვადასხვა ფგუფებს, რომლებიც სალიტერატურო ქართულს ემყარება.

ტოპონიმები გვხვდება მრავლობითობის -ებ ნიშნით:

ნადიკვრები – ფერდობების სახელია.

ნადელები – სახნავი.

ჭალები – წყლის პირები.

კოშკები – უბანი.

გძელები – გრძელები – სახნავი.

ნაფუძვრები – სახნავი.

ხოდაბუნები – სახნავი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახნავი ნაკვეთები ამჟამად დანაწილებულია კერძ პირებზე, ზოგის სახელი ამის გამო შეცვლილია.

ტოპონიმების მეორე კომპონენტად წარმოდგენილია ხევი:

ნიკორას ხევი.

გალას ხევი.

მადნის ხევი.

ძინძარას ხევი.

წიფლნარას ხევი.

ნამგალა ხევი.

კლდის ხევი.

ტყეების სახელები:

ჩაგრამის ტყე.

ლამაზი ტყე.

ქარონ ვაკე (ტყე).

მადნის ტყე.

სოფლის ტყე და სხვა.

ჰიდრონიმები:

გოგიას წყარო.

მადნის წყარო.

ჩიგორძის წყარო.

ეშმაკის წყარო.

შავი წყარო.

ლურჯი წყარო.

დამპალ წყარო.

კლდის წყარო.

გეოგრაფიული სახელები ხშირ შემთხვევაში გვხვდება სხვადასხვა ფორმით, კერძოდ ობიექტი გამოცალკევებულია და მეორე შემთხვევაში რაიმე ნიშნით ამორჩევით დასტურდება, კერძოდ მატოპონიმბელი ფუნქცია -ა სუფიქსს ემყარება:

ჭანჭახა – ჭაობიანი ადგილი.

გვირგვინა – ზეგანი, საძოვარი.

მჭედელგორა – გორა, ძველი ნასახლარი.

გომართა გორა – ადრე იყო სალოცავი.

მოხვეულა – ღელე ადგილი.

წიფლნარა – ნასახლელი ადგილი.

მეძლევა – პატარა ღელე.

ნამგალა – სახნავი ადგილი (ადრე).

გორა – ადგილი, საძოვარი.

ქვაკაცა – კლდე, აქვს ადამიანის სახე გამოკვეთილი.

ხოდაბუნა – ადრე იხვნოდა.

პილარა – პილარები ადრე იხვნოდა.



ეკლესიონიმები:

სოფელში გვხვდება ერთ ათეულამდე საკულტო ძეგლი, რომლებიც სოფლელთა სასულიერო განათლებას ემსახურება.

ღვთისმშობელი – ეკლესია.

რგვალი ეკლესია.

ბნელეთის ეკლესია.

ტყევის ეკლესია.

წმ. გიორგის ეკლესია.

ბეთლემის წმ. გიორგის ეკლესია – კათლიკური.

მწვანე საყდარი.

ზემო რიეთის ეკლესია, რომელთა შესახებ სამომავლოდ ვაპირებთ წერილების სერიების გამოქვეყნებას.

## დავით შავიანიძე

### ტოპონიმებით გადმოცემული ეთნიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი (უახლესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

**მსჯელობა.** ქართველთაგან საკუთარი ეთნიკურ-ეროვნულის დაცვა-გადარჩენა ხანგრძლივი ისტორიის გზაზე რეალობით ნაკარნახევი, საჭიროს შესაბამისი, „**გაცხადებული, თუ შეფარული, ხერხიანი ქმედებებით**(/„ხალხური პოლიტიკა“) ხორციელდებოდა.

საანალიზოდ ავირჩიეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოძიებული ტოპონიმების შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მასალები.

**„ჰარალე“.**

„სოფელში ადგილს ჰქვია „**ჰარალე**“<sup>1</sup>. ვიცოდით, გვნამდა, რომ ზეციერის გულის მოსაგებად ნაყოფიერი მიწებისთვის დაგვერქმია მისი სახელი (მთხრობელი ივ. ბათმანაშვილი. არალი. 2024).

ტოპონიმის სახელდების შინაარსი საშუალებას გვაძლევს პარალელი გავალოთ თანამედროეობის მახასიათებელ, ერის ყოფით-კულტურული ცხოვრების ხელშემშლელ სინამდვილესთან.

**ეთნოგრაფიული მასალა:** „დღეს რწმენაც გავაქრეთ, თავსაც აღარვინ იწუხებს ხვნა-თესვით. სხვა „**ნიჭი**“ გამოვიძებნეთ, სხვა მარტივი თავის გართმევა“ (მთხრობელი ივ. ბათმანაშვილი. არალი. 2024).

---

<sup>1</sup> ჰარალე იბერიის სამეფოს მთავარ ღმერთთა პანთეონის გამორჩეული წევრია (მსჯელობისათვის იხილეთ: <https://intermedia.ge/სტატია/111191-ქართული-მითოლოგია-ჰარალე/89/>).

„რაბათი“. რაბათი ებრაული სიტყვაა და ქართულად ციხე-ქალაქში არსებულ სავაჭრო ცენტრს ნიშნავს (<https://www.radiotavisupleba.ge/a/24393159.html>).

**ეთნოგრაფიული მასალა:** „ეკლესიის გარშემო დასახლებას ერქვა „რაბათი“. იქვეა „**შუმან ქალას ნაციხარიც**“. „**ზაზალოს ციხეში**“ ბოლს აანთებდნენ სამხრეთიდან სამტროს და სასიკეთოს მანიშნებელს. გაიგებდნენ „**ხანდაკის ციხეში**“, შემდეგ „**ოქროს ციხეში**“ გაიგებდნენ. „ოქროს ციხიდან“ სოფელ ანში გაიგებდნენ ახალციხელები, რომ მტერი შემოვიდაო“.

ზაზალოს ეკლესიის და ციხის შესახებ ტევადი ინფორმაციას გვანვდის გიორგი ბოჭორიძეს (გ. ბოჭორიძე. 1992. გვ. 12, 68, 142). ხალხურ მეტყველებაში ზაზალოს ციხე „**საძალოს**“ („**მტრის საძლევი ციხე**“) ციხედ მოიხსენიება. ეთნოგრაფიული მასალა საინტერესოა თივისა და ნამჯის ნამნვის ე.წ. სამშვიდობო და პირიქით, საომარი ფერის, ცისფერი და ყვითელი ბოლის ნიშნად გამოყენების თვალსაზრისით.

მეხსიერებას აღარ შემორჩა, ან ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ზუსტ ცოდნას ცეცხლის მიერ აშვებულ სხვადასხვა ფერის ბოლთა მნიშვნელობაზე, ვინაიდან ცისფერი და ყვითელი ფერები ასოცირდებიან სანდოსთან, უსაფრთხოსთან, პოზიტიურთან, სითბოსთან, მოტივაცია-კრეატიულობასთან... (<https://www.marketer.ge/colors-branding/>).

აღნიშნულის კვლევის გზაზე უთუოდ გასათვალისწინებელია ფერთა სიმბოლიზმის დროსთვის მიდევნების და მისი სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარად ახსნის სინამდვილე. ლატიფმაჰ ბარათაშვილი „**შუმან ქალაქს**“ და „**შუმან ქალას ციხესაც**“ ახსენებს. მისის ცნობით, უდუ ახალი ნაშენები სოფელია და იგი ადრე **შუმან ქალაქის** სახელს ატარებდა. ამ ქალაქის აოხრება თურქების დროს მომხდარა და აქაურები სოფელ **მეიდანში** დასახლებულან. რაც შეეხება „**შუმან ქალას ციხეს**“, ლ. ბარათაშვილი იშველიებს ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემებს, რომელთა მიხედვითაც, სოფლის ერთი ნასაყდრალიდან, დასავლეთისკენ, „**ხმელ ხევი**“ ჩადის გვირაბი. ომიანობის

დროს ამ ხევში მოჰქონდათო წყალი „შუშან ქალას ციხეში“. ერთხელაც მტერს უწამებია ეს შუშან ქალა, რომ გაეგო ციხის საიდუმლო კარები, თუმცა ამაოდ. ამის მერე უწოდებიათ ციხისთვის შუშან ქალას სახელი (ლ. ბარათაშვილი. 2019 გვ. 11-12; 21).

მიგვაჩნია, რომ ტოპონიმის მიერ ქალის სახელის შემონახვით დასტურდება ქართული საზოგადოებრივი მენტალობისთვის დამახასიათებელი, სოციალურ გენდერთან, კერძოდ კი ქალის სოციალურ თავისუფლებასთან დაკავშირებული სინამდვილე.

**„მეიდნები“.** მეიდან-ი (მეიდნისა) იგივეა რაც მოედანი, შენობებით შემოფარგლული ფართო და სწორი ადგილი ქალაქში ან სოფლად (ქეგლ, ტ. V. თბ. 1958. გვ.161. 641; ქმკელ. 2010. გვ.337).

„ვილაც ქართველის, საკუთარისგან განდგომის გამო ბეგი რომ გამხდარა იმის ყოფილა“. მოვიძიეთ და ეთნოგრაფიული მასალა ჩავიწერეთ ყოფითი ცხოვრების გამოცდილებით შექმნილი ცოდნის მატარებელი, ადამიანის მიზან-შინაარსიანი ქმედების ამსახველი ტოპონიმების შესახებ.

სოფელ უდეს ახალი უბანია **„ნაფუზრები“** (ლ. ბარათაშვილი. 2019. გვ. 28). ადიგენის სოფლებში ტოპონიმი „ნაფუძვარი“ უფრო ფართო მნიშვნელობით გამოიყენება ვიდრე საქართველოს სხვადასხვა მხარეებში.

**ეთნოგრაფიული მასალა:** „ნაფუძვარად“ არ შეიძლება გახდეს არც ადამიანის საცხოვრისი, მთლად სოფელი, თემი, ქვეყანა. „ნაფუძვარ ქვეყანას“ სხვა არ დაპატრონდეს“ (მთხრობელი ავთ. მათოშვილი. არალი. 2024). **შედარებისთვის., „ნაფუძვერი“** – „სოფელი ხოტევის ცენტრში არსებული სოფელია (სოფელი აქ ადგილის მნიშვნელობითაა გამოყენებული – დ. შავიანიძე). გარემოებათა გამო აქაურობა გაპარტახდა, დარჩა ნამოსახლარი, სიმინდს და ლობიოს თესენ“ (ხოტევი. 1998).

ტოპონიმი „ყარათუბანი“ მოგვითხრობს ე.წ. „თურქი მესხების“ მესხეთიდან გადასახლების და საქართველოს სხვადასხვა მხარიდან მოსახლეობის ამ მხარეში ჩასახლების ისტორიას.

**ეთნოგრაფიული მასალა:** „გადმოსახლებული იმერლების ცხოვრების გამო „იმერთუბანი“ დაუწერიათ. ორი ვარიანტია „ყარათუბანის“ წარმოების. ერთი, „ყარალაშვილების უბანი“ და მეორე, „შავი უბანი“. ზევით, „თრიალების“ თავზე პატარა, უძირო (სიღრმის გამო ეტყვიან -დ. შავიანიძე) ტბა, ბუნებრივი ტბა გვაქვს, „შავ ტბას“, „ყარაგველის ტბას“<sup>1</sup> ვეძახით. „ყარათუბანი“ იგივე სახელითაა ცნობილი გიორგი ბოჭორიძისთვისაც. მეცნიერი ინიფორმაციას გვანვდის „თრიალის“ შესახებაც: „ლელოვანის სამხრეთ-დასავლეთით 4-5 ვერსზე არის „თრიალ“-ის ნანგრევი რაღაც შენობისა, სადაც არის ქვა ჩუქურთმისა თუ დახატული, რომელზედაც ხეა შემოხვეული – ამოსული (გ. ბოჭორიძე, 1992. გვ. 78, 81). **შდრ.**, მარეთის ხეობის სოფლებში და ხარაგაულის რაიონში გვხვდება შავის შინაარსის მატარებელი, მსგავსი მოტივით შექმნილი ტოპონიმები.

**ეთნოგრაფიული მასალა:** „ვინც რჯულის შეცვლას არც აპირებდა და არც ნებდებოდა თურქულს, თავებს აჭრიდნენო და „გამონათლევის“ მდინარეში ყრიდნენო. იმდენად ბევრი ადამიანი დაუხოციათ აქ, რომ სისხლით იყო შეღებილი ეს მდინარე“.

**შდრ.:** **ყარნება** (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი. სოფელი სარგვეში) მდინარე ჩხერიმელას მარჯვენა შენაკადი. მდინარის სახელწოდებასთან დაკავშირებით: „ოსმალთა შემოსევების პერიოდში ერთ-ერთი ბრძოლა მდინარის მიდამოებში მომხდარა. დაღუპულთა გვამებს ყორნები დასევია. მოსახლეობამ ყორნებით სავსე მდინარეს „ყორნება“ უწოდა. დროთა განმავლობაში სიტყვამ ფორმა იცვალა და მდინარეს „ყარნება“ ეწოდა“.

ტოპონიმი „სამყურე“ მოგვითხრობს პოლიტიკურ გარემოებათა გამო შექმნილ ქართველთა ყოფით-კულტურული

---

<sup>1</sup> ყარა –kara. შავი (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 614).

ცხოვრების ერთი მიმართულების, მესხთაგან „მოგონებული საცხოვრისის“ ისტორიას.

**ეთნოგრაფიული მასალა:** „მოხუცი კაცი ხარის დასაქედად ნავიდა უდემი და მიწიდან გაუგონია ლაპარაკი. „ეტყობა აქ მკვდრები ლაპარაკობენო“, გაუკვირდა ამ მოხუცს. მივიდა მილთან და ჩასძახა „რომელი ხარო“ და ამოსძახეს სახელი. ამ კაცმა არ იცოდა რომ მიწის ქვეშ ხალხი ცხოვრობდა (მთხრობელი მზია ბუიძე. ლელოვანი. 2024). ტოპონიმები საშუალებას გვაძლევენ გავიგოთ გარედან ზეგავლენის მომხდენ ქმედებათა საწინააღმდეგო, ქვეყნის „სარგო“ ქცევებზე.

**ეთნოგრაფიული მასალა:** „ბაბოჩემიდან გამიგონია, რომ ამ სოფელშიო სხვა ეროვნების კაცი გარდა ქართველისა არ ცხოვრობდაო და „არალი“ იმიტომ დაერქვაო. გამოგონიალია, მაგრამ რალაცასთან არის კავშირში. უდელეები იტყვიან არალზე, „ძლიერი ხალხი ხართ“, რომ ვერ დაგიმორჩილესო, ერთი თათარი და ერთი სომეხი არ შემოგიშვიათო (ი. ჩილინგარიშვილი. სოფელი არალი. 2024).

აპრიორზე დაფუძნებული, კერძო მისწრაფებებსა და პრაგმატულ გათვლებზეც ორიენტირებულობის ამსახველი ტოპონიმებია: „პირდაპირები“; „პარტიელები“; „კახარეთი“; „ფაშაფურარი“; „ხანუმის ყანები“; „მეიდნები“.

**ეთნოგრაფიული მასალები:** „სადაც მე ვცხოვრობ იმას ქვია „პირდაპირები“. ახალი დასახლებაა 1960-იანი წლებიდან. შეიძლება არა მხოლოდ მტრის, მართალი სიტყვის არ მომრიდებოც იყვნენ“ (მთხრობელი გ. მერაბიშვილ-პარუნაშვილი. უდე. 2024). „ფაშაფურარში“ ვერავინ შეიხედებოდა. თურქის არ იყო. იყო ვიღაც აქაურის „ფაშასავით“ რომ ცხოვრობდა თურქების ზურგით, „განდევნილი“ (მთხრობელი გ. მერაბიშვილი. სოფ უდე). „ქალი ყოფილა გავლენიანი გვარიშვილი, მტრის მომხრე, „განდგომილი“. ქალის მხოლოდ უცხოური ნოდებაა შემოგვენახა „ხანუმის ყანებით“ (მთხრობელი გ. პარუნაშვილი. უდე. 2024).

**შედარებისთვის.:** ბოლნისში გვხვდება მსგავსად ახსნილი

ტოპონიმი „**ბატონის წყალი**“. საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში დღესაც აქტიურად გამოიყენებენ თქმას: „**ხარ, ვარ ფაშასავით**“.

**ხანუმი** – (თურქ.) hanım, ქალბატონი, მანდილოსანი, ბანოვანი, გათხოვილი ქალი, რძალი. ტერმინი ჩველებრივ ქალთა. ქართულში ქალისადმი თავაზიანი მიმართვის ფორმა მიმართვის დროს. საკუთარ სახელებს ერთვოდა. აჭარულ დიალექტში სიტყვა თურქული ენიდანაა შესული (<https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ხანუმი> <https://dlab.uq.edu.au/synonym/detail/9195/ხანუმი>).

ტოპონიმები, „**პარტიელები**“ და „**კახარეთი**“ მიგვანიშნებენ შესაბამის სიტუაციაში აქტორთა საზრისიან და მომავალზე გათვლილ ორიენტაციაზე. „**პარტიელები**“ – „ადგილები სოფლებში, სადაც სკკპ წევრებს ჰქონდათ ნოციერი, უხვმოსავლიანი მიწები“. „**კახარეთი**“ – „ბეგების სოფელია. ბეგები კარგ სოფელს ირჩევდნენ თავის საცხოვრისად მოსავლიანი მიწებიან სოფელს, სარფიანად რომ ეცხოვრათ“.

წმიდა ილია მართალის გასაზიარებელი მოსაზრებას, რომ ყველაფერს საფუძვლად მაცხოვრებელი რწმენა უნდა ედოს (<https://www.orthodoxy.ge/metsniereba.htm>), ეხმიანება საღმრთო მსახურებისა და მორწმუნეთა ხსნის საქმის აღმსრულებელი სასულიერო პირის სახელის მატარებელი ტოპონიმები: „**ხუცისწყარო**“, „**ღვთის წყარო**“. **შდრ., ეთნოგრაფიული მასალები მართის ხეობიდან და ხულოდან:** „სოფელს ყოლია საკუთარი ხუცი; მეორე ვარიანტით, მღვდლები და მორწმუნე ხალხი რო ამუწყვეტიათ, ერთი გადარჩენილა და მსახურობდა და ამიტომაც ქვია „**ხუციეთი**“. **შდრ.,** დიდაჭარის ტოპონიმია „**ხუცური**“.

„**ზარზმის ზმა**“, იყო სოფელ-ქვეყნის გადამრჩენელი ხმაო“. ასეთი თქმულება დაგვხვდა აქ რაჭიდან როცა ჩამოგვახახლეს“ (მთხრობელი მ. გავაშელიშვილი. **ზარზმა**. 2024)

**ეთნოგრაფიული მასალა:** „მღვდელს ეკლესია უნდა აეშენებია. შემწედ და მომხრედ გამოჩენია მოწოდებული კაცი ჩორჩა-

ნელი. მისი საბატონო ყოფილა. ჩორჩანელს უთქვამს, ერთ დღეში რა ტერიტორიასაც შემოივლი, შენი იყოსო. გადმოუვლია „**დი-დისნაილი**“, მოვიდა „**თახვირში**“<sup>1</sup> (ნასოფლარი ადიგენის მუნიციპალიტეტში-ხაზი ჩვენია). არ ნდომებიათ თავიდან, ხეების მოჭრას არ ანებებდნენ ეკლესიის ასაშენებლად. ერთ დღეს გამსკდარა მინდორ-ვაკეში დიდი გორით ჩაკეტილი წყალი და დიდი ამბავი შექნილა. ხალხს შეშინებია და დაურთავთ ნება, „**ღმერთი ახლაც გვიშველისო**“. მღვდელს აუნთია სანთელი და წასულა გორისკენ. გორაზე უნდა აეშენებინა, რავარც ყველგან საქართველოში. დაინვა სანთელი, ჩამოკიდეს ზარი და გაისმა ზარის „ზმა“, ხმა. ხალხმაც „**მომთავრდა ჩვენი საკეთილოს მქნელიო**“ (მთხრობელი მ. გავაშელიშვილი. ზარზმა. 2024). სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია ტერმინ „ზმის“ იგივე მნიშვნელობა (იხილეთ: <https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/27515/ზმა>).

საქართველოში დღემდე ფართოდ გავრცელებული, პირთა, სოციუმის უცხო ეთნოსის სახელით („**ფრანგები**“, „**რუსი**“, „**სომეხი**“, „**აფხაზი**“, „**ოსი**“ „**ურია**“...) სახელებით მოხსენიების სინამდვილეს ასახავენ ტოპონიმები: „**ქურთიყანები**“ და „**ლეკი**“.

**ეთნოგრაფიული მასალები:** „ქურთიყანები“ – „ზედმეტსახელად „ქურთის“ მიწის სახელია (მთხრობელი ნ. კაჭკაჭიშვილი არაღი. 2024).

„პაპაჩემის პაპა ყოფილა, პეტრე რქმევია. უშიშარი კაცი ყოფილა და ზედმეტსახელად „ლეკი“ შეურქმევიათ. ყოფილა სოფლის უფროსი. მისულა შვიდი თათარი და არა გაათარებულნი ჩვენნიანი, გამყიდველი, მუსულმანობამიღებულნი. ჩვენნიანი,

---

<sup>1</sup>**ეთნოგრაფიული მასალა:** „ერთი შემოსევის დროს, შეძლებულ თათარს მონონებია ქალი. ამ ქალს წაყვანამდე მოუსწორია და რაღაც გახვეული შეუნახავს ქვის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ ვერ შეიყვარა ქალმა ქმარი, პატივს სცემდა. შვილებიც გაუჩინა. ცუდად როცა გახდა, „**ოღონდ კარგად იყავიო და რაც გინდა შეგისრულებო**“ თათარის დიდებულმა. ქალს ქვის ქვეშ დამალული ნივთები უთხოვია. წმინდა წყალი მოუტანეს. გაუტენევია ქვეყანა სიკეთით განაახლეთო“ (ლელოვანი. 2024).



მათზე მომუშავე „განდგომილი“ ყოფილა მიმსწავლებელი. უთქვიათ, რომ ღამე გაგათევიეთო, პურს რომ შევეჭამთ, ქალებიც უნდა მოგვიყვანოთო. ამ კაცს უფიქრია და ორი ღონიერი მეზობლისთვის შეუტყობინებია. პურს რომ ჭამდენ, დაუძახდენ იმ კაცებს. ძველ სახლებს სახლის გვერდზე ბოსლები ქონდა და ამ კაცებმა ზღვე აყარეს ერთ მხარეს ორმო გაამზადეს. გელოდებათ ქალიო, უთხრეს თათრებს. ასე ცალკ-ცალკე მოკლეს შვიდივე. მერე რომ გათენდა მოიკითხეს ეს თათრები. ჩვენ „ლექს“ უპასუხნია, „აქ იყვნენ, პური ვაჭამენ და წავიდნენო“. შემომწმეს და რომ ვერ უნახავთ, არალი, არალიო (მთხრობელი ნ. კაჭკაჭიშვილი არალი. 2024).

აღვნიშნავთ, რომ მსგავსი მასალები ჩავიწერეთ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში.

**შედარებისთვის, ეთნოგრაფიული მასალები საქართველოს სხვადასხვა მხარიდან:**

„ტოპონიმი „ქურთის მეზერი“ ჩვენი და თურქეთის სახელმწიფო საზღვარზეა. იქ მოკვდა ქურთი და დაასაფლავეს. „მეზერი“ სასფალოა თურქულად იმიტოც ქვია ასე. სხვა ვერსიით, ქურთები როცა აჭარიდან გაასახლეს, იქ დაასამარეს სიმდიდრე. 90-იან წლებში გაიხსნა ეგ ადგილი. მსგავსი ადგილი იმავე პერიოდში გაიხსნა დარჩიძეებში. ანუ არა სასფლაოები, არამედ სიმდიდრე და განძი იყო, რომელიც ქონდათ ქურთებს და დატოვებული მიწაში ჩაფლული“. **შდრ.:** მეზერი-ი [არ. mezar], საფლავი (შ. ფუტყარაძე, 1993, გვ. 502).

მომავლის კვლევის საგანი უნდა გახდეს მარეთის ხეობაში დადასტურებული „ქურთის მეზერი-ს“ შესახებ არსებული ლეგენდური გადმოცემა, თუ რატომ შემოგვინახა ტოპონიმმა „ქურთის“ სახელი.

„წინაპრებს, სესია და ნანია ცირეკიძეებს არ სწამდათ ღმერთი, არ ემორჩილებოდნენ ეკლესიას, მარხვასაც ჭამდნენ თურმე... ამას დამატებია ისიც, რომ ამ ამბის შემდეგ სესია და ნანია წასულან დაღესტანში. იქედან ჩამოსულებს ჩამოუყვანიათ „მოკალვის ოსტატი“ ვილაც ლეკი და ამიტომ დღესაც მათ

„შტოგვარს“ „ლეკებს“ ეძახიან... (დ. შავიანიძე. ოკრიბული გვარსახელები). ოკრიბის სოფელ ძიროვანში, თათრის ნამოსახლს „ქორიკვანჭს“ ეძახიან.

შეიძლება ეჭვი შეიტანო აღნიშნული მეტსახელების შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მასალების სიმართლეში, მით უფრო, რომ არსებობს მსგავს სიტყვათა სხვა ახსნებიც (**შდრ.**, „**ლეკნარი**“ – მახალაკიძეებში ჰქვია იმ ადგილს, სადაც „ლეკის“ ხეა დიდი რაოდენობით; გ. ბოჭორიძე აჭარის მთების სამხრეთ-აღმოსავლეთით ასახელებს „ლეკნარის ფეგს“ (გ. ბოჭორიძე. 1992. გვ. 139), თუმცა ვფიქრობთ, აღნიშნულის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

აღნიშნულთან დაკავშირებით არაერთგზისაა შენიშნული სამეცნიერო (რ. თოფჩიშვილი. დ. შავიანიძე) ლიტერატურაში.

**დასკვნა.** ქართველთა ისტორიის, სოცილური მოწყობის, ტრადიციულ-ყოფითი ცხოვრების, ქცევის სპეციფიკურობის შესწავლის წყარო ტოპონიმების კვლევით ირკვევა:

1. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში უცხოთაგან ძალით და ნებით, იდეოლოგიის, სხვადასხვა საშუალებებით შემოთავაზებების მიუხედავად ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა თვითშეგნება, საკუთარ კულტურას შეუთავსა უცხო და თავის თანამედროვე.

2. იმპერიათა ძალადობრივი და რბილი ქმედებების ეტაპგამოვლილ საქართველოში არ შეიძლება ისაუბრო მენტალობის შეცვლის, ტრადიციული ცხოვრების წესის, მრწამსის სრულად ჩამოშლის შესახებ.

### **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები**

**ბარათაშვილი 2019** – ბარათაშვილი ლ. სოფელი უდე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა. 2019

**ბოჭორიძე 1992** – ბოჭორიძე გ. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. 1992

- თოფჩიშვილი 2008** – თოფჩიშვილი რ. ქართველთა ეთნოგენეზისისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები. 2008
- კობახიძე 1987** – კობახიძე შ. რაჭული დიალექტის ლექსიკონი. 1987
- ფუტყარაძე 1993** – ფუტყარაძე შ. ჩვენებურების ქართული. 1993
- ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2010** – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ., 2010
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1958** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი პროფ. არნ. ჩიქობავას მთავრი რედაქციით. ტ. V. თბ. 1958
- ლლონტი 1984** – ლლონტი ალ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბ., 1984
- შავიანიძე, ხაჭაპურიძე 2024** – შავიანიძე დ. ხაჭაპურიძე ლ. ტოპონიმებით გადმოცემული ეთნიკურ-კულტურული და რელიგიური მახასიათებლები (უახლესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) VIII. 2024. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. „ფილოლოგიური კვლევები“  
<http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/528>  
<http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/528/470>
- შავიანიძე, ნაკრა-ლახამულას ეთნოგრაფიული ექსპედიცია, საჯარო 2017**  
<https://intermedia.ge/სტატია/111191-ქართული-მითოლოგია-ჰარალე/89/>  
<https://www.marketer.ge/colors-branding/>  
<https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/9195/ხანუმი>  
<https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ხანუმი>  
<https://www.orthodoxy.ge/metsniereba.htm>  
<https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/27515/ზმა>

## **David Shavianidze**

### **Some issues of ethnic history conveyed through toponyms (according to the latest ethnographic materials)**

#### Summary

Ethnographic materials of the "True Storyteller" preserved in the memory of Georgians (/Museum Archive) are a kind of chronicle of ethnohistorical research, a source for studying the past and the present.

The most important thing in the way of studying the ethnic history is the truth told through the toponyms (place-names) describing the socio-political situation, ethnic outlook, mentality, and ethno-characteristics.

Given the above, the subject of our study are the names of the places in different villages of Adigeni district, pointing to "the truth to remember and consider the proper action" for saving Georgians' national identity from political-social decay.

We compared the toponyms found in Adigeni, reflecting historicism and sociality, with similar own names "learned by content" found in the historical-ethnographic regions of Georgia at different times.

Toponyms: "Pashafurari", "Khanumi Khani", "Meidnebi", "Rabati", "Karatubani", "Partielebi", "Kakhareti", "Samkure" tell us about the historically existing reality; They help us draw a parallel between the past and the present.

"Arali", "Takhviri", "Harale", "Adigelas kana", "Kurtikanebi", "Khutsitskaro", and "Pirdapirebi" are the names of places denoting, "targeted, result-oriented" action and behavior, relationships, attitudes, and necessary actions.

The integrated ethnohistorical study of toponyms reflecting the peculiarities of everyday life and relation to historical reality reveals:

the ways and means of saving the traditional heritage with the names of the places motivated by different signs, you will be "reminded" of;

the primary, forgotten, mostly presumptive interpretations of the names of the toponyms also provide us with some information about the survival of the Georgian ethnic-cultural salvation, the residents of the community, the functional features dictated by the political reality, and the socio-cultural arrangement of the country;

that despite being surrounded by foreign conquerors, the influence of Muslim-religious and political machines, despite the recognition of foreignness even by yourself, the ethnic-cultural face of Georgians has not completely changed.

The examples of toponyms that we bring are an indicator of the contacts of the inhabitants of the Georgian cultural-linguistic world. Accordingly, the basis of creation and content explanation of toponyms motivated by this or that sign are often consistent in the special literature and folk tales.

## ნათია ჯალაბაძე

### სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზღვარი და მეზობელ ხალხებს შორის ეთნოკულტურული ურთიერთობის რეპრეზენტაცია ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია თანამედროვე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის ფორმირების ისტორიული წანამძღვრები და შეძლებისდაგვარად წარმოჩენილია მესხურ ფოლკლორში ასახული სასაზღვრო ზოლის მოსახლეობის ურთიერთობის სპეციფიკა.

უძველესი დროიდან სამხრეთ საქართველო (კონკრეტულ შემთხვევაში მესხეთი) გარეშე მტრების მუდმივი ინტერესის და პერმანენტული თავდასხმების ობიექტი იყო, რასაც, შესაბამისად, მისი საზღვრების ცვლილება მოსდევდა. ამას გარდა, რეგიონში არა მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხის, არამედ უცხო ეთნოსის წარმომადგენელთა ინტენსიურ მიგრაციას ჰქონდა ადგილი. მესხეთის ისტორიულმა ბედმა ამ კუთხის ფოლკლორზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია; მიგრირებულ ჯგუფებს თან მოჰქონდათ საკუთარი კულტურული ტრადიციები და მათ რეალიზაციას ახალ სამოსახლოში ახდენდნენ, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიც ახალ გარემოში სხვაფერდებოდა და ისე გადაეცემოდა თაობებს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ანალოგიური ფოლკლორული სიუჟეტების არსებობის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ მიგრაციები უნდა იყოს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ფოლკლორულ ნაწარმოებში, რომლის დამკვიდრების პროცესი ზოგჯერ საუკუნეებსაც კი ითვლის, მოსახლეობის მიგრაციის და კონკრეტულ ადგილზე შედარებით მცირე დროით არსებობის გამო, სათანადოდ არ არის ასახული რიგი მნიშვნელოვანი მოვლენა, თუნდაც, ჩვენ შემთხვევაში, საზღვრის საკითხი და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

ისტორიული პერიპეტიების ფონზე საზღვრის ცვლილების გამო, მესხეთში მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფი საზღვარს განსხვავებულად აღიქვამდა (და დღესაც აღიქვამს); მათი ნაწილი ეთნიკურ საზღვარს პოლიტიკურ//სახელმწიფო საზღვართან აიგივებდა, და ამ პოზიციას საკვლევ რეგიონზე პრეტენზიების მქონე გარე ძალა თავისი მიზნებისთვის დღემდე წარმატებით იყენებს.

### **ისტორიული პერიპეტიები და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის ტრანსფორმაცია**

წინამდებარე მონაკვეთში საჭიროდ ჩავთვალე მოკლედ წარმომედგინა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზღვრის ცვლილების დინამიკა ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში.

საკვლევი ტერიტორია მოიცავს ზემო ქართლის, იგივე მესხეთის, სომხეთთან და დღევანდელ თურქეთის რესპუბლიკასთან მოსაზღვრე სივრცეს, კერძოდ სამცხე-ჯავახეთის მხარეს. თუმცა ისტორიულად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზღვრები, დღევანდელ საზღვრებთან შედარებით, ბევრად უფრო ვრცელ ტერიტორიას ფარგლავდა. როგორც აღნიშნავდა ივ.ჯავახიშვილი: „მესხეთი ბევრს სხვადასხვა სახელის მატარებელს თემს შეიცავდა. მესხეთის სანაპირო თემებად აღმოსავლეთითგან რომ მოვაცოლოთ შემდეგი ადგილები იყო: ჯავახეთ-აბოცი, არტაჰან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდის უკვე ლაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო“ (ჯავახიშვილი 1919:27).

ივ. ჯავახიშვილისავე ცნობით, უძველეს დროს, ლაზისტანივით, ტაო და ისპირიც ლაზებს (ხალიბებს) ეკუთვნოდა. ქ. წ. მე-II საუკუნეში სომხებმა მათ ტაო წაართვეს, რამაც აქ შერეული მოსახლეობა წარმოშვა. გაქრისტიანების დროს ეს ქვეყანა ისევ სომეხთა ხელში უნდა ყოფილიყო. მე-VI საუკუნეში, სპარსეთ-ბიზანტიას შორის ხანგრძლივი ომიანობი-

სა და ქოლერის მსგავსი ეპიდემიის გამო, თითქმის მთელ ზემო ქართლში, ანუ მესხეთში, განსაკუთრებით კი სამცხეში, შავშეთ-კლარჯეთში და ტაოში, მოსახლეობა თითქმის სრულებით მოისპო და მთელი ტაო უდაბური ტყით შეიმოსა. მხოლოდ მე-IX საუკუნეში აქ კვლავ ქართული მოსახლეობა ჩნდება. შიდა ქართლიდან გადმოსული ბერებისა და მოახალშენეთა წყალობით ეს ქვეყნები ქართული საეკლესიო და სამოქალაქო კულტურის ნაყოფიერ ასპარეზად იქცა.

ზემო ქართლი, ანუ მესხეთი, სამცხე-ჯავახეთისგან მოყოლებული ტაო-ისპირამდე, ერთ საგამგეო ერთეულს, საერისთავო-საერისთაოს და სამთავროს შეადგენდა. XIII საუკუნის დამდეგს ლაზისტანი, ანუ ჭანეთი, თამარ მეფის მიერ დაარსებულ ტრაპიზონის იმპერიაში მოექცა, მაგრამ შემდეგ იგი საქართველოს შემოუერთდა; ის ჯერ მესხეთის მთავარს, შემდეგ გურიელს ეჭირა, ხოლო 1511 წელს სამცხის მთავრის, ათაბაგის ხელში გადავიდა (ჯავახიშვილი 1919:27-29).

მესხეთი საათაბაგოდ იწოდა და XV საუკუნიდან სამცხე-საათაბაგო მთელი მესხეთის სინონიმი გახდა. XVI–XVII საუკუნეთა მიჯნაზე ირან-ოსმალო დამპყრობლებთან ბრძოლაში ოსმალებმა საბოლოოდ მოგლიჯა საქართველოს სამცხე-საათაბაგო. ოსმალთა მიერ მესხეთის სამთავროს დაპყრობა მთლიანად 1578 წელს დასრულდა. მათ გააუქმეს ქართული სახელმწიფო ხელისუფლება და მესხეთს „გურჯისტანის ვილაიეთი“ უწოდეს. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სამცხე-ჯავახეთი მოიცავდა დღევანდელი საქართველოს ექვს მუნიციპალიტეტს (ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის), აგრეთვე, ყარსის მხარის, არტაანისა და ოლთისის ოლქებს. ამ მხარეში სულ 1160 სოფელი შედიოდა. 1595 წლისათვის სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის 95%-ზე



მეტს ქართველები შეადგენდნენ, მოსახლეობის 95-97% კი ქრისტიანი იყო (ლორთქიფანიძე 2019:5).

მესხეთის მოსახლეობის გამაჰმადიანების პროცესი მე-XVII საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო და მე-XIX საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა. ახალციხის საფაშო (ფაშალიკ) კვლავინდებურად მთელი ჭოროხის მხარესაც შეიცავდა და 24 თემად ანუ სანჯაყად იყოფოდა, რომელთაც სათავეში სანჯაყბეგები, უდგნენ; სამცხის მფლობელი კი ახალციხის ფაშად იწოდებოდა. (ჯავახიშვილი 1919: 28-29) როდესაც რუსეთმა საქართველო შემოიერთა, მესხეთი, ანუ ახალციხის საფაშო, ოსმალეთს შერჩა. რუსეთ-ოსმალეთის ომების მიმდინარეობისას რუსეთმა ამ ტერიტორიების ეტაპობრივი დაკავება 1806 წელს დაიწყო და 1878 წელს დაასრულა. მხოლოდ 1828 წელს დაპყრობილ იქნა ახალციხის საფაშოს ერთი ნაწილი, რაც ძველ სამცხეს, ჯავახეთს, პალაკაციოს და ერუშეთს ედარება. ეს მხარე რუსეთმა შემდეგში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებად და ფოცხოვის უბნად დაჰყო (კობახიძე 2021).

1828 წელს რუსეთის შესვლას რეგიონში შედეგად მკვიდრი მოსახლეობის აყრა მოჰყვა, უფრო მეტად, ჯავახეთიდან (ახალქალაქის მაზრა) და შედარებით ნაკლებად სამცხიდანაც (ახალციხის მაზრა). ამავ დროს, ოსმალეთიდან, ყარსსა და არზუმის საფაშოებიდან სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა (ჯავახიშვილი 1919: 28-29).

1830 წელს „სომხების დიდი რაოდენობით შემოსახლებასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი ჯავახეთიდან სხვა სარწმუნოებისა და სხვა ხალხის გასახლებისა და ჩამოსახლებული სომხებისათვის ერთგვარი ავტონომიური ბუფერის შექმნისა....ამასთან დაკავშირებული ღონისძიება იყო, რომ 1831 წელს ყარაფაფახელების ერთი ნაწილი აყარეს ჯავახეთიდან და დაასახლეს ერუშეთის იმ ნაწილში, რომელიც ან-

დრიანოპოლის ზავის შემდეგ რუსეთის საზღვრებში დარჩა და რომელსაც ისტორიულ წყაროებში „ნიგალის“ ანუ ნიალის ველი (ეს ტერიტორია დღეს ასპინძის რაიონს ეკუთვნის – თ. ი.) ეწოდება“ (იველაშვილი 2019:58).

რუსეთის მთავრობამ სომხებს მფარველობა გაუწია: თითოს 25 მან. დახმარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადისგან გაათავისუფლა. შედეგად, ამ მხარეს 90 000 მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა. მათგან 30 000-მდე სომეხი დასახლებულ იქნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში, რის შედეგადაც ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მოსახლეობის სურათი არსებითად შეიცვალა. ძირფესვიანად შეიცვალა ეროვნული შემადგენლობაც: ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრაში, თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, 1832 წელს ქართველთა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდენ (ჯავახიშვილი 1919: 28-29). დაახლოებით ამ პერიოდშივე ჩაასახლეს ახალქალაქის მაზრაში თარაქამები ქვემო ქართლიდან, ბერძნები – ერზრუმიდან და რუსეთიდან გამოსახლებული „სტაროვერები“, „დეუხოზორები“ და „მალაკნები“, ასევე, მცირე რაოდენობით – მომთაბარე ქურთები (ლორთქიფანიძე 2019:5).

რუსეთის იმპერატორმა, ნიკოლოზ პირველმა, რომელიც მაჰმადიან ქართველებს ბოლომდე არ ენდობოდა, ეს ოპერაცია სპეციალურად ჩაატარა იმ მოსაზრებით, რომ თურქეთის საზღვრისპირას ერთგული ხალხი ჰყოლოდა დასახლებული (არველაძე 2021: 10).

რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შემდგომ მესხეთის მეორე ნაწილიც (აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლაარტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი, ოლთისი) იქნა შემოერთებული; აქედან სამი – აჭარა-ქობულეთის, შავშეთის და კლარჯეთის სანჯაყები ბათუმის ოლქად იწოდა, ხოლო ერუშეთი, არტაანი და ოლთისი რუსეთის

მთავრობამ ყარსის ოლქის საზღვრებში მოაქცია. მთელ ამ კუთხეში უმეტესად ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ (კობახიძე 2021).

პავლე ინგოროყვა აღნიშნავდა, რომ სამივე მხარეში (ახალციხე-ახალქალაქსა, ბათუმსა და არტაანში), მოსახლეობის მთავარ ელემენტს შეადგენდა ქართველობა, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა სარწმუნოებით მუსულმანი იყო, ნაწილი კი ქრისტიანი. მესხეთის ქართველ მუსულმანებში წმიდად იყო დაცული ქართული რასა, დიდ ნაწილს შენარჩუნებული ჰქონდა ქართული დედა-ენა, და მთელი ხალხი თავის თავს გურჯს ეძახდა. რუსული რეჟიმის გამოსობით, მე-19 საუკუნის მანძილზე ქართული ენის ცოდნა ზოგ ადგილას თანადათან შემცირდა. რუსეთის მმართველობა ყოველნაირად ხელს უშლიდა მუსულმანი ქართველების დაახლოებას მათ ქრისტიან მოძმეებთან. ყველაფერი ქართული აქ დიდ დევნას განიცდიდა. თუ აქ თურქების მფლობელობის დროს სოფლის სამმართველოსა და სამსაჯულოში ქართული ენა იხმარებოდა, რუსეთის მმართველობამ რუსული და თურქული ენები შემოიღო. რუსულ-თურქული ენა შემოღებულ იქმნა აგრეთვე სკოლებში. შედეგად, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ახალციხე-ახალქალაქის მხარეს მუსულმან ქართველებიდან ქართულ დედა-ენაზე ლაპარაკობდა 50%-დან 60%-მდე (ინგოროყვა 1918:10).

რუსეთის მიერ შემოერთებულ ტერიტორიაზე 1878 წლიდანვე დაიწყო ახალი ადმინისტრაციის ფორმირება. ბათუმის ოლქში ორი ოკრუგი შეიქმნა – ბათუმისა და ართვინის. ართვინის ოკრუგში შედიოდა საკუთრივ ართვინის, არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევის უბნები. ბერლინის კონგრესის დადგენილებით, შემოერთებული ტერიტორიიდან სამი წლის მანძილზე ნებადართული იყო თურქეთში მოსახლეობის გადასვლა. გადასვლის მსურველს მინის გარდა ყველაფრის გაყიდვის უფლება ჰქონდა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძირძველი ქართული პროვინციების ეთნიკური

სურათი. ამას დაემატა შიმშილობა 1878-79 წლებში, რამაც ათასობით ოჯახი აიძულა ცენტრალურ თურქეთში გადასახლებულიყო. მაგალითად, რუსეთის იმპერიის 1884 წლის ოფიციალური სტატისტიკით, არტანუჯის უბანში ქართველები აღარ სახლობდნენ. 13 095 მოსახლიდან 11.668 თურქი, ხოლო 1427 სომეხი იყო. 1883 წლიდან ართვინის ოკრუგი და, შესაბამისად, არტანუჯის უბანი ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა. 1903 წელს კი ბათუმის ოლქი და ართვინის ოკრუგი, არტანუჯითურთ მასში გაერთიანდა (სამუშაო 2019:5).

1918 წლის 3 მარტს, მსოფლიო ომიდან გამოთიშულმა საბჭოთა რუსეთმა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ამიერკავკასიის კომისარიატის დაუკითხავად, ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ოსმალეთს გადასცა. ამ უკანასკნელმა მალე ახალციხე-ახალქალაქიც დაიკავა. ბათუმში გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იძულებული გახდა ბათუმის ოლქი, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები ოსმალეთისთვის დაეთმო. 1918 წლის ოქტომბერის ბოლოს კი მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთის ჯარებმა რეგიონი დატოვეს (კობახიძე 2021).

1918 წელს ჯავახეთიდან მრავალმა მაჰმადიანი ქართველი (იერლი) თურქეთში გადასახლდა. მიტოვებული სოფლების (ხოსპიო, მურჯახეთი, ლულალისი, პატარა ხანჩალი...) ნასახლარებზე კი სომხები სახლდებოდნენ. როდესაც ნიკო ბერძენიშვილს ჯავახეთში უმოგზაურია, ადგილობრივი მუსლიმი ქართველები 1933 წლისთვის მხოლოდ სამ სოფელშია იყვნენ შემორჩენილნი: ოკამში, თოკში და ქილდაში (თოფჩიშვილი 2017: 8).

ყარსის ოლქი სომხეთის ისტორიულ ნაწილად განიხილებოდა; იგი სამხრეთ კავკასიაში გერმანელთა და ოსმალთა განსაადევნად შემოსულმა ბრიტანელებმა სომხებს გადასცეს.მასში შედიოდა არდაგანი და ოლთისი. ქართული მო-

სახლეობა ამ ორ რაიონში აბსოლუტურ უმცირესობას წარმოადგენდა. რელიგიური მოტივით, ბათუმისა და ყარსის ოლქებზე, ასევე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებზე, პრეტენზიას აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკაც აცხადებდა. ოლთისთან და არდაგანთან მიმართებით საქართველო მხოლოდ ისტორიული კუთვნილებით მანიპულირებდა. 1919 წლის თებერვალ-აპრილში საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ბრიტანელებთან ერთად ჩაახშო „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის“ შექმნისთვის დაწყებული აჯანყება და ჯილდოდ მიიღო არდაგანის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილი, ქალაქ არდაგანის ჩრდილოეთ ნაწილის ჩათვლით; დე ფაქტო საზღვარი ქართულ და სომხურ ტერიტორიებს შორის ქალაქ არდაგანის შიგნით, მდინარე მტკვარზე გადიოდა. (კობახიძე 2021).

1920 წლის ოქტომბერში დაიწყო ქემალისტური თურქეთის ომი სომხეთის წინააღმდეგ. იმავე წლის ნოემბერში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საბაზით, გადალახა მდინარე მტკვარი და დაიკავა არდაგანის ოკრუგის სამხრეთი ნაწილი, ქალაქ არდაგანისა და ჩილდირის ტბის ჩათვლით; ანუ, 1921 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით, საქართველო აკონტროლებდა არდაგანის მთელ ოკრუგს. ბრიტანელებმა სომხეთს ოლთისი ნომინალურად გადასცეს, მაგრამ თურქულ ჯარებს ეს რაიონი არასდროს დაუტოვებიათ და ინარჩუნებდნენ ეფექტურ კონტროლს. მართალია, ქართველები უმცირესობაში იყვნენ ახალქალაქშიც, მაგრამ ეს რაიონი მეფის რუსეთის დროს ტფილისის გუბერნიაში შედიოდა და ის ეკონომიკურად თუ ინფრასტრუქტურულად საქართველოს დედაქალაქს იყო მიბმული, მიუხედავად სომხეთის პრეტენზიებისა, მისი კუთვნილება სადავო არასდროს გამხდარა. ამის შემდეგ, გასაბჭოებამდე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზღვარი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად პარალელურად დროდადრო იცვლებოდა: ბათუმის ოლ-

ქიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ აქ ბრიტანელთა პირდაპირი მმართველობა დამყარდა, მათ შემდეგ (1920 წლის 7 ივლისს ბრიტანულმა ჯარებმა ბათუმი დატოვეს) ოლქი, ქალაქი ართვინითურთ საქართველოს დემოკრატიულ რეპუბლიკას გადაეცა. საბჭოთა რუსეთის მხრიდან თბილისის ოკუპაციის შემდეგ, მარტში მოსკოვში ხელი მოეწერა ორმხრივ ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ართვინი და არდაგანი დარჩა თურქეთს, ხოლო ბათუმი კი საბჭოთა მხარეს, რაც გაამყარა ყარსის 1921 წლის ხელშეკრულებამ (კობახიძე 2021).

საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში სახელმწიფო საზღვრების საკითხი მწვავედ დაისვა. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ საქართველოს მთავრობას სახელმწიფოებრივი ინტერესებით უნდა ეხელმძღვანელა და ქვეყნის საზღვრების დადგენის დროს ეკონომიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ მოსაზრებებს უნდა დამყარებოდა. ე.წ. ეთნოგრაფიული პრინციპი – მხოლოდ მოსახლეობის ეთნიკური უმრავლესობის მიხედვით ტერიტორიის ამა თუ იმ სახელმწიფოსთვის მიკუთვნება, მეცნიერს უსაფუძვლოდ მიაჩნდა, ჯავახეთი და ლორე (ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები), რომელზედაც პრეტენზიას აცხადებდნენ დაშნაკები, ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდა და ეკონომიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული დანარჩენ საქართველოსთან. სამხედრო თვალსაზრისით კი ეს მხარეები საქართველოს სახელმწიფოსთვის სამხრეთის კარებს წარმოადგენდა. 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოსკოვმა ლორე საბჭოთა სომხეთს გადასცა, თუმცა სომხეთის მმართველი წრეების მხრიდან ახალი ტერიტორიული პრეტენზიები არ წყდებოდა (მაცაბერიძე 2016).

მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში, ორი სახელმწიფოს მეთაურს – ედუარდ შევარდნაძესა და სულეიმან დემირელს შორის 1992 წლის 30 ივლისს გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვით, მხარეები აღიარებდნენ

ყარსის ხელშეკრულებით დადგენილ საზღვრებს. თურქეთი გახდა ერთადერთი მეზობელი, რომელთანაც სასაზღვრო დავა გამოირიცხა და ვისთანაც საქართველოს საზღვრები დემარკირებული აქვს (კობახიძე 2021).

### **საზღვრისა და სასაზღვრო ურთიერთობების რეპრეზენტაცია მესხური ფოლკლორში**

მესხური ფოლკლორით ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაინტერესდნენ ქართული კულტურის მესვეურნი. ამ მხრივ დიდი წვლილი აქვთ პ.უმიკაშვილს, ა.წერეთელს, ვ.კოტეტიშვილს, ი. ალხაზიშვილს, ი.გვარამაძეს და სხვ. ძალზე მნიშვნელოვანია XX საუკუნის ფოლკლორისტთა დამსახურება უკვე არსებული თუ მოგვიანებით მოძიებული მასალის შესწავლის საქმეში. 2015 წელს ავთანდილ ბერიძის თაოსნობით და რედაქტორობით გამოიცა სქელტანიანი კრებული – „მესხური ფოლკლორი“, სადაც თავმოყრილია ძირითადად უცნობი მესხური პოეზიის ნიმუშები. სამწუხაროდ, ჩემი საკვლევი თემის მიმართულებით ფოლკლორული მასალა ნაკლებად არის წარმოდგენილი ანუ, საზღვართან დაკავშირებული ინფორმაცია ჩემთვის ხელმისაწვდომ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში ძალზე უმნიშვნელოა. როგორც ზემოთაც ითქვა, ამის ერთ-ერთი მიზეზი მოსახლეობის და ქვეყნის საზღვრის პერმანენტული ცვალებადობა უნდა იყოს.

ძალზე ნიშანდობლივია ამ კუთხეში აშუღური პოეზიის წარმოშობა, რაც უპირატესად მუსულმანური კულტურისთვის დამახასიათებელი ფენომენია. აშული (არაბ. აშიკ – შეყვარებული, მიჯნური) – სახალხო მგოსანია, რომელიც საჯაროდ მუსიკალურ ინსტრუმენტზე (ჭიანური, საზი და თარი) დამღერის. საქართველოში აშუღობა შემოსულია აღმოსავლეთიდან და თავს იჩენს XVI-XVII საუკუნეებიდან, უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისში, მესხეთში და

აჭარაში. თბილისში ბევრი უცხო ეროვნების აშული ცხოვრობდა. მათ შესახებ ცნობები დაცულია „დასტურლამალში“. ისინი ქართულად თხზავდნენ და მღეროდნენ. აღნიშნული ტრადიცია ბოლო დრომდე შემორჩენილია ახალქალაქის, მარნეულისა და ასპინძის რაიონებში (ქართული ფოლკლორი 1974:60).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ხალხურ შემსრულებელთა კადრების შექმნაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა ოსტატ-შეგირდობა, რომელსაც ზეპირი სკოლა შეიძლება ეწოდოს. მესტვირეებს, აშულებს, მომღერლებს ყმანვილები ჰყავდათ მიბარებული, მსგავსად დურგლების, კალატოზების, მენაღების თუ სხვა ხელოსნებისა. შეგირდი მასწავლებელთან 3-4 წელიწადს რჩებოდა უხელფასოდ, საოჯახო საქმესაც ასრულებდა და საშემსრულებლო ხელოვნებასაც ეუფლებოდა (მესტვირეობა, აშულობა). რაჭველ მესტვირეებს, თბილისელ და მესხ აშულებს მონაფები თან დაჰყავდათ, როცა საშემსრულებლო ტურნეზე მიემგზავრებოდნენ საქართველოში თუ მის გარეთ. ახალგაზრდა შეგირდი თანდათან ეუფლებოდა შესრულების ხელოვნებას, ქმნიდა საკუთარ რეპერტუარს და სწავლების პერიოდის დამთავრების შემდეგ თვითონ იწყებდა დამოუკიდებელ პროფესიულ საქმიანობას (ქართული ფოლკლორი 1974:166).

მესხეთში აშულური პოეზიის წარმოშობა-განვითარება, ოსმალეთის მიერ ამ რეგიონის დაპყრობას მოჰყვა. მესხეთში შექმნილი ეთნიკური და კულტურული ვითარება, ანუ შერეული მუსლიმურ-ქრისტიანული, იგივე გათურქებული და ქართული მოსახლეობის თანაარსებობა, აშულურ პოეზიაზე ედაც აისახა. აშულები მთელი ოსმალეთის ტერიტორიაზე დახეტილობდნენ და მონაწილეობას იღებდნენ ერთგვარ საშემსრულებლო კონკურსებში – მეჯლისებში. „აუდიტორიის შესაბამისად მათი შემოქმედება ორენოვანი იყო, თუმცა თანდათან თურქულენოვანი შესრულება მკვიდრდებოდა.“ (ბერიძე 2005:24). „იმხანად თურქული გავლენა ძალიან დი-



დი იყო მესხეთის ქართველობაში. ქართულად, სამწუხაროდ, არ ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით მამაკაცები. ქალებისთვის კი საოჯახო ენა ქართული იყო. ამიტომაცაა, რომ მაჰმადიანი ქართველები გამონათქვამებს, ლექსებს, თქმულებებს, ლეგენდებს, მათ ენაზე გამოთქვამდნენ. როგორც ცნობილია, ხშირად იმართებოდა აშულებს შორის შეჯიბრებები. წესად ჰქონდათ – დამარცხებულ აშულს თავისი საზი გამარჯვებულისთვის უნდა გადაეცა. ვისაც ყველაზე მეტი საზი ჰქონდა, ის უფრო ცნობილ აშულად მიიჩნეოდა მხარეში.“ (დავლაშერიძე 2017:10).

მესხ აშულთაგან ცნობილია აშულ შივლა (ლუკა ბერიძე), ახალქალაქის მაზრის სოფელ პრტენიდან. მისი პოეზია უმეტესად სატრფიალო და ფილოსოფიული ხასიათისაა. თხზავდა ძირითადად თურქულად.

მესხეთში მცხოვრები თითქმის ყველა ცნობილი აშული ქართული წარმომავლობისა იყო და ყველა მათგანი თურქულ ენაზე წერდა და მღეროდა. სამცხე-ჯავახეთში უკანასკნელ აშულად ითვლებოდა აშულ-ეთოდ ნოდებული ტოლოშელი ექვთიმე დავლაშერიძე – ცნობილი აშულის, ნიკო დავლაშერიძის შვილი. იგი საზზე მღეროდა, როგორც საკუთარ, ასევე მესხეთში ცნობილი აშულების სიმღერებს. ადგილობრივი ბეგები და წარჩინებული მაჰმადიანი მესხები, ნიკო და ექვთიმე დავლაშერიძეებს ხშირად ინვევდნენ ქორწილებსა და დღესასწაულებში. გადმოცემით: „მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. ნიალის ზონაში, ნასოფლარ ქარზამეთში, ტოლოშის კოლმეურნეობას 20 ჰექტრამდე სახნავ-სათესი ფართობი ჰქონდა და ექვთიმესაც ხშირად უხდებოდა, როგორც კოლმეურნეობის რიგით წევრს, სათიბში სიარული. სოფელი ქარზამეთი მაშინ სასაზღვრო ზონის შიდა პარამეტრებში მდებარეობდა. თურქეთის საზღვრიდან მას ჰყოფს პატარა მდინარე. წყალგალმა თურქული სოფელი თათაღეთია. ერთ დღეს, როდესაც ტოლოშელები სამუშაოდ ავიდნენ, თურქებიც ჩამოსულან და თივას

აგროვებდნენ. ... მდინარე, დღესაც საზღვრად ითვლება თურქეთისა და საქართველოსათვის. იქაურმა ერთმა თურქმა სიმღერით დასცინა თურმე ტოლოშელებს.“ ექვთიმე დავლაშერიძეს არ ესიამოვნა და მაშინვე ექსპრომტად სიმღერითვე გაუცია პასუხი. საზის მაგივრად, ხელში ცელი ეჭირა და თურქულად დაუმღერა: „მზეს ვერ გაუთანაბრდება ლამპის სინათლე, კოვზის ლოკვით ვერ გაძლება მუცელი, ამას ამბობს აშული ეთო.“ ამ ინციდენტის შემდეგ ექვთიმე დავლაშერიძე დაუბარებიათ ახალციხის სასაზღვრო ნაწილში და მკაცრი გაფრთხილება მიუცათ, რომ შემდგომში თურქეთის მიმართულებით თითოც აღარ გაეშვირა (ლიტერატურული მესხეთი 2017:10).

მესხურ ხალხურ სიტყვიერებაში მკაფიოდ აისახა ამ კუთხის მძიმე ისტორიული ხვედრი; აქაური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ერთ ნაწილში იმ ისტორიული ავბედითობის გამოძახილს ვხვდებით, რაც ამ კუთხეს საუკუნეების მანძილზე გადაუტანია: დამპყრობლის წინააღმდეგ და სარწმუნოებისათვის ბრძოლის ხსოვნა, დაპყრობილი ხალხის ყოფა, ტყვეთა სყიდვა და ა.შ. ზოგიერთ ხალხურ ლექსში თუ ლეგენდაში უაღრესად რეალისტურად არის ასახული ოსმალთა ბატონობის დროის ვითარება. თავად მესხი წარმოდგენილია როგორც გმირი:

ასი ოსმალოს მომკვლელი,  
უომობასა ჩიოდა.  
თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,  
გულს სისხლი ჩამოსდიოდა  
(სიხარულიძე 1961:282).

აღსანიშნავია ილია ალხაზიშვილს მიერ ჯავახური ისტორიული ლეგენდების მიხედვით შექმნილი პოეტური ნაწარმოებები, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა და საბჭოთა პერიოდში გამოცემულ მის კრებულშიც არის შეტანილი (ალხაზიშვილი 1978). ერთ-ერთი ასეთია

ისტორიული ლეგენდა მესხთა ცხოვრებიდან, „სამშობლოს სიყვარული.“ (ალხაზიშვილი 1978:189-200). ლეგენდაში მოთხრობილია ამბავი თებროსი, რომელიც სოფელ ტამალაში ცხოვრობდა. ერთ დღეს, ლაბის (ალპური მოცხარი) საკრეფად წასული თებროსი ორ ბიჭთან და 7 გოგონასთან ერთად ლეკებმა მოიტაცეს და სტამბოლის გზას გაუყენეს. ლექსში ვხვდებით ჯავახეთის ამ მონაკვეთის აღწერილობას:

ჯავახეთის საზღვარზედა ჩამოგვირბის ჩიხორიში,  
წყარო მთისა, გემრიელი, ყინულია მზე და გრილში.  
გაზაფხულზე ადიდდება, მტკვარს ეცემა შუა გულში,  
ხველიშასაც შეუთვალა: „ძვირს ნუ იდებ ჩემზე გულში“.  
სათავეში ტამალა აქვს, სოფელი მალნარს მალული,  
ნაქებია მოსავლითა საუფლისწულო მამული.

ლეგენდის შემდგომი შინაარსი ასეთია: ახალგაზრდები ტყვეთა ბაზარზე მიჰყავთ სტამბოლში, საიდანაც, თებროსი სილამაზით მოხიბლული ვაზირი ქალს წაიყვანს და ცოლად შეირთავს. მიუხედავად იმისა, რომ თებროსი დიდ პატივშია და საუკეთესო პირობებში ცხოვრობს, სამშობლოს მონატრებით და თავისიანებზე დარდით, იგი ჭლექით დაავადდება. ვაზირი ქალს სამშობლოში, ტამალაში წაიყვანს, სადაც იგი გარდაიცვლება.

აღსანიშნავია, რომ სოფელი ტამალა, იგივე ამჟამინდელი სოფელი დამალაა, სადაც დღეს უმთავრესად სომხები ცხოვრობენ. სოფელ ტამალის შესახებ სამცხე-ჯავახეთის ცნობარში ვკითხულობთ: „დამალა, ტამალა, ტამალია – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის განშტოების ჭობარეთის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, თემის ცენტრი, ზ.დ. 1300-1440 მ სიმაღლეზე, დაბა ასპინძიდან აღმოსავლეთით 3 კმ მანძილზე, საკრებულოს ცენტრი. მოსახლეობის რიცხოვნობა – 1984, უპირატესი ეროვნება – სომეხი (2002). ძველი ქართული სახელწოდებაა ტამალა, ტამალია. სოფლის სახელწოდება „დამალა“ ქართულის დამახინჯებული ფორმაა, რომელიც წარმოიშვა 1828-1829 წლე-

ბის შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთში დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა. მის მიდამოებში მდებარეობს შუა საუკუნეებში აგებული „კოხტას ციხე“ და ადრე შუა საუკუნეების დროინდელი ეკლესია. ემჩნევა მხატვრობის კვალი“ (სამცხე-ჯავახეთი 2016:82). ლეგენდის სიუჟეტში სოფელ ტამალაში ჯერ კვლავ ქართველები ცხოვრობენ.

აღნიშნულ ლეგენდაში ვხვდებით საინტერესო პასაჟებს მესხეთში ოსმალეთის გამგებლობის პერიოდის ისტორიიდან: ეჰ! ბიძიავ, ის დრო გაქრა...გულიც გატყდა თათრობაში, რჯული რჯულად გვეკარგება, არც გვედგომის მთა და ბარში.

ჯალათებსაც ბევრს გვიმზადებს, აღარ გვინდობს საზარელი,

ის ღვთის რისხვა ხიმშიშვილი სელიმ ფაშა აჭარელი.  
ენგიჩარი, დალიბაში, ყველა ჩვენი ბატონია  
ვაი იმას, ვინც ლამაზის ქალის, რძალის პატრონია.  
ოსმალოსა ვინლა ჩივის, ლეკი გვარბევს დალესტნელი,  
სამართალი ვის მოვთხოვოთ, ვინლანი გვყავს გურჯისტნელი?!

ბექამ სული წაინყმიდა, ეშმაკისა გახდა კერძი,  
ათაბაგი მოგვინამლა, თვითონ ირგო ოქროს ვერძი.  
წარსდგა, ხონთქარს მოახსენა: – „საქმე მწადის ასეთიო,  
მაჰმადის რჯული მივიღო, გმორჩილობდეს მესხეთიო.  
სულთან მურადს ეს ეამა, ბექას უბოძა ფაშობა,  
თავზე სარუხსა ჰხურავენ, – არც დაუძვირეს იუდობა.  
ახალციხის ფაშად დაჯდა ეს ჯაყელი გურჯისტნისა,  
ქართლის მეფეს გადაუდგა, ერთგულია სტამბოლისა.  
ორი თულით ფირმანი აქვს, გახდა მეფედ მესხეთისა,  
მამა-პაპის რჯული დაჰგმო და ა.შ.

სელიმ ხიმშიაშვილი, რომელიც დღეს ჩვენში აჭარის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ გმირად არის აღიარებული, ზემოხსენებულ მონაკვეთში: ღვთის რისხვად არის წარ-

მოჩენილი. სელიმ-ფაშა (ხიმშიაშვილი), რომელიც ახალციხის ფაშა იყო 1803-1809 და 1812-1815 წლებში, XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ვიდრე ფაშა გახდებოდა, ზემო აჭარის სანჯაყ-ბეგი იყო. XVIII საუკუნის ბოლოს აჭარა ახალციხის ფაშას, ათაბაგ შერიფ-ფაშას ექვემდებარებოდა. სელიმ-ბეგმა შეკრიბა აჭარელები და მათი დახმარებით 1803 წელს შერიფ-ფაშა ახალციხიდან განდევნა, ხოლო ფაშობა თვითონ ჩაიგდო ხელში. როგორც თ. სახოკია თავის მოგზაურობაში წერს, „სელიმ-ფაშას დროს, როგორც აჭარა, ისე ახალციხის საფაშალიყო ლეკების ბუნაგად იყო ქცეული. ეს მტაცებელი ხალხი თავისუფლად დათარეშობდა ყველგან. სელიმ-ფაშას ეს მთიელები ქართლის დასარბევადა ჰყავდა დაქირავებული“ (სახოკია 1950:154).

ტყვეთა სყიდვის თემატიკას ვხვდებით მესხურ ხალხურ ზღაპრებშიც (ხალხური სიბრძნე 1964: 211).

საქართველოში ლეკიანობის შესახებ საუბარია გადმოცემაში „გოდორების“ შესახებ, რომელიც ვულკანური მთაა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში და სამსრის ქედზე მდებარეობს:

„გოდორები ჰქვიან ორ მთას, რომელიც სოფ. ბარაღეთს აღმოსავლეთის მხრით საზღვრავს დაახლოებით 10 ვერსზე თაფარაენის ტბის მახლობლად. „გოდორები“ მაგ მთებს იმიტომ ჰქვიათ, რომ ლეკიანობის დროს, მაგ მთაზე ყარაულები (დარაჯები) იდგნენ და მალლა ჰაერში კეტიტ გოდორი ჰქონდათ ჩამოკიდებული. როცა ლეკებს დაინახამდნენ, გოდორს დაბლა დაუშვებდნენ. ხალხმა იცოდა, ეს ლეკების მოსვლის ნიშანი იყო და ციხესიმაგრეებში შეიკეტებოდნენ. ამიტომ ამ მთებს ხალხმა მერე გოდორები დაარქვაო და ახლაც უძახიან. კოთელიაში რომ არის, იქაც გოდორი ჰქონიათ ჩამოკიდებული და იმიტომ, იმ ალაგსაც, „გოდორებს“ ეძახიან, თორემ, აბა შეხედე, ის ადგილი თუ გავს გოდორსაო“ (ლიტერატურული მესხეთი 2015:12).

მესხეთის ოდინდელი პროვინციების შესახებ საინტერესოა ინფორმაცია რომელიც

ნ. ლოლობერიძეს, ადგილობრივი მთხრობლისგან სოფელ ანყურში 1960 წლის ექსპედიციის დროს ჩუწერია:

„აქ დიდი ხანია ვცხოვრობთ, აქ ყოფილა სენოტი, რომელიც რომ 12 რაიონს უკარნახებდა, სათათრეში დარჩა 12 რაიონი. პირველი ყარსი, არდაგანი, ოლთი, თორთი, წყარო, ჭოროლი, ფოცხოვი, კაჭრეთი, ლივანი, წინანდალი. თამარ დედოფლისა უფრო ბევრია. მაშინ ტრაპიზონი ჩვენი იყო, ერზრუმი, ყალიყამიში. მე-16 საუკუნეში თათრები შემოვიდნენ. პასკევიჩმა კურო-სომხები გადმოიყვანა ერზრუმიდან (ლოლობერიძე 2021:5).

საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ იმ მცირერიცხოვან მესხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ყურადღებას იქცევს მესხური ხალხური ლექსი—„ოჯორჯლელი ხუცესი“:

მე ოჯორჯლელი ხუცესი ჭალას ვიყავ მიმავალი

ჭორატს ჭან-მგლებს გარდვეყარე, დამიბნელდა ორთავ თვალი,

ზადენს ყელი გარდავუგდე, იცით რომ სულ არ მაქვს ბრალი

ხელი ვჰკარ ქვას, აქ გავქვავდე, მოკვდი, გარდვიხადე ვალი,

ვინც ჩემი სისხლი იკითხოს, ჭორატს ქვას აჩნია მშრალი.

ლექსთან დაკავშირებულ კომენტარებში ვინმე მესხი აღნიშნავს: „მართლა ხუთივ თითი ზედ ეტყობოდა ნითლად სისხლში ამოვლებული იმ ქვაზედა ცხადათ, ჭორატში“ (ხალხური ლექსები 1913-1914:211).

ოჯორჯალი ნასოფლარია ახალციხის მუნიციპალიტეტში, დაბა ვალესთან. ის შეტანილია გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში და ჩრდილის ნაჰიეს შემადგენლობაშია. რაც შეეხება სოფელ ჭალას, იგი დღეს ამ სახელით არ არ-

სებობს, არის სოფელი ქელა, რომელიც, სავარაუდოდ, ძველი ქალა უნდა იყოს.

ცნობარში ვკითხულობთ: ქელა – სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში, ქეჭლას თემში, მდ. ქვაბლიანის ხეობაში, ზ.დ. 1280-1380 მ სიმაღლეზე, დაბა ადიგენიდან 7 კმ მანძილზე. მოსახლეობის რიცხოვნობა – 254, უპირატესად ქართველი. 2015 წლიდან შესულია მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში. სოფელში არის მეჩეთი. როგორც ფიქრობენ, სოფლის ძველი სახელი „ქალა“ უნდა იყოს. გუჯისტანის ვილაეთის დავთრის მიხედვით, ის ქვაბლიანის ნაჰიეში შედიოდა. (სამცხე-ჯავახეთი 2016:183).

რომ წარმოვიდგინოთ, ხუცესს უნდა გაეარა ოჯორჯალიდან, ანუ დღევანდელი ახალციხის რაიონიდან ადიგენის რაიონში, სოფ. ქალაში მიმავალი გზა, იგი ქორატში გადაეყარა ჭან-მგლებს, სადაც მოუხდა მათთან შეტაკება. როგორც ვიცით, ტყვეთა გამალებული სყიდვის ოსმალურ პერიოდში ამ საქმიანობით, გარდა აფხაზ-მეგრელებისა და ლეკებისა, ლაზებიც, იგივე ჭანები, იყვნენ დაკავებული. სავარაუდოდ, ლექსში უარყოფით კონტექსტში წარმოდგენილი ჭან-მგლები, ამ სტერეოტიპით უნდა იყოს შეპირობებული.

ზემოთ მოტანილ ლექსში საყურადღებოა სოფელ ოჯორჯალში ხუცესის არსებობა, რაც მიუთითებს აქაური მოსახლეობის ქრისტიანული რწმენის ქონაზე. როგორც აღნიშნავს თ. იველაშვილი: „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“ თავმოყრილი მასალების ანალიზმა გვაჩვენა, რომ მისი შედგენის პერიოდში ჯავახეთის ყოველ სოფელში ოჯახის უფროსის სახელი და მამის სახელთა აბსოლუტური უმრავლესობა – 95,18%, ტრადიციული ქართული იყო. საგადასახადო სახეობების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიან ქართველობას წარმოადგენდა, რადგან ოსმალეთის იმდროინდელი ხელისუფლება სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებს, რომელსაც მაჰმადიანური სარწმუნოება კრძალავდა, (მელო-

რეობა) გარკვეული გადასახადით ბეგრავდა. დავთრის მონაცემებით უკვე ჩანს, თუ როგორ ცდილობს იმდროინდელი ადმინისტრაცია სოციალურად გაბატონებულ ფენას (თავადაზნაურობა და ეკლესია-მონასტრები) თანადათანობით გამოაცალოს ხელიდან მთავარი ეკონომიკური საყრდენი (სახნავსათესი, ვენახები) და ამის საფუძველზე სულიერი და ეთნიკური იერსახე დაუკარგოს. მიუხედავად ამგვარი ზენოლისა, XVIII საუკუნის II ნახევარშიც კი აღნიშნული რეგიონის მოსახლეობა უმეტესად ქართულია.“ (იველაშვილი 2004:52). აქვე მოვიტან ცნობას მელორეობის შესახებ, რაც დამოწმებულია გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში: ღორზე შეწერილი გადასახადი ვრცელდებოდა მთელ ველაიეთზე. ყველაზე მეტი გადასახადი ახალციხის ლივაზე მოდიოდა (33.144 ახჩა), ღორზე შეწერილი გადასახადის საერთო რაოდენობა მთელ ვილაიეთში 84.480 ახჩას შეადგენდა. ამ რიცხვიდან ჩანს, რომ მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობაში მელორეობა მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა ჰქონდა (შენგელია 1974: 166-167) და უმეტესობა ქრისტიანი იყო.

მართალია, ფოლკლორული ნაწარმოების დათარიღება ძალიან რთული და სარისკო საქმეა, მაგრამ ამ შემთხვევაში წარმოდგენილ მონაკვეთში მოცემული ფაქტები შესაძლებელს ხდის, მიახლოებით მაინც განისაზღვროს კონკრეტული ნიმუშის შექმნის პერიოდი: როდესაც სოფელს ჯერ კიდევ ჰქვია ჭალა, როდესაც ჯერ ისევ არსებობს გეოგრაფიული ერთეული ჭორატი (ჭორატის სახელით დღეს ცნობილია მხოლოდ მრავალფენოვანი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც მდებარეობს ახალციხიდან სამხრეთ-დასავლეთით, 12 კმ დაშორებით, ქ. ვალესთან) და როდესაც იკვეთება ქრისტიანობასთან კავშირი – მოქმედია ხუცესის ინსტიტუტი.

როგორც ზემოთ ითქვა, მესხეთის ეთნიკური შემადგენლობა, ჯერ ოსმალეთის, ხოლო შემდეგ რუსეთის მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით, მკვეთრად შეიცვალ



ა.1828 წლის შემდეგ მესხეთში ჩამოსახლებულმა სომხებმა მთელ რიგ რაიონებში თანდათან დაიკავეს უპირატესი პოზიცია. ერთ-ერთ გადმოცემაში, რომელიც ჩანერილია გ. გოგოლაძის მიერ 1937 წელს (ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი. კ.მ.მ. ე.№4443), მოთხრობილია ამბავი „კენჭიყრია“-ს მთის შესახებ: „თავკვეთილის“ მთასთან ერთ ჯავახს კაცს ჯავახეთში სიმინდი მოჰქონდა თურმე ზურგით საქართველოდან. „რამდენიმე მარცვალი ჩაჰპნევიან ქვებში. უთქვამს: რაც უნდა იყვეს, იქიდან აქ მოვიტანე და ამ მარცვლებს აქ არ გაუშვამო. რამდენიმე მარცვლისთვის იმოდენა ლოდები უგორებია და ის მარცვლები კი სულ ამოუკრეფიაო. ამის მერე იმ ადგილს „კენჭიყრიას“ უძახიანო. ვითომ „კენჭი ყარაო“. ის კი არა, ვებერთელა ლოდები უგორებიაო. „ამავე ტექსტში ვხვდებით ჩამწერის შენიშვნას, სადაც ნათქვამია, რომ „ჯავახეთში მცხოვრები სომხების გავლენით, ბაკურიანის უღელტეხილის იქით, საქართველოს უწოდებდნენ, თითქოს ჯავახეთი საქართველო არ ყოფილა და არც არის“ (ლიტერატურული მესხეთი 2015:12). ეს უკანასკნელი გამონათქვამი ძალიან საყურადღებო ჩანს რამოდენიმე თვალსაზრისით: 1. სომხებს მიაჩნიათ, რომ ჯავახეთი საქართველო არ არის. 2. ჯავახეთში მცხოვრები სომხები გავლენას ახდენენ ქართველებზე. 3. საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვარი ბაკურიანზე გადის. სწორედ აქ ვაწყდებით ეთნიკური საზღვრების საკითხს, რაც ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა მრავალეთნიკურ საზოგადოებებში.

როგორც აღიარებულია, ეთნიკური საზღვრები აღიქმება არა როგორც ტერიტორიულ, ფიზიკურ საზღვრად, არამედ როგორც სუბიექტურად აღქმულ კულტურულ და სოციალურ დისტანციად. ეს არის ეთნოფორის ან ეთნიკური ჯგუფის გონებაში ჩამოყალიბებული წარმოსახვითი საზღვარი, რაც ხშირად არ ემთხვევა ტერიტორიულ/პოლიტიკურ საზღვარს. ეთნიკურ საზღვრებს ამყარებს ერთი ეთნიკური

ჯგუფის მეორისგან იზოლაცია, რაც ამავდროულად ხელს უწყობს ეთნიკური იდენტობის კულტურული მარკერების სტაბილურობას (Barth 1969:18). მაგალითად, საქართველოს სამხრეთ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ ძირითადად კომპაქტურ იზოლირებულ დასახლებებში, ინარჩუნებენ თავიანთ კულტურულ იდენტობას და, რაც მთავარია, თავიანთ მშობლიურ ენას. ამ შემთხვევაში, ენა ატარებს ეთნიკური იდენტობისა და ეთნიკური თვითშეგნების მარკერის ფუნქციას. ერთმანეთის გვერდით მოსახლე განსხვავებული ეთნო-კულტურული მარკერების (ენა, რელიგია, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები) მატარებელ ორ სხვადასხვა კულტურული იდენტობის მქონე ჯგუფს შორის არსებობს ვირტუალური ზღვარი//საზღვარი, რაც მათ „თავიანთ“ და „სხვა“ ჯგუფებად თიშავს; ეს არის სწორედ მათ ცნობიერებაში არსებული ის ეთნიკური საზღვარი, რაც მესხეთში მცხოვრებ ეთნიკურად სომეხ ინდივიდს სომხებით დასახლებულ ტერიტორიას სომხეთად აღაქმევინებს. ამიტომაც ეძახდნენ ბაკურიანის უღელტეხილის აქეთა მხარეს „საქართველოს“ და იქეთას – „სომხეთს“. მათთვის საქართველო არის ის ტერიტორია, სადაც ქართველები ცხოვრობენ – ტერიტორია ახალქალაქის მიღმა. სომხებით დასახლებული ადგილი შესაბამისად, სომხეთის მიწად აღიქმება. თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან მეზობლობა მათში ირედენტულ იმპულსებს აღძრავს, რაშიც საერთო ენისა და მსგავსი კულტურის ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს; ამასთან, პოლიტიკურად ანგაჟირებული ძალები ქართული ტერიტორიების სომხეთის კუთვნილების ყალბ თეორიებს მასიურად პროპაგანდირებენ (Melikishvili and Jalabadze 2015:90-91).

სომხებით დასახლებული ტერიტორიის სომხეთად აღქმის კონცეფცია იკვეთება ზემოთ მოტანილ გადმოცემაში, რომელიც ქართველი მთხრობლისგან არის ჩანერილი. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის კიდევ ერთხელ ად-

ასტურებს, რომ საზოგადოების ნიაღში მიმდინარე მოვლენები და პროცესები შესაბამისად აისახება თანადროული პერიოდის ხალხურ სიტყვიერებაში, რაც უაღრესად დამხმარეა ამა თუ იმ ისტორიული პერიოდის სოციალურ-კულტურული თუ ფსიქოლოგიური განწყობების შესწავლისას.

**დასკვნა.** მესხური ფოლკლორში საზღვართან დაკავშირებული ინფორმაცია, ამ ეთნოგრაფიული მხარის მიძიმე ისტორიული ხვედრის გამოისობით, მცირეა. თუმცა იმ ნიმუშებში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, რეგიონში მიმდინარე პროცესები მეტ-ნაკლები სისრულით არის წარმოდგენილი. ხალხურ პოეზიასა და ფოლკლორში კარგად აისახა ოსმალეთის პერიოდის ამბები, უმეტესად კი ტყვეთა მოტაცების და სყიდვა-გაყიდვის სიუჟეტები. წარმოჩენილია მესხეთის მოსახლეობის რელიგიურ იდენტობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, სომხური ეთნოსის მესხეთში დამკვიდრების შედეგები, მისი გავლენა მოსახლეობის ცნობიერებაზე და ა.შ. ხალხური ზეპირსიტყვიერების რიგი ნიმუშები ამყარებს ისტორიულ ფაქტებს და ამ კუთხის მკვლევართ დამატებით არგუმენტებს აწვდის.

### **დამონებული ლიტერატურა:**

- ალხაზიშვილი 1978** – ალხაზიშვილი ი., ჯავახური ლეგენდები, თბილისი 1978.
- არველაძე 2021** – არველაძე ბ., რელიგიური უმცირესობანი სამცხე-ჯავახეთში, ლიტერატურული მესხეთი, 2021, №2.
- ბერიძე 2005** – ბერიძე მ., პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან, თბილისი 2005.
- დავლაშერიძე 2017** – დავლაშერიძე ვ., ექვთიმე დავლაშერიძე – მესხეთის უკანასკნელი აშული, ლიტერატურული მესხეთი 2917, № 9.
- თოფჩიშვილი 2017** – თოფჩიშვილი, რ., სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან, ლიტერატურული მესხეთი, 2017.

- იველაშვილი 2004** – იველაშვილი თ., ჯავახეთის მოსახლეობის ეთნო-სოციალური მდგომარეობა გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ჟურნ. ანალები. 1. – თბილისი, 2004.
- იველაშვილი 2019** – იველაშვილი თ., რელიგიური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, უნივერსალი, 2019
- ინგოროყვა 1918** – ინგოროყვა პავლე, საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, კონსტანტინეპოლი 1918.
- კობახიძე 2021** –კობახიძე ბექა, რესპუბლიკა 100, საქართველოს თანამედროვე საზღვრების ისტორია, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/422459>
- ლიტერატურული მესხეთი 2015** –თქმულებები, ლიტერატურული მესხეთი 2015, №5.
- ლორთქიფანიძე 2019** – ლორთქიფანიძე ვ., სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული მიმოხილვა, ლიტერატურული მესხეთი, 2019, № 4.
- მაცაბერიძე 2016** – მაცაბერიძე მ., ივანე ჯავახიშვილის ორი ლექცია საქართველოს სამხრეთი საზღვრის შესახებ (1918 წლის 18 და 22 დეკემბერს), თბ., 2016.
- სამუშია 2019** –სამუშია ჯ. არტანუჯი, ლიტერატურული მესხეთი № 5, 2019.
- სამცხე-ჯავახეთი 2016** – სამცხე ჯავახეთი ცნობარი, ავტორთა კოლექტივი, თბ. 2016.
- სახოკია 1950** – სახოკია თ., მოგზაურობანი (გურია აჭარა სამურზაყანო აფხაზეთი) სახელგამი თბილისი 1950..
- სიხარულიძე 1961** – სიხარულიძე ქ., ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება I, თბ. 1961.
- ლოლობერიძე 2021**–ლოლობერიძე ნ., მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, ლიტერატურული მესხეთი 1021, № 11.
- შენგელია 1974** –შენგელია ნ., XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ. 1974.

**ხალხური სიბრძნე 1964** – ხალხური სიბრძნე, ტ. 5, თბილისი, ნაკადული, 1964.

**ძველი საქართველო 1914** – ხალხური ლექსები სამეცხეთოში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ, ტ.3,ე.თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი 1913-1914

**ჭავჭავაძე 1877** – ჭავჭავაძე ი., ოსმალის საქართველო, „ივერია“ 1877. №9.

**ჯავახიშვილი 1919** – ჯავახიშვილი ივ., საქართველოს საზღვრები, ტფილისი 1919.

**Natia Jalabadze**

**Representation of the Southern Border of Georgia and  
Ethnocultural Relations Between Neighboring Peoples in  
Folklore**

This paper examines the depiction of territorial and ethnic borders in the folklore of the population residing in the southern border zone of Georgia. In particular, it explores the nuances of ethnocultural relations between Georgians and neighboring peoples.

The historical trajectory of Meskheta has profoundly influenced its folklore. As a region that has experienced significant migration and cultural exchanges, Meskheta saw continual interactions between various groups, including different Georgian communities and other ethnic groups. Despite the complexity of the region's history and its challenges, the issue of borders—whether territorial, political, or ethnic—is not always explicitly reflected in its folklore. Nevertheless, the extant folklore provides insights into the ethnopolitical and socio-economic processes that shaped the region, to varying degrees.

Folklore from the Ottoman period, for example, frequently illustrates themes of kidnapping and the slave trade, which were

prevalent during that era. Some folkloric narratives align with historical records, such as the evidence that a significant portion of the Meskhetian population remained Christian until a certain period. Additionally, these narratives reflect the impact of the Armenian migration into Meskheta and the subsequent shift in ethnic consciousness following the rapid growth of the Armenian population.

The perception of borders in Meskheta has historically varied among different groups, influenced by the region's shifting political and territorial boundaries. For some, the ethnic boundary was equated with a political or state border, which external powers with vested interests in the region have exploited as a means of manipulating the population.

## ლავრენტი ჯანიაშვილი

### მინათმოქმედება და მინათსარგებლობა სამცხე-ჯავახეთში XIX ს-ის სომხური მიგრაციის შემდეგ

სამცხე-ჯავახეთი მინათმოქმედების განვითარებისა და მისი წარმოების მასშტაბების მხრივ ოდითგანვე გამორჩეული მხარე იყო. სამინათმოქმედო დარგების მრავალფეროვნებას განაპირობებს რეგიონის ეკოგეოგრაფიული და ლანდშაფტური მრავალფეროვნება. ვერტიკალური ზონალობის მიხედვით აქ ოთხი ზონა გამოიყოფა (კორძახია 1950: 65). მეურნეობის ამ დარგის უძველეს ტრადიციებზე მეტყველებს არქეოლოგიური მონაცემებიც, კერძოდ ამირანის გორის ნასახლარი, რომელიც მტკვარ-არაქსის ეპოქას ეკუთვნის. ამირანის გორაზე მინათმოქმედებისა და შინასაქმიანობასთან დაკავშირებულ კულტურულ კომპლექსში ქვის იარაღების გვერდით გვხვდება სპილენძის ნამგალი. ამგვარი სამკალი კაჟის ანალოგიურ იარაღთან შედარებით უფრო ქმედითი უნდა ყოფილიყო, რაც იმ დროისათვის მინათმოქმედების მაღალ დონეზე მიგვითითებს (ჩუბინიშვილი 1963: 85). რეგიონში მაღალგანვითარებულ სამინათმოქმედო კულტურაზე გვიანდელი წერილობითი წყაროებიც მეტყველებენ. მაგ., პროკოფი კესარიელის ცნობით მესხები დახელოვნებულ მინის მუშებად ითვლებოდნენ (კესარიელი 1965: 127).

ზონალური, ლანდშაფტური და კლიმატური სხვადასხვაობის გამო სამცხისა და ჯავახეთის სამინათმოქმედო კულტურა საკმაოდ განსხვავდებოდა. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, სამცხეში „ნაყოფიერებს ყოველთა მარცვალთა და არა ყოველგან, ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ. და ხილნი რომელნიცა აღვსწერეთ, არიან მრავლად და კეთილნი, არიან წალკოტნი, მტილნი და სავარდენი... ხოლო ჯავახეთი არს ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხი-

ლო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწუნ ნივასა, და მოსავლი-  
თაც ეგრეთვე, არამედ ნაყოფიერი და მოუცდენელი“ (ბაგ-  
რატიონი 1973: 672).

XVI საუკუნიდან, მესხეთში ოსმალეთის გაბატონების  
შემდეგ, დაიწყო ტრადიციული ქართული მინათმოქმედების  
ნესის მოშლა და ოსმალურის დანერგვა. თუმცა როგორც  
დ. ბაქრაძემ შენიშნა თურქულმა მმართველობამ ვერ შეძლო  
ერთბაშად მოესპო ძველი მინათმფლობელობა და ნაწილობ-  
რივ შეცვლილი ლენური სისტემა გვიანობამდე არსებობდა.  
ამგვარ ვითარებას თურქები ადგილობრივ ფეოდალთა მი-  
სამხრობად იყენებდნენ. მართალია ქართული ფეოდალიზმი-  
სათვის დამახასიათებელი საკუთრების უფლება, ისლამის  
მზარდი გავლენით, ბატონყმობის გაქრობასთან ერთად თან-  
დათანობით ისპობოდა, მაგრამ მემამულეთა მიწები, ძირი-  
თადად, კვლავ მათი წინანდელი მფლობელობის ხელში რჩე-  
ბოდა (ბაქრაძე 1889: 29-30).

XVI საუკუნის ბოლოსათვის „გურჯისტანის ვილაიეთის  
დიდ დავთარში“ დასახელებულია მინის მფლობელობის  
თურქული ფორმები: თიმარი, ზემათი, ვაკუფი, ჩიფლიქი,  
მულქი მოურის (სამკვიდრო მულქი), ზაიმი (ზაიმეთის  
მფლობელი), თიმარის მფლობელი („საჰიბი თიმარ“ ან „ერ-  
ბაბი თიმარ“) თიმარის კაცი („მერდი თიმარ“) (გაბაშვილი  
1958: 328). თურქული მინათმფლობელობის სახეები – ხასი  
მინები, იურთლუკისა და ოჯაქლიკის მინები (როგორც  
„მულქი“ ე. ი. კერძო, ისე „ერზი მულქი“ ე. ი. სახელმწი-  
ფო), ზემათი და თიმარი – სამცხე-ჯავახეთში „ჩილდირის  
ვილაიეთის ჯაბა დავთრითაც“ დასტურდება (სვანიძე 1984:  
27-90). მოხელებმა დაიანგარიშეს თითოეული დასახლებუ-  
ლი პუნქტის შემოსავალი, გადაიყვანეს იგი ფულად ერთე-  
ულში „ახჩებში“ და ამის მიხედვით გაანერეს სასოფლო-სა-  
მეურნეო პროდუქტებზე გადასახადები. ირკვევა, რომ სამ-  
ცხე-ჯავახეთში გლეხების უმრავლესობას საკომლო (ჩიფლი-



კი) მიწა ჰქონდა, რომელიც ამასთანავე საგადასახადო ერთეულიც იყო (სვანიძე 1984: 11-34). ბუნებრივია, ოსმალური თიმარიოტული სისტემის შემოღება დაპყრობილ ქვეყანაში სოციალ-ეკონომიკური წყობილების თანდათან გარდაქმნისა და ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციისათვის სჭირდებოდათ.

უნდა ითქვას, რომ თურქების ეროვნულმა, რელიგიურმა და სოციალ-ეკონომიკურმა ძალადობამ ქართულ მოსახლეობაში ძლიერი მიგრაციული პროცესები გამოიწვია. ზემოქართლი ნასოფლარებით გაივსო. XVI საუკუნის ბოლოსათვის ჯავახეთში 153 სოფელი და 102 ნასოფლარია დაფიქსირებული (თოფჩიშვილი 2000: 9). ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის შედეგად რ. თოფჩიშვილმა დაადგინა, რომ სამცხიდან გადასახლება მიმართული იყო ძირითადად დასავლეთ საქართველოსაკენ (გურია, იმერეთი), ჯავახეთიდან კი აღმოსავლეთ საქართველოსაკენ (თოფჩიშვილი 2000: 10).

რუსეთ-თურქეთის ომისა და სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემდეგ (1829 წ.) გაჩნდა ტრადიციული ქართული მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედების აღდგენის შანსი, მაგრამ რუსულმა ხელისუფლებამ კერძო მიწების მფლობელობის წესი გარკვეული პერიოდით უცვლელად დატოვა.

XIX საუკუნის და XX ს-ის დასწყისის რუსული სპეციალური ლიტერატურა სამცხე-ჯავახეთში კერძო მიწათმფლობელობის ორ ფორმას ასახელებს: „ახჩურს“ და „თაფურს“. ახჩურის კატეგორიას აკუთვნებდნენ ოსმალური მმართველობის ხანაში ჩამოყალიბებულ პირობით სარგებლობაში მყოფ მიწებს, რომელთა ფლობის უფლებას იმტკიცებდნენ სულთანისაგან ბოძებული საგანგებო ბარათებით (კუჩავეცი 1887: 3). „თაფურს“ წესით კი ოსმალეთის იმპერიაში მიწას იჯარით იღებდნენ ფეოდალთა საშუალო ფენის წარმომადგენლები და ხელმეორედ იჯარითვე გასცემდნენ გლე-

ხებზე (ტვერიტინოვა 1963: 21-22, 64 ; თურმანიძე 2001: 32). ასეთი წესი დიდ არეულობას იწვევდა და ხშირად უკმაყოფილების მიზეზიც ხდებოდა (თურქეთის ხალხები 1879: 122).

1829 წლის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების თანახმად, არზრუმის ვილაიეთიდან, სამცხე-ჯავახეთში 30 ათასამდე სომეხი ჩამოსახლდა და რადიკალური ეთნოდემოგრაფიული ცვლილება მოხდა. უნდა აღინიშნოს, რომ მიგრანტები მეტწილად დამკვიდრდნენ, ხსენებული საზავო ხელშეკრულების პირობებით, ოსმალეთში გადახვეწილ ქართველ მუსლიმთა სოფლებში, სადაც მათთვის ჩვეული გარემო დახვდათ.

ტრადიციულად სამცხე-ჯავახეთის სიმბიოზური, მიწათმოქმედება-მესაქონლეობით წარმოდგენილი მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო კომპლექსური საცხოვრებელი და სამეურნეო, დარბაზული ტიპის ნაგებობები. დასახლებული პუნქტები ერთმანეთთან საიდუმლო ხვრელებით დაკავშირებული შენობებისაგან შედგებოდა, ეზოების უქონლობისა და ნაგებობების მაქსიმალური სიმჭიდროვის გამო ასეთი დასახლება თითქმის შეუმჩნეველი იყო. სოფელს მტრის თვალისაგან იფარავდა ისიც, რომ სასოფლო სამეურნეო სავარგულები მოშორებით მდებარეობდა. მთხრობელთა გადმოცემით მიწურბანიანი და სანახევროდ მიწაში ჩაფლული სოფლები ნაკლებად ზარალდებოდა მტრის თავდასხმის შემთხვევაში. სომხური დასახლებები ოსმალეთში, მესხეთის ქართული სოფლების მსგავსად, მონოგენური უბნებისაგან შედგებოდა, დაცული იყო განსახლების პატრონიმიული პრინციპი, ყოველი უბანი რამდენიმე ერდოიან-გვირგვინიან საცხოვრებელ და სამეურნეო კომპლექსს აერთიანებდა. შენობა-ნაგებობების განლაგებით სომხური სოფლები მესხეთის ქართული დასახლებებისაგან თითქმის არ განსხვავდება.

სამცხე-ჯავახეთში ადაპტაციისას სომხური მოსახლეობა იძულებული იყო აეთვისებინა ადგილობრივ ეკოგეოგრა-

ფიულ გარემოზე ოპტიმალურად მორგებული კულტურები, შრომის იარაღი და წესები. ამ კუთხისათვის დამახასიათებელი მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზი ცხოვრების ყველა სფეროზე ახდენდა გავლენას. მაღალგანვითარებული მემინდვრეობა მოითხოვდა, მესაქონლეობის განვითარებას. გამწვევი ძალის გარდა მინათმოქმედებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქონლის პატივს, როგორც ბუნებრივ სასუქს, უტყყო ჯავახეთში ნაკელისაგან სანვავს (წივას) ამზადებდნენ; ყოველდღიურ რაციონში გარკვეულ წილს შეადგენდა ხორცისა და რძის პროდუქტები, მესაქონლეობა პოზიტიურ გავლენას ახდენდა შინამრეწველობაზე. ჯავახეთის სოფლები: კარტიკამი, არაგვა, სათხე განთქმული იყვნენ ოჯახებში დამზადებული შალის ნაწარმით, რომელიც საფრანგეთშიც კი გაჰქონდათ

მიგრანტებმა ადვილად აუღეს ალღო მეხილეობას და მებაღეობას, რომელთაც მესხეთში დიდი ტრადიციები გააჩნიათ. ოსმალთა გავლენით გამოდევნილ მევენახეობას ქართველ მუსლიმებში მებაღეობა ჩაენაცვლა. განთქმული იყო ვაშლის ჯიშები თურაშაული, შაქარვაშლა, კიტრა, ადრეულა და ა.შ.; მსხლის ჯიშები: უდური გულაბი, ხეჭეჭური, კალოს მსახლი. თანდათანობით ხილის ქართული სახელწოდება თურქულით იცვლებოდა. XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში საკამოდ გავრცელებული იყო ვაშლის თურქული სახელები – შაჰალმა, ფაშალმა და ა. შ. უნდა ითქვას, რომ ეს ტრმინები, პირველ რიგში, გამუსლიმებულ მოსახლეობაში დამკვიდრდა, შემდეგ კი ფართოდ გავრცელდა.

თურქეთიდან შემოსულ სომხებს აქ ზეთსახდელებიც დახვედრიათ, რომელთა დანიშნულებაში სწრაფად გარკვეულან, შეუკეთებიათ დაზიანებული კედლები და როცა, რამდენიმე წლის შემდეგ, სელის კარგი მოსავალი მიუღიათ, მთელი სიძლიერით აუმუშავებიათ ისინი. ქართველების მიერ აგებული და სომხებისაგან განახლებული ზეთსახდელებით

სამხრეთ საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებამდე სარგებლობდნენ.

რუსეთის გაბატონების პირველ წლებში ადრიანოპოლის ხელშეკრულების პირობებით თურქეთში გადახვენილი მიწის მეპატრონეთა ნაწილი უკან დაბრუნდა, რათა აქ თავისი უძრავი ქონება (ძირითადად მიწა) გაეყიდა. მიწები, შედარებით იაფ ფასში, მათ მართლა გაყიდეს. მყიდველები იყვნენ სახელმწიფო მოხელეები ან კერძო პირები, რომელთაც სათანადო ნასყიდობის აქტებიც მიიღეს. თურქეთიდან გადმოსულ მიგრანტთა (სომხები და ბერძნები) ნაწილი სწორედ ასეთ მიწებზე აღმოჩნდა. ხშირად ეს მიგრანტები იძულებული ხდებოდნენ კვლავ აყრილიყვნენ და სხვაგან ეძებნათ საცხოვრებელი. მაგ., 1830 წელს თურქეთიდან ჩამოსახლებული ბერძნები ერთი წლის შემდეგ წალკის რაიონის სოფ. რეხაში გადასახლდნენ, რადგან გაიგეს, რომ სოფლები: ხიზაბავრა, სამსარი, ზაკი, ალაიანი და, მათ შორის, სოფელი კოთელიაც, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს ზავილევსკის ჰქონდა ნაყიდი. ე. ი. სახაზინო მიწის ნაცვლად ისინი კერძო მამულში აღმოჩნდნენ. სწორედ ამას გამოუწვევია მათი გადასვლა. სხვათა შორის, ბერძნებს ადგილობრივი 9 ოჯახიც გაჰყოლია და ახალი ადგილისათვის თავის ძველი სოფლის სახელი კოთელია დაურქმევია (გუგუშვილი 1949: 556). სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ დაიწყო საქართველოს სხვა მხარეებიდან სამცხე-ჯავახეთში ჩასახლების პროცესიც, რაზეც ჩვენი სავსე მასალაც მოწმობს. თუმცა ამას მეტად მცირე მასშტაბი ჰქონდა.

როგორც ითქვა, რუსებმა ოსმალური მიწისმფლობელობის სისტემა უცვლელად დატოვეს. ოსმალეთის იმპერიაში, მცირე გამონაკლისის გარდა, თავფუს უფლებით მიწას ფლობდნენ სხვადასდასხვა ფენის წარმომადგენლები. გლეხობას თავფუს შესაძენი თანხა იშვიათად თუ გააჩნდა. როგორც წესი ისინი მიწას იჯარით იღებდნენ თავფუს მფლობე-

ლებისაგან. ნაწილი კი სარგებლობდა ერაზი მირიეს კატეგორიის მიწებით, რომელზეც ჯერ არ იყო გაცემული თაფუ და სახელმწიფოს. უშუალო განკარგულებაში იმყოფებოდა (ბენდიანიშვილი 1965: 33-34). ოსმალეთისათვის წართმეულ მესხეთის ტერიტორიაზე მიწის ახალი მეპატრონეები თავიანთ მამულებს ძველი თურქული მმართველობის დროინდელი „თაფუს“ წესით აძლევდნენ მიწებს კერძო პირებს. თაფუს ამლები კი, თავის მხრივ, ხელმეორედ გასცემდა ხოლმე მიწას იჯარით. „თაფუს“ შინაარსი ამ ხანებში გულისხმობდა მესაკუთრის ბეჭდიან და ხელმოწერილ დოკუმენტს, რომლითაც იგი მიწას უვადო მფლობელობაში. გადასცემდა კერძო პირს. „თაფუს“ ამლები მიწის მესაკუთრეს თავდაპირველად უნაზღაურებდა გარკვეული ოდენობის თანხას, შემდეგ კი ყოველწლიურად მოსავლის 1/5 ან 1/6 ნაწილს უხდიდა (გუგუშვილი 1949: 597). მიწის მფლობელობის ამგვარი წესი მინათმოქმედისათვის მეტად კაბალური იყო, რადგან ფაქტობრივად შემოსავალის დიდი ნაწილი იჯარით გამცემი ორი სუბიექტისათვის უნდა გაენაწილებინა.

რუსული მმართველობა გვიან მიხვდა დაშვებულ შეცდომებს და XIX საუკუნეში რამდენჯერმე სცადა იმ პირთა წრის შეზღუდვა, ვისაც „თაფური“ მიწები ჰქონდა, რადგან „თაფუ“, სინამდვილეში, მიწით სპეკულაციას წარმოადგენდა. ახალციხის ბევრი მოქალაქე გასული საუკუნის ბოლომდე ცხოვრობდა „თაფური“ მამულებიდან მიღებული შემოსავლით (კუჩავეი 1888: 332).

სახელმწიფო მიწების უკიდურესი სიმცირე (მიგრანტთა მრავალრიცხოვნების გამო მათი სრული დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა) სომხებს აიძულებდა მიწები თაფუს წესით აეღოთ იჯარით. სომეხი მთხრობელის თანახმად – „ჩვენი ჩამოსახლებისას სახაზინო მიწები ცოტა იყო, ბევრი მიწა ბატონებს ჰქონდათ, ისინი ახალციხეში ცხოვრობდნენ – ტერკარაპეტიანი, აივაზიანი, სერაკანიანი. ისინი მიწას თავად არ ამუშავებდნენ, ხალხს აძლევდნენ სანახევროდ“. ეს მასა-

ლა სოფ. დიდ პამაჯშია ჩანერილი. მართალია მთხრობელი არ იცნობდა ტერმინ „თაფუს“, მაგრამ რადგან „ბატონების“ ეთნიკური კუთვნილება (სომხობა გამორიცხავს, რომ ისინი ტრადიციულ მინათმფლობელობის (ქართველი დიდებულების) რიცხვში შედიოდნენ, ამიტომ სავარაუდოა, რომ საქმე გვექონდეს ახლადგამოჩეკილ – „თაფრიკთან“ რომლებითაც ზემოთ მოტანილი ცნობის თანახმად სავსე იყო ახალციხე.

გასული საუკუნის ბოლოსთვის ახალციხის მაზრაში კომლზე საშუალოდ მოდიოდა 13, 75 დესეტინა მიწა (სულზე – 1,55), ახალქალაქის მაზრაში – 20,9 დესეტინა (სულზე – 2, 32). მთელი სამინათმოქმედო ფონდის ძირითადი ნაწილი სისტემატურ გადანაწილებას ექვემდებარებოდა. გასული საუკუნის ბოლოსთვის მიწის გადანაწილების რამდენიმე წესის გამოყოფა შეიძლება: 1. გადანაწილებისას ყურადღება ექცეოდა თითოეულ კომლში შემავალ ნევრთა რაოდენობას; 2. მიწა ნაწილდებოდა კომლების შესაძლებლობების (მატერი-ალური) მიხედვით; 3. მიწის განაწილებას მიტაცებითი ხასიათი ჰქონდა (ვერმიშევი 1886: 56, 88; ეგიაზაროვი 1887: 399-400).

გადანაწილებას ექვემდებარებოდა ყველა კატეგორიის მიწა, გარდა საბაღე ნაკვეთებისა, რადგან ითვალისწინებდნენ, რომ საბაღე ნაკვეთის გაშენება დიდი შრომას მოითხოვდა. ნიშანდობლივია, რომ მომთაბარე ქურთებით დასახლებულ სოფ. ვერტოხში ხილის ბაღებსაც ანაწილებდნენ, რადგან მათ ხეხილი გაშენებული დახვდათ და ბაღების მოვლის ტრადიცია არ გააჩნდათ (ვერმიშევი 1886: 88).

XIX საუკუნის მონაცემებით სომხები მისდევდნენ მიწების განაწილების „ამფა-ჩარექულ“ წესს. ნაკვეთებს ანაწილებდნენ კომლთა შორის, მათში შემავალი ადამიანების რაოდენობის მიხედვით (ეგიაზაროვი 1887: 400). პირველ რიგში განსაზღვრავდნენ მიწის საერთო ფონდს, შემდეგ სოფელში მაცხოვრებლებს დაყოფდნენ ერთეულებად ე. წ. ამ-

ფებად (ხანდახან ერთ ამფაში ორი ან მეტი რიცხვმცირე ოჯახი შეჰყავდათ) თითოეული ამფა 4 ჩარექისაგან შედგებოდა (ჩარექში შედიოდა 4 სული). ამის შემდეგ მიწის ნაკვეთები, რომლებიც ასევე ერთეულებად იყო დაყოფილი, ნაწილდებოდა ამფებს შორის (ეგიაზაროვი 1887: 74). ზოგჯერ ითვალისწინებდნენ კომლთა გადახდისუნარიანობას. სოფლის შეკრებაზე გადანყვეტდნენ რა ოდენობის გადასახადი უნებდა ერთ ოჯახს. შემდეგ მეკომურებს ეკითხებოდნენ თანახმა იყო თუ არა ამ ოდენობის გადასახადი დაკისრებოდათ. თანხმობის შემთხვევაში მას უფლება ეძლეოდა „ამფაზე“. თუ ვინმე უარს განაცხადებდა, მაშინ მასვე განასაზღვრინებდნენ რა ნაწილის გადახდა შეეძლო. თითოეულ კომლს გამოუყოფდნენ იმდენ წილს, რამდენის შესაბამისი გადასახადის გადახდის სურვილიც თავად გამოთქვა.

ს. ეგიაზაროვის აზრით სულადობრიობაზე დამყარებული მიწის პერიოდული გადანაწილება ე. წ. „ამფა-ჩარექული სისტემა“ ემყარებოდა ელემენტარული სამართლიანობის პრინციპს, ვინაიდან გლეხურ ყოფაში მთავარ მასაზრდოებელს მიწა წარმოადგენს, თითოეულ ადამიანს აქვს უფლება საზრდოს მოპოვებაზე და ამიტომაც ეკუთვნის მიწის მისი წილი ნაკვეთი. ავტორი მიიჩნევს, რომ ეს წესი უძველესია და სომხურ ეთნიკურ გარემოს ახასიათებდა. განსხვავებული ვითარება იყო ქართველებში. აქ გავრცელებული მიწის კომლობრივი განაწილების დროს მხედველობაში მიიღებოდა კომლის მატერიალური მდგომარეობა. უფრო ძლიერი (მატერიალური თვალსაზრისით) ოჯახები მიწის მეტ ოდენობას იღებდნენ (ეგიაზაროვი 1887: 400).

სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ მოსახლეობაში მიწის გადანაწილების სულადობრივი პრინციპის არქაულობის მტკიცება ძნელია, მაგრამ საველე-ეთნოგრაფიული მასალა საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ მიწის სულადობრივი დანაწილება საფუძველად დაედო სახაზინო მიწაზე დამკვიდრებული სომეხი მიგრანტებისათვის სავარგულების მიცემას: „ამ სოფლის

მინების ნაწილი მთავრობამ მოგვცა და ჩვენმა მოხუცებმა დაანანილეს ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. ნაკვეთების დანაწილებას ხელმძღვანელობდა „იუზბაში“ – მამასახლისი, აზომვას კი აწარმოებდა საგანგებო მინისმზომელი „იფჩი“. (სოფ. პამაჯი). სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა სოფლებში მინისმზომელებს განსხვავებული საზომი ერთეულები ჰქონდათ. რაც საერთო სიტუაციაში გარკვევას ართულებდა.

სომხებით დასახლებულ ბევრ სოფელში (განსაკუთრებით ჯავახეთში) მინების გადანაწილება მათი ჩამოსახლებიდან საუკუნის ბოლომდე აღარ მომხდარა. ამიტომ შეიქმნა გარკვეული დისპროპორცია ცალკეული ოჯახების წევრთა რიცხვსა და მათ სარგებლობაში არსებულ მინის რაოდენობას შორის. ამ გარემოებამ ახალქალაქის მაზრაში მცხოვრებ მცირემინიან სომხებში გასული საუკუნის 70-იან წლებში ძლიერი მღელვარება გამოიწვია (ვერმიშევი 1886: 76).

რუსეთმა XIX ს-ის 60-იან წლებში განახორციელა სასოფლო რეფორმა, რომელიც, სხვათა შორის, მიზნად ისახავდა სათემო მმართველობის უფლებების გაზრდას. სასოფლო თემებში უნდა გაერთიანებულიყვნენ ყველა კატეგორიის გლეხები. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლეს ორგანოდ ითვლებოდა გლეხების კრება, აღმასრულებელი ხელისუფლება თავს იყრიდა სოფლის მამასახლისის, ხოლო სასამართლო – სოფლის მოსამართლის ხელში. საქართველოში იმხანად სასოფლო თემებს მხოლოდ ადმინისტრაციული ერთეულის შესრულება შეეძლოთ, რადგანაც რუსეთისაგან განსხვავებით სათემო მინათმფლობელობა სუსტად იყო შემორჩენილი (ბენდიანაშვილი 1990: 225-226). თუმცა სათემო მინების განაწილება რა თქმა უნდა გავრცელებული იყო ყველგან, სადაც თემს გარკვეული მინის ფონდი გააჩნდა. გ. ჯალაბაძე ამფა-ჩარექობის ანალოგიას ხედავდა ფშავ-ხევსურეთში სათემო მინების აღლუმებად, ქიზიყში ოცეულებად დაანაწილების წესში (ჯალაბაძე 1972: 11).



გასული საუკუნის ბოლოსთვის შეიმჩნეოდა ცალკეული მეკომურის მისწრაფება დაესაკუთრებინა სათემო მფლობელობაში არსებული მიწა სხვადასხვა გზით (საბალედ შემოღობვა შენობა-ნაგებობების აგება და სხვა), რაც თემის მხრიდან წინააღმდეგობას ხვდებოდა. თუმცა, ხშირად, თემი იძულებული იყო მდგომარეობას შერიგებოდა. მაგ., ვალეში დადგენილი იყო მიწის პერიოდული კომლობრივი გადანაწილება, მაგრამ რადგან ამ ზონაში მებალეობა ძალზე შემოსავლიანი იყო, მრავალი მეთემე აკრძალვის მიუხედავად ბალებს აშენებდა. ამის გამო იძულებული გახდნენ ბალის გაშენების (ე. ი. მუდმივი სარგებლობის) უფლება სათემო მიწებზე სხვებისთვისაც მიეცათ (ვერმიშევი 1886: 75).

სამუსულმანო საქართველოში (ასეთად ითვლებოდა მაშინ სამცხე-ჯავახეთი და ბორჩალოს მაზრა) XIX ს-ის გასული საუკუნის საგლეხო რეფორმა მხოლოდ 70-იანი წლების დებულებებით ამოქმედდა. ამიერიდან შესაძლებელი გახდა საგლეხო კომლებს კერძო საკუთრებაში ჰქონოდათ მიწა. არაპრივილეგირებულ მიწათმფლობელთა მამულების ნაწილი გლეხებმა უსასყიდლოდ მიიღეს. გახშირდა მათ მიერ მიწების შეძენის ფაქტებიც (გიორგაძე 1969: 25), რაც სავლემ მასალითაც დასტურდება.

კერძო მიწებს სამანებით მიჯნავდნენ. სამანად გამოყენებოდა ძირითადად ქვები. ერთი მთხრობელის ცნობით კი მამამისს ასეთი ქვის ქვეშ ნახშირიც ჰქონია ჩაყრილი. „საქმე იმაშია, რომ ქვის მოძრობა ან გადაადგილება შეიძლება, ნახშირი კი მიწაში მუდმივად დარჩებოდა და ვერავინ წაშლიდა“ – ამბობს იგი.

ქ. ვერმიშევი გლეხთა მიწების შემდეგ კატეგორიებს გამოყოფს: I. საკარმიდამო – რომელშიც შედიოდა ა) შენობა-ნაგებობებისათვის განკუთვნილი ადგილი, ბ) კალო, გ) წივის მოსამზადებელი „ბასმა ერი“, დ) საბძელი. ავტორის შენიშვნით ზოგიერთ ნაკლებშეძლებულ ოჯახს შეიძლებოდა კალო ან საბძელი არ ჰქონოდა, ასევე „ბასმა ერი“ არ სჭირდებო-

დათ ტყიან ადგილებში, სადაც წივას სანვავად არ გამოიყენებდნენ; II. საბალე ნაკვეთები – მასში შედიოდა როგორც ხეხილიანი, ისე საბალედ შემოღობილი ფართობები; III.

სახნავი – იყოფოდა სარწყავ და ურწყავ მიწებად; IV. სათიბები; V. საძოვრები. (ვერმიშევი – 1886: 56)

ახალციხის მაზრაში საკარმიდამოებს ეჭირა დაახლოებით 1, 79%, საბალეს – 1,86%, სახნავს – 47,9% (სახნავის 14, 94% სარწყავი იყო, 32,96 – ურწყავი), სათიბები შეადგენდნენ 3,43%, საძოვრები 36,02%. ახალქალაქის მაზრაში საკარმიდამო ნაკვეთებს მთელი სანადელო მიწის დაახლოებით 8% ეჭირა, საბალეს – 0,67%, სახნავს – 48,2% (სარწყავი იყო მხოლოდ 0,2%) სათიბები მთელი ფონდის 12,3%-ს შეადგენდნენ, საძოვრები – 37,38%-ს (ვერმიშევი 1886: 54).

ეს ციფრობრივი მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სამცხე-ჯავახეთის ორივე მაზრის სოფლის მეურნეობის დარგებზე. რადგან სახნავი მიწა მთელი ფონდის თითქმის ნახევარს შეადგენდა, რაც მიუთითებს, რომ მემინდვრეობას აქ წამყვანი როლზე გააჩნდა. ამასთან ახალქალაქის მაზრაში ბალების (0,67%) სიმცირე ახალციხესთან შედარებით (1, 79%) მიუთითებს, რომ მეხილეობა სამცხეში უფრო მეტად იყო განვითარებული. ამასთან, სამცხეში უფრო მეტად იყო სარწყავი მიწები, ვიდრე ჯავახეთში.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით მესხეთში სარწყავად მთის წყაროებით სარგებლობდნენ. ისეთი დიდი მდინარეების გამოყენება – როგორც იყო მტკვარი, ახალქალაქის წყალი, ქვაბლიანი, ფოცხოვი და სხვა შეუძლებელი ხდებოდა ადგილობრივი გეოგრაფიული გარემოს გამო (გეგეშიძე 1961: 07). მაგ., სამცხეში, ვალეს ზონის სოფლებში, სადაც გასული საუკუნის 30-იან წლებში თურქეთიდან ჩამოსული სომხები დასახლდნენ, სარწყავი წყლებით სარგებლობის მკაცრად მონესრიგებული გრაფიკი ძველთაგანვე ჰქონიათ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი

დავთრის“ თანახმად მდინარე ბორბოლიდან მომდინარე წყალი, რომელიც სათავეს ორალიდან იღებს, ძველი დროიდანვე ვალეს საზღვარზე მდებარე ადგილების, ვენახისა და ბაღის სარწყავი წყალი იყო... მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ მდინარე წყალთბილიდან მომდინარე წყლის ნახევარი ძველი დროიდანვე სოფ. ვალეს სარწყავი წყალი იყო. ამავე წყაროთი დასტურდება, რომ მეზობლად მდებარე სოფლები სარწყავი წყლით რიგრიგობით სარგებლობდნენ (ჯიქია 1941: 38-41).

სოფლებს შორის სარწყავ წყალს ანაწილებდნენ კომლთა რაოდენობის მიხედვით. სოფ. ვალე, წყალთბილა და ნაოხრები (ბოლო ორში სომეხი კათოლიკეები ცხოვრობენ) ფართობებს რწყავდნენ მდინარე ყარაფახურის წყლით, ამასთან ოთხი ნაწილი ეკუთვნოდა ვალეს, ოთხი წყალთბილას და ორი ნაოხრებს. სრულწელიანობის დროს (მაისის შუა რიცხვებამდე) ამ მდინარით სარგებლობდა სოფ. წინუბანიც. ვალე, პატარა და დიდი პამაჯი და სხვილისი სარგებლობდნენ ასევე ბორბოლათი, რომლის 4/12 ეკუთვნოდა ვალეს, 2/12 დიდ პამაჯს, სხვილისი და პატარა პამაჯი კი ამ წყლით ჩვეულებრივ ღამით რწყავდნენ: ორ ღამეს ირწყებოდა სხვილისი, ერთი ღამე კი პატარა პამაჯი (ვერმიშევი 1886: 64).

ეთნოგრაფიული მასალა, ზემოთ მოყვანილი სპეციალური ლიტერატურა და წყაროთა მონაცემები ცხადყოფენ, რომ სხვადასხვა სოფლებზე გამდინარე მცირე მდინარეებით რიგრიგობით მორწყვის გრაფიკი გარკვეულ ცოდნა-გამოცდილებას ემყარებოდა და სამცხე-ჯავახეთში სომეხ მიგრანტთა მოსვლამდე არსებობდა.

„ადრე სოფ. ორალიდან, მთის ძირიდან მოდიოდა წყალი, ნაწილდებოდა რამდენიმე სოფელში, ჩვენ სოფელს როდესაც მოუწევდა რიგი მაშინ ვიღებდით წყალს. ორალიდან წყალს ღებულობდა – ორალი, პატარა პამაჯი, დიდი პამაჯი, ყულარისი და ვალე. წყლის განაწილებას აწესრიგებდა სოფ-

ლიდან არჩეული კაცი, წყალს იძლეოდა საათობით, რასაც ამფას ვუნოდებდით“ – გადმოგვცა ვალელმა ა. ნადირაძემ.

სარწყავი წყალი ნაწილდებოდა მინის ფართობების პროპორციულად, ყოველ 10 სომარს ერთ ამფად აერთიანებდნენ. ამფაზე წყალი ეძლეოდა მთელი დღის ან ღამის განმავლობაში. ამფაში გაერთიანებული საოჯახო მეურნეობები სარწყავი წყლით სარგებლობდნენ თავიანთი ნაკვეთების პროპორციულად დროის გარკვეულ მონაკვეთში. მთელი დღე იყოფოდა ოთხ ნაწილად „ურუმად“. ერთი ურუმის დროს ირწყებოდა ამფის მეოთხედი ე.ი. 2,5 სომარი. სარწყავი წყლის განაწილებას და სარგებლობას აწესრიგებდა საგანგებოდ გამოყოფილი პირი, ან ზოგჯერ მინდვრის დარაჯი, თუმცა სამართლიანად განაწილებას თვალს ადევნებდა მთელი თემი (ვერმიშევი 1886: 64). როგორც აღინიშნა, სომეხ მიგრანტებს მნიშვნელოვანი კორექტივები არ შეუტანიათ სამცხე-ჯავახეთში ჩამოყალიბებული ტრადიციული სარწყავი სისტემების გამოყენებაში. ამიტომ თვით უმნიშვნელო ცვლილებაც კი თვალშისაცემი იყო. მ. გეგეშიძეს აღნიშნული აქვს, რომ სოფ. სხვილსის სომეხი კათოლიკეები, რომლებსაც ფართობები მდინარე ფოცხოვზე აქვთ, წინათ „ბორბლებისა და კრუშკების“ საშუალებით რწყავდნენ, თუმცა ეს ხერხი ძველი მამაპაპური არ ყოფილა (გეგეშიძე 1961: 87).

როგორც ითქვა, სამცხე-ჯავახეთის მინათმოქმედებაში წამყვანი ადგილი მემინდვრეობას ეჭირა. ნიშანდობლივია, რომ „გურჯისტანის დიდი დავთრის“ მიხედვით მარცვლეულზე შეწერილი გადასახადების ჯამი მთელი გადასახადების დაახლოებით 70%-ს შეადგენდა (სვანიძე 1984: 13). მდგომარეობა არც XIX საუკუნეში შეცვლილა. საველე მასალასა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მესხეთში მოჰყავდათ ხორბლეული: დოლისპური, დიკა, ასლი, თავთუხი. თავთავიანი კულტურებიდან: ქერი,

ჭვავი, ფეტვი და სხვ. მოჰყავდათ ასევე შერეული – ჭვავ-დოლის, ქერ-დიკის კულტურები.

ვ. მენაბდემ გამოიკვლია საქართველოს ხორბლეული კულტურები და მივიდა დასკვნამდე, რომ მრავალრიცხოვან სახეობათა და შიდა სახეობათა სიმრავლეს განაპირობებს ზონობრივი და მეტეოროლოგიური ფაქტორები (მენაბდე 1948: 29). ამ ჯიშების გამოყვანა დაკავშირებულია მრავალსაუკუნოვან აგრარულ ტრადიციებთან.

სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული საექსპედიციო მუშაობისას ვერ შევძელი დამეფიქსირებინა სომხურ მოსახლეობაში რაიმე მარცვლეული, რაც ადგილობრივი ქართული ეთნიკური გარემოსათვის უცხო იქნებოდა. XIX საუკუნის ლიტერატურული მონაცემების თანახმად სომხური მოსახლეობა უფრო საგაზაფხულო ხორბლის (დიკა) მოყვანას ეტანებოდა. დიკა საქართველოს აბორიგენულ კულტურადაა მიჩნეული, რომელიც შუამთის სარტყლის ტიპიურ წარმომადგენლად ითვლება და მესხეთის გეოგრაფიულ პირობებში საუკეთესო მოსავალს იძლევა. იგი ითესებოდა მთიან, შედარებით გრილ ადგილებში და ნაკლებ მიდრეკილებას ამჟღავნებდა ნოციერი ნიადაგებისადმი (ბერიაშვილი 1973: 54-56).

ვალეს ზონის სომხურ სოფლებში დაგვისახელეს საგაზაფხულო ხორბლის ჯიში „ფასენი“, რომელიც, მთხრობელთა გადმოცემით, საუკეთესო გემოთი გამოირჩეოდა და მსხვილი მარცვალი ჰქონდა. გ. ჯალაბაძის დაკვირვებით ფასენი უშუალოდ ხორბლის მომყვანთა ვინაობას შეიძლება გამოხატავდეს და იგივე „ფასიანის“ ან „ბასიანის“ სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს, რომლის ლოკალიზება ხდება არაქსის ზემო წელში ბასიანის აუზში. არსებული შეხედულებით კი მთელი ისტორიული პერიოდების მანძილზე ბასიანის მხარეები მესხეთის საზღვრებში იყო მოქცეული (ჯალაბაძე 1972: 18).

მესხეთის ქართული მოსახლეობა მისდევდა ქერისა და დიკის შერეულად თესვას, რომელსაც „ქერდიკას ან ქერ-

ჭრელს“ უწოდებდნენ. ქერი მსუყე ნიადაგის მოყვარულია, ხოლო დიკასთან ერთად მწირ ნიადაგებშიც ხარობს. ასეთი ნათესები სომხურ მოსახლეობასაც ჰქონდა და ქართველების მსგავსად „ქერიდიგეს“ (ქართ. ქერდიკა) უწოდებდნენ“. „ქერდიგე“ ერქვა ასევე პურსაც, რომელსაც ხორბლისა და ქერის ფქვილების შერევის შემდეგ აცხობდნენ. ინფორმატორთა ცნობით ქერი პურზე ბევრი მოდიოდა, ზოგიერთ ოჯახს პურის ფქვილი ადრევე შემოეღებოდა ხოლმე, სწორედ ასეთ შემთხვევაში აცხობდნენ „ქერდიგეს“.

სომხურ მოსახლეობაში დიდი მონონებით სარგებლობდა „დოლის პური“, „დოლის პურისაგან“ ტრადიციული სომხური ლავაშების გამოცხობა შეიძლებოდა დიკისაგან კი არა – აღნიშნავენ მთხრობლები. უნდა ითქვას, რომ დოლის პურისა და ქერდიკას მოყვანის შესახებ 2023 წლის ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის პერიდშიც დაგვიდასტურეს.

დოლის პური საქართველოში ძველთაძველი კულტურაა. ცნობილია მისი ორი სახეობა – წითელთავთავიანი და თეთრთავთავიანი, რომლებიც თავის მხრივ 30-32 სახესხვაობისაგან შედგება. მესხეთში გავრცელებულია წითელთავთავიანი დოლის მესხური ეკოტიპი ე. წ. „მესხური დოლი“. იგი კარგადაა შეგუებული ადგილობრივ პირობებს და მთელი რიგი პოზიტიური თვისებებით ხასიათდება როგორც საცხობ-საკვები თვისებებით, ისე მოყვანის მხრივაც (ბერი-აშვილი 1973: 43-47; სვანიძე 1984: 13; ჯავახიშვილი 1998: 357).

სამცხე-ჯავახეთში ხორბლეული კულტურებიდან გამორჩეული ადგილი ეჭირა ქერს. იგი აუცილებლობას წარმოადგენდა როგორც ადამიანთა საკვებად, ისე საქონლისთვისაც. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მონაცემებით ახალციხის საფაშოში ქერის საშუალო წლიური მოსავალი ერთ კომლზე 2 692 კგ-ს შეადგენდა. ყველაზე მაღალი მოსავალი ახალქალაქის ლივის ნიალისყურის რაიონში

მოდიოდა: ერთ კომლზე საშუალოდ 4836 კგ. ჯავახეთი სა-  
ყოველთაოდ იყო ცნობილი ქერის უხვი მოსავლით, რასაც  
ერთი ცნობილი ხალხური ლექსიც ადასტურებს:

„მე ჯავახეთს რა მინდოდა,  
მთვარე მადგა მზესავითა,  
ქერის პური და კალმახი  
ნინ მეყარა ბზესავითა.“

ქერი ბლომად მოჰყავდათ სომხებსაც, მათში ეს კულ-  
ტურა დღემდე პოპულარულია, რასაც ეთნოგრაფიული მასა-  
ლაც მონიშნავს. ისინი თესდნენ ასევე ჭვავს, ფეტვს და სი-  
მინდს.

ზოგიერთი ცნობით არზრუმელი მიგრანტები მაინცდა-  
მაინც მაღალი მიწათმოქმედების კულტურით არ გამოირჩე-  
ოდნენ. მათ აქ გადმოუტანიათ მიწის დამუშავების ჩამორჩე-  
ნილი წესები, რაც გავრცელებული იყო თურქეთში. არ იც-  
ნობდნენ თესლბრუნვის სისტემას და ყოველწლიურად ერთი  
და იმავე მარცვლეულს თესავდნენ ვიდრე მიწა არ გამოიფ-  
იტებოდა. როგორც კი მოსავალი შემცირებას დაიწყებდა, ამ  
ადგილს მიატოვებდნენ და რამდენიმე წლის განმავლობაში  
ამუშავებდნენ სხვას, საიდანაც შემდეგში ისევ ადრე მიტო-  
ვებულს დაუბრუნდებოდნენ და ა. შ.. (გუგუშვილი 1949:  
566). მიწას მხოლოდ ერთხელ ხნავდნენ და თანვე თესდნენ,  
თითქმის არ იცნობდნენ ფოცხსაც, რის გამოც დათესილ  
მინდორზე უზარმაზარი ბელტები და მრავლად დარჩენილი  
სარეველა ბალახი ცუდად მოქმედებდა ნათესზე. პურს  
მკიდნენ ნამგლით, მიწას ნაკელით არ ანოყიერებდნენ (გუ-  
გუშვილი 1949: 566-567).

XIX საუკუნის ბოლოსთვის ქ. ვერმიშევის ცნობის თა-  
ნახმად, შეცვლილა სომეხ მიგრანტთა სამინათმოქმედო  
კულტურის დონე. მათშიც დასტურდება მესხეთში განსა-  
კუთრებით ფასეული, ე. წ. „ნაფუძარი“-„ნაფუზარი“ მინები,  
რომელიც საცხოვრებელთან ახლოს მდებარეობდა და ადვი-  
ლად შეჰქონდათ ორგანული სასუქი. ნაკელის შეტანის შემ-

დეგ პირველ წელს თესდნენ საგაზაფხულო ხორბალს, მომდევნო წელს კი ქერს. სომხები სახნავად იყენებდნენ „არორს“. ეს იარაღი ქართულ მოსახლეობაში გავრცელებულ „ჯილღასთან“ შედარებით წვრილად ხნავდა, კარგად არ აფხვიერებდა და არ აბრუნებდა მიწას. ამიტომ სარეველა ბალახი რჩებოდა და არორით დამუშავებული ყანები ქართველების მიერ ჯილღით დამუშავებულს ჩამორჩებოდა (ვერმიშევი 1886: 148). ქართულ მოსახლეობას ადგილობრივ პირობებზე უფრო კარგად მორგებული სამეურნეო იარაღები და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სამინათმოქმედო ჩვევები ჰქონდა. ისინი არა მარტო უკეთ მოვლილი ყანებით და მაღალი მოსავლიანობით გამოირჩეოდნენ, არამედ მათ მიერ მონეული მოსავალი უფრო მაღალი ხარისხის იყო და სასაქონლო ღირებულებაც მეტი ჰქონდა. მაგ., თუ სომხების მიერ მოყვანილი ხორბალი საწყაოში ჩადიდდა 50 ფუტი, ქართველებისა – 52-53 ფუტი (ვერმიშევი 1886: 149).

ხსენებული „ჯილღა“ – ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში (ჩიტაია 1930: 270). აგებულიებით იგი ხისგან გაკეთებულ იარაღს წარმოადგენდა, რომელსაც რკინის მხოლოდ სახნისი ჰქონდა. ჯილღას განმასხვავებელ თვისებას კბილაზე აქეთ-იქით დამაგრებული ყურები შეადგენდა, ისინი სახნისისაგან გათხრილ მიწას აქეთ-იქით ყრიდნენ კვალის ორივე გვერდზე. ამრიგად ჯილღა იყო უფრო ყურებიანი სახენელი (ჯავახიშვილი 1998: 207). სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონითაც „ჯილღა“ უფრო ერქვანია. ლ. ბერიაშვილის დაკვირვებით „ჯილღას“ შეესაბამებოდა მოდგამის არქაული ფორმა „ახალციხური მოდგამი“ (ბერიაშვილი 1973: 150). ჯილღას იდენტური იარაღი დაფიქსირდა ნასოფლარ ჭივჭავაძეში საფლავის ქვაზე, რომელიც მე-16 საუკუნის წინარე დროს ეკუთვნის (ჯალაბაძე 1979: 22).



ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი შრომის იარაღები და ზოგჯერ შრომის ორგანიზაციის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია საკმაოდ გავრცელებულა მეზობელ ხალხებშიც და, მათ შორის, სომხებში (გუთანი, ჯილა, ფორჩხი, მოდგამი და სხვ.). ტერმინი ჯილა დასტურდება სომხეთში სოფ. გოლთში, ბაშ-გარნიში, ართიკში და კოტაიკის სამარხებში. იგი ცნობილი იყო ერევნის მაზრის თათრებისთვისაც (ჯავახიშვილი 1998: 257-270). სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს, რომ ქართულსა და ზემოთ ნახსენებ ჯილას შორის პრინციპული კონსტრუქციული სხვაობა არსებობდა. კერძოდ, ქართულ ჯილას ფრთები არ აქვს, ხოლო სომხურს ორივე მხარეს აქვს ფრთები, ხმალზე წინა წვერით ჩაბმული (ჯალაბაძე 1979: 22).

სახვნილი იარაღის ყოველგვარი კონსტრუქციული თავისებურება რა თქმა უნდა ჩამოყალიბებულია კონკრეტული კლიმატური და ნიადაგობრივი გარემოსათვის. ამრიგად მესხური „ჯილა“ სამცხე-ჯავახეთის პირობებზე იყო მორგებული, ერევნის მაზრაში გავრცელებული კი – იქაურზე.

ზემოთხსენებულ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია შევეხოთ ერთ დელიკატურ საკითხს. კერძოდ, ე. ბლოიანის მტკიცებას, რომ არზრუმელმა სომხებმა, რომლებიც მსგავს ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრობდნენ, თან მოიტანეს „ჯილა“ (ბლოიანი 1968: 47-49). ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან, ქართულსა და სომხურ ჯილაში არსებული კონსტრუქციულ განსხვავების გარდა, ჩვენ ხელთა გვაქვს პირდაპირი მტკიცება, რომ ეს იარაღი საქართველოში XIX საუკუნეზე ადრე იყო გავრცელებული (საფლავის ქვაზე ამოკვეთილი სახვნილი ჭივჭავაში) და ვერმიშვეის ცნობა იმის შესახებ, რომ ჯილა, სახვნილი სომხურ არორთან აშკარა უპირატესობის მიუხედავად, სამცხე-ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში ძნელად იკიდებდა ფეხს.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, სომხურ მოსახლეობას გვიან ხანებამდე შემოუნახავს სახვნილი იარაღი „არო-

რი“. მთხრობელთა გადმოცემით „არორში“ აბამდნენ ერთ ან ორ უღელ ხარს. ამ იარაღით დამუშავებამდე სასურველი იყო მიწა სამ ან ოთხ უღლიანი სახენელით მოხნულიყო. არორი მარტივი აგებულების სახენელია იგი ორი ნაწილისაგან შედგება – ნაწვეტებული ქუსლ-კბილასაგან, რომელზეც ხის სახნისი იყო წამოცმული და კბილა ქუსლში ჩასმულ-ჩაჭედილი მოხრილი რვილის ანუ „გრდუ ხისაგან“. გ. ჩიტაიას შენიშვნით, არორი ინდოევროპული ძირის სიტყვაა, რომლითაც აღინიშნებოდა აჩაჩა კავის სახის პრიმიტიული იარაღი. არორსა და მესხურ არონას შორის სახელწოდების მსგავსების მიუხედავად, მნიშვნელოვანი კონსტრუქციული განსხვავებაა. ქუსლიანი სახენელი იარაღები (არონა, ჯილღა) სპონტანური მოვლენაა და არა სესხების გზით მიღებული (ჩიტაია 1930: 270-281).

მოგვიანებით სამცხე-ჯავახეთში მარცვლეული კულტურები ნაწილობრივ ჩაანაცვლა კარტოფილმა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოჩენილია ჯავახეთის ზეგნის სომხური მოსახლეობა. უხვმოსავლიან წლებში ინდივიდუალური მეურნეები ველარ აუდიიან კარტოფილის ალებას და მეზობელი სოფლებიდან ქირაობენ მუშახელს. 2022 წელს კარტოფილის ამკრეფის დღიური ანაზღაურება 50 ლარი ყოფილა.

მესხეთი განთქმული იყო ტექნიკური კულტურებით, განსაკუთრებით სელით. სელი კარგად ეგუებოდა როგორც მწირ, ისე ნოყიერ ნიადაგებს. ეთნოგრაფიული მონაცემებით სამცხე-ჯავახეთში სამი სახეობის სელი დასტურდება: ბრტყელი, წინმატა და შავი. მას მრავალგვარი დანიშნულება ჰქონდა. სელისაგან ძირითადად იხდებოდა ზეთი, ზეთის ნახადი ჩენჩო კოპტონი, საქონლის საკვებად გამოიყენებოდა, ხოლო ბოჭკოსაგან ქსოვილებს ამზადებდნენ (ბერიაშვილი 1973: 76-78; სვანიძე 1984: 53).

სამცხე-ჯავახეთში სელის ფართო გავრცელებას ადასტურებს ქრ. შარაშიძის მიერ გამოქვეყნებული საბუთები, სადაც ჩანს, რომ XIII-XV სს-ში ზეთს ეკლესია-მონასტრები-

სათვის დაწესებულ შესაწირაში დიდი ადგილი ეჭირა (შარაშიძე 1982: 1-32).

ამ კულტურის დიდი პოპულარობა მომდევნო ხანებში მონმდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრით“. სულ ახალციხის საფაშოში სელის წლიური მოსავლის ღირებულება 116 910 ახჩას შეადგენდა, საიდანაც 24 466 ახჩა გადასახადად იყო შეწერილი (სვანიძე 1984: 54).

სომხებს ქართული მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებთან ერთად ადგილებზე დახვედრიათ ზეთსახდელებიც, რომელთა დანიშნულებაში სწრაფად გარკვეულან, შეუკეთებიათ დაზიანებული კედლები და როცა, რამდენიმე წლის შემდეგ, სელის კარგი მოსავალი მიუღიათ მთელი სიძლიერით აუმუშავებიათ ისინი. ქართველების მიერ აგებული და სომხებისაგან განახლებული ზეთსახდელები XX საუკუნის 20-იან წლებამდე ყოფილა გამოყენებაში (ჩიქოვანი 1982: 42). აქაურები ზეთსახდელებს თურქული ტერმინით „ბეზირხანა“ აღნიშნავდნენ. განსაკუთრებით მრავლად იყო შემორჩენილი ბეზირხანები ჯავახეთში, სადაც XX საუკუნის 60-იან წლებამდე ყოფილა მათი ნანგრევები (სოფლებში: კოთელია, ფორია, ეშტია, დილათი, განძა, ჯიგრაშენი, ბარალეთი, მურჯახეთი).

საქართველოში ზეთოვან კულტურათა მოყვანის და დამუშავების მდიდარი ტრადიცია არსებობდა. ამ პრობლემის მეცნიერული კვლევა სათანადო სიმაღლეზე დგას და ზეთსახდელი იარაღის შესწავლას მონოგრაფიაც მიეძღვნა (მოლოდინი 1963). ზემომოტანილი მასალა უფლებას გვაძლევს მიუღებლად ჩავთვალოთ ქ. ვერმიშვეის დებულება, რომლის მიხედვითაც სამცხე-ჯავახეთში ზეთოვანი კულტურების შემოტანა და მოშენება არზრუმიდან გადმოსახლებულ სომხებს მიეწერებათ (ვერმიშვეი 1986: 189).

საკმაოდ მკაცრი კლიმატური პირობების მიუხედავად მესხეთში მაღალ დონეზე იდგა მევენახეობა-მეხილეობა.

ღვინო ქართული ყოფისათვის განუყრელ ნაწილად ითვლება და ქართველი კაცი ყოველგვარ გარემოში ცდილობდა ვაზის გაშენებას. სამცხე-ჯავახეთში მაღალგანვითარებული მევენახეობის დამადასტურებელი მასალა დღემდეა შემონახული. რადგან მევენახეობა და მეხილეობა ამ მხარეში მხოლოდ მორწყვის პირობებში იყო შესაძლებელი მათ სარწყავ მიწებზე, ძირითადად მტკვრისა და მისი შენაკადების გასწვრივ ხელოვნურად გაშენებულ ტერასებზე აშენებდნენ (სვანიძე 1984: 108). ღვინო გარდა საოჯახო საჭიროებისა მესხეთში მრავლად მდებარე ეკლესია-მონასტერთა მოხმარების საგანსაც წარმოადგენდა. XIII საუკუნის სამართლის ძეგლის „ვაჰანის ქვაბთა განგების“ მიხედვით, ნათელია, რომ ღვინო ვაჰანის მამათა მონასტრის მონოპოლითა რაციონში ძირითად პროდუქტს წარმოადგენდა (მუსხელიშვილი 1938: 71-76). როგორც ირკვევა, მონასტრის მეურნეობაში კარგად იყო განვითარებული მევენახეობა... ზვრებიდან აღებული ღვინო „საზედაშედ“ ინახებოდა (ტალახაძე 1997: 50).

მევენახეობა-მელვინეობის მაღალ დონეს ადასტურებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. მ. სვანიძის გამოკვლევით დავთარში დასახელებული 771 მესხური სოფლიდან ვენახი გაშენებული იყო 156 სოფელში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალციხის ლივის აწყურის რაიონი და ხერთვისის ლივის ხერთვისის რაიონი (სვანიძე 1984: 115).

ვაზის ჯიშებიდან მესხეთში გავრცელებული იყო როგორც თეთრყურძნიანი, ისე შავყურძნიანი ჯიშები. ვენახი შენდებოდა მაღლარიც და დაბლარიც. ლიტერატურაში მევენახეობის ადგილად დასახელებულ ზოგიერთ სოფელში საამისო ბუნებრივ-კლიმატური პირობები არ არის. მაგ. ადრიანმინდა, სარო, თოკი, ვარგავი, ჭობარეთი, ხიზაბავრა და ა. შ. გამოირკვა, რომ ამ სოფლებს ბალ-ვენახები ქვემოთ, სოფლიდან ზოგჯერ ათეულობით კილომეტრზე დაშორებულ ტერასებზე ჰქონდათ გაშენებული (ბერიაშვილი 1973: 99).

თურქთა ორასწლოვანმა ბატონობამ თავისებური დალი დაასვა სამცხე-ჯავახეთის მევენახეობა-მელვინეობას. შარიათი მკაცრად კრძალავდა ღვინის სმას. ამასთანავე ოსმალეთის იმპერიაში არსებობდა ღვინისა და ყურძნის წვენის (შირა) გაყიდვის მონოპოლიური წესი, რაც ეკონომიკურად წამგებიანს ხდიდა გლეხისათვის მის წარმოებას (ფაშაევა 1976: 115). ამიტომ მესხები თავს ანებებდნენ მამა-პაპურ მევენახეობას. სიპტომატურაია ამ მიმართებით ლატიფშაჰ ბარათაშვილის მოგონებები. სოფ. ღვინიას მკვიდრ ქართველ მაჰმადიანს სახლის საფუძვლის გათხრისას 900 ლიტრიანი ქვევრი უპოვია, რომელიც თავდაპირველად განძად მიიჩნია. თუმცა ქვევრში ოქრო-ვერცხლი კი არა, კარგად შენახული ღვინო აღმოჩნდა. მუსლიმ ქართველს ეს ფაქტი ალახის მრისხანებად და ცუდ ნიშნად მოეჩვენა და სოფლის იმამს მიმართა. იმამმა მოკლე გადანყვეტილება მიიღო, რომლის თანახმად ქვევრი გატეხეს და ღვინო დაღვარეს. ქართველი კათოლიკე ოლე ჩაგიშვილი, რომელიც ამ ამბავს შეესწრო, დაღვრილ ღვინოს მივარდა და დაენაფა (ბარათაშვილი 1988: 96).

როგორც ითქვა, ვენახები ასპინძის მიდამოებშიც ჰქონდათ. სოფ. საროში ჩანერილი მასალის თანახმად აქ საკმაოდ გვარცვლებული ყოფილა ვაზის ჯიშები. ღვინოს თიხის ქვევრებში აყენებდნენ და საოჯახო მოხმარებისთვის ინახავდნენ. ისიც თვალნათელია, რომ ბოლო ხანებში მევენახეობა სამცხე-ჯავახეთში ახალ გაქანებას იძენს, რადგან მხარის ტურისტული ბიზნესის განვითარებაში ადგილობრივები მას მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ.

სომხების ჩამოსახლების დროისათვის მევენახეობა სამცხე-ჯავახეთში უკვე დაქვეითება-დაკნინების გზაზე იდგა. თურქეთის ის რეგიონები, საიდანაც სომხები წამოვიდნენ მეურნეობის ამ დარგს ნაკლებად იცნობდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მთელ არზრუმის ვილაიეთში 65 ტონა ყურძენი მოჰყავდათ (მასალები 1885: 17). ვაზის მოვლა-პატ-

რონობა, ჯიშების გამოყვანა და მევენახეობის პროდუქტების წარმოება კი ხანგრძლივ გამოცდილებას მოითხოვს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სომხურმა მოსახლეობამ მთლიანად უგულვებლყო მესხეთისათვის ეგზომ მნიშვნელოვანი მევენახეობა. ნადგურდებოდა ქართული ეთნიკური გარემოსათვის დამახასიათებელი ტერასებიც, რომლებიც მძიმე შრომასა და რუდუნებას მოითხოვდნენ. ნიშანდობლივია სოფ. ჯიგრაშენის (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი) უნიკალური ბაქან-ტერასების მაგალითი. ქართველი მუსლიმების წასვლის შემდეგ ეს უნიკალური ტერასული სისტემა მთლიანად განადგურდა (ჩიქოვანი 1982: 17-19).

არზრუმელმა მიგრანტებმა შედარებით ადვილად აუღეს ალლო მეხილეობას. მებაღეობას მესხეთში დიდი ტრადიციები გააჩნია, რაც მხედველობიდან არ გამორჩენიათ მკვლევარ-მოგზაურებს, რომლებიც მესხური ხილით აღტაცებას ვერ მალავდნენ (დიუბუა: 1839: 70; გეევსკი 1879: 30). ეს დარგი განსაკუთრებით დანინაურებული ყოფილა ქართველ მუსლიმებში (ხახანოვი 1891: 24). მევენახეობა და მებაღეობა თითქმის ერთნაირ პირობებს მოითხოვს, ამიტომაც ოსმალთა გავლენით გამოდევნილ მევენახეობას ქართველ მუსულმანებში ჩაენაცვლა მებაღეობა. თანდათანობით ხმარებაში შემოვიდა ხეხილის ოსმალური დასახელებები. არაქართული ტერმინები პირველ რიგში გამაჰმადიანებულ მოსახლეობაში დამკვიდრდა, შემდეგ კი დანარჩენ ფენებშიც გავრცელდა.

აღსანიშნავია, რომ რომ ჯავახეთის ზეგანის მოსახლეობა მკაცრი კლიმატური პირობების გამო ხილით ძირითადად მეზობელი სამცხის ქართული სოფლებიდან მარაგდებოდა. ახალქალაქის ბაზარში ნებისმიერი ხილი სალდებოდაო, გვეუბნებიან მთხრობელები. ჩემმა სომეხმა მასპინძელმა გვიამბო – „ჩემს ბავშვობაში პომიდორი არც კი მენახა, სხვილისიდან რომ ამოიტანეს გაკვირვებული ვუყურებდი, რა არის მეთქი. კომბოსტოც მარტო სხვილისსა და ვალეში

მოჰყავდათ. ჩვენთან იქედან ამოქონდათ და ყიდდნენ ხოლმე“.

XX საუკუნეში ახალი კულტურების დამკვიდრება, რაც ტრადიციული დარგების შეზღუდვა-გამოდევნის პარალელურად მიმდინარეობდა. მეკარტოფილეობისა და ბალჩიული კულტურების მასობრივმა გარვცელებამ გამოიწვია ქერის გაძევება ნაფუძვარებიდან (ამ ადგილებს თანამედროვე მესხეთის მკვიდრი კარტოფილსა და კომბოსტოს უთმობენ), ხოლო სელის კულტურა მთლიანად დავიწყებას მიეცა. სამცხე-ჯავახეთი დღეისათვის ბალჩიული კულტურების მხრივ საქართველოში წამყვან კუთხედ ითვლება და სომხური მოსახლეობა ამ მიმართებით არც თუ უმნიშვნელო როლს თამაშობს.

ზემოთ მოტანილი მასალიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სომხურმა მოსახლეობამ სამცხე-ჯავახეთში გადმოსახლების შემდეგ აითვისა ადგილობრივი ქართველებისათვის დამახასიათებელი მინათმოქმედების ხერხები, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ყოფა ოპტიმალურად იყო მორგებული ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს. მათთვის დამახასიათებელი კონსერვატიულობის მუხედავად, სომხები თანდათანობით ითვისებდნენ ადგილობრივ მცენარეულ კულტურებს, მიწის დამუშავების ნესებს და სამუშაო იარაღებს. XX საუკუნეში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა და სოციალ-ეკონომიკურმა ძვრებმა კიდევ უფრო გაზარდა სამეურნეო ყოფის ნიველირება. დღეისათვის სამცხე-ჯავახეთის ქართული და სომხური მოსახლეობა სამინათმოქმედო კულტურების, მიწის დამუშავების ხერხების და იარაღების მიხედვით მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

## დამონმებული ლიტერატურა

- ბაგრატიონი 1973** – ბაგრატიონი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქც., ტ. 4, თბ.1973
- ბარდაველიძე 1941** – ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბარბარ), თბ. 1941
- ბარათაშვილი 1988** – Бараташвили Л., Бараташвили К. Мы – Месхи. Литературная Грузия. 1988, №9
- ბაქრაძე 1889** -Бакрадзе Д. Исторический очерк турецкой системы землевладения. Приложения к протоколу Кавказского юридического общества №9, Тб. 1889
- ბლოაიანი 1968** – Бдоян В.А. Земледельческая культура в Армении (დისერტაციის ავტორეფერატი), Тб. 1968
- ბენდიანიშვილი 1965** – ბენდიანიშვილი ა. აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წწ. თბილისი 1965
- ბენდიანიშვილი 1990** – Бендианашвили А. Введение сельскоо общественного управления. Судебная и городская реформы. Городские самоуправления в последней трети XIX в. ОИГ, Т. Тბ., 1990
- ბერიაშვილი 1973** – ბერიაშვილი ლ. მიწათმოქმედება მესხეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1973
- ბუნიატოვი 1893** – Буниятов Г. Из поверий, предрассудков и народных примет армян Эчмядинского уезда. СМОМПК, Вып. 17, ТФ. 1893
- გაბაშვილი 1958** – გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958
- გეგეშიძე 1961** – გეგეშიძე მ. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961
- გიორგაძე 1969** – გიორგაძე პ., სამცხის სოფელი 1870-1905 წწ (დისერტაცია), თბ. 1969



- გიორგაძე 1993** – გიორგაძე მ. ქართული ხალხური კალენდარული სანესჩვეულებო პოეზია, თბ. 1993
- გეევსკი 1879** – Геевски, Очерк садоводства в Ахалцихском уезде, СКОСХ, вып.2, Т6 1879
- გუგუშვილი 1949** – გუგუშვილი პ., საქართველოსა და ა/კავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. 1 თბ., 1949
- დიუბუა 1839** – Dubois de Montpereus voyage autour du Caucase t. 2, Paris 1839
- ეგიაზაროვი 1887** – Егизаров С.А. Формы общины крестьянского землевладения в Тифлиской губернии, СМПИЭБЗК, т.2, Тф. 1887
- ვერმიშევი 1886** – Вермишев Х.А. Экономический быт государственных крестьян в Ахалцихском и Ахалкалакских уездах Тифлмской губернии МИЭБГКЗ, Т3, ч.2, ТФ 1886
- ზელინსკი 1881** – Зелинский С.П. Город Ереван, СМОМПК, Вып 1, Тф, 1881
- თოფჩიშვილი 2000** – თოფჩიშვილი რ., სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა, თბ., 2000
- თურმანიძე 2001** – თურმანიძე ო. საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმის უნივერსიტეტი, 2001
- თურქეთის ხალხები 1879** – Народы Турции, Перевод с английского, СПб, 1879
- კორძახია 1950** – კორძახია კორძახია მ., ნაფეტვარიძე ვ., მესხეთის კლიმატი, გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ.5, ნაკვ. 1, თბ., 1950
- კიკვიძე 1976** – კიკვიძე ი., მიწათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1976
- კურჩაევი 1887** – Кучаев М., Поземельное устройство государственных крестьян водворенных на владельческих землях в Закавказских губерниях // Свод материалов по

изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края. Т. I, ч. 2. Тифлис, 1887

**კუჩაევი 1888** – Кучаев М. Ахчевое и тапное земледелия в Ахалцихском уезде. СМЭБГКЗ Т. 5 ч. 2. Тифлис, 1888

**მასალები 1885** – Материалы для этнографии азиатской Турции, Тф. 1885

**მენაბდე 1948** – Менабде В. Пшеница Грузии, Тბ. 1948

**მოლოდინი 1963** – მოლოდინი ლ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახთელი იარაღები), თბ., 1963

**მუსხელიშვილი 1938** – ვაჰანის ქვაბთა განგება, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1938

**ნოლაიდელი 1967** – ნოლაიდელი ჯ. აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები, თბ. 1967

**პროკოპი 1965** – პროკოფი კესარიელი, გეორგია ტ. 9, თბ. 1965

**სვანიძე 1984** – სვანიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI ს-ში, თბ. 1984

**ტალახაძე 1997** – ტალახაძე ი. ვანის ქვაბთა მონასტრის მეურნეობა, მესხეთი (საისტორიო კრებული) I ახალციხე 1997

**ტვერიტინოვა 1963** – Тверитинова А.С. Аграрный строй Османской империи XV-XVI веков. Документы и материалы. М. 1963

**ფაშაევა 1976** – ფაშაევა ლ., შინახელოსნური წარმოების ზოგიერთი საკითხების შესახებ წალკის რ-ნის მოსახლეობაში, ძეგლის მეგობარი, №42, თბ. 1976

**შარაშიძე 1982** – შარაშიძე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს), თბ. 1982

**ჩიტაია 1930** – ჩიტაია გ., მასალები საქართველოს იარაღების ისტორიისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. V, ტფილისი, 1930

**ჩიქოვანი 1982** – ჩიქოვანი თ., ჯავახეთი, თბ., 1982

- ჩუბინიშვილი 1963** – ჩუბინიშვილი ტ., ამირანის გორა, თბ., 1963
- სახანოვი 1891** – Хаханов А.С. Месхи (этнографический очерк), М. 1891
- ჯავახიშვილი 1998** – ჯავახიშვილი ი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ნ. 1, თბ. 1998
- ჯალაბაძე 1972** – ჯალაბაძე გ., მემინდვრეობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ. ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972
- ჯალაბაძე 1979** – Джалабадзе Г. Полеводство в Месхет-Джавахети, საქართველოს მუზეუმის მოამბე XXXIII, თბ. 1979
- ჯიქია 1941** – გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ნ. II, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ. 1941,

**Andrew Andersen**

**Конфликт в Абхазии (1918-1921): этнический или  
политический?**

Уважаемые дамы и господа,

Цель данной презентации – рассмотреть вооружённую борьбу за Сухумский и Сочинский округа в период с 1918 по 1921 годы, а также дипломатические манёвры, которые сопровождали этот конфликт. В указанный период времени в конфликте участвовали Первая Грузинская Республика, «две России» (Советская Россия и антисоветские российские силы), а также – Великобритания и на ранних этапах – Османская Турция и даже Германская империя.

Сегодня Абхазия, которая остаётся неотъемлемой частью Грузии в её международно признанных границах, оккупирована российскими войсками и управляется нелегитимным, трайбалистским режимом, который представляет лишь малую часть населения Абхазии. Для того чтобы оправдать нынешний статус-кво, различные силы, заинтересованные в продолжении нестабильности на Кавказе – прежде всего российская администрация, а также некоторые пророссийские западные учёные и псевдоучёные (их часто называют «полезными идиотами») – активно распространяют фальсифицированную историю как внутри абхазского общества, так и на международной арене. В результате до сих пор малоизученные события 1918–1921 годов стали объектом фальсификаций и искажений. И хотя мне крайне неприятно это признавать, я считаю, что на данный момент Грузия проигрывает информационную войну по вопросу Абхазии. Эта ситуация должна измениться, если Грузия намерена сохранить свою территориальную целостность.

Но почему это произошло, и почему Кремль и про-  
российские западные голоса так обеспокоены Грузией в  
целом и Абхазией в частности?

Дело в том, что уже более двух тысячелетий Южный  
Кавказ является полем битвы для сменяющих друг друга  
великих держав, многие из которых давно прекратили свое  
существование. Этот регион долгое время привлекал вни-  
мание не только благодаря своему благоприятному кли-  
мату и обилию природных ресурсов, но и благодаря своему  
